Samtskhe-Javakheti State University

GULANI

14

Publishing-House
„Akhaltsikhe University"
Akhaltsikhe -2014

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გულანი

14

გამომცემლობა
„ახალციხის უნივერსიტეტი“
ახალციხე – 2014

УДК (უაკ) 81+82+93/94+37
UDC გ 936

რედაქტორი: ***მერაბ ბერიძე***

სარედაქციო საბჭო: ***ნესტან სულავა*** *(რედაქტორის მოადგილე),*
მაკა ბერიძე *(პასუხისმგებელი მდივანი),*
თინა იველაშვილი, მარინე შონია, რომან გოგოლაური

მდივანი: ***ნინო დობორჯგინიძე***

რეზიუმეები თარგმნა ***გულნარა ჯანოვამ***

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014
ISSN 1987-6157

მერაბ ბერიძე

ბრძოლა გვარამაძეობისათვის

1891 წელს არის დაწერილი ივანე გვარამაძის „ვინმე მესხის ცხოვრება“, რომლის სრული სათაური ასეთია: „ვინმე მესხის ცხოვრება დაწერილი 1891 წელს ქ. ახალციხეს“. მეორე გვერდზე კი ავტორს დაუსათაურებია: „ვინმე მესხის მოკლე ცხოვრება“. მისი საფონდო ნომერია 209. ეს მოკლე ცხოვრება გულისხმობს დაბადებიდან 1868 წლამდე პერიოდს. იმდენად მნიშვნელოვანი იყო ივ. გვარამაძისათვის მღვდლობის უფლების მოპოვება, რომ ამით დაუმთავრებია კიდეც თავისი ცხოვრების პირველი და უმთავრესი ეტაპი. საამისოდ ბევრი რამ გადახდა მას.

ივანესთვის ***ოცხეში*** მის მეგობარს უკითხავს, დაწერილი ჰქონდა თუ არა თავისი ცხოვრების ამბავი და როდესაც უარი მიუღია, ურჩევია, დაეტოვებინა შთამომავლობისათვის ბიოგრაფია – „კარგია დასწერო, სიკვდილი-სიცოცხლეა, დაშთების მომავალი თაობასა, ვინ იცის, როგორ გამოადგეს”. მართალია, ავტორი არ გვეუბნება, ვინ იყო ის კეთილი მრჩეველი, მაგრამ ჭკვიანი კაცი ნამდვილად ყოფილა, რადგან უკვე 1891 წლისათვის დაუნახავს მნიშვნელოვანწილად ივ. გვარამაძის პიროვნება, მისი როლი საზოგადოებაში. მართლაც ბევრი რამის სწავლა შეუძლია მომავალ თაობას ივ. გვარამაძის ცხოვრებიდან.

ეს იყო გამომაფხიზლებელი რჩევა. მრავალჭირნახულმა ადამიანმა ნახა, რომ სამშობლოსათვის და რწმენისათვის ბრძოლის გზაზე 60 წლისა ბერიკაცს დამსგავსებოდა. თმაწვერგათეთრებულს, შუბლდანაოჭებულს კისერი მხრებში ჩარგოდა და ბეჭებშიც მოხრა დასწყებოდა. მიუხედავად ამისა, თვალს არ აკლდა, ჭარმაგი იყო და ფიზიკურად ძლიერი, ამიტომ გადაწყვიტა მან, გავლილი გზა კარგად გაეანალიზებინა და ჩვენთვის მოეთხრო.

„კარგი ის იქნება კაცმან თავის სოცოცხლის მსვლელობა ყმაწვილკაცობითგანვე სწერის დღიურად“, – წერს ივანე, რომ გაუადვილდეს შემდეგ განვლილი ცხოვრების გახსენება და

შეფასება. სამწუხაროდ, მას დღიური არ უწერია, მაგრამ ჰქონდა კარგი მეხსიერება და საკმაოდ დეტალურად აღადგენს ბავშვობისა და კაცობის წლებს. ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდა, ის ხომ მოწოდებით ისტორიკოსი, ფილოლოგი და საერთოდ შემოქმედი კაცი იყო. „შუა კაცობა გამივლია, მომკლებია ძალა, ღონე, ხალისი, რას მოვიგონებ ჩემს მთელ გავლილ სიცოცხლის გზა-კვალსა“, – წერს იგი, მაგრამ, როგორც თავადვე იტყოდა, „ინადიანი“ ჯიუტი და პრინციპული გახლდათ, ამიტომ გადაწყვიტა დაეტოვებინა ჩვენთვის თავისი ბიოგრაფია. გადადება აღარ ღირდა, ისედაც დიდი დრო ჰქონდა დაკარგული. „გუშინწინდელ ოქროს გუშინდელი ვერცხლი ჯობია, გუშინდელ ვერცხლს დღევანდელი სპილენძი,“ – დარდობს სპილენძისამარა დარჩენილი ივანე და იწყებს ბიოგრაფიის წერას. გამუდმებით თავის ქვეყანაზე, ხალხზე მაფიქრალი ადამიანი, მომავალ თაობაზე, ჩვენზე ზრუნავს: „წინა კაცი ვიწრო გზითგან რომ დაიბნეს, ან კლდითგან რომ გარდიჩეხოს, ან ტალახისაგან რომ წაიქცეს და გაისვაროს და ანუ უფსონო წყალში რომ დაიხრჩოს, ხომ უკანა კაცისათვის გასაფრთხილებელია მისი მარცხი და დაღუპვა? ჩემი შრომის მნიშვნელობაც ეს გახლავთ ამ ადგილას. მე შევცდი, მე დავიბენი, მე დავაშავე ბევრგან, ჩემს სიცოცხლეში ესეც კმარა საკმოდ კაცობრიობისა და ქვეყნისათვის, სხვანი გაფრთხილდნენ, ნუღარ შესცდებიან.“

ივანე გვარამაძე იყო ერთი ახალციხელი „გლახაკი კაცის შვილი“. თავისი წინაპრების შესახებ ავტორს ძირითადად ტექსტში ჩაუმატებია: „მართალია ჩვენი წინაპარნი ***აწყვერის*** ბატონები ყოფილან, ცხრა ციხე მათ მმართველობის ქვეშ ყოფილან და მრავალი მამულები გვქონია, მაგრამ მაჰმადიანობის მიუღებლობისათვის ჩამოურმევიათ ყოფილი მფლობელობა. ***ზოზოშვილს*** გვეძახიან ჩვენი წინაპრის სახელობაზედ. 1569-1572 ასე წინ თუ უკან მარტში ***აწყვერს*** ორი ფაშა ***აზრუმისა*** და ***ტრაპიზონისა,*** რომ რათ ინახამ ათაბეგ ***ყვარყვარესაო.*** მას ბრძოლის დროს ***აზრუმის*** ფაშა მოუკლამს და მით გაქცეულან ოსმალოები. მერმე ხომ ***ქალიმანჯ*** აფენდის აუყრივართ ***აწყურითგან*** და მოვსულვართ ახალციხეს. ჩვენი განაყრებიც ***ხიზაბავრას*** ასულან ჩვენს მამულში“.

ცხრა ციხის პატრონთ შთამომავალი ივანეს მამა იყო მეწვრილმანე, იცოდა ქსლის ბეჭვა და მექუდეობა. გვარამაძეთა გვარში შემოსულია შტოგვარი ***ზოზოშვილი,*** „წინაპრის სახ-

ელობაზედ“. ამ გვარით მოდიან გვარამაძეები „რუსობამდე“ მათი წინაპრის ***ზაზასთვის*** მაჰმადიანებს ზოზო (ძლიერი) შეურქმევიათ (ყრუაშვილი, 2002:41)

„***ზოზოშვილებსაც*** გვიძახდნენ ჩვენი წინაპარი ზაზა გვარამაძისგან“ (გვარამაძე, 1891:18). ზოზოშვილობით უფრო იცნობდნენ ბავშვობაში ივანეს, ვიდრე გვარამაძეობით. ახალციხეში შაჰყულიანთან სწავლისას კონფლიქტი მოუვიდა თანატოლებთან. ერთი მათგანი წააქცია და თავი დაარტყმევინა. ბიჭის დედა წივილ-კივილით მოვარდა: „იმ ტროკა ზოზოშვილს ჩემი შვილისთვის თავი გაუჩეხიაო“ (გვარამაძე, 1891:108).

ივანე გვარამაძე ზოზოს ცხოვრებას ვარაუდობს XIV საუკუნეში. ზოზო//ზოზოშვილობის საკითხს შეეხო მანანა მიხიტაშვილი: „იმ დროს (XIV ს-ში მ. მ.) უცხოვრია გვარამაძის ძეთა ერთ-ერთ განაყოფს ***ზოზოს*** და მის მემკვიდრეებს, ***ზოზოშვილებს,*** რომლებსაც სჭერიათ „მრავალი სოფლების ზოგან აგარა, ზოგან ყანა, ჭალა. ზოგან საფიჩხე, ზოგან ბაღები, წისქვილები, ზოგან საბალახო, სათიბი და მთები საკუთრებად....“. მ. მიხიტაშვილი ივ. გვარამაძის შრომებზე დაყრდნობით მიუთითებს აწყურში ***ზოზოს დარბაზს, ზოზოშვილების სახლებს, ზოზოსეულ ციხეს, ზოზოშვილების ბაღ-ვენახებს*** (მიხიტაშვილი, 1995:17). ვინც არ გამაჰმადიანებულა ან ამოწყვეტილა ან გაფანტულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „რაც შეეხება განთქმული ***ზოზოს*** შთამომავალთ, ისინი გაგლახაკებულან, გაღარიბებულან და ჯერ მაჰმადიანთა, მერე ახალ ხანაში მომრავლებულ სომეხთა დევნა რომ აეცდინათ, მათს სომხურ და ლათინურ ტიპიკონზეც დაწერილან ანუ გასომხებულან და გაფრანგებულან, სარწმუნოებით გრიგორიანელებად და კათოლიკებად ქცეულან, თუმცა ქართული ენა და ქართული წეს-ჩვეულებანი შეუნარჩუნებიათ. ეს მომხდარა 1625-1636 წლებში (მიხიტაშვილი, 1995:18).

სხვაგვარად უყურებს ***ზოზოშვილობის*** პრობლემას შ. ლომსაძე. მისი აზრით, გვარამაძეთა ამ შტოს ***ზოზოშვილის*** გვარი მე-18 საუკუნეში უნდა მიეღო, რასაც ეროვნულ-რელიგიური საფუძველი ჰქონდა: „გვარამაძის როგორც გვარის, შეცვლის მცდელობა კათოლიკე მამებს ადრეც ჰქონიათ XVIII ს-ში, ჯერ კიდევ მათი აწყვერში ცხოვრების დროს და ვინმე ***ზოზო გვარამაძის*** სახელის მიხედვით ცდილან გვარამაძენი ადერიცხათ ***ზოზოშვილებადაც*** და ხელოვნურად შემოღებული შტო-გვარის შეწყვილებით თანდათან უარეყოთ გვარამაძეობა, როგორც

„მართლმადიდებლური ქართულის მაჩვენებელი“ (ლომსაძე, 1995:41)

მართლაც გადაჭარბებული უნდა იყოს, მე-18 საუკუნეზე ადრე რომ ვივარაუდოთ ზოზოს ცხოვრება, რადგან შეუძლებელი იქნებოდა წინა გვარის (გვარამაძის) ხსოვნა შთამომავლობისათვის.

კიდევ ერთ შტოს დაუდო გვარამაძეთა გვარმა სათავე. ეს არის ***იანულოვი.*** ცნობილი ექიმი და პოეტი, ვალის მკვიდრი, ბატონი შალვა მოსეშვილი წერს: „ივანე გვარამაძის ახლო ნათესავები ვალეში „იანულოვის“ გვარით ცხოვრობდნენ. იანულოვი თურქულად დამწვარს ნიშნავს. ამჟამად ***იანულოვებმა*** აღიდგინეს თავიანთი გვარი „გვარამაძე” და ვალეში დღესაც ცხოვრობს ერთი ივანე გვარამაძე (ფოცხოვისპირელი, 2002:III).

ეს გვარი მეტგვარიდან მოდის და მას კონკრეტული ფაქტი უნდა ედოს საფუძვლად. ცნობილია ვინმე მესხის მამის სიღარიბის ამბავი, რასაც დაერთო სახლ-კარის ორგზის დაწვა, რის შესახებაც თავად ივანე წერს: „სიგლახაკის მიზეზი გახლდათ, მამაჩემს ორი პირი ცოლშვილი გამოეცვალა, თავისი ვაჭკაცობის დროს მონაგები ქველა ახალციხის აკლებაათხრებისა რუსისგან და შემდგომ აჭარლებისგან სრულ გამოსცლოდა ხელითგან. ***ორი პირი სახლ-კარი დასწოდა*** 1828-1829 (წლებში) და ცარიელ-ტარიელა კაცს მესამე ცოლად დედენემი შეერთო ვალეს, დედაჩემსაც პირველი ქმარშვილი ასწყვეტოდა და მეორე მამაჩემი იყო“ (გვარამაძე, 1891:5). სახლკარდამწვარი ახალციხელი ჩადის ვალეში და ზედსიძედ შედის „ხაქარათ ბაღდასარას ძის გასპარას სახლში“ (გვარამაძე, 1891:6), მას არქმევენ მეტსახელს ***იანულას*** (დამწვარა), ხდებიან ისინი იანულაანნი (დამწვარაანნი), ხოლო შთამომავლები არიან ***იანულათები*** და ***იანულოვები.***

თურქული სახელის ქართველი კაცისათვის დარქმევა და ამის ნიადაგზე შემდეგ გვარის ჩამოყალიბება საყოველთაოდ ცნობილია. ეს იყო ოსმალეთთან მეზობლობისა და ისტორიული ურთიერთობების შედეგი. არაქართული გვარსახელების ჩამოყალიბების ამ გზას მხარში ამოუდგა სხვა ფორმა, როდესაც ქართული სახელის მატარებელ ქართველ კაცს შეგნებულად უცვლიდნენ სახელს და მას, როგორც გრიგორიანელს ან კათოლიკეს, სომხური ან იტალიური ტიპიკონის მიმდევარს, სომხურ სახელს არქმევენ. ივანე გვარამაძის მამას ერქვა პავლე, მაგრამ, რადგან იგი კათოლიკე იყო, ოფიციალურად

იწოდებოდა პოლოსად, ისევე, როგორც ***პავლე შაჰყულიანი*** (***ჭილიმუზა შვილი***) იყო პოლოს შაჰყულიანი. შ. ლომსაძის აზრით, დგებოდა შემდეგი საშიშროება. ვიდრე პოლოსა იწოდებოდა გვარამაძედ, გვარისა და ეროვნების საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ „მისი სახელი „პოლოს“ მეორე ეტაპზე შეიძლება მისი გვარის გაქრობის მიზეზად იქცეს და უყურადღებობის შემთხვევაში თუ ამ პოლოსას შვილს დაერქმეოდა, ვთქვათ, „მინასა“, მოსალოდნელი იყო, რომ ამ მინასას შვილს გვარად მისცემოდა „პოლოსიანი“, რაც ჩვეულებრივად ხდებოდა ხოლმე“ (ლომსაძე, 1995:41). ასეთ დროს ვღებულობდით ***პოლოს მინასიანს***, როგორც ეს მოხდა ***იანულოვის*** შემთხვევაში, ოღონდ აქ თურქული ფუძე იქნა გამოყენებული და გაბუნდოვნდა ქართული წარმომავლობა რუსული ***–ოვ*** სუფიქსის დართვით. ქართული გვარების დაკარგვის ეს ორი გზა გაჰყვა მთელ მე-19 საუკუნეს და მე-20-შიც გადმოვიდა.

ბრძოლა ქართული გვარების წინააღმდეგ იყო ბრძოლა ქართველობის წინააღმდეგ.

სხვაგვარად იქცევიან ოსმალები, თუმცა პრინციპი იგივეა. ოსმალთა მმართველობის დროს ეკონომიკურ საფუძველზე დაყრდნობით და ხელოლით ქართველებს სარწმუნოებას უცვლიდნენ, თან მას სახელს უცვლიდნენ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში არის ერთი დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ „მუსხიდან გათათრდნენ ***თომაანთ თორომანი***, ***სიმონ*** მაისურაძეს დაარქვეს ***უსეინაი,*** ხოლო ქურდაძეს – ***სვილეიმანაი***, ისიდორ ქურდაძეს – ***ალიაი***, ქიტე ქურდაძეს – ***იბოი***“. თავდაპირველად ორივე სახელს ატარებდა გამაჰმადიანებული მესხი – ქართულსაც და თურქულსაც, გვარს არ ეხებოდნენ, რადგან მარკირების პრინციპი ირღვეოდა. ქართული გვარის სისტემა განსხვავდება ოსმალურისაგან. მამაშვილობაზე დაყრდნობილი ოსმალური გვარი შეიძლება შექმნილიყო სახელშეცვლილთა შთამომავლებისათვის, უსეინას შთამომავალი იქცეოდა ***უსეინოლლად***, ალიასი – ***ალიოლლად*** და ა.შ.

ასეთი გვარის მიზანი და პრინციპი იყო არა მხოლოდ გვარის გაბუნდოვნება, არამედ ქართული ეროვნების საბოლოო დაკარგვა.

გვართა ასეთ ჭიდილს მოუსწრო მე-19 საუკუნეში რუსეთის შემოსვლამ მესხეთში და პროცესმა მიიღო უნიფიცირების ხასიათი. კერძოდ, რუსული ადმინისტრაციისათვის უფრო მისაღები იყო ***–ოვ***-ზე დაბოლოებული გვარები და ქართულ-

სომხურ-თურქული დაბოლოებანი შეცვალა რუსულმა დაბოლოებამ, ოღონდ ეს ძირითადად ხდებოდა ოფიციალურ სახელმწიფო დონეზე, ხალხი ისევ ძველი გვარით მოიხსენიებდა თავიანთ ნაცნობებსა თუ ნათესავებს.

ივანეს ჰქონდა ბავშვობაში მეტსახელი ***კონა***, რომლის შესახებაც წერდა: „სადაც ქმაწვილობით დედებს დავინახემდი ერთად თავმოყრილ მჯდართა, ხან ერთს უვარდებოდი კალთაში ხან მეორეს და ხან მესამეს. სახელად ითანე მერქვა, მაგრამ დედაჩემს ***კონა*** დაერქმია ჩემთვის, მის გამო, ვინც ამიყვანდა ხელში. ეს ***ვარდის კონაო***, იტყოდა და მიმიკრემდა გულში“ (გვარამაძე, 1891:9-10). კონა გავრცელებული სახელიც იყო მესხეთში და მეტსახელიც. მისგან არის მიღებული გვარი ***კონაშვილი***. ეს მეტსახელი დიდობაში არ გაჰყოლია ივანეს და არც მის შთამომავლებს ხვდათ წილად ამ სახელის მემკვიდრეობა, თორემ მესხეთში ***კონაანნი*** მეტგვარად გვხვდება.

შ. ლომსაძე ივ. გვარამაძის შესახებ წერს: ივ. გვარამაძე მიხვდა, რომ ძველი ქართული გვარ-სახელების ახლებური წარმოებისას სახე ეკვლებოდა არა მარტო გვართა მაწარმოებელ სუფიქსებს, არამედ მთლიანად ფუძესაც, ქართულ-კათოლიკური კონდაკის (რიტის) არ არსებობის გამო გვარის დაცვის საკითხი გართულებული იყო“ (ლომსაძე, 1995:40).

თვითონ ივანემ საკუთარ თავზე გამოცადა გვართან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენ ვნახეთ ***ზოზოშვილად*** რომ იწოდებოდნენ გვარამაძეები და ივანეს დასჭირდა თავისი გვარის ჯერ დადასტურება და მერე აღდგენა. ესეც არ აკმარა ცხოვრებამ. ივანეს ოფიციალური გვარი იყო ***მესარკოვი*** და ეს მოხდა სრულიად შემთხვევით. ბრძოლის დროს პავლე, ივანეს მამა, უნდა დაეჯილდოებინათ. „***პებუთოვმა*** ტემლაკზედ წარდგენის დროს მისი ვინაობა ჰკითხა მის მოძმეს ქუთაისელ ***ანტონ მესარკოვს*** და მანც მოახსენა ჩემი ძმა არისო და ***მესარკოვად*** ჩასწერა. ამით დარჩა ჩვენი წოდებაც ***მესარკოვი***“ (გვარამაძე, 1891:34).

პავლეს, რომელიც იყო გვარამაძე-ზოზოშვილი, ჰყავდა დედის მხრიდან ნახევარძმა ***ანტონი***, აი ამ ნახევარძმის გვარი მისცეს პავლეს, რომელმაც არა მარტო მიიღო ეს გვარი, არამედ ცოლშვილიც ამ გვარზე დაწერა (ლომსაძე, 1995:12). დღევანდელი გადასახედიდან ძნელი გასაგებია ასეთი ცთომილება. როგორი საცოდავი ჩანს პავლე, რომელმაც თავისი გვარი არ იცის! ალბათ, აქ იმდენად არცოდნასთან არა გვაქვს

საქმე, რამდენადაც გვარის სოციალური ფუნქციის გაუფასურებასთან ქართულ ეროვნულ სინამდვილეში, ჯერ თურქობის დროს და შემდეგ რუსთა ბატონობისას.

ივ. გვარამაძემ მღვდლობა ***მესარკოვის*** გვარით მიიღო 1868 წელს. იგი, როგორც განათლებული კაცი, ისტორიკოსი, ფილოლოგი ვერ შეეგუებოდა ***მესარკოვად*** ცხოვრებას. იცოდა, რომ ***ზოზოშვილიც*** შეძენილი გვარი იყო, ამიტომ იბრძოდა **გვარამაძეობის** აღსადგენად. იგი, როგორც საზოგადო მოღვაწე, წერდა **გვარამაძის** გვარით და **„ვინმე მესხის"** ფსევდონიმით, ამიტომ, „რახან მღვდლის მოწმობა ***მესარკოვის*** გვარით ჰქონდა მიღებული, ზოგი საეკლესიო მსახური უხიოდა, ***მღვდლობის გვარს უარყოფს და*** „ვინმე მესხის" ფსევდონიმით აქვეყნებს წერილებსო" (ლომსაძე, 1995:41-42). ეს უკვე სხვა სახის ბრალდება იყო, ამიტომ ყველაფერი გააკეთა ივანემ საიმისოდ, რომ გვარამაძეობა დაემტკიცებინა. ისტორიული და სხვა სახის დამადასტურებელი საბუთების საშუალებით თავისი გვარი დაიბრუნა 1885 წელს.

მესარკოვი ხელობის აღმნიშვნელი ტერმინიდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ. მართლაც, სახელი გამჭვირვალეა და მესარკიდან მოდის, ***მე – ე*** მაწარმოებლებით არის მიღებული. ოღონდ სარკის კეთებასთან არ არის დაკავშირებული და ამის ტრადიცია არც ჩანს მესხეთში. ივ. გვარამაძე თავის ლექსიკონში ***მესარკეს*** განმარტავს, როგორც – ***სარკეების გამყიდველი*** (გვარამაძე, 1907:141).

ასევე ხელობის აღმნიშვნელი ტერმინიდან მოდის ძველი ახალციხური გვარი ***მეწყარიშვილი.*** ამ გვარის მატარებელი ოჯახი ცხოვრობდა ახალციხის რაიონის სოფელ ***ბოგაში.***

სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ერთი ჩანაწერის მიხედვით, რომელიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შეუქმნია ***ი. პაპისიმდოვს*** (ხელნაწერი №1082, გვ. 39) ვგებულობთ, რომ **მეწყარიძე მეწყალიძიდან**, ე. ი. წყლის გამყვანის მოხელიდან უნდა მოდიოდეს, რომელსაც თიხის მილებით ***ჭვინტის*** ტბიდან ახალციხის რაბათში ჩაუყვანია წყალი. წყლით მომარაგების ერთ-ერთი სპეციალისტი, რომელმაც დატოვა ახალციხე 1828 წლის ომის შემდეგ და წავიდა ***ბოგაში,*** საოთავეს უდებს ახალ გვარს – ***მეწყარიძეს*** (ბერიძე, 2006:53).

მართლაც, თითქოს არაფერი უშლის ხელს, რომ ***მეწყარიძე*** და ***მეწყალიძე*** დავაკავშიროთ ერთმანეთს, ე. ი. იყო ხელობის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელმაც დაუდო გვარს სათავე, მა-

გრამ აქ ***მეწყალე*** არაფერ შუაშია, ტერმინი იყო ***მეწყარე,*** რომელსაც თავის ლექსიკონში ივ. გვარამაძე ასე განმარტავს: ***„წყაროს მომყვანი, ზედამხედველი, გამგე“*** (გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე: 147), ხოლო ***მეწყლე*** არის ***„წყლის მზიდავი“***. ხელობის აღმნიშვნელი ტერმინით კიდევ ერთი გვარი გვხვდება ვინმე მესხის ცხოვრებაში. ეს გვარი ცნობილია მე-19 საუკუნის საქართველოში.

შ. ლომსაძემ შეისწავლა ***ხარისჭირაშვილების*** გვარი და ის ხელობის აღმნიშვნელ გვარსახელად მიიჩნია, ნამდვილი გვარი კი არ ვიცით. ***ხარისჭირაშვილების*** წინაპრები ჯავახეთის სოფელ კოთელიდან ყოფილან, რომლებიც XVIII საუკუნის შუა წლებში ლეკიანობას გამოექცნენ ჯავახეთიდან და მართლმადიდებლებად ჩამოვიდნენ ახალციხეში, სადაც მიიღეს კათოლიკობა (ლომსაძე, 1995:31). ივ. გვარამაძე წერს: „წამიყვანეს და აღგილობრივ მღდელს მიმაბარეს საკითხავად ოთხი წლისა. მღვდელი იყო ***ხარისჭიროთ*** პავლე, თვალებმტკივანი, წიგნის კითხვა მეტად სწყენდა თვალებზედ. გულკეთილი კაცი იყო, ერთგული ერისა, მართალი“ (გვარამაძე, 1891:22). ***პავლე ხარისჭირაშვილი*** ვალის სოფლის მღვდელი ივანეს ნათლიაც იყო (ლომსაძე, 1995:13).

პავლე ხარისჭირაშვილთან სწავლის დროსვე მოუწია მისივე მოგვარესთან სრულიად ბავშვს შეხება, კერძოდ, პატარა ივანე წარმატებული მოწაფე აღმოჩნდა და მალევე მისცეს წასაკითხად კატეხიზმო „დაწერილი ***ხარისჭიროთ ლუკასგან,*** რომ მღვდლად კურთხევისა შემდგომ ***პეტრე*** დაირქვა სახელად“ (გვარამაძე, 1891:23). ეს ის ***პეტრე ხარისჭირაშვილია,*** რომელსაც ჯერ ქუთაისში ჩააკითხა და სწავლობდა მასთან ივ. გვარამაძე 1854 წელს და შემდეგ სტამბოლში – 1859 წელს.

ბავშვობის წლების მოგონებისას ორივე ***ხარისჭირაშვილს ხარისჭიროთ*** ფორმით მოიხსენებს, მაგრამ ოფიციალურად, თანამდებობაზე მყოფის შესახებ ივანე ამბობს: „ქუთაისს წავალ, მივმართამ უ. მამა ***პეტრე ხარისჩაროვსა,*** ვგონებ მიმიღოს და საკმაო სწავლაც მომცეს“ (გვარამაძე, 1892:145).

ქუთაისში ჩასული ივანე კათოლიკურ ეკლესიაში შეხვდა ***დონ ანტონ გლახაშვილს,*** რომელმაც მიასწავლა მას “მამა ***პეტრე ხარისჭირაშვილის*** სადგომი. რიონის ნაპირას ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით ფიცრული სახლი იყო ორსართულიანი...” (გვარამაძე, 1891:147). სახელი აშკარად კომპოზიტური წარმომავლობისაა: ***ხარისჭირა – ხარისმჭერა – ხარისმჭერი.***

თავდაპირველად მეტსახელია და იგი დაედო საფუძვლად მეტგვარსა თუ გვარს. რაც შეეხება სამ ვარიანტს (***ხარისჭიროთი, ხარისჭირაშვილი, ხარისჩაროვი***) მათი აქტიური მოხმარება მიუთითებს იმაზე, რომ გვარად ჩამოყალიბების პროცესი თურქულის გავლენით შენელებულია, ამიტომ სამივე ფორმა იტოვებს არსებობის უფლებას.

„ვლებავ“ ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობა დღეს არის ***მლებავი.*** მე-19 საუკუნის საქართველოში, კერძოდ, მესხეთში იყო ***მლებარი.*** ილ. გვარამაძესთან ვკითხულობთ: „მე კარგად ვიცნობდი ფალოშათ ივანეს და მის შვილს იოსებს და ისინიც მიცნობდნენ. ვიცოდი იოსების დედაც ***მლებარი*** ივანეს ქალი იყო“ (გვარამაძე 1891:221).

ივანეს ცოლის შერთვის საკითხი სადავო გახდა. გადამწყვეტი სიტყვა სასიძედრომ თქვა: „მე მამაჩემს ბ. ივანე ***მლებარს*** ვემორჩილებით. მე ამის მეტს არავის მირჩევს. მეც ღმერთის ნებით მიმიცია და გამითავებია“ (გვარამაძე, 1891:226). სიძედროს მამა არის „უფროსი სიმამრი“, რომელიც ყველაზე კეთილგანწყობილი იყო ივანეს მიმართ. მან არა მარტო თანხმობა მისცა შვილიშვილზე დაქორწინებისა, არამედ კრიტიკულ მომენტში ხელიც გაუმართა. ილ. გვარამაძე წერს: ვალის ასაღებად “მივმართე ვალეს, არალს, უდეს მღვდლებსა, ყველამ გაიწყვიტა, როგორც შეეხედე შურისგან კვდებოდნენ და რა ხელს გამიმართავდნენ მე ისინი? ბოლოს ჩემმან უფროსმან სიმამრმან ***მ. ივ. მლებარმან*** მომცა 10 თუმანი” (გვარამაძე, 1891:245).

ივანეს უფროს სიმამრს (სიძედროს მამას) ***მლებარი*** ქცევია მეტგვარად თუ გვარად არა, რასაც გვაფიქრებინებს შემდეგი ადგილი: „1869 ახალ წელიწად დღეს ვლადიკავკაზს ვიყავით. იქ დაგვხვდა ***მლებაროვის*** სიძე ბ. სარქის თრთაჯოვი, ჩემი მოკეთე“ (გვარამაძე, 1891:263). მლებაროვის მოკეთეობა სიძედროს მხრიდან იგულისხმება. მისი სიძედრი მლებარის შვილია, მათი სიძე კი თრთაჯოვი. „თბილისშივე მივაცემინე ჩემი კერძი 8 მანეთი ბ. კარლო ***მლებაროვს“*** (გვარამაძე, 1891:273), ეს არის ბოლო მლებარი ი. გვარამაძის „ცხოვრებაში“.

ალნიშნული ტერმინიდან – ***მლებარი*** მივიღეთ გვარი ***მლებრიშვილი,*** რომელმაც რუსული დაბოლოებით მოგვცა ***მლებროვი.*** აგვისტინე კარლოვიჩი ***მლებაროვი,*** რომელიც იყო ივანეს ცოლის ***ფალოშათ*** იოანეს ასულ ***ანანოს*** მზითვის წიგნის შემდგენი, წერს: დამწერავიც მე ვარ და მეჯვარეცო (ლომსაძე, 1995:35).

მლებარი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ თავისი შინაარსით იგი არის *ვლებავ* ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობა. შინაარსობრივად მართლაც ასე უნდა იყოს და უნდა ნიშნავდეს მლებავს, კაცს, რომელიც ლებავს, განსხვავებული განმარტება აქვს ***მლებარისა*** ივ. გვარამაძეს თავის განმარტებით ლექსიკონში: ***მლებარი, მლებავი*** – სამლებროს მქონე (გვარამაძე, 1907:188).

საინტერესოა, რომ ***მლებარი*** გვარად თუ მეტგვარად გაფორმებისას გვარის მაწარმოებელ რომელიმე სუფიქსს არ იყენებს. როგორც ჩანს, ***მლებარი*** მაწარმოებლის გარეშე არსებობდა, რადგან მესხეთში ცოცხალი იყო ***-არ*** სუფიქსი, რომელიც წარმომავლობის სუფიქსად იხმარებოდა: ღობიარი, ოთარი, ხერთვისარი და სხვა.

მოგვიანებით ***მლებარი მლებრიშვილად*** იქცა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსული დაბოლოება დაერთვის მლებარს და ვღებულობთ ***მლებაროვს,*** ხოლო მლებრიშვილი გვაძლევს ***მლებროვს.***

ხელობის აღმნიშვნელ გვართაგან ***მესარკიშვილი*** და ***მლებრიშვილი*** მითითებული აქვს ზ. ჭუმბურიძეს, მას, მჭედლიშვილის გარდა, ჩამოთვლილი აქვს „სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარები: დალაქიშვილი, ქურგლიშვილი, ხარაჩი, ხარაჩიშვილი, ხარახი, ხარახიშვილი, ხუროშვილი, ხუროძე და სხვა“. ამასთანავე „საყურადღებოა, რომ ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები ხშირად გვხვდება გვარებად წმინდა ფუძის სახით (გვარის მაწარმოებელი აფიქსების, ან ***-ძე*** და ***-შვილ*** დაბოლოებათა გარეშე)“. (ჭუმბურიძე, 2003:89). ჩამოთვლილთა შორის ზ. ჭუმბურიძე ასახელებს ***მხატვარს.*** როგორც უკვე ითქვა, ***მლებარი*** სწორედ ამ ტიპისაა.

„მრავალ ქართულ გვარს წოდება – თანამდებობის და პროფესია-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინები უდევს საფუძვლად. ხშირ შემთხვევაში ეს ტერმინები არაქართული იყო, აღმოსავლეთ მეზობელთაგან ჩვენში შემოსულ-დამკვიდრებული... ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენში ამ გვართა ფუძეების ტერმინებია შემოსული. გვარსახელები კი უშუალოდ ჩვენს ქართულ სინამდვილეშია წარმოქმნილი“ (თოფხიშვილი, 2003:6). ხელობის აღმნიშვნელი გვარების ჩამოყალიბება გარკვეულწილად არაქართულენოვან გარემოსთან იყო დაკავშირებული მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

საინტერესო მოსაზრებას აყენებს ამ მხრივ შ. ლომსაძე. მისი აზრით, “რადგან გაკათოლიკებული ქართველები ჩვეულე-

ბრივად მიწერილი იყვნენ ლათინურ ან სომხურენოვან კონდაკის მქონე ეკლესიებს, სადაც სომეხ და ლათინ სასულიერო პირებს თავიანთი კონდაკების კვალობაზე სასურველ შესაბამისობაში მოჰყავდათ ქართულ გვარ-სახელთა ახლებური წარმოება, ***იწარმოებოდა იგი ძირითადი საქმიანობის*** (ხელობის) ***ან საკუთარი სახელის მიხედვით, რომელიც მთლიანად ტიპიკონის კვალობაზე იყო გაწყობილი*** და საიდანაც შემდეგ უცნაურ შტოგვარებად ყალიბდებოდა" (ლომსაძე, 1995:40-41).

გვართა ვარიანტულობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით. ერთ-ერთი მათგანია ხელობის აღმნიშვნელი გვარები, რომლებიც ცვლიან არსებულ ტრადიციულ ქართულ გვარებს.

გვარამაძეთა გვარის ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, რომ გვართა ვარიანტულობის მთავარი მიზეზი ტრადიციული ქართული გვარების უარყოფაა. ეს უარყოფა დაიწყო ჯერ ოსმალეთმა და გააგრძელა რუსულმა მმართველობამ. იქმნებოდა ახალი მეტსახელიდან მიღებული გვარები (ზოზოშვილი), ან ეძლეოდათ ხელობის აღმნიშვნელი ტერმინებიდან შექმნილი რუსულ-ქართული დაბოლოებიანი სხვა გვარები.

ვარიანტულობის უმთავრესი სათავე მაინც ქართული დაბოლოებების: *–თ, -ძე, – შვილი* და რუსული *–ოვ* -ის ჭიდილი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერიძე, 2006 – მ. ბერიძე, ქართველთა გამუსლიმება და გვარის შეცვლა მესხეთში, 2006.

გვარამაძე, 1891 – ივ. გვარამაძე, ვინმე მესხის ცხოვრება, 1891.

გვარამაძე, 1907 – ივ. გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე, 1907 წ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი №52.

თოფჩიშვილი, 2003 – რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წიგნი I, 2003.

ლომსაძე, 1995 – შ. ლომსაძე, მესხები, ახალციხური ქრონიკები, II, 1995.

მიქიტაშვილი, 1995 – მ. მიქიტაშვილი, ივ. გვარამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულებანი, 1995.

ფოცხოვისპირელი, 2002 – შ. ფოცხოვისპირელი, ვინმე მესხი ივანე გვარამაძე, კრებული „ოპიზარი", II, 2002.

ქრუაშვილი, 2002 – ნ. ქრუაშვილი, სადისერტაციო ნაშრომი, 2002.

ჭუმბურიძე, 2003 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? 2003.

Merab Beridze

FIGHTING FOR BEING GVARAMADZE

Summary

The variance of family names in the first half of the XIXc is caused with different factors. Namely, with the rejection of traditional Georgian surnames. It began in the period of Ottomans, governance and went on in the period of Russia's domination. One of them are surnames denoting skills that replace existed traditional Georgian family names.

The history of a surname - Gvaramadze is a clear example. The main reason of the variance of family names is the rejection of traditional Georgian surnames. First Ottomans' began and then Russians continued it. New surnames were formed from nicknames (Zozoshvili) or from the terms denoting skills which had Russian –Georgian endings.

ექვთიმე თაყაიშვილისა და მესხი კონსტანტინე გვარამაძის ურთიერთობის ისტორიიდან

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის უდიდესი მრვალმხრივი დამსახურება საქართველოსა და ქართული კულტურის ისტორიის წინაშე საყოველთაოდ არის ცნობილი. ამჯერად, ჩვენი სტატიის მიზანია, მკითხველს გავაცნოთ ამ სასიქადულო მამულიშვილის, არც თუ მცირე მემკვიდრეობა ქართულ ფოლკლორისტიკაში. მართალია, ამგვარ კვლევას მის საქმიანობაში შედარებით დაქვემდებარებული ადგილი ეჭირა, მაგრამ იქაც ფუძემდებლად გვევლინება იმ ქართველთა შორის, რომელთაც სისტემატურად უმუშავიათ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მათ შორის უნდა დავასახელოთ ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, ამათ ნაკვალევზე და იდეებზე იწყეს სვლა პეტრე უმიკაშვილმა, დავით ხიზანიშვილმა, თედო რაზიკაშვილმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა, ლადო აღნიაშვილმა და სხვებმა.

თუ გადავხედავთ ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის ადრეულ ხანას, იგი შეიძლება სამ საფეხურად დავყოთ.

ქართული ზეპირსიტყვიერების შემკრებთა პირველი პლეადა თავს იყრიდა „ივერიასა" და ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ირგვლივ, აქ იყვნენ როგორც მწერლები, ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები, ენათმეცნიერები, ისე პერიფერიული ინტელიგენცია პედაგოგებისა და სასულიერო პირების სახით. ამ ჯგუფმა შექმნა პირველი პროგრამა შემკრებთათვის ქართულ ენაზე. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და წარმმართველი ილია ჭავჭავაძე იყო.

მეორე პლეადა XIX საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა აკაკი წერეთლის „კრებულის" გამოჩენასთან ერთად. დიდმა მგოსანმა თავის ჟურნალში ფართოდ გაუღო კარი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და ცალკე სოფლების კომპლექსურ შესწავლას. აკაკის „კრებულის" დახურვით მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიხურა ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობის ფურცელი და თითქმის მთელი ათი წლის განმავლობაში ადარაფერი გაკეთებულა.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების განვითარების შემდეგი, მესამე საფეხური დაკავშირებულია საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნასთან, რომლის თავმჯდომარე და ხელმძღვანელი ექვთიმე თაყაიშვილი გახლდათ.

ექვთიმე თაყაიშვილმა შესანიშნავად გააგრძელა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ტრადიცია ხალხური საუნჯის შეკრება-გამოცემის საქმეში და თავის მხრივ წინ წასწია შემკრებლობითი ფოლკლორისტიკა. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ავტორიტეტი სწრაფად გაიზარდა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი გამოცემების განხორციელებამ, როგორიც იყო „საქართველოს სიძველენი“ და „ძველი საქართველო“.

„ძველი საქართველოს“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში ექვთიმე თაყაიშვილმა საზოგადოებას აცნობა, რომ კრებულში სისტემატურად მოთავსდებოდა ფოლკლორული მასალა, რომელიც სხვადასხვა რეგიონებში იყო მოძიებული და ჩაწერილი და მიმართავდა, ვისაც გული ერჩის, მონაწილეობა მიიღოს მის შეკრებაშიო. რედაქტორი ასე წერდა მაშინ: „ვის არ შეუძლია ჩაწეროს და მოგვაწოდოს ხალხური ხლაპრები, სიმღერები, გადმოცემანი, არაკები, თქმულებანი, შელოცვები და გამოცანები?...“ ამგვარმა მოწოდებამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენში შემკრებლობითი მოღვაწეობის გაღვივებას, წამოვიდა ჩანაწერების ნაკადი, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილის გამოქვეყნება მოახერხა ექვთიმე თაყაიშვილმა, უფრო მეტი კი დარჩა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში. ამ მასალების დიდი ნაწილი შემდგომში დაამუშავა და გამოსცა მიხეილ ჩიქოვანმა (ჩიქოვანი, 1956).

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შეკრებილი მდიდარი მასალიდან ვგებულობთ, რომ მას მიმოწერა ჰქონდა სხვადასხვა კუთხის ფოლკლორის შემკრებლებთან, რომლებიც, თავის მხრივ, დიდ იმედებს ამყარებდნენ ექვთიმე თაყაიშვილზე. რაც ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა, შეიძლება დავასახელოთ მესხი კონსტანტინე გვარამაძე. აქვე უნდა აღვნიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფოლკლორისტი ენთუზიასტი დიდ ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიდა, მაინც არ ღალატობდა არჩეულ გზას.

აი მაგალითად, რას წერდა კ. გვარამაძე ერთ-ერთ ბარათში ექვთიმე თაყაიშვილს ახალციხიდან 1908 წლის 12 სექტემბერს.

„დიდად პატივცემულო ბ. ექვთიმე!

მას შემდეგ, რაც 1891 წ. თქვენი რჩევით ერმილე ნაკაშიძის მიერ მიწვეული ვიყავი გურიაში მაკვანეთის მასწავლებლად, სადაც 1904 წლამდე დავყავი (გურიაში) და იმ ხნის განმავლობაში კი, სამჯერ მომეცა შემთხვევა შეგხვედრილიყავით თქვენ. ორჯერ ოზურგეთში და ერთჯერ კი სათავადაზნაურო სასწავლებელში თქვენი ინსპექტორობის დროს, და შემდეგ კი აღარც შეგხვედრივართ და არაა იმედი, ისეთი იშვიათი ნახვის შემდეგ კიდეც გადაგავიწყდებოდით...

ახლა მეძლევა შემთხვევა მოგწეროთ, როგორც „ისტ. გეოგრ. ეთნოგრაფიული საზოგადოების“ თავმჯდომარეს. იმედია, ჩემ თხოვნას არ დატოვებთ უყურადღებოდ. მე თვითონ წამოსვლას ვაპირებდი, რათა პირადად მენახეთ, მარა არ მომიხერხდა ჯერჯერობით წამოსვლა. აი ჩემი თხოვნა. მე, ყმაწვილობიდანვე 25 წელიწადია ზეპირსიტყვაობას და ეთნოგრაფიულ მასალებს ვაგროვებ საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში. ამას რა თქმა უნდა „აკაკის კრებულიდან და „მოგზაურიდან თქვენც გაიგებდით. და ახლა, რადგან თქვენ სპეციალურად ამისათვის საზოგადოება დააარსეთ, სადაც შემეძლება მე მუშაობა სპეციალურად ამ საქმეში და უსაქმოდაც ვარ დარჩენილი, გთხოვთ მომანდოთ რამე სხვადასხვა პროვინციაში სამუშაო ამ საქმეში... ერთი წელიწადი ქართული გამომცემლობის ამხანაგობამაც შეკრიბა ზეპირსიტყვაობა.

იმედია ამ ჩემ თხოვნას აასრულებთ და მაცნობებთ კიდეც, ამისათვის საპასუხო ბლანკსაც გიგზავნით.

პატივისცემით, მესხი კონსტანტინე გვარამაძე.“

ექვთიმე თაყაიშვილი გულისხმიერად ეპყრობოდა ენთუზიასტთა ხმას. აცნობებდა საზოგადოების საბჭოს და შესაფერისად იყენებდა მუშაობაში. ამას მოწმობს დასახელებულ ბარათზე მინაწერი: „იხ. საბჭოს ოქმი №24“.

„დიდად პატივცემულო ბატონო ექვთიმე.

დიდი ხანია დაწერილი მაქვს მასალები №№3, 4 და 5, რომელსაც ამავე ფოჩტით ვაგზავნი დაზღვეული ბანდეროლით (სულ 32 გვერდს ნაწერს შეიცავს) ლექსებს და ნაწყვეტებს სამესხეთოში ჩემს მიერ შეგროვილს, მარა მარკაც არ მქონდა გამომეგზავნა, ისეთ მდგომარეობაში ჩავარდი; უსაქმო, ცოლშვილიანი, მამაც ჩემთანაა, ამჟამად აღარც მამა მსახურობს და მოგეხსენებათ, ფრანგ მღვდლებს პენსიას არ აძლევენ და ასე უკიდურეს მდგომარეობაში ვარ. ახლა ცოლიც ავათ მყავს და ურავლის წყლები დაუნიშნეს აქიმებმა.

ასეთ გარემოებამ დააგვიანა მასალების გამოგზავნა თავის დროს. შეიძლება გურიის ხალხის ნაწარმოებები გამოგიგზავნო შემდეგისათვის. ორი რვეული გამოგზავნილი მაქვს, არ ვიცი მიიღეთ თუ არა.

მაცნობეთ მასალების მიღება, დავრწმუნდე, რომ არ იკარგება“

(თბილისში წერილი მიღებულია 8. 7. 09. (შტამპი).

ამ წერილებში მოხსენებული მესხურ-ჯავახური და გურული ფოლკლორული ნიმუშები მალე კიდევაც გამოქვეყნდა „ძველი საქართველოს“ მესამე ტომში. საქმიანი და ახლო მეგობრული დამოკიდებულება არსებობდა დედაქალაქში მყოფ მეცნიერსა და პერიფერიებში მომუშავე ფოლკლორისტ-ენთუზიასტებს შორის.

ექვთიმე თაყაიშვილის ფოლკლორულ-შემკრებლობითი მოღვაწეობა მის არქეოლოგიურ ექსპედიციებსა და მოგზაურობასთან არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, იგი ბევრ ისეთ მხარესა და კუთხეში ყოფილა, სადაც სხვას არა ჰქონია ბედნიერება სამეცნიერო მიზნებით ემოგზაურა.

შემონახულია მისი შინაარსიანი დღიურები. ბევრ მათგანში ფოლკლორული ჩანაწერებიც გვხვდება. ამჯერად შევჩერდეთ 1917 წელს მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობის დღიურებზე.

როგორც ჩანს, მუშაობა ხალისიანად წარიმართა. დღიურებში უამრავი სხვადასხვა ხასიათის ცნობებია. ავტორი უპირველეს ყოვლისა მოგზაურობის საშუალებებს ასახელებს. „იორღათ მივალთ, ცხენი, კარგად მავალი ცხენი, თოხარიკი“. ჩანაწერებში დიდი ადგილი ეთმობა დემოგრაფიულ ცნობებს თითოეული სოფლის შესახებ. მაგალითად, სოფელ ბალანთაში 40 კომლი სულ ქართველი ყოფილა. მეცნიერის დაკვირვებული თვალი მარტო სიძველეთა ნაშთებს რიდი ამჩნევს, იგი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასაც სწავლობს. „განსაკუთრებელი სიღარიბე და სიბნელე ხალხისა; სახლები მიწურები; შესავალი დერეფანი; საქონელთან ერთად ცხოვრება; სიღარიბე; ექვთიმე თაყაიშვილი ეძებს მთქმელებს, მომღერლებს, აკვირდება მათ რეპერტუარს, ორ და სამ ენოვნობას, კულტურათა შერევას.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, მოგზაურობა მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. მოსახლეობისათვის ხშირად გაუგებარი იყო თვითმპყრობელობის დამხობისთანავე არქეოლოგიური მოგზაურობა. ბალანთიდან მიმავალი შენიშნავს: „ჩემი თანამგზავრი მარკოზ მღეროდა გზაზე თათრულ სიმღე-

რებს და როდესაც ვკითხე, ქართული სიმღერა არ ვიცითო – მომიგო, თითქმის „ქრისტე აღსდგაც“ არ სცოდნია“ (ბერძენიშვილი, რედ. 1966:152).

24 მაისს საღამოს 5 საათზე უკვე ხიზაბავრას მიაღწია. აქ „ყველაზე უფრო განცვიფრებაში რასაც მოყავხართ – ეს არის ქალების ტანისამოსი: წითელი, თეთრი თავსაბურავით, თითქმის ყველანი დიდი და პატარა; უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს სოფელი – არაქართული სოფლისას” (ბერძენიშვილი, რედ: 1966:152). სწორედ აქ ჩაწერა ექვთიმე თაყაიშვილმა ხალხური პოეზიის რამდენიმე ნიმუში სახალხო მთქმელების სარქის ადოევის (ადოშვილი) და გიორგი ბალიშვილისგან. ეს უკანასკნელი საქართველოდან ყოფილა გადასული („მე გადავედი საქართველოსკენო,“ თქვა“).

ამის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი მიდის შემდეგი მარშრუტით: სარო, ხერთვისი, ამ უკანასკნელში მოსახლე სულ ქართველი მაჰმადიანებია, „2000 სული მცხოვრებია, 233 კვამლი”.

ქილდა, 25 მაისი, 1-ლი საათი: „80 კვამლი, სულ ქართველებია, გარდა 7 კვამლი თათრისა. ლაპარაკობენ სულ ქართულად”. ამას მოსდევს ჩუნჩხა, პტენა, ექვთიმე თაყაიშვილი საგანგებოდ ეძებდა სოფლებში მომღერლებსა და მელექსეებს. ამას ადასტურებს ჩანაწერი: „იოხ ბერიძემ იცის ძველებური სიმღერებიო“, უთხრეს თურმე ქუნცაში.

27 მაისი, მურჯახეთი, ყულალისი, ხოსპიო, კარტიკამი, ბავრა, ხულგუმი, კუმურდო, გოგაშენი, ვარძია; 30/V სამშაბათი. შემდეგ ზედა თმოგვი, 31. V. „საშინელი კლდე-ღრეებია, მიწა სულ არა აქვთო“, შენიშნავს. ტოლოშში „ხალხური სიმღერები, ქართული იციან ქართველებმა“ (ბერძენიშვილი, რედ. 1966:155).

ივნისი. ვალე, 2. VI. პარასკევი. „ენა ვალეში ქართველობაში კარგადაა შენახული. სიმღერა უფრო თათრულია, თუმცა ქართულიც იციან.“ შემდეგ მოდის არალი, სადაც 90 წლის მოხუცის ელისაბედ ჭილაძისგან ანბანთქება ჩაუწერია.

ექვთიმე თაყაიშვილის დღიურებში გვხვდება წარმართული რწმენის თქმულებებიც. მაგალითად, სოფელ გიორგიწმინდაში ჩაუწერია: „შვიდ მაისს თუ არ იწვიმა შვიდჯერ – ახალციხის გლეხობა ცუდ ნიშნად თვლის; რძეს რომ გაურიო ის წყალი – მაწონი ხდება, დააყენო და დაიჭირო ჭურჭელში – ძმარი გახდება.“ ზიკილიაში ექვთიმე თაყაიშვილს ჩაუწერია ზღაპარი ანა გოგინავასგან და ლექსი სალომე აბრამოვისაგან.

6 ივნისს ექვთიმე თაყაიშვილი ახალციხეშია, შემდეგ მიდის რუსთავში. მის კოლექციაში წარმოდგენილია აგრეთვე გაბრიელ ნათენაძის და ანა მესხის ნათქვამი ლექსები და ზღაპრები, როგორებიცაა: „იმედო წახვალ დილითა“, „საყვარელო, სანატრელო“, „ბეჟანიანი“, „როსტომიანი“. ზღაპრები: 1) „აღმოსავლეთის ხელმწიფე“; 2) „მამის ანდერძი“; 3) „ნაცომბიჭალი“; 4) „გაქვავებული აბანო“; 5) „აჭარელთა მოსვლა“; 6) „ხელმწიფის სამი ვაჟი“ და „სამი ქალი“;

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ცნობები უეჭველი საბუთია იმისა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ექსპედიციებსა და მოგზაურობებში, ქართული კულტურის სხვა ნიმუშებთან ერთად, ფოლკლორულ ტექსტებსაც აგროვებდა. მართალია, მისი მოგზაურობის ძირითადი მიზანი სულ სხვა იყო, მაგრამ ექვთიმე სხვა ყველაფერთან ერთად შეიარაღებული იყო ფოლკლორისტიკის ღრმა ცოდნით. სწორედ ასეთი ფართო მასშტაბის ქართველოლოგად წარმოგვიდგება ჩვენ აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, რომლის ნაღვაწით ქართველი ერი მუდამ მადლიერი, ხოლო ქართული მეცნიერება მუდამ დავალებული იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ჩიქოვანი, 1956 – მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.

„ლიტერატურული ძიებანი“, 1938 – „ლიტერატურული ძიებანი“ – V, თბ., 1938.

ბერძენიშვილი, რედ., 1966 – აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული, რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი, თბ., 1966.

Roman Gogolauri

FROM THE HISTORY OF EKVTIME TAKAISHVILI AND KOSTANTINE GVARAMADZE'S RELATIONS

Summary

Ekvtime Takaishvili had an active correspondence with the collectors of folklore while travelling in different parts of Georgia and in expeditions. The example of it is his correspondence with Kostantine Gvaramadze and travelling in May-June, 1917. The goal of his travelling was different.

Ekvtime Takaishvili was a great Kartvelologist. Georgians and Georgian science will always be grateful to him.

ივანე გვარამაძე – ხალხური სიტყვიერების შემკრები

მესხური ფოლკლორის შეკრებას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებული ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი მამა-შვილმა, „ვინმე მესხმა“ - ივანე და კონსტანტინე გვარამაძეებმა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ისინი დიდ მზრუნველობას იჩენდნენ სამხრეთ საქართველოს სიძველეთა, კერძოდ, ხალხური სიტყვიერების მიმართ.

კომპოზიტორი ვალერიან მაღრაძე ივ. გვარამაძის შესახებ წერდა: „მესხური სიმღერების შეგროვებისა და გადარჩენის პირველი ცდები ეკუთვნის ამ კუთხის მკვიდრს მკვლევარ ივ. გვარამაძეს (1831-1912), რომელიც ცნობილია „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით“ (მაღრაძე, 1937:5).

ი. გვარამაძის მიერ შეგროვილი ფოლკლორული და სხვა მასალები საფუძვლად დაედო ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საარქივო ფონდებს, ხელნაწერთა დიდი ნაწილი დაცულია, აგრეთვე, ეროვნულ ცენტრსა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. ივ. გვარამაძემ ბევრი ლექს-სიმღერა ჩაიწერა. მათ შორის დარბაზისეული ლექსები, რომლებიც თავისი შეხედულებისამებრ დაახარისხა და სათანადო განმარტებებიც დაურთო. სამწუხაროდ, ივ. გვარამაძე პროფესიონალი მუსიკოსი არ იყო და სიმღერების ნოტებით ჩაწერა არ შეეძლო.

როგორც ხელნაწერებიდან ჩანს, ივ. გვარამაძე ყოველ ღონეს ხმარობდა მესხური სიმღერების გადასარჩენად. შეადგინა ლექს-სიმღერების კრებულები 1883, 1884, 1909 წლებში. სხვადასხვა დროს ივ. გვარამაძეს ზეპირსიტყვიერების ნიმუშები გაუგზავნია აკაკი წერეთლისათვის, რაფიელ ერისთავისა და იონა მეუნარგიასათვის. სამწუხაროდ, ისინი არ გამოქვეყნებულა. ჩანს, იონა მეუნარგიას კრებული პეტრე უმიკაშვილისათვის გადაუცია. მასში 24 სახეობის ლექს-სიმღერა იყო (მაღრაძე, 1987:6).

ივ. გვარამაძეს, როგორც თვითონ აღნიშნავს, უმეტესი მასალა შეუგროვებია ს. ხიზაბავრასა და მის ახლომდებარე სოფლებში. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ 900-იან წლებში სუფრულები ჯერ კიდევ გავრცელებული ყოფილა.

ივ. გვარამაძე თავის ისტორიული ხასიათის ნარკვევებში თვალსაჩინოებისათვის იყენებდა ზეპირსიტყვიერებას, ტოპონიმიკურ მასალას და ისტორიულ გადმოცემებს („დავედრებანი“). ამ მხრივ გამოირჩევა ივ. გვარამაძის ისტორიული ხასიათის ნარკვევი, რომლის სახელწოდებაა „ქართლის ცხოვრება“. მასში მკვლევარს ჩაურთავს ამირანის ეპოსის ფრაგმენტი. ამირანი მიჩნეულია წარმართულ ღვთაებად ქართლოსის, ქალდის და ბოჩისთან ერთად (გვარამაძე, 1882:3). ივ. გვარამაძე, ასევე, გვაწვდის ცნობას ახალქალაქის მახლობლად „ამირანის გორის“ შესახებ. იგი ამირანზე ლაპარაკობს, აგრეთვე, გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში (გაზეთი „ივერია“, №204, 1900).

მესხეთში ამირანის თქმულების 7 ვარიანტია მოპოვებული. ყველაზე ადრინდელი ჩანაწერი „ამირანდარეჯანიანის“ დამატებაში ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა 1896 წელს.

ივ. გვარამაძეს მომხდურის ავაზაკური ბუნების საჩვენებლად მოაქვს ბალადა „შემომეყარა ყივჩაღის“ ვარიანტი. მკვლევარი ამ ბალადას განიხილავს, აგრეთვე, გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში და ხელნაწერ ნაშრომში „ქართლის ცხოვრების წყაროები“. ივ. გვარამაძემ ქართველი მოყმისა და ყივჩაღის ბალადა დაუკავშირა საქართველოში სკვითების შემოსევის დროს (VII-ს ჩვ. წ. აღ), რაც, არასწორია, რადგან სკვითები და ყივჩაღები ერთმანეთისაგან დაცილებულ ეპოქებში ცხოვრობდნენ. ბალადა შუა საუკუნეების საქართველოში უნდა იყოს შექმნილი, შესაძლოა, დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში, საქართველოში ყივჩაღების ჩამოსახლების პირველ პერიოდში (ბატონიშვილი ვახუშტი, 1941:12). მიუხედავად ამისა, ივ. გვარამაძის მიერ გამოყენებული ბალადა ფოლკლორისტული თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს აღძრავს. მნიშვნელოვანია მის მიერ მოტანილი ცნობა, რომლის მიხედვით, ქართველი მოყმისა და ყივჩაღის საფლავები ახალციხის ჭალაშია (გვარამაძე, 1879:168).

„შემომეყარა ყივჩაღის“ ივ. გვარამაძისეული ჩანაწერი ახლოა ჯავახურ ვარიანტთან, რომელიც ს. ხიზაბავრაშია ჩაწერილი იაკობ ლაზარიშვილის მიერ. აღსანიშნავია ივ. გვარამაძის ხალხური პოეზიის ხელნაწერი კრებული. მასში შეტანილია ოთხსტრიქონიანი ლექსი „ჩიხორიშელი ქალი“. არსებობს ამ ლექსის ანალოგიური თქმულება, რომელიც მოგვითხრობს სტამბულის ბაზარზე გაყიდული ქართველი ტყვე ქალის განცდებზე.

ხელნაწერ კრებულში შეტანილია ლექსი „თუშო, ნუ ჩახვალ ომშორას“. ამ ლექსის ძირითადი ტექსტი შექმნილია ფშავში. ლექსის მესხურ ვარიანტში ხოშორას ნაცვლად ომშორაა. ომშორა სოფელია მესხეთში. მესხმა მთქმელმა ფშავური ლექსი შეგნებულად გადაასხვაფერა და თურქ დამპყრობლებთან ბრძოლას დაუკავშირა.

ივ. გვარამაძეს საისტორიო ხასიათის ნარკვევში „ქართლის ცხოვრება“ ჩაურთავს „საბრალო დედაბრის ლექსი“, რომელსაც მკვლევარი ისტორიის წყაროს მნიშვნელობას აძლევს, რაც გ. ახვლედიანის აზრით, არასწორია, მაგრამ იგი, როგორც ისტორიის წყაროს ფუნქციის მატარებელი, საინტერესოა ქართული ფოლკლორისტიკისათვის.

ივ. გვარამაძის საისტორიო ნარკვევში „ახალციხური ფველტონი“ ჩაურთავს ხალხური ლექსები ერეკლე მეორეზე (პატარა კახი) „აზატ ხანი და ერეკლე“. ეს ლექსი „ძველ საქართველოშიც“ დაიბეჭდა და ე. თაყაიშვილის ხალხური პოეზიის კრებულშიც შევიდა.

ნარკვევში გამოქვეყნებულია, აგრეთვე, ლექსი „ერეკლემ შემოუთვალა ფაშას“. ლექსში ასახულია უსუფ ფაშას რაზმების მიერ ქართველი მოსახლეობის აწიოკება.

ივ. გვარამაძეს ნარკვევში „ისტორიული მასალები“ ჩაურთავს ლექსი „ასპინძის ომი“. აქვეა წარმოდგენილი ლექსი „მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში“. „ძველ საქართველოში“ იგი ცალკეა დაბეჭდილი. მასში გადმოცემულია ასპინძის ომის ერთი ეპიზოდი – მტრის ძლევა ქართველებისაგან პირველივე შებრძოლებისას.

თავის „ისტორიულ მასალებში“ ივ. გვარამაძე იმოწმებს ლექსს „აბდაულა შეიკაზმა“. იგივე ლექსი გამოქვეყნებულია „ძველ საქართველოში“ სათაურით „აბდაული და ერეკლე“. ლექსი ცნობილია ვარიანტებად. ივ. გვარამაძეს ნარკვევში „ისტორიული მასალები“ შეუტანია ლეკთა ბელად რაჯაბზე შექმნილი ვრცელი ქართული ლექსი, რომელიც მისი მტკიცებით კონკრეტული ისტორიული ფაქტის გამოვლენაა.

ივ. გვარამაძეს მოაქვს, აგრეთვე, ლექსი „ერეკლე მეფის გამარჯვება ლეკებზე“. იგი ერეკლეს ხელმძღვანელობით ბრძოლის ეპიზოდებს გადმოგვცემს.

ყურადღებას იქცევს ისტორიულ მასალებში ჩართული ლექსები შარიფ ფაშაზე და ჩახალ ოღლიზე. ეს ლექსები „ძველ საქართველოშიც“ არის გამოქვეყნებული (ახვლედიანი, 2000:27-39).

„ძველ საქართველოში“ გამოქვეყნდა ივ. გვარამაძის „გამიჯნურებული ვაჟ-ქალი“ (ძვ. საქ-ო, 1913-1914:253-267). კრებულს ახლავს „ვინმე მესხის“ შენიშვნა: „ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ასპინძის ქალ-ვაჟის პოეზია მრთლად დარჩენილიყო და არ დავიწყებოდა ჩვენს ერობას. როგორც ჩანს, თავითგანვე მიღებული ყოფილა ჩვენს წინაპართაგან, რომ ნაწყვეტნი მუხლნი ზოგი სრული და უსრულნი, აკვრა-ჩაკვრით, აქა-იქ დარჩენილან მთელ საქართველოში სახალხო სამღერლად“.

„გამიჯნურებული ვაჟ-ქალი“ მრავალწლიანი მუშაობის ნაყოფია. ამაზე მიგვითითებს ის ხელნაწერები, რომლებიც დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში (ფ. არქ. №122), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში (ფ. არქ. უმიკ. 1906) და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (M 2430). თითოეული მათგანი წარმოადგენს მესხეთში გავრცელებული ლექს-სიმღერების კრებულს, რომლებიც სხვადასხვა დროს არის შედგენილი. პირველი შედგენილია 1883 წელს, მეორე 1884 წელს, ხოლო მესამე – 1904 წელს. მათგან ყველაზე სრულია მეორე (ფ. არქ. უმიკ. 1506) და ეწოდება „მესხეთში ხმარებული სანადიმოხი (სუფრულები), შეკრებილი „ვინმე მესხისაგან“. ეს ხელნაწერები „ვინმე მესხს“ გაუგზავნია იოხა მეუნარგიასათვის... როგორც ჩანს, ი. მეუნარგიასათვის გაურკვეველი ყოფილა ზოგიერთ სიმღერასთან ჯვრის დასმა და შეკითხვით მიუმართავს „ვინმე მესხისათვის“, რომელიც ასე პასუხობს: „ეგენი, ბატონო, ჩემი თხზულება გახლავთ დამატებული სიტყვის შემოსავებლად, რადგან მაგათ მაგიერ მუხლები ბევრი ვეძებე, ვეღარ ვიპოვე და მეც ჩემის შეძლებისამებრ ეგენი შევთხზე და თუ გამოუსადეგარი იყოს, შეგიძლიათ ამომაკლოთ და მარტო ჩემი შეკრებილები დაბეჭდოთ“ (ფ. არქ. უმიკ. 1506:2). კრებული არ დაბეჭდილა, ჩანს, იგი ი. მეუნარგიას გადაუცია პ. უმიკაშვილისათვის. კრებულიდან ამოღებული ლექს-სიმღერების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიბეჭდა 1937 წელს (ახვლედიანი, 1999:6).

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლის – „ვინმე მესხი“ ივ. გვარამაძის

ისტორიული ნაშრომების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ხალხური ნაწარმოებებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახვლედიანი, 1992 – ახვლედიანი გ., ქართული ხალხური შემოქმედება არქეოლოგიურ და ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, ჟურნალი „განთიადი", №7,8. 1992.

ახვლედიანი, 1999 – ახვლედიანი გ., მესხურ-ჯავახური ლექსსიმღერები ისტორიკოს ვინმე მესხი ივ. გვარამაძის ფოლკლორულ ჩანაწერებში, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი", №6, 1999.

ახვლედიანი, 2000 – ახვლედიანი გ., ასპინძის ომის ასახვა ხალხურ სიტყვიერებაში, კრებული „ასპინძა", ახალციხე, 2000.

ვახუშტი, 1941 – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

გვარამაძე, 1979 – გვარამაძე ივ., ისტორიული მასალები, გაზ., "დროება", №186, თბ., 1879.

გვარამაძე, 1982 – გვარამაძე ივ., „ქართლის ცხოვრება", ნაწილი პირველი, ძველი მოწყობა 393 წლამდის, თბ., 1982.

გაზეთი „ივერია" №204, 1900.

მაღრაძე, 1987 – მაღრაძე ვ., ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები, თბ., ხელოვნება, 1987.

Maia Ivanidze

IVANE GVARAMADZE –A COLLECTOR OF FOLK LEGENDS

Summary

-"Vinme Meskhi" - Ivane Gvaramadze was one of the collectors of folk legends in Samtskhe-Javakheti. He has saved a lot of legends this way. He has sorted them and added some definitions. A lot of poems, proverbs, riddles, legends published by him are kept in the manuscript fund of the State Museum of Georgia.

ივანე გვარამაძე და წიგნის გავრცელება სამცხე-ჯავახეთში

XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილი ქართველი მოღვაწე ივანე გვარამაძე (1831-1812) გამოირჩეოდა ხანგრძლივი და მრავალმხრივი ნაყოფიერი საქმიანობით. იგი იყო ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი, პოეტი, ცნობილი პედაგოგი, კათოლიკე მოძღვარ-თეოლოგი და სხვ. ივანეს საქმიანობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მშობლიური სამცხე-ჯავახეთისათვის, რომლის დაქვეითებულ მდგომარეობას ძალზე განიცდიდა და ენერგიულად იღვწოდა მისთვის...

სამცხე-ჯავახეთის ქართველობა XIX საუკუნის შუა ხანებში ოსმალთა ბატონობის მძიმე გადმონაშთებისა და მეფის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგად სოციალურად, ეკონომიკურად და განათლების მხრივ დაქვეითებული იყო. ქართველ საზოგადოებრიობასაც მათთვის მაშინ დახმარების გაწევის ძალზე მცირე შესაძლებლობები გააჩნდა... 1860-იან წლებამდე მხარეში სოფლად სასწავლო დაწესებულებები თითქმის არ არსებობდა, ხოლო ახალციხის სამაზრო (შემდეგ საქალაქოდ გადაკეთებული) სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებდა ქართველი მოსახლეობის მოთხოვნილებებს. კულტურული დაწესებულებებიც თითქმის არ არსებობდა რეგიონში. მხარის ქართველობაში ეროვნული ცნობიერება დაქვეითებული იყო, რასაც ხელს უწყობდა მათ შორის არსებული რელიგიური მრავალფეროვნება. რუსეთის მმართველობის დროსაც მიმდინარეობდა ქართველ მაჰმადიანებს შორის გათურქების პროცესი, ხოლო ქართველ კათოლიკეთა ერთ ნაწილს შორის – გასომხების პროცესი.

ამ უარყოფითი პროცესების მიუხედავად, მესხობაში არსებობდა ვითარების გაუმჯობესების საკმაო შესაძლებლობანი: დიდი კულტურული ტრადიციები (რომელიც XIX საუკუნის ბოლოსაც გრძელდებოდა ძირითადად ზეპირსიტყვიერი ფორმებით), სწრაფვა განათლების მიღებისა და სახალხო განათლების თავისებურებები (ეკლესიებთან ენთუზიაზმით სწავლება, ასევე, საოჯახო სწავლება საკმაოდ იყო გავრცელებული), მესხთა დიდი შრომისმოყვარეობა, სოციალური პირობების გაუმჯობესების, ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის მოთ-

ხოვნილება. ყოველივე ეს კარგად ესმოდა ქართველ ინტელიგენციას, რომელიც შეძლებისდაგვარად მოქმედებდა აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად. მაგრამ XIX საუკუნის II ნახევრამდე არ იყო პირობები მათი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

XIX საუკუნის II ნახევარში სამცხე-ჯავახეთში ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და საქმიანობა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უმთავრესად განათლების სფეროში წარიმართა. მხარის ინტელიგენციის ენერგიული საგანმანათლებლო მოღვაწეობა შეერწყა იმ დროს მთელს საქართველოში ფართოდ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ეროვნულ-განმანათლებლური და აღმშენებლობითი მოძრაობის სახე მიეცა.

სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის საგანმანათლებლო საქმიანობა ძირითადად სკოლების გახსნისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების, სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის უფლებების დაცვისათვის ბრძოლის მიმართულებით წარიმართა. XIX საუკუნის დამლევისათვის მთავრობისა და ქართველი საზოგადოების მზრუნველობის შედეგად გაიხსნა მრავალი სკოლა და სასწავლებელი (სოფლადაც), მათში სწავლება უმჯობესდებოდა, მაღლდებოდა მათი სტატუსი და მოსწავლეთა რიცხვიც საგრძნობლად იმატებდა; ასევე, იზრდებოდა დაწყებითი განათლების მქონეთა და წერაკითხვის მცოდნეთა, განათლების მიღების, ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობისა და კულტურის გაცნობის მსურველთა რაოდენობა, მაღლდებოდა ქართველთა შორის ეროვნული ცნობიერება...

ამგვარი ენერგიული საგანმანათლებლო მოღვაწეობა საკმარისი არ იყო სამცხე-ჯავახეთში წიგნებისა და პერიოდული გამოცემების ნაკლებად გავრცელების, კულტურული დაწესებულებების სიმცირისა და საქართველოს სხვა რეგიონებთან სუსტი კავშირების გამო. წიგნების სიმცირის პირობებში ახალგაზრდებს ხშირად ავიწყდებოდათ ნასწავლი; ხალხს თვითგანათლების საშუალება ძალზე მცირე ჰქონდა. საჭირო იყო მიზანმიმართული და დაუღალავი მოქმედება მეტი სასწავლო და საკითხავი ლიტერატურის გამოსაცემად, მოსახლეობაში წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გასავრცელებლად, კითხვის ჩვევების გასავითარებლად...

წიგნების წერის, გამოცემისა და გავრცელების საჭიროებას ივანე გვარამაძემ ახალგაზრდობიდანვე მიაქცია ყურადღება. 1862 წელს მას უცდია გამაჰმადიანებული მესხებისა და აჭარლებისათვის ქართულ-თურქული ანბანის, ღვთის ათი მცნებისა და სოლომონ ბრძენის იგავების დაბეჭდვა. ამ საქმეში დასახმარებლად მას მიუმართავს გაბრიელ ეპისკოპოსისათვის (ქიქოძისათვის). „ადრე მე რომ თბილისში ვიყავ მინდოდა ღთის ათი მცნებანი გარდამეღო მდაბიურად, მასთან სოლომონ-ბრძნის იგავები და დამებეჭდინა ერთ მხარეს ქართულად და მეორე მხარეს თათრულად, იგივე ნაირ გასაგონ ენაზედ ჩვენი გამაჰმადიანებული მესხებისა და აჭარლების გასაჩვენად ქართულს კითხვაზედ და გონების გასახსნელად, თუ რა ყოფილან მათი მამაპაპანი და რა მდგომარეობაში ჩაცვივნულან ახლა თვითან?“ – სწერდა იგი ილია ჭავჭავაძეს 1896 წელს (ხელც, ილია ჭავჭავაძის ფონდი №479; ჟურნალი „საისტორიო მაცნე“, №8, 2000:75-78). მაგრამ ეს აზრი მაშინ არ განხორციელებულა.

ივანე გვარამაძე ახალგაზრდობიდანვე ტრიალებდა საზოგადოებაში და საგანმანათლებლო მოღვაწეობისაკენ მიუწევდა გული. თბილისში ყოფნისას მას გაუცნია ახალციხელი პროვიზორი, შემდგომ უმაღლესი განათლების მქონე პირველი ქართველი აფთიაქარი იოანე მაისურაძე, რომელიც მუშაობდა შმიდტის აფთიაქში. ისინი დამეგობრდნენ და შემდეგ დანათესავდნენ კიდეც (სჯმ., ხფ. №1905). შესაძლოა, ივანე გვარამაძემ (მას თეოლოგიური განათლება და ეკლესიური ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდა) თანადგომა გაუწია ი. მაისურაძეს კათოლიკური ლოცვანის გამოცემის საქმეში. იოანე მაისურაძემ საკუთარი ხარჯით 1864 წელს გამოსცა თავისივე შეკრებილი ლოცვანი ქართველ კათოლიკეთათვის. ქართულენოვანი საეკლესიო წიგნების გამოცემა-გავრცელებას პატრიოტული თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამცხე-ჯავახეთის ქართველი კათოლიკეებისათვის, რომელთა ერთი ნაწილი განიცდიდა ეროვნული გადაგვარების პროცესს.

ივანე გვარამაძემ თავისი მწიგნობრული საქმიანობა ფართოდ გაშალა 1870-იანი წლებიდან. მან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო კონსტანტინოპოლისა და მოხითობანის ქართულ-კათოლიკურ სავანეებთან, სადაც მოქმედებდა ქართული სტამბები. აღნიშნულ სტამბებში გამოიცა საკმაო დასახელებებისა და ტირაჟის სასწავლო და საეკლესიო წიგნები (ლომსაძე,

1979:72-76; ლომსაძე, 1984:155-166). როგორც ივანესა და კონსტანტინოპოლის ქართული მონასტრის წინამძღვრისა და საგამომცემლო საქმიანობის სულისჩამდგმელის, აბატ პეტრე ხარისჭირაშვილის მიმოწერით ირკვევა, ხარისჭირაშვილს დაუვალებია მისთვის პედაგოგიური და საეკლესიო წიგნების შედგენა-თარგმნა, ასევე ხოგიერთი წიგნის ჩასწორება (სჯმ., ხფ., №2183, 2202, 2203, 2204, 2245, 2646). ივანემაც კარგად გაართვა თავი ამ რთულ და შრომატევად საქმეს. ივანე გვარამაძის ავტორობით, თარგმანითა და მის მიერ შედგენით XIX საუკუნის 70-იანი წლების II ნახევარსა და 80-იანი წლების დასაწყისში კონსტანტინოპოლისა და მონთობანის სტამბებში რამდენიმე წიგნი გამოიცა. ესენი იყო თეოლოგიური, სასკოლო სახელმძღვანელო, პოლემიკური ხასიათის წიგნები, მისი პოემები და ლექსები. მათ შორის აღსანიშნავია: წინამძღვარი ზნეობისა, კონსტანტინოპოლი, 1876; სიბრძნე კაცებრივი, ფილოსოფიური დარიგება, მონთობანი, 1877; გზა ცხოვრებისა, კონსტანტინოპოლი, 1878; წმინდა ესტატეს ცხოვრება ანუ წამებულთა გვირგვინი, კონსტანტინოპოლი, 1879; საქრისტიანო მოძღვრება, კონსტანტინოპოლი, 1880; მზა პასუხი სომხურ გაზეთ „მშაკს“, კონსტანტინოპოლი, 1882 და ა.შ. ივანე გვარამაძის სტილი და კვლევის მიმართულება ემჩნევა ორ წიგნს, სადაც საქართველოს ისტორიის ნაწილში მესხეთის ისტორიას საგანგებო ყურადღება ეთმობა: მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი სასოფლო სკოლებისათვის, მონთობანი, 1877, იხ. გვერდები 92-110; მოკლე საყოველთაო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა, მონთობანი, 1877, იხ. გვერდები 432-491. კონსტანტინოპოლსა და მონთობანში გამოცემული წიგნები საქართველოში შემოდიოდა და ძვირიც არ ღირდა. ისინი იყიდებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, უფრო კათოლიკურ ეკლესიებთან, ახალციხეში კი მელქონ შავიოროვის მაღაზიაში (გაზეთი „დროება“, 1882: №255). აღნიშნული პედაგოგიური და თეოლოგიური წიგნები დიდად საჭირო იყო მოზარდებისა და კათოლიკე მრევლისათვის. მოწინავე ქართველი ინტელიგენციაც აფასებდა ქართველი კათოლიკე მოღვაწეების ამ შრომას და მათი მაგალითით საქართველოს საზოგადოებას მოუწოდებდა მწიგნობრულ-საგამომცემლო საქმეებში გააქტიურებისაკენ (გაზეთი „დროება“, 1879: №211; გაზეთი „დროება“, 1880: №180,245), განსაკუთრებით, 70-80-იან წლებში სასწავლო ლიტერატურის სიმცირის პირობებში. მიუხედავად

ავტორთა და გამომცემელთა მონდომებისა და შრომისა, კონსტანტინოპოლისა და მონთობანის სტამბებში დაბეჭდილმა წიგნებმა არცთუ წარმატებით შეასრულეს თავიანთი დანიშნულება, ხოლო 80-იანი წლების შუა ხანებისათვის მათი დევნა დაიწყო რუსეთის მთავრობამ (სცსსა, ფონდი №12, აღწერა 12, საქმე №432; სჯმ., ხფ. №2357).

1880-იანი წლებიდან მოყოლებული, ივანე გვარამაძემ თბილისში გამოსცა რამდენიმე წიგნი, ძირითადად სახელმძღვანელოები, პოემები და პედაგოგიურ-ხნეობრივი შინაარსისა: მოკლე ქართლის ცხოვრება, ნ. 1, თბ., 1882; მიხეილ გობრონის წამება, თბ., 1896; მშობლების დარიგება და შვილების აღზრდა, თბ., 1896; მშობლები და მათი შვილები როგორნიც უნდა იყვნენ და როგორც უნდა ზრდიდნენ, თბ., 1898; შენიშვნები ხურსიძის (ისარლოვი) გვარის ისტორიისა და ახალციხის აღწერა, თბ., 1906 და ა. შ.

ივანე გვარამაძის მიერ აღნიშნულ გამოცემებს გააჩნდა საკმაო მნიშვნელობა პედაგოგიური, საეკლესიო, ხნეობრივი და სამეცნიერო თვალსაზრისით. მის ამ ნაყოფიერ შრომას აფასებდნენ თანამოღვაწენი და ხანდახან ახერხებდნენ მისთვის ამა'ში ხელშეწყობას...

ქართველთა არასახარბიელო მდგომარეობაზე წუხილი, განათლების სფეროში ენერგიული მოღვაწეობა, წიგნების წერა, შედგენა და თარგმნა ივანე გვარამაძეს ხელს უწყობდა, მთელი ქართველი საზოგადოებისათვის მიეწოდებინა უფრო მეტი წიგნის ბეჭდვისა და გავრცელებისაკენ, განათლებისა და კულტურის სფეროში უფრო გააქტიურებისაკენ. 1870-იანი წლების ბოლოსა და 1880-იანი წლების დასაწყისში ის საგაზეთო წერილებში საყვედურობდა ქართველ მართლმადიდებელ სამღვდელოებას პასიურობას, და წარსულში მონასტრების სისხლსავსე ცხოვრების მაგალითით მოუწოდებდა სტამბების დაარსებისა და მრავალი ძველი ხელნაწერის ბეჭდვისაკენ, სასულიერო ლიტერატურის ფართოდ გამოცემისაკენ (გაზეთი „დროება“, 1879: №87,172,210). 1880-იანი წლების დასაწყისიდან კი ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა სტატიები ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოების წინაშე მდგარი პრობლემების, მათი შეზღუდული შესაძლებლობებისა და ეკლესიაში გაბატონებული ბიუროკრატიული გარემოს შესახებ, რის შემდეგაც საზოგადოებამ უკეთესად დაინახა აღნიშნული პრობლემების სირთულე. ამგვარ პირობებში ივანე მოუწოდებდა

საზოგადოებას, ხელი შეეწყოთ მომავალი ქართველი სამღვდელოებისათვის კარგი განათლების მიცემისა და სათანადოდ აღზრდისათვის (გაზეთი „დროება“, 1882: №227). აღსანიშნავია, რომ 80-იანი წლების II ნახევრიდან ქართველ სამღვდელოებაში გამოჩნდნენ უკეთესად მომზადებული, განათლებული, პატრიოტულად აღზრდილი თაობები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ხალხის რწმენაში განმტკიცების, განათლების გავრცელების, კულტურის განვითარების საქმეში.

ივანე გვარამაძე წიგნების გამოცემის გაფართოების მოწოდებასთან ერთად აღნიშნავდა ხოლმე წიგნების გამოცემისა და ბეჭდვის საქმის მოამაგეთა ღვაწლსაც. ის განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა გაბრიელ ეპისკოპოსს (სჯმ., ხფ., №2392), აღნიშნავდა მის დამსახურებას ამ სფეროშიც (ხეც, ილია ჭავჭავაძის ფონდი, №479; სჯმ. ხფ., №1893). მან პანაშვიდი გადაიხადა ქართველი კათოლიკე მოღვაწეების – აბატი პეტრე ხარისჭირაშვილისა (სჯმ., ხფ., №2272) და მღვდელ იოანე ხუციშვილის (სჯმ., ხფ., №1896) გარდაცვალების გამო და თავის ქადაგებაში აღნიშნა მათი როლის შესახებ საგამომცემლო საქმეში, რასაც ხაზი გაუსვა პრესაში გამოქვეყნებულ მასალებშიც (გაზეთი „ივერია“, 1890: №61, 216).

წიგნების გამოცემასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანი იყო თანმიმდევრული მოღვაწეობა ხალხში კითხვის ჩვევების, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გასავრცელებლად.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველ განათლების მუშაკებსა და ამ საქმის გულშემატკივარ ინტელიგენციას (განსაკუთრებით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ მოღვაწეებს) კარგად ესმოდათ, რომ წიგნების კითხვის ჩვევები ახალგაზრდობას სკოლებში სწავლისთანავე უნდა ჩამოჰყალიბებოდათ (გაზეთი „დროება“, 1878: №147; გაზეთი „დროება“, 1881: №14, 129; გაზეთი „დროება“, 1883: №246). მაგრამ ხალხში კითხვის ჩვევების გამომუშავებას ძალზე უშლიდა ხელს საკითხავი წიგნების უქონლობა. 1870-80-იან წლებში ქართულ ენაზე სასკოლო სახელმძღვანელოებიც არასაკმარისი იყო სამცხე-ჯავახეთის მოსწავლეთათვის, არა თუ საკითხავი წიგნები (გაზეთი „ივერია“, 1886: №212). ამგვარი მდგომარეობა აწუხებდა ქართველ საზოგადოებას, რომელმაც მხარის სკოლებთან წიგნების მარაგის ან ბიბლიოთეკების შექმნის საკითხი 1880-იანი წლების დასაწყისიდანვე დააყენა დღის წესრიგში.

სკოლებთან ბიბლიოთეკებისა და წიგნების მარაგის შექმნის საჭიროებას უკვე ცნობილი პედაგოგი და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი ივანე გვარამაძეც აყენებდა 1880-იანი წლების დასაწყისიდან. ზაქარია ჭიჭინაძე 1881 წლის დეკემბერში გაზეთ „დროებაში“ წერდა: ჯავახეთში ყოფნის დროს იქაურმა პატივცემულმა პირებმა მითხრეს, კარგი იქნება, სამცხე-საათაბაგოში ქართული წიგნები მოგვეშველებინა იმ სოფლებში, სადაც ქართველ მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებთან ერთად ქართველი მაჰმადიანებიც ცხოვრობენო; მით უფრო, რომ „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლებში მარტო რუსულ და თურქულ (თითქოს მათ მშობლიურ) ენას ასწავლიან, ქართულს არაო; მუქთად დავურიგოთ ქართველებს იმ სკოლებში და სხვა მივარდნილ სოფლებში წიგნებიო. ამ საქმის მოთავეობა ილია ალხაზიშვილმა და ივანე გვარამაძემ იკისრესო. ზაქარიამ ქართველ საზოგადოებას მოუწოდა ამ მიზნით ქართული წიგნების შეგროვებისკენ, რომელთა გაგზავნაც შეიძლებოდა თბილისში, გიგო ჩარკვიანის მაღაზიაში; თვითონ კი 140 წიგნი შესწირა ამ საქმეს (გაზეთი „დროება“, 1881: №252). ამ წინადადების მიმწოდებელ „პატივცემულ პირებს“ შორის იმ დროს ხიზაბავრაში მოღვაწე ივანე გვარამაძეც უნდა ყოფილიყო, რომლის სახლშიც სწორედ მაშინ მივიდა ზ. ჭიჭინაძე (ჭიჭინაძე, 1904: 14). მართლაც, ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დაწყებულ ამ კამპანიას ქართველი საზოგადოება მალევე შეუერთდა (გაზეთი „დროება“, 1881: №254; გაზეთი „დროება“, 1882: №3), და დაახ. 320 წიგნი შეგროვდა ამისათვის. ეს წიგნები მალევე გაუნაწილდა ჯავახეთის სასოფლო სკოლებსა და ხალხს. ამ კამპანიაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც“ ჩაერთო, რომლის წარმომადგენელმა ახალქალაქში მყოფ აფთიაქარ ილია ალხაზიშვილს ჩაუტანა 333 ქართული წიგნი. წიგნები ძირითადად სკოლებს გაუნაწილდათ. ხოლო აღნიშნული „საზოგადოება“ ჯავახეთის სკოლებში აპირებდა ქართული ბიბლიოთეკების გახსნას და თავისი აგენტის ყოლას მხარეში, რაც იმხანად ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ ამ კამპანიის დროს გაგზავნილი წიგნები უმთავრესად მხატვრული ლიტერატურა იყო, ხოლო ზოგიერთი დასახელების წიგნის მრავალი ეგზემპლარი შეხვდა სკოლებს, რაც მოსწავლეებისა და უფროსებისათვისაც მისაწვდომი იქნებოდა (გაზეთი „დროება“, 1882: №25,87).

სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსწავლეებისათვის მოქმედ სკოლებში წიგნების ამგვარი მიწოდების შემთხვევები იშვიათი იყო. სკოლებში წიგნების ფართოდ გავრცელებისათვის კი დიდი მონდომებით უნდა ელვაწათ ქართველ განმანათლებლებს, და შესაფერისი ვითარებაც უნდა ყოფილიყო ამისათვის. ივანე გვარამაძე დიდი ხნის განავლობაში ცდილობდა თავის სკოლასთან ქართული ბიბლიოთეკის შექმნას. 1893 წელს მას მიუღია (ჩანს, სათანადო მოწოდების შემდეგ) ახალციხის იოანე ნათლისმცემლის სახელობის კათოლიკური ეკლესიის საერო სკოლის სასარგებლოდ თბილისიდან და საქართველოს სხვა მხრიდან რამდენიმე დასახელების 100-მდე წიგნი და ჟურნ. „ჯეჯილის“ რამდენიმე წლის ნომრები (გაზეთი „ივერია“, 1894: №33). ამასთანავე, ივანე გვარამაძე სიამოვნებით ეხმარებოდა თავისი გამოცემებითა და გასავრცელებლად განკუთვნილი წიგნებით მხარის სკოლებს. 1894 წელს მან მასწავლებელ ვასილ კოპტონაშვილის მიერ მუსხის სკოლასთან გახსნილ ბიბლიოთეკას შესწირა თავისი გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ 5 ეგზემპლარი (გაზეთი „ივერია“, 1894: №77), ხოლო ს. ჭიჭინაძემ ივანე გვარამაძის მეშვეობით გადასცა უდის სკოლის მასწავლებელ ივანე ბარიკალაშვილს ევტუშევსკის მათემატიკის 15 ქართული სახელმძღვანელო (გაზეთი „ივერია“, 1899: №251).

მიუხედავად განათლების მუშაკების მხრივ მონდომებული საქმიანობისა, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო დაწესებულებებთან ცალკეული შემთხვევების გარდა (გაზეთი „ივერია“, 1889: №193; გაზეთი „ივერია“, 1894: №77) ვერ მოხერხდა ქართული ბიბლიოთეკების დაარსება და რაიმე მნიშვნელოვანი წიგნების საცავის მოწყობა. XIX საუკუნის დამლევისათვის კი დაწყებითი განათლებისა და წერა-კითხვის გავრცელება, თანამედროვე ცხოვრებისა და ქართული კულტურის გაცნობის მოთხოვნილების ზრდა აყენებდა სახალხო ბიბლიოთეკების გახსნის საჭიროებას სამცხე-ჯავახეთშიც, სადაც ყველასთვის მისაწვდომი იქნებოდა ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები...

მთელს საქართველოში სახალხო ბიბლიოთეკების გახსნის საჭიროებაზე ქართველმა საზოგადოებამ 80-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო საუბარი (გაზეთი „დროება“, 1883: №246). 90-იანი წლების დასაწყისიდან კი სამცხე-ჯავახეთშიც შეიქმნა საამისოდ ხელსაყრელი პირობები. ამასთანავე, რუსეთის იმპერიაში 1890 წელს გამოცემული კანონი აადვილებდა კერძო

პირების თუ საზოგადოებრივი დაწესებულებების მიერ ბიბლიოთეკების გახსნას (გაზეთი „ივერია“, 1896: №74-75).

ქართული ბიბლიოთეკის გახსნის კამპანია ახალციხეში დაიწყო 1890-იანი წლების დამდეგს. ინტელიგენციამ მოუწოდა ამისკენ ხალხს (პრესითაც) (გაზეთი „ივერია“, 1891: №62), ახალგაზრდობას კი შეკრებაც მოუწყია ამ მიზნით. გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტ ესტატე შილდელის (ესტატე მირიანაშვილის) ცნობით, ეს საქმე შეუფერხებია ახალციხის მაზრის უფროსს (ალ. ალანდერი იყო ამ თანამდებობაზე (ჟურნალი „Кавказский календар на 1893 год“, 1892: 78), რომელმაც საჭიროდ არ ჩათვალა ეს, რადგან ახალციხის სომხურ ბიბლიოთეკაშიც არის ქართულ-რუსული წიგნებიო (გაზეთი „ივერია“, 1894: №116). ჩანს, 2-3 წლის განმავლობაში შეეცვნებულა ეს საქმე.

ახალციხის ქართველობას აწუხებდა უბიბლიოთეკობა. დაახ. 1893 წელს ივანე გვარამაძეს დაუწყია ზრუნვა ეკლესიასთან სახალხო ბიბლიოთეკის გასახსნელად. ამაში მას დაეხმარებოდა საკუთარი საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკაც. როგორც „ივერიაში“ იუწყებოდნენ, 1893 წლის ოქტომბრისათვის ახალციხის იოანე ნათლისმცემლის სახელობის კათოლიკურ ეკლესიასთან გაეხსნათ ქართული სამკითხველო, მისი გამგე იყო ივანე გვარამაძე. ბიბლიოთეკას მცირე რაოდენობით ჰქონია წიგნები (გაზეთი „ივერია“, 1993: №224). ჩანს, ივანე გვარამაძესა და მის თანამოღვაწეებს საკმარისი შესაძლებლობები არ გააჩნდათ ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის, მხარდაჭერა და დახმარებებიც არ ჰყოფნიდათ ამისთვის, და დიდხანს ვერ უარსებია ახალციხის პირველ ქართულ ბიბლიოთეკას.

ახალციხეში ქართული ბიბლიოთეკის გახსნის საკითხი 1890-იანი წლების შუა ხანებში უფრო მომწიფებულა. ადგილობრივი საზოგადოება ორგანიზაციულადაც მომზადებულა ამისათვის. 1895 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ჩარევამ კი შედარებით ადვილად გადაწყვიტა ეს საკითხი. მან ჯერ გაიგო, თუ რა ვალდებულებას იკისრებდა ახალციხის მომავალი ქართული ბიბლიოთეკის სამხრუნველო. შემდეგ კი საკმაოდ მალე გაიხსნა ამ „საზოგადოების“ დაქვემდებარებული ქართული ბიბლიოთეკა ახალციხეში (1895 წლის 27 აგვისტოს). არა მარტო ინტელიგენცია, არამედ ხალხიც სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. ისინი მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ ბიბლიოთეკას, ბევრი ჩა-

წერა მის წევრად (ჩხიტუნიძე, 1980: 113; სცსსა, ფონ. 481, აღწ. I, საქ. 440).

ახალციხეში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკის გახსნისა და შემდგომ მასზე მზრუნველობის კამპანიაში, დოკუმენტების მიხედვით, ივანე გვარამაძის გვარი არ გვხვდება. მას ამ დროს ავადმყოფობა აწუხებდა, მეულლის გარდაცვალების შემდეგ (1890 წ.) კი შეფერხდა მისი მრავალმხრივი აქტიური მოღვაწეობა. სამაგიეროდ, მისი ვაჟები აქტიურობდნენ ამ საქმეში. ქრისტესია შედიოდა ახალციხის ქართული ბიბლიოთეკის სამზრუნველოში წლების განმავლობაში; თვითონ და მისი ძმა გაბრიელი (ოქროპირი) თანხებსაც სწირავდნენ ბიბლიოთეკას (გაზეთი „ივერია“, 1898: №48,50,219).

სახალხო განათლების მხურვალე გულშემატკივარი ივანე გვარამაძე მიესალმებოდა სამცხე-ჯავახეთის სხვა ადგილებში ბიბლიოთეკების გახსნის სურვილს, მხარს უჭერდა და ეხმარებოდა ამ მცდელობებს. სოფ. უდეში ბიბლიოთეკის გახსნის ინიციატორები მთელს ქართველობას მოუწოდებდნენ წიგნებითა და ფულით დახმარებისკენ, რომელთა ფოსტით გაგზავნა შეიძლებოდა ახალციხეში მცხოვრები ივანე გვარამაძის მეშვეობით (გაზეთი „ივერია“, 1895: №160). უდის სახალხო ბიბლიოთეკა 1897 წელს გაიხსნა და ხალხში თავიდანვე პოპულარული გახდა (ჩხიტუნიძე, 1980:107-108). ხოლო ხიზაბავრის მომავალი ბიბლიოთეკისათვის შესაწირი თანხა თუ წიგნები ახალციხეში ივანეს უნდა მიეღო, ამ საქმისათვის კი „ივერიაში“ ქართველ მკითხველებს დახმარებისაკენ მოუწოდებდა მისი ვაჟი კონსტანტინე (გაზეთი „ივერია“, 1904: №210).

სამცხე-ჯავახეთში ქართველი საზოგადოების ძალისხმევით გახსნილი ბიბლიოთეკები თავიდანვე წარმატებით მოქმედებდნენ. საქართველოს სხვა მხარეებში მოღვაწე და ადგილობრივი საზოგადოების მიერ ქართულ-რუსული გამოცემებითა და თანხის მიწოდებით, საქველმოქმედო ღონისძიებებით უფრო და უფრო მეტი დახმარება შესდიოდათ ბიბლიოთეკებს. ამის გამო ახალციხისა და უდის ბიბლიოთეკებისათვის ნაკლებად დაფინანსება ხდებოდა საჭირო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მხრივ. ყოველივე ამით ეს ბიბლიოთეკები უკეთესად ეწყობოდა, იზრდებოდა მათი წიგნადი ფონდები და მეტი რაოდენობით მისდიოდა პერიოდული გამოცემები. ახალციხის ბიბლიოთეკაში XX საუკუნის დასა-

წყისისათვის მოიპოვებოდა თითქმის ყველა თანამედროვე ქართული წიგნი და რუსული კლასიკური ლიტერატურა. იქ კედელზე ეკიდა დიდი ქართველი პოეტების, მწერლებისა და მოღვაწეების ფოტოები. მკითხველები თავიდანვე დიდი რაოდენობით დადიოდნენ სამკითხველოებში (უდეში მეზობელი სოფლებიდანაც დადიოდნენ), ასევე, დიდი რაოდენობით გაჰქონდათ წიგნები წასაკითხად (მაგ., ახალციხის ბიბლიოთეკას 1902 წელს ჰყავდა 377 მკითხველი, რომელთაც წიგნები წასაკითხად გაეტანათ 5002-ჯერ (გაზეთი „ივერია“, 1903: №104). სხვა ეროვნების მკითხველებიც საკმაოდ ხშირად დადიოდნენ აღნიშნულ ბიბლიოთეკებში. მართალია, უდის ბიბლიოთეკას აკლდა წიგნები და პერიოდული გამოცემები, მკითხველებს აწუხებდათ ეს, მაგრამ იქ გავრცელებული იყო წიგნების ხმამაღლა კითხვა ჯანრების მიხედვით. ყოველივე ამ საქმიანობით მხარის ქართული ბიბლიოთეკები ნამდვილად იქცეოდნენ სახალხო ბიბლიოთეკებად, რომელიც ყველასათვის მისაწვდომს ხდიდა ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. მოსახლეობაში უფრო და უფრო სწრაფად ვრცელდებოდა კითხვის ჩვევები და მოთხოვნილება... ხალხი დიდი ინტერესით ეცნობოდა სამშობლოს წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებას, ქართულ კულტურას, მაღლდებოდა მათი პატრიოტული შეგნება... ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის საზოგადოებრივად გააქტიურებას, მეტად ზრუნვას სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული საკითხების მოსაგვარებლად...

გარდა საგანმანათლებლო დანიშნულებისა, ახალციხის ქართული ბიბლიოთეკა ადგილობრივი საზოგადოების თავშეყრის ადგილსაც წარმოადგენდა, სადაც იმართებოდა ხოლმე დიდი ქართველი მოღვაწეებისადმი მიძღვნილი შეკრებები. ივანე გვარამაძე აქტიურად მონაწილეობდა ამგვარ შეხვედრებზე და სიტყვით გამოდიოდა ხოლმე. 1895 წელს მან რაფიელ ერისთავის იუბილისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა პოეტის შესახებ, მოსწავლეებმა კი რაფიელის ლექსები წაიკითხეს (გაზეთი „ივერია“, 1895: №237). ასევე, მან 1896 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლის შესახებ ისაუბრა ახალციხის ბიბლიოთეკაში (ხეც, ი. ჭავჭავაძის ფონდი, №479).

საბიბლიოთეკო საქმიანობის გარდა, სამცხე-ჯავახეთში წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელების სხვა საშუალება იყო მათი გაყიდვა და ხალხში დარიგება, პერიოდიკის

წლიურად გამოწერა. ეს კი ძალზე მონდომებულ და თანმიმდევრულ მოღვაწეობას მოითხოვდა ამ მხრივ არსებული დიდი პრობლემების გამო. მხარის მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბი იყო, წიგნები და პერიოდული გამოცემები კი ძვირი ღირდა. ადგილზე იშვიათად იყიდებოდა წიგნები, ხოლო მათი ფოსტით დაბარება კი ძვირი უჯდებოდა მსურველს და სხვა უსიამოვნებებთანაც იყო დაკავშირებული ეს. კითხვის სურვილიც XIX საუკუნის ბოლომდე მოსახლეობის უმრავლესობას ნაკლებად გააჩნდა...

ყოველივე ამ პრობლემების მოსაგვარებლად ქართველმა საზოგადოებამ ხანგრძლივი შრომა გასწია XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამასთანავე, 1880-იანი წლებიდან მხარეში სასწავლო დაწესებულებების მატების, სწავლების გაუმჯობესების, დაწყებით განათლებამიღებულთა და წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის გაზრდის შემდეგ მეტად იგრძნობოდა მხარეში წიგნების გავრცელების საჭიროება. მაგრამ აქ ქართული წიგნების მაღაზია ან მუდმივად გამავრცელებელი პირები იშვიათად იყვნენ. 1871 წ. ახალციხეში ღუბილერის სტამბის ქართული წიგნების გამავრცელებელი იყო ანა ღოლობერიძე-მუსხელიშვილი (გაზეთი „დროება“, 1871: №21; გაზეთი „ივერია“, 1890: №101). მხარის სოფლები კი დიდი ხნის განმავლობაში მოკლებულნი იყვნენ ქართულ წიგნებს (გაზეთი „დროება“, 1871: №25). ანა 1875 წელს გადასახლდა ქ. ახალციხიდან. სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილი არაა, ახალციხეში ანას მსგავსად წიგნების გავრცელებას აგრძელებდა თუ არა ვინმე შემდგომ წლებში. ხოლო 1870-ანი წლების II ნახევარსა და 80-იან წლებში ძნელი იყო მხარეში ქართული წიგნების მიღება (გაზეთი „ივერია“, 1886: №212). ფოსტით წიგნების დაბარება ძვირი იყო და უხერხულობებთან იყო დაკავშირებული. ამის გამო, ივერიის კორესპონდენტის ცნობით, ახალციხის მაზრაში წლითი-წლობით 10 წიგნი არ გაიყიდებოდაო (გაზეთი „ივერია“, 1887: №199). სამცხე-ჯავახეთის ინტელიგენცია ქართულ წიგნებს თანამოღვაწეებისაგან გაგზავნითაც ღებულობდა. მაგალითად, 1883 წელს ივანე გვარამაძეს ხაქარია ჭიჭინაძისაგან უნდა მიეღო მ. საბინინის „საქართველოს სამოთხე“ და სხვა წიგნები (სჯმ., ხფ. №2028,2033). ამ მხრივ ვითარება შეიცვალა 80-იანი წლების II ნახევრიდან. 1887 წლიდან ახალციხეში ვაჭარ ალექსი სალარიძის მაღაზიაში იყიდებოდა თითქმის ყველა ქართული წიგნი (გაზეთი „ივერია“, 1887:

№70,199). ჯავახეთში 90-იანი წლების შუა ხანებიდან წიგნების გამავრცელებელი იყო ქ. ახალქალაქში მოღვაწე ილია ალხაზიშვილი, რომელიც გაყიდვის პროცენტებზე უარს ამბობდა. მას 1895 წლისათვის ათობით წიგნი ჰქონდა გასაყიდად და სხვებსაც იბარებდა კიდევ (გაზეთი „ივერია“, 1895: №242; სცსსა, ფონ. 481, აღწ. 2, საქ. №64). 90-იანი წლების II ნახევარში ახალციხის ქართული ბიბლიოთეკის მზრუნველის, მასწავლებელ გრიგოლ ბურჭულაძის მეშვეობითაც შეიძლებოდა თბილისიდან წიგნების დაბარება (სცსსა, ფ. 481, აღწ. 1, საქ. №537: ფ. 15-17). ცალკეულ გამოცემებს ადგილობრივი მოღვაწეებიც ავრცელებდნენ ხალხში. მაგ., ახალციხეში 1902 წელს მ. თამარაშვილის წიგნის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...“ 12 ეგზემპლარი ი. გვარამაძეს გაუყიდია, ლაზარე გოზალაშვილს – 10 (ხეც., მ. თამარაშვილის ფონდი, №1239). ამ და სხვა საშუალებებით მოსახლეობაში უფრო და უფრო მეტი წიგნი ვრცელდებოდა. XIX საუკუნის მიწურულისათვის ახალციხეში მრავალ ინტელიგენტს ჰქონდა საკმაო რაოდენობის (ათეულობით) ქართული და რუსული წიგნები, რომლებსაც ახალციხის ქართულ ბიბლიოთეკას სწირავდნენ (გაზეთი „ივერია“, 1898: №48; გაზეთი „ივერია“, 1899: №2; გაზეთი „ივერია“, 1902: №102). ასე რომ, XIX საუკუნის ბოლოსათვის ქართული წიგნების შეძენა გაადვილდა მხარის ქალაქებში. სოფლად, გამონაკლისების გარდა, (გაზეთი „ივერია“, 1895: №242) კი ისევ ძნელი იყო ეს და ცალკეულ შემთხვევებში, სოფლის სკოლებთან, მასწავლებლებთან თუ შეიძლებოდა წიგნების შოვნა და წაკითხვა.

ქართული წიგნების გავრცელება სამცხე-ჯავახეთში ხალხში უფასოდ დარიგების გზითაც ხდებოდა. 1881-1882 წლებში ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დაწყებული ჯავახეთის ქართველობისათვის წიგნების შეგროვების კამპანიის დროს მრავალი წიგნი დარიგდა მოსახლეობაში, რაშიც მონაწილეობა უნდა მიეღო ივანე გვარამაძესაც (გაზეთი „დროება“, 1881: №252). ეს კამპანია გააგრძელა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომლის მიწოდებული წიგნები ი. ალხაზიშვილის მეშვეობით მოსახლეობაშიც უნდა დარიგებულიყო (გაზეთი „დროება“, 1882: №25,87). მხარის ბლაღოჩინმა დიმიტრი ხახუტაშვილმა 1894 წელს ჭობარეთის ეკლესიის კურთხევის შემდეგ ხალხში წმინდანების შესახებ ბროშურები დაარიგა (გაზეთი „ივერია“, 1894: №28). თუმცა

ამგვარი ღონისძიებანი სამცხე-ჯავახეთში იშვიათი იყო და ამას წიგნების გავრცელების საქმეში მცირე მნიშვნელობა ჰქონდა.

წიგნების გავრცელების მსგავსად, სამცხე-ჯავახეთში ქართული ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაც ნელი ტემპით ხდებოდა. ძირითადი ქართული პერიოდიკა მცირე რაოდენობით მისდიოდათ მხარეში. 1886 წელს „ივერიის“ კორესპონდენტის ცნობით, გაზეთ „ივერიას“ ქ. ახალციხეში 9 კაცი იწერდა (გაზეთი „ივერია“, 1886: №178), მთელს ახალქალაქის მაზრაში კი მხოლოდ 3 კაცი (გაზეთი „ივერია“, 1886: №180). 1890 წელს „ივერიის“ კორესპონდენტ „ახალციხელის“ ცნობით, აქაურ ქართველებს შორის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ფასი არ ჰქონდა (გაზეთი „ივერია“, 1890: №23). თუმცა XIX საუკუნის მიწურულისათვის უკეთესი პირობები შეიქმნა ამ საკითხის თანდათან მოსაგვარებლად. ეს პრობლემები აწუხებდა ადგილობრივ ინტელიგენციას, რომლებიც ცდილობდნენ ქართული პერიოდიკის გავრცელებისათვის ხელის შეწყობას. ივანე გვარამაძეც აქტიურობდა ამ საქმეში. 1887 წელს გაზეთ „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე თავის წერილში სთხოვდა ივანეს, ახალციხის მაზრაში გაევრცელებინა მისი გაზეთი, მისთვის მოეპოვებინა ხელისმომწერნი. ერთი თვის შემდეგ კერესელიძის ივანესადმი გაგზავნილი მომდევნო წერილით ირკვევა, რომ ახალციხეში ერთ ადამიანს გამოეწერა „ცისკარი“ (როგორც ჩანს, ი. გვარამაძის აგიტაციით) (სჯმ., ხფ., №2059,2061). სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოწერა მხარეში შეიძლებოდა მხარის ბლაღოჩინთან, დეკანოზ დიმიტრი ხახუტაშვილთან, გრიგოლ ბურჭულაძესთან, ილია ალხაზიშვილთან (გაზეთი „ივერია“, 1897: №256)... საუკუნის მიწურულისათვის მხარის მოსახლეობაში უფრო და უფრო მეტი რაოდენობით ვრცელდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები. მრავალ ინტელიგენტს ზოგიერთი ქართული ჟურნალი წლების მიხედვით ჰქონდა შენახული; რამდენიმე პიროვნება კი მათ ახალციხის ბიბლიოთეკას სწირავდა (გაზეთი „ივერია“, 1902: №51, 102).

ამრიგად, XIX საუკუნის II ნახევარში სამცხე-ჯავახეთის სოციალურად, ეკონომიკურად და განათლების მხრივ დაქვეითებული ქართველობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქართველმა ინტელიგენციამ უმთავრესი ყურადღება დაუთმო საგანმანათლებლო მოღვაწეობას. XIX საუკუნის დამლევისათ-

ვის ენერგიული სასკოლო საქმიანობა საკმარისი არ იყო. საჭირო იყო მხარეში ქართული პედაგოგიური და საკითხავი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების, ხალხში კითხვის ჩვევების გავრცელება. ამისათვის საგანგებოდ იზრუნა ქართველმა საზოგადოებამ და, მათ შორის, ფართო საგანმანათლებლო საქმიანობით გამორჩეულმა მოღვაწე ივანე გვარამაძემ. ი. გვარამაძემ გამოსცა მრავალი წიგნი, ზრუნავდა სკოლებთან ქართული წიგნების მარაგის შესაქმნელად, სახალხო ბიბლიოთეკების გასახსნელად, და დახმარებას ცდილობდა მათ საქმიანობაში, აქტიურობდა ხალხში ქართული წიგნებისა და პერიოდიკის გავრცელების საქმეში...

ქართველი ინტელიგენციის აღნიშნული მიზანმიმართული მოღვაწეობის შედეგად მეტი რაოდენობით იბეჭდებოდა ქართული წიგნები, სამცხე-ჯავახეთში სკოლებს აწვდიდნენ ხოლმე საკითხავ წიგნებს (თუმცა იშვიათად), იხსნებოდა სახალხო ბიბლიოთეკები, რომლებიც წარმატებით მოქმედებდნენ, მოსახლეობაში ვრცელდებოდა ქართული წიგნები და პერიოდული გამოცემები, კითხვის მოთხოვნილება და ჩვევები... ხალხი ეცნობოდა საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობას, მის კულტურას, რაც ხელს უწყობდა მათში პატრიოტიზმის გაძლიერებას, მათ გააქტიურებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ზრუნვას სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული პრობლემების მოსაგვარებლად...

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწერა I, საქმე 440;

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწერა 12, საქ. 432;

სცსსა ფონ. 481, აღწ. 2, საქ. №64 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწერა 2, საქმე 62;

სცსსა, ფ. 481, აღწ. 1, საქ. №537 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 481, აღწერა 1, საქმე №537;

ხეც – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის ფონდი №479;

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მიხეილ თამარაშვილის ფონდი №1239;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №1893;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №1896;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №1905;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2028;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2033;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2059;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2061;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2202;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2203;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2204;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2245;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2246;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2272;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2357;
სჯმ., ხფ. – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი №2392;
ლომსაძე, 1979 – გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979;
ლომსაძე, 1984 – მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984;
ჭიჭინაძე, 1904 – ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), თბ., 1904;
ჩხიტუნიძე, 1980 – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო-საგამომცემლო საქმიანობა, თბ., 1980;
მაისურაძე, 2000 – გიორგი მაისურაძე, ივანე გვარამაძის წერილი ილიასადმი; საისტორიო მაცნე, №8, ბათუმი, 2000, გვ. 75-78,
ჟურნალი „Кавказский календар на 1893 год“, Тиф., 1892;
გაზეთი „დროება“, 1871;
გაზეთი „დროება“, 1871, №25;
გაზეთი „დროება“, 1878, №147;
გაზეთი „დროება“, 1879, №87;
გაზეთი „დროება“, 1879, №172;
გაზეთი „დროება“, 1879, №210;
გაზეთი „დროება“, 1879, №211;
გაზეთი „დროება“, 1880, №180;
გაზეთი „დროება“, 1880, №245;
გაზეთი „დროება“, 1881, №14;
გაზეთი „დროება“, 1881, №129;
გაზეთი „დროება“, 1881, №252;

გაზეთი „დროება“, 1881, №254;
გაზეთი „დროება“, 1882, №3;
გაზეთი „დროება“, 1882, №25;
გაზეთი „დროება“, 1882, №87;
გაზეთი „დროება“, 1882, №227;
გაზეთი „დროება“, 1882, №255;
გაზეთი „დროება“, 1883, №246;
გაზეთი „ივერია“, 1886, №178;
გაზეთი „ივერია“, 1886, №180;
გაზეთი „ივერია“, 1886, №212;
გაზეთი „ივერია“, 1887, №70;
გაზეთი „ივერია“, 1887, №199;
გაზეთი „ივერია“, 1889, №193;
გაზეთი „ივერია“, 1890: №23;
გაზეთი „ივერია“, 1890, №61;
გაზეთი „ივერია“, 1890, №216;
გაზეთი „ივერია“, 1891, №62;
გაზეთი „ივერია“, 1993, №224;
გაზეთი „ივერია“, 1894, №28;
გაზეთი „ივერია“, 1894, №33;
გაზეთი „ივერია“, 1894, №77;
გაზეთი „ივერია“, 1894, №116;
გაზეთი „ივერია“, 1895, №160;
გაზეთი „ივერია“, 1895, №237;
გაზეთი „ივერია“, 1895, №242;
გაზეთი „ივერია“, 1896, №74-75
გაზეთი „ივერია“, 1897, №256;
გაზეთი „ივერია“, 1898, №48;
გაზეთი „ივერია“, 1898, №50;
გაზეთი „ივერია“, 1898, №219;
გაზეთი „ივერია“, 1899, №2;
გაზეთი „ივერია“, 1899, №251;
გაზეთი „ივერია“, 1902, №51;
გაზეთი „ივერია“, 1902, №102;
გაზეთი „ივერია“, 1903, №104;
გაზეთი „ივერია“, 1904, №210;

Giorgi Maisuradze

IVANE GVARAMADZE AND BOOK POPULARIZATION IN SAMTSKHE-JAVAKHETI

Summary

In the second half of the 19th century, Georgian public figure Ivane Gvaramadze (1831-1912), a man with great erudition, made a great contribution in education of Samtskhe-Javakheti, where the Georgian population lived in difficult socio-economic conditions and most of them experienced a national degeneration. To increase the number of educational institutions in Samtskhe-Javakheti and care to improve their work was not enough in the condition of shortage of Georgian books, magazines and newspapers and undeveloped reading skills of population. It was necessary to publish more books, to create school libraries and books stock, to establish public libraries, to spread more books and serial publications.

From the beginning of his creative work Ivane Gvaramadze paid a great attention to it. He was the author of numerous books, translator, compiler and publisher. He tried to create a stock of books at schools; he cared to open a public library at a Catholic Church after John the Baptist in Akhaltsikhe and after its opening, in 1893, he led it (though the first Georgian library in Akhaltsikhe did not exist for a long time), he helped to open libraries in other places of the region. He actively took part in spreading Georgian books and newspapers.

As a result of Ivane Gvaramadze and other people's activity, books and serial publications, reading skills and demand on reading rather quickly spread among Georgian population in Samtskhe -Javakheti in the end of the 19th century.

ივანე გვარამაძის პედაგოგიური იდეებისა და მიდგომების შესახებ

დიდი ქართველი, მესხეთის უდიდესი გულშემატკივრის ივანე გვარამაძის გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა. მადლიერ ქართველ ერს ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ამ თარიღს მიეძღვნა სხვადასხვა ღონისძიება; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ივანე გვარამაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა. თვალსაჩინო მოღვაწეზე დღეისათვის არაერთი გამოკვლევა არსებობს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

გარდა იმისა, რომ ივანე გვარამაძე სამცხე-ჯავახეთში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მხარეში სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნისა და ხალხში ცოდნის გავრცელების საქმეში. დიდ მამულიშვილს მოღვაწეობა მოუწია იმ პერიოდში, როდესაც სამცხე-ჯავახეთმა თურქეთის უღელს თავი დააღწია და უცბად მხარე ერთი დამპყრობლის ნაცვლად მეორე დამპყრობლის ხელში აღმოჩნდა; ეს დამპყრობელი კი რუსეთი იყო, რომელიც შეგნებულად ართულებდა ქართველთა ეროვნულ თვითგამორკვევას. სამწუხაროდ, რუსული მმართველობა სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან ქართველებს თათრებს უწოდებდა და მათ მშობლიურ ენად თურქული გამოაცხადა; კათოლიკე ქართველები სომხებად იქნენ მონათლულნი, რომელთა დედა ენად სომხური ჩაითვალა. ამ პროცესების შედეგად სამცხე-ჯავახეთში ქართველები ეროვნულ უმცირესობად იქცნენ. მთავრობა მხარეში მხოლოდ რუსულ სკოლებს ხსნიდა და მისი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის გარუსება იყო. ასეთ ვითარებაში საინტერესო და საყურადღებო ქართველ მამულიშვილთა საგანმანათლებლო საქმიანობაა, რომელთა შორის დიდი ეროვნული საქმეებით ივანე გვარამაძე გამოირჩეოდა. იმ პერიოდში, როდესაც იგი მშობლიურ კუთხეში, სხვადასხვა ეკლესიასა და სასწავლებელში მოღვაწეობდა და უანგაროდ ასწავლიდა სალმრთო ისტორიას, ქართულ ენასა და კატეხიზმოს, რუსე-

თის ხელისუფლება აღწევდა მზაკვრულ მიზნებს, კერძოდ, იმ პერიოდის პრესა წერს, რომ 1881 წლის 13 იანვრის ბრძანებით სკოლებში, რომელთა კონტინგენტს კათოლიკეთა შვილები შეადგენდნენ, აიკრძალა ქართული ენის სწავლება, 1886 წლის 27 თებერვლის ბრძანებით კი – ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში წირვა-ლოცვის ქართულად შესრულება აიკრძალა *(გაზ.: „დროება“, „ივერია“)*. შედეგად, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სწავლებაცა და ღვთისმსახურებაც სომხურად უნდა წარმართულიყო.

სამწუხაროდ, აღნიშნულ ბრძანებულებათა მიხედვით თანდათან გასომხდა მრავალი ქართული სოფელი, მაგალითად, ხულგუმო, კარჩიკამი, ბავრა, ტურცხი და სხვ.; ეროვნება შეინარჩუნა სოფელმა ხიზაბავრამ მხოლოდ იმის გამო, რომ ივანე გვარამაძე ხელისუფლებას არ დაემორჩილა და აქ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელშეწყობით ქართული სკოლა დააარსა. ამ სოფელში იგი მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურებითა და სწავლებით ალრმავებდა ეროვნულ თვითშეგნებას.

ივანე გვარამაძის მოღვაწეობის გაცნობის დროს ჩვენთვის საყურადღებოა ერთი გარემოება, კერძოდ, როდესაც 1880-1890-იანი წლებში სომხურ ენაზე ღვთისმსახურების მოთხოვნა გამკაცრდა, ივანე გვარამაძეს ამგვარი გამოსავალი გამოუნახავს: იგი ჯერ სომხურ ენაზე ატარებდა წირვას, რადგან განსაკუთრებული აქცენტი წირვის სომხურად ჩატარებაზე მახვილდებოდა (ასეთი იყო მთავრობის მიდგომა), შემდეგ კი ქართულად ქადაგებდა და კითხულობდა სახარებას. ამის გამო ივანე გვარამაძე მაზრის უფროსთან დაასმინეს, რომლისთვისაც მას ასე უპასუხია: „მაშ რა ენაზე ჩავაგონოთ მრევლს ხელმწიფის ერთგულება, თუკი ქართულის მეტი სხვა ენა არ ესმითო?“ *(კოკორიძე დ., 1986; მაისურაძე ი., 1968)*. მას შემდეგ, რაც აიკრძალა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა, დიდ მამულიშვილს აქაც გამოსავალი მოუძებნია: მისი მითითებით ხალხი სამრევლო სკოლაში იკრიბებოდა და ქართულად ლოცულობდა. მოგვიანებით, ივანე გვარამაძემ კიდეც დაარღვია რუსეთის ბრძანება და სახარება-სამოციქულო ქართულად წაიკითხა. მისი მოღვაწეობის შესწავლის დროს ნათელი ხდება, რომ იგი საოცრად გამბედავი პიროვნებაა და საკმაოდ თამამ ნაბიჯებს დგამს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ივანე გვარამაძე თავისი საქმიანობით რუსეთის მიზნებს ეწინააღმდეგება.

მაშინ როდესაც, XIX საუკუნის ბოლოს სამცხე-ჯავახეთში შექმნილი ვითარების ფონზე, მხარეში ქართველები ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენდნენ და ამ პირობებში ვსაუბრობთ ქართული ენის სწავლების პრობლემურ საკითხებზე, ვფიქრობთ, შექმნილი ვითარება უფლებას არ გვაძლევს, გვერდი ავუაროთ XXI საუკუნის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა 2002-2005 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის (ახალქალაქის) ფილიალში ნებისმიერ სპეციალობაზე სწავლების იმ თავისებურებას, როდესაც პირველი წელი ეთმობოდა ენის შესწავლას, კერძოდ, ქართულსკოლადამთავრებული სტუდენტები სწავლობდნენ სომხურ ენას, არაქართულსკოლადამთავრებულები – ქართულს. ეს ფაქტი და ქართული ენის სწავლებისადმი ამდაგვარი მიდგომა ნათელს ჰფენს საკითხს იმის თაობაზე, რომ განუზომელია ივანე გვარამაძის თავდადება ეროვნების შენარჩუნებისათვის და მისი იდეები XXI საუკუნეშიც ცოცხლობს და არ კარგავს თავის მიზანსა და მნიშვნელობას.

ასევე ვფიქრობთ, ივანე გვარამაძის პედაგოგიურ საქმიანობაში შეინიშნება ბილინგვური სწავლების ელემენტებიც, რაც მეტად აქტუალურია დღევანდელ დღეს. როგორც ვხედავთ, თანამედროვე პედაგოგიური იდეები და მიდგომები გვხვდება ჯერ კიდევ დიდი მამულიშვილის პედაგოგიურ საქმიანობაში, რაც თითქმის საუკუნით უსწრებს დღევანდელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

კოპორაძე დ., 1986 - კოპორაძე დ., განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1986.

მაისურაძე ი., 1968 – მაისურაძე ი., ივანე გვარამაძე, სახალხო განათლების მოღვაწენი და სახალხო მასწავლებლები, კრებული III, თბ., 1968.

გაზ.: „დროება“, „ივერია“ - ქართული პრესა - გაზეთები: „დროება“, „ივერია“, 1881, 1886.

Marekh Natenadze

ABOUT IVANE GVARAMADZE'S PEDAGOGICAL IDEAS AND APPROACHES

Summary

Introducing to Ivane Gvaramadze's works, we came across a very interesting question about teaching the Georgian language. In XIX century Georgians in Samtskhe - Javakheti, were ethnic minorities and so raising the problem about teaching the Georgian language was essential. I think we have no right not to speak about a very important event according to which students finishing Georgian schools learnt Armenian and students finishing non Georgian schools learnt Georgian on the first course of every faculty at the Javakheti (Akhalkalaki) Branch of Iv.Javakhishvili State University in 2002-2005. This fact itself and teaching approaches highlight the importance of the issue even in the XXIc. and shows that Ivane Gvaramadze's ideas are still alive and don't lose its aim and importance.

The elements of bilingual teaching that are observed in Ivane Gvaramadze's pedagogical works are still very relevant for today. As we see, pedagogical ideas and approaches in the works of a great patriot are almost one century ahead of the present.

ივანე გვარამაძე და სოფელ საროს მაცხოვრის ხატი

1901 წელს ივანე როსტომაშვილი ჟურნალ „მოგზაურში“ წერდა სოფელ საროს შესახებ: „ჩვენი ყურადღება ორმა წარწერამ მიიპყრო. პირველი გახლავთ საროს ციხეზე არსებული წარწერა, (რომელიც მას არასწორად ამოუკითხავს): „ქრისტე ადიდე თამარი, დაუძლეველი მეფეთა-მეფე,“ დანარჩენი აზრი კი სისრულით ვერ გავიგეთ, თუმცა ადვილად იკითხება აგრეთვე სიტყვები: „გამრეკელსა“, „ესე“, „ციხე“, და სხვა“ (როსტომაშვილი, 1905:403), მაგრამ სრულად ვერ წაუკითხავს. სამაგიეროდ, ეს წარწერა ჯერ ექვთიმე თაყაიშვილმა, შემდეგ კი ნ. ბერძენიშვილმა (ბერძენიშვილი, 1964:172) წაიკითხა და იგი შესულია ვ. ცისკარიშვილის „ჯავახეთის ეპიგრაფიკაში“ (ცისკარიშვილი, 1959:44-45). ეს გახლავთ არა თამარ მეფის, არამედ დემეტრე II-ის წარწერა:

1. ქე ა˜ღნ ძ˜რი და [ო]
2. ძ˜ლი მე˜ფთა მ˜ფე
3. დ˜ტრე რ˜ლნ რჯი მ˜თა
4. გბ˜ძა მ˜ს უმ˜სა ესე
5. ც˜ხე ავა˜გთ მე ვ
6. აჩე დავწ˜ერე˜ნ
7. ე ეს˜ნ [?] და მ˜ჭას მ
8. მო˜ლი

ე.ი. ქრისტე ადიდენ ძლიერი და ო
ძლეველი მეფეთა მეფე დემეტრე, რომელმან რეჯი მამულობით გვიბოძა. მას უამსა ესე ციხე ავაგეთ მე ვ-
აჩე დავწერენ ერისთავთ ერისთავისნი და მაჭას მა-
მული (1)

(ბერძენიშვილი, 1964:172).*

---

* ზემოხსენებული წარწერის საბოლოო ვარიანტი გამოქვეყნებულია „ჯავახეთის ეპიგრაფიკულ კორპუსში“ 2012 წელს: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დე ძ(ლიერ)ი და {.....}/რლი მეფ(ე)თა მ(ე)ფე/ დ(ემე)ტ(რ)ე, რ(ომე)ლ(მა)ნ რ(ე)ჯი მ(ა)მ(უ)ლ(ობი)თ გ(ვი)ბ(ო)ძა მ(ა)ს ჟ(ა)მსა ეს/ე ც(ი)ხე ავაგეთ მე ვ/აჩე დავწერენ/ ე.....გსნ, და მჭას მ(ა) მული (სილოგავა, 2012: 107-108).

მეორე წარწერა კი არის საროს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში ნანახი მაცხოვრის ხატზე არსებული წარწერა:

„დღეს ამ საყდარში აღსანიშნავია მაცხოვრის ერთი ძველი ხატი, იგი დახატულია კაკლის ფიცარზედ ფერადის წამლებით და სიგრძე აქვს 8 და სიგანე 6 ვერშოკი. სახის მარჯვნივ და მარცხნივ ოქროსფერი ასოებით აწერია სიტყვები: „იესო ქრისტე," ხოლო ბოლოში ასე: „ადიდე შენ, მაცხოვარო, მადიდებელი შენი აბაშიძე ლეონი 1747, გლახაკი იოანე"... ვინ არის აქ მოხსენიებული ლეონ აბაშიძე, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ საჭიროდ ვსთვლით დავურთოთ, რომ სოროდამ 7-8 ვერსის მანძილზედ ძევს სოფელი თოკი, სადაც დღესაც სცხოვრობენ ბეგნი აბაშიძენი, რჯულით მაჰმადიანნი, მაგრამ ქართულად ჯერაც მშვენივრად მოლაპარაკენი, ვგონებ, რომ ამ ხატის პატრონი ლეონ აბაშიძე, ამათგან უნდა იყოს და 1747 წელს ყველანი თუ არა ზოგნი მაინც, ჯერაც ქრისტეს მადიარებელნი ყოფილან" (როსტომაშვილი, 1905:403).

ჩვენ დავინტერესდით ამ ხატის შემდგომი ბედით. მას მივაკვლიეთ სამცხე–ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ახალციხის ისტორიულ მუზეუმში, რომლისთვისაც იგი 1947 წლის 25 ივნისს შემოუწირავს კონსტანტინე გვარამაძეს, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივ. გვარამაძის – „ვინმე მესხის" ვაჟს. ხატის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მას სიმაღლე აქვს 28 სმ, სიგანე - 22.5 სმ. კაკლის ფიცარზე შესრულებულია ქრისტეს გამოსახულება, ოქროსფერ ფონზე ზემოთ მოხსენიებული წარწერით, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხატის უკანა მხარეზე აკრავს შავად შეღებილი თხელი სპილენძის თუნუქის ფურცელი, რომელზეც ჩვენ წარწერა შევნიშნეთ და ამავე მუზეუმის თანამშრომელთან, ნატო ერუაშვილთან ერთად წავიკითხეთ. იგი აღმოჩნდა „ვინმე მესხის," ივ. გვარამაძის ხელით შესრულებული.

წარწერა ასე იკითხება: „ქ. შეწევნით ესე ხატი მაცხოვრისა შევამკეთ, ჩვენ ჩიქვილაძემ პაატამ, თანამეცხედრემან ჩემმან ჯაფარიძის ქალმან თამარმან ცოდვათა მისატევებელთა ჩვენითა ხელითა ხვთისათ, ვინცა ამასა ამბორსა სცე ჩვენი საცა შენდობა ჰქმენით: მღთის გულისათვის ვინც ეს ჩვენს საფლავს გააზიაროს ჩვენისაც ცოდვას ნუქებათ გავითავისოს საშინელსა ამასა დღეს".

ჩვენთვის გაუგებარია, ვინ არის აქ მოხსენიებული პაატა ჩიქვილაძე და მისი თანამეცხედრე ჯაფარიძის ქალი თამარ, საიდან მოხვდა ეს ხატი მათ ხელში, ან რატომ წააწერა ივანე გვარამაძემ თავისივე ხელით. შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ეს ხატი ჯერ ჩიქვილაძის ხელში მოხვდა და მან შესწირა საროს ეკლესიას, რაც აღნიშნა კიდევაც ივ. გვარამაძემ, შემდგომ კი იხილა ივ. როსტომაშვილმა, მაგრამ ხატის ზურგზე, შავ საღებავზე ამოკაწრული წარწერა ვერ შენიშნა და მხოლოდ აბაშიძის წარწერა წაიკითხა.

ამრიგად, ივანე როსტომაშვილის ცნობის თანახმად, საროს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში დაცული ყოფილა მაცხოვრის ხატი, რომელიც ვინმე „ლეონ აბაშიძეს შემოუწირავს ეკლესიისათვის 1747 წელს“, მაგრამ იგი ბოლშევიკების დროსვე აღარ ყოფილა ეკლესიაში და დაკარგულად ითვლებოდა. ჩვენ მივაკვლიეთ ამ ხატს და გავარკვიეთ, რომ იგი ივანე გვარამაძის ვაჟს, კონსტანტინეს გადაუცია ახალციხის მუზეუმისთვის. მუზეუმის ფონდებში დაცული ხატის დავათვალიერებისას მის უკანა მხარეზე, შავად შელებილ თუნუქზე ამოკაწრული წარწერა აღმოჩნდა. ნაცნობ ერუაშვილთან ერთად წარწერის შესწავლით გაირკვა, რომ იგი ივანე გვარამაძის ხელით ყოფილა შესრულებული. წარწერის მიხედვით, ხატი პაატა ჩიქვილაძეს და მის მეუღლეს, თამარ ჯაფარიძეს, შეუმკიათ, ხოლო შემდეგ შეუწირავთ ეკლესიისათვის. ხატის ზურგზე წარწერა ივანე გვარამაძეს გაუკეთებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

როსტომაშვილი, 1905 – ივ. როსტომაშვილი, სოფელი სარო, ჟურნალი „მოგზაური“, 1901. № 5.

ბერძენიშვილი, 1964 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964.

ცისკარიშვილი, 1959 – ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა 1959.

სილოგავა, 2012 – ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გამოსაცემად მოამზადეს ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა. თბ., 2012.

Zurab Kukchishvili

IVANE GVARAMADZE AND SARO ICON OF CHRIST THE SAVIOR

Summary

The icon of Christ the Savior, was seen by Ivane Rostomashvili in the Church of Archangel in Saro. He wrote in the journal "A Traveller" in 1901 that Leon Abashidze endowed it to the church in 1747. The icon hadn't already been there in the time of Bolsheviks. It was considered to be lost. We became interested in the fate of the icon and found out that Konstantine, Ivane Gvaramadze's son had given it to the Akhaltsikhe Museum. We found the icon in the funds of the museum and while examining it we saw a scratched inscription on the back of the iron painted in black. I have studied it well, with Nato Kruashvili,. It appeared that the inscription was done by Ivane Gvaramadze. It informs us that, Paata Chikviladzes and his wife Tamar Japaridze adorned the icon, and then perhaps endowed it to the church. Then Ivane Gvaramadze made an inscription on the back of the icon.

ნატო ყრუაშვილი

ივანე გვარამაძის თანამშრომლობა სტამბოლის ძართულ სავანესთან
(გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)

XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ქართველი კათოლიკე მრევლი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც 1845 წელს კათოლიკე მისიონერები საბოლოოდ გააძევეს საქართველოდან და მღვდლების გარეშე დარჩა. ამ დროიდან ქართველ კათოლიკეთა ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი: კათოლიკობისათვის - ქართველობისათვის ბრძოლის პერიოდი (თავის დრო'ზე ქართველებმა კათოლიკობის მიღებით შეინარჩუნეს ენა, მამული, სარწმუნოება, ეროვნება, გადარჩნენ ფიზიკურად). რომსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულებით საქართველოს ყველა კათოლიკე, როგორც ლათინური, ისე სომხური წესის, ტირასპოლის ახალი ეპარხიის გამგეობას დაუქვემდებარდა. სომეხმა კათოლიკეებმა მიზნად დაისახეს დაპატრონებოდნენ საქართველოში არსებულ „ლათინურ“ ეკლესიებსა და მათ ქონებას. სამწუხაროდ, ქართველი სამღვდელოება ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლე'ზე. მათი ერთი ნაწილი, პავლე შაჰყულიანის მეთაურობით, მთავრობის ორიენტაციას მიემხრო იმისათვის, რომ რუსეთის მეფის ხელისუფლებისაგან მიეღო ეპისკოპოსის თანამდებობა – „უკაზის ძალით აუკრძალეს ქართველ მორწმუნეებს ქართულ ენაზედ ლოცვა-ვედრება“. შესაბამისად, ქართველი კათოლიკე მრევლი გადაგვარების – გასომხების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სამღვდელოების მეორე ნაწილი – პეტრე ხარისჭირაშვილის მეთაურობით და თვით მრევლი ეროვნულ პოზიციებზე დარჩა და ყველანაირად ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწიათ მოწინააღმდეგისათვის. მან გადაწყვიტა დაეარსებინა ქართული ძმობა, რომელიც ქვეყანას მოუმზადებდა ახალ პატრიოტულ ძალებს და ფეხზე დააყენებდა მას (პ. ბალიძის სააკაშვილისადმი მოხსენება). თუმცა მას ამ მიზნის სამშობლო'ში განხორციელების საშუალება არ მიეცა. ამიტომ, იგი ოსმალეთში გადავიდა 1857 წელს. დიდი წვალების შემდეგ მიაღწია იმას, რომის პაპის პიო IX-ის წარმომადგენლის – მთავარეპისკოპოსის ბრუნონის დახმარებით 1859 წელს მიიღო

მკვიდრი სამსახური მოწყალების დათა მონასტერში. ასევე, სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნის ნება ქართული ენითა და ტიპიკონით. იმავე წელს მამა პეტრემ ცნობილი მეცნიატის იაკობ ხუბალაშვილის ფინანსური დახმარებით სტამბოლის გარეუბანში – ფერიქოვში შეიძინა მიწის მოხრდილი ნაკვეთი, სადაც 1861 წელს ააშენა წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია (სიორიძე, 2002:19). უნდა აღინიშნოს, რომ ფერიქეის ძმობამ იურიდიული ძალმოსილება მიიღო 1861 წელს. აღსანიშნავია ისიც, რომ პეტრე ხარისჭირაშვილის მზრუნველობით ფერიქოიში მამათა სავანის ახლოს დაარსებული იქნა დედათა მონასტერი. მისი იურიდიული არსებობა საეკლესიოდ აღიარებული იქნა 1871 წლის 9 მკათათვეს (ს.ქ.კ.ს.მ., 2009). სავანეს მფარველობას უწევდა სტამბოლში არსებული საფრანგეთის საელჩო, რადგან ქართველი კათოლიკეები ფრანგული ტიპიკონით სარგებლობდნენ.

როდესაც პეტრე ხარისჭირაშვილი საზღვარგარეთ გაემგზავრა, მხოლოდ ერთადერთი მოწაფე – ალფონს ხითარიშვილი წაიყვანა. შემდეგ მათ შეუერთდნენ სხვა ახალგახელი მოწაფენიც: ნებიერიძე, ივანე გვარამაძე და სტეფანე გიორგიძე. (გაზეთი „იმერეთი“, 1914: №101) „ივანე გვარამაძე და მოხსენიებული პირები იმავდროულად იყვნენ მონასტრის პირველი მღვდლები. ამასთანავე, ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მხარში ედგნენ თავიანთ წინამძღვარს და მოიპოვებდნენ სახსრებს პატარა ეკლესიისა და მცირე საცხოვრებლის ასაშენებლად. მოგვიანებით სავანის წინამძღვარი პიო ბალიძე სანდრო სააკაშვილისადმი გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „მამა პეტრე იმთავითვე თავმდაბალი იყო, რო არ თაკილობდა მათხოვრობას. ღმერთმაც აკურთხა მისი კეთილი განზრახვა. მალე ნაჩუქარ მიწაზე პატარა ეკლესია გაიშენა, მას გვერდით მიადგა მცირე საცხოვრებელი ბინა. მოდით მოვისმინოთ მისი ნათქვამი: „დილით სათხოვრათ გავდიოდი, სალამოთი მუშებს გავსწორებოდიო.“ აი, რა წვალებით ჩვენმა მოძღვარმა მოახერხა საკუთარი ბინის შეძენა, რომელმაც წელში გაამართა“ (ს.ქ.კ.ს.მ., 2009). ივანე გვარამაძე, მასწავლებლის მსგავსად, დილიდან სალამომდე სტამბოლის ქუჩებში, გულზე დაკიდებული წარწერით – „დამეხმარე“, მათხოვრობდა და მოიძევდა ეკლესიის ასაშენებელ სახსარს. ივანე გვარამაძეს მალე მოუწია კონსტანტინეპოლის დატოვება. ვფიქრობთ, ეს შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო. თუ გავითვალისწინებთ სამშობლოში

დაბრუნების შემდგომ მის აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და სავანესთან თანამშრომლობას, ადვილად საფიქრებელია, რომ მისი მშობლიურ კუთხეში დაბრუნება მამა პეტრესთან შეთანხმებითა და წინასწარ განჭვრეტით უნდა მომხდარიყო. თუმცა, არის მოსაზრებაც, რომ მამა ივანე გვარამაძე უსახსრობის გამო დაბრუნდა სამშობლოში. ეს არასწორად მიგვაჩნია, რამდენადაც სავანეში მყოფი ქართველი მამები ერთნაირად განიცდიდნენ დიდ უსახრობას და ფუფუნებაში მათ არ უცხოვრიათ. ამასთანავე, მისი ცხოვრება-მოღვაწეობა უტყუარი დასტურია იმისა, რომ იგი არ იყო ფუფუნების მოყვარე. მას მთელი ცხოვრება სიდუხჭირეში ყოფნა მოუწია. ამაზე პირდაპირ მიუთითა მისმა პირველმა ბიოგრაფმა ზაქარია ჭიჭინაძემ. იგი გაოცებული დარჩა იმ სიღატაკის ნახვით, რაშიც ივანე გვარამაძეს უხდებოდა ცხოვრება სოფელ ხიზაბავრაში. და მაშინ, როდესაც ინგლისელმა მოგზაურმა პრაისმა მას თავის მინიატურულ წიგნში 100 000 სტერლინგი შესთავაზა, კატეგორიული უარი უთხრა.

ივანე გვარამაძის მემკვიდრეობის გაცნობა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ სწორედ სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ, ერთგვარად გარკვეული იდეითა და გეგმით შემზადებულმა, დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა და თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა ეროვნული მუხტის მქონე პირი – განურჩევლად რწმენისა და სოციალური მდგომარეობისა. მას თანამედროვენი მესხ განმანათლებლად მოიხსენიებენ. მესხური განმანათლებლობის მისიას ამ კუთხეში მცხოვრები სარწმუნოებრივად გათიშული ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება, მათი კულტურული დაწინაურება, განათლების გავრცელება და ეროვნული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნება-დაცვა წარმოადგენდა.

ამრიგად, ქართველ კათოლიკეთათვის ქართველობის შესანარჩუნებლად იღვწოდა ორი კერა: სტამბოლში მამა პეტრე ხარიჭირაშვილის სავანე და სამცხე-ჯავახეთში ივანე გვარამაძის გარშემო შემოკრებილი ეროვნული ძალები. მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ ორ კერას შორის იყო ურთიერთთანამშრომლობა. ივანე გვარამაძის მიმართ უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ სავანეში მოღვაწეთ, რაც გამოწვეული იყო მისი პიროვნებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით. სავანეში მისი მრავალი მოწაფე მოღვაწეობდა.

ამასთანავე, თვითონვე იყო მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მოწაფე და სავანის ძმობის ერთ-ერთი პირველი წევრი. გარდა ურთიერთ პიროვნული პატივისცემისა მათ ერთი მიზანი აერთიანებდათ.

ივანე გვარამაძის თანამშრომლობა სავანეში მყოფ ქართველ კათოლიკე მამებთან მისი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. აღნიშნულს ასაბუთებს როგორც სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის არქივ-ფონდში, ასევე სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მდიდარი მასალა – მიმოწერა.

როდესაც სტამბოლის სავანესთან ივანეს თანამშრომლობაზე ვსაუბრობთ, უპირველესად მხედველობაში გვაქვს ივანე გვარამაძის პეტრე ხარისჭირაშვილთან ურთიერთობა და თანამშრომლობა, რაც კარგად ჩანს მათი მიმოწერიდან. როგორც ივანე გვარამაძის არქივში, ისე სტამბოლის სავანის ფონდარქივში ინახება საინტერესო წერილები მათ მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი.

როგორც წერილებიდან ჩანს, პეტრე ხარისჭირაშვილი ხშირად მიმართავდა მას რომ ეთარგმნა სომხურენოვანი წიგნები. და არამარტო მიმართავდა, არამედ მაღალ შეფასებასაც აძლევდა. ერთ-ერთ წერილში პეტრე ხარისჭირაშვილი ივანე გვარამაძის მიერ სომხურიდან თარგმნილი სასულიერო ხასიათის წიგნის – „ჰოენლოის“ შესახებ სწერდა: „ძლიერ მოგვწონა ეს თარგმანი, რადგან იმაში ვერ ვჰპოვეთ წინააღმდეგი ვერც სუფთა მდაბიური ქართულისა, ვერც აზრების ბნელად და ერუდ გამოყვანა და ვერც განსხვავება აზრებისა სომხური დედნის აზრებისაგან... მე ვხედავ ამ ჰოენლოის თარგმნით რომ შენ შეგძლებია კარგად დათარგმნა“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2646). იმავე წერილში თხოვნით მიმართავდა, რომ მისი შეგირდებისათვის გაეკეთებინა სამი წიგნის თარგმანი. აცნობებდა, რომ მის შეგირდებს არ ესმოდათ „მათგან ფრანგულად ბრუდი და ერუ ნათარგმნი“, ამიტომ, მისი თარგმნილით შეგირდებმა უნდა „შეისწავლონ კარგად სუფთა დაბიური ქართული და თხზვა კანონიერად, თვარემ უამისოდ რას არგებს მათ და ანუ მამულს მარტო ევროპული ენებით ლაპარაკი ოდეს მათ ჯერ ასარგებლებენ ვერაფერს მამულსა და თავიანთ მოძმეებს“. ე.ი. ივანე გვარამაძის მიერ თარგმნილი წიგნები კონსტანტინოპოლის ქართულ სკოლაში გამოიყენებოდა არა მარტო საგნის ხარისხიანად შესწავლისათვის, არამედ უნდა უზრუნველეყო

შეგირდებში ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთების აღზრდა.

პეტრე ხარისჭირაშვილი ივანე გვარამაძეს ერთ-ერთ წერილში სთხოვდა: „ძმაო, უფრო კარგი შრომა ის იქმნება, რომ ამ ჩემ დასტამბულს ოციოდე წიგნს გადასწერთ და გაასწორებთ სუფთა და ცოცხალ ქართულზედ და დამიმხადებთ“. მასწავლებელი მსუბუქად საყვედურობდა ივანე გვარამაძეს, რომ აღნიშნული წიგნების დაბეჭდვამდე ვერ მოიცალა და ვერ გააწყო მისთვის ჩვეულ „სუფთა ქართულზედ და დროება გახეთის ენაზე“, რის გამოც ე.წ. მამულას (მღვდელი იოსებ მამულაშვილი) ნათარგმნი წიგნები ცუდი ქართულის მიზეზით არ გაიყიდა. იქვე მიუთითებდა, რომ თვითონ ის, მღვდელი იოსები და ვინმე გიმნაზიადასრულებული გურული შეეცადნენ თარგმანის გასწორებას, მაგრამ ვერ შეძლეს, ამიტომ „თქვენ რჩევას გეკითხებით თუ რა საშუალებით, როგორ უნდა ვქნათ, რომ ესენი ცოცხალ ენაზედ გასწორდნენ“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2204).

როგორც პეტრე ხარისჭირაშვილის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, ივანე გვარამაძეს შეუსრულებია მასწავლებლის თხოვნა-დავალება: „მივიღე თქვენი გამოგზავნილი წიგნები, რომელთ თარგმანი კარგად მეჩვენა მე, იმედი მაქვს, რომ საზოგადოებასაც კარგად ეჩვენოს და გახდეს მისდა სასარგებლო და არა საკრიტიკო“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2645), – წერდა კონსტანტინეპოლიდან პ. ხარისჭირაშვილი და იმავე წერილში აცნობებდა, რომ უგზავნიდა 5 სომხურ წიგნს სათარგმნელად.

მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძეს სისტემატიურად უხდებოდა ფრანგული და სომხური ლიტერატურის თარგმნა. ცნობილია ისიც, რომ მან თურქულ ენაზე თარგმნა ლოცვა „თაყვანისა გცემ“. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვის შემდეგ ივანე გვარამაძე პროტესტის ნიშნად წირვა-ლოცვას თურქულ ენაზე წარმართავდა გარკვეული დროის განმავლობაში (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №3065).

ერთ-ერთ წერილში მამა პეტრე მიუთითებდა, რომ უნდა გაზრდილიყო ქართველი მღვდლების რიცხვი ახალციხის მხარეში, რომელთაც მოამზადებდა სავანეში.

ეს ყოველივე იმაზედ მეტყველებს, რომ ივანე გვარამაძე თანამშრომლობდა და მჭიდრო კავშირში იყო კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან, რომელიც საზღვარგარეთ ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ძლიერ ეროვნულ კერად,

რომლის მიზანს წარმოადგენდა ქართველი ხალხის გამოღვიძება-აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად.

ივანე გვარამაძე თანამშრომლობდა და მიმოწერა ჰქონდა სავანეში მოღვაწე მრავალ მამულიშვილთან. მის არქივში ინახება სავანის თითქმის ყველა მოღვაწის მიერ გამოგზავნილი წერილები. მათ შორის სავანის წინამძღვრების: სტეფანე გიორგიძის, ალფონს ხითარიშვილის, ბენედიქტე ვარდიძის, ალიოზ ბათმანაშვილის წერილები. აქვეა მიხეილ თამარაშვილის, ალექსანდრე მანველიშვილის, პეტრე მერაბიშვილის, პარმქსიზოვი ნინას, ანდრია წინამძღვრიშვილის, მარკოზ ხითარიშვილის წერილები და ა.შ. დასახელებულ პირთა წერილებში, გარდა პირადი საკითხებისა, საუბარია სავანის ცხოვრებაზე, მის სამომავლო გეგმებზე, საჭირბოროტო საკითხებზე, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებაზე. ყველა მათგანში ჩანს ივანე გვარამაძისადმი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა მისი, როგორც ერთგული მამულიშვილისადმი.

სტამბოლის სავანეში მოღვაწეთა ნაწილი ივანე გვარამაძის მეგობარი იყო, ნაწილი კი მისი მოწაფენი. ამიტომ, მათთან თანამშრომლობა ბუნებრივი და გარდაუვალი იყო. ამ ურთიერთობებიდან განსაკუთრებულად საყურადღებოა მისი და მიხეილ თამარაშვილის ურთიერთობა.

სწორედ ივანე გვარამაძისადმი მიხეილ თამარაშვილის მიერ გამოგზავნილი წერილებით (მათი რიცხვი 60 ერთეულს აღემატება) გახდა შესაძლებელი მათი, მასწავლებლისა და მოსწავლის დამოკიდებულების გარკვევა. ორივე მათგანის პიროვნების სრული გააზრება, მათი მოღვაწეობის შეფასება შეუძლებელია, როგორც ეპოქის, ასევე მათი თანამშრომლობის გააზრების გარეშე. ამჟამინდელი გადასახედიდან კიდევ უფრო ნათლად იკვეთება მათი ღვაწლი თავიანთი კუთხის, სამშობლოსა და ერის წინაშე. ბედისწერამ ერთმანეთის მხარდამხარ ქართველ კათოლიკეთა დაცვა, წარსულის კვლევა და ქვეყნის წინსვლისათვის ბრძოლა დააკისრა. ამ მამულიშვილების ურთიერთობას საფუძველი XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა. ორი მამულიშვილის თანამშრომლობა თითქმის მათ ერთდროულ სიკვდილამდე გაგრძელდა. ეს იყო საუკეთესო ნიმუში ორი თანამემამულის, ორი მამულიშვილის, ორი საზოგადო მოღვაწის, მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობისა (ამაზე აქ განსაკუთრებულ ყურადღებას

არ შევაჩერებთ). მოკლედ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ივანე გვარამაძე იყო ის ადამიანი, ვისგანაც სისტემატურ კონსულტაციებს, მითითებებს იღებდა მიხეილი, მას უწიარებდა შტაბეჭდილებებს მოძიებული მასალებისა თუ თავისი წიგნების შესახებ, მისი რეკომენდაციით ღებულობდა მოწაფეებს სავანეში, მისი ხელშეწყობით აგვარებდა ურთიერთობებს თავისი ოჯახის წევრებთან, სომხურენოვანი გაზეთებიდან მას ათარგმნინებდა საჭირო მასალებს. ამასთანავე, ამხნევებდა და თანაუგრძნობდა ხელისუფალთაგან აძულებულ მასწავლებელს.

ამიტომაც იყო, რომ ივანე გვარამაძისათვის თავზარდამცემი აღმოჩნდა მიხეილის გარდაცვალების ცნობა: „მაშინვე კალამი ხელიდან გამივარდა, თავზარი დამეცა, თავბრუ დამეხვა, გამიშრა სისხლი, გულღვიძლზედ შხამგესლით აქაფებული კაეშანი გარდამესხა და მეტად გამიმწარა უმისოდაც დანაღვლიანებული, დაშხამული სიცოცხლე მრავალნაირის დარდნაღველითა ამ სნეულს მოხუცებულობას. ეს რაღა უბედურება იყო ჩემს თავზედ, არ მეყოფოდა ჩემი სამშობლო-მამულის უშველებელი ჯავრი, ნაღველი, რის გამოც ჩემი თავი დავიწყებული მაქვს და დღე-დამ უნუგეშოდ დავსტირი“. (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2376)

მიხეილი ივანე გვარამაძისათვის იყო არამარტო საყვარელი მოსწავლე, არამედ ერის მოამაგე, მეცნიერი, ქართველ კათოლიკეთა დიდი ქომაგი. იგი იმის გამოც წუხდა, რომ არ ეგულებოდა მიხეილის საქმის ღირსეული გამგრძელებელი: „მუხლებს ვიტყებ და თავში ვიცემ, რომ აღარავინ მეგულება მისი მომაგიერე, მისებრ ნამდვილი განათლებული, რომ ცოტა კიდევ ეცოცხლა, ვინ იცის რომის და ევროპის საწიგნეებში რამდენს დიდ სასარგებლო ისტორიული ცნობით როგორ გაგვამდიდრებდა და გაგვიმაგრებდა წელ-ზურგსა“.

ივანე გვარამაძის გოდება სამართლიანი იყო. მიხეილმა დიდი ამაგი დასდო სამშობლოს და განსაკუთრებით ქართველ კათოლიკეებს. ევროპის არქივებში მოძიებული მასალებით მეცნიერულად დაასაბუთა ქართველი კათოლიკე მრევლის რეალური არსებობა საქართველოში, რითაც საკადრისი პასუხი გასცა ცილისმწამებლებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი მამულიშვილის მოღვაწეობის უპირველესი შედეგი ის იყო, რომ მათ სამხრეთ საქართველოს ქართულ მოსახლეობაში გააღვიძეს

მიძინებული ეროვნული თვითშეგნება და ამით თავიდან აიცილეს გადაგვარების რეალური საფრთხე.

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, ივანე გვარამაძის თანამშრომლობა სტამბოლის სავანესთან იმითაც გამოიხატებოდა, რომ იგი უწევდა საჭირო რეკომენდაციას იმ მოსწავლეებს, რომელთაც სავანეში სურდათ განათლების მიღება. ასეთ ადამიანად მოიაზრება მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე და შემდგომში სტამბოლის მამათა სავანის წინამძღვარი (1922-1937წწ.) – ალიოზ (შიო) ბათმანაშვილი. ერთ-ერთ წერილში ალიოზი მასწავლებელს სწერდა: „მადლობას გიძღვნი იმისათვის, რომ ჩემი აქ გამოგზავნა ინებეთ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2695). საერთოდ კი მისი წერილები ასეთი მინაწერით მთავრდება: „თქვენი უღირსი მოწაფე ალიოზ ბათმანაშვილი“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2663). „დიდის კლემით თავს დაგიკრავთ მე ალიოზ გრიგორის ძე ბათმანაშვილი, თქვენი ძველი მოწაფე კონსტანტინეპოლით ახალციხეს,“ „თქვენგან გამოგზავნილი ალიოზ ბათმანაშვილი“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2664) და ა.შ.

როგორც მისი დღიურებიდან და მიმოწერებიდან ჩანს, იგი აქტიურად იყო ჩაბმული სავანის ცხოვრებაში. მას სამშობლოშივე ჰყავდა თავისი იდეალი. ეს იყო მისი პირველი მასწავლებელი და ყველასათვის საპატივსაცემო პირი – ივანე გვარამაძე. თავისი მასწავლებლისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ალიოზი მისადმი გაგზავნილ თითქმის ყველა წერილში ამჟღავნებდა. 1907 წელს იგი სწერდა (ს.ქ.კ.ს.მ., 2009): „თქვენი ბიოგრაფია წავიკითხე ზაქარია ჭიჭინაძისაგან შედგენილი. ძალიან მომეწონა აღწერილი ცხოვრება. იგი მიმიღია გეგმად ჩემის მოქმედებისა. ღვთის სიტყვებთან ერთად მამულის სიყვარულს ვუქადაგებ ჩემს მოსავლელ მრევლს, თუ ღმერთმა ინება ჩემი მღვდლად მოწოდება... თქვენი ნაწერები დია მომწონს. ზაქარია ჭიჭინაძეში წავიკითხე რომ აგიხსნიათ 13000 ახალი სიტყვები, არ ვიცი თუ სადმე დაგიბეჭდიათ ესენი. თქვენზედ გამიგონია, რომ კონსტანტინეპოლში ყოფნისას სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ზეპირად გისწავლიათ... აგრეთვე ძალიან მომწონს თქვენი მოღვაწეობა მწიგნობრობაში და გარდაწყვეტილი მაქვს ამაშიც თქვენ მოგბაძოთ. თქვენსავით დიდის ყურადღებით შევაგროვებ ჩვენი ძველი ცხოვრების ნაშთს. არ გეგონოთ რომ ეს მხოლოდ ჭაბუკობის აღტაცება იყოს. ეს შრომა კიდეც დაწყებული მაქვს. ჩვენი მონასტრის ბიბლიოთეკაში უყურადღებოდ მიყრილნი იყვნენ რამდენიმე

ხელნაწერები, მღილთაგან შეჭმულნი და ნოტიობისაგან დაზიანებულნი. ესენი შევაგროვე და სულ გავჩხრიკე. ჯერჯერობით 10 ხელნაწერი მაქვს ხელში. ამათგან ოთხზე თქვენი ხელი აწერია.“

ალიოზ ბათმანაშვილის წერილებიდან და ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ მას თავისი მასწავლებლის მიმართ მამაშვილური სიყვარული ჰქონდა. „ახ რა კარგი იქნებოდა, რომ ხანდისხან ჰაერის გამოსაცვლელად აქეთკენაც გამოივლიდეთ, ძალიან სასიამოვნოდ დაგვრჩება ჩვენ ყველა მოსწავლე ქართველებს“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2695), – წერდა იგი. მის შემოქმედებას დანატრებული სურვილს გამოსთქვამდა, რომ ივანე გვარამაძეს თავისი ხელნაწერები შეეწირა საგანისათვის, რომელსაც სიამოვნებით განათავსებდნენ „ევროპულს გემოზედ აშენებულ სახლში“.

საგანეში მყოფ პირებს ივანე გვარამაძე ეიმედებოდათ და თუ რაიმე საქმის მოგვარება სჭირდებოდათ სამშობლოში, მას სთხოვდნენ. გამონაკლისს არც ალიოზ ბათმანაშვილი წარმოადგენდა. იგი თავის განცდებს, შეხედულებებს მას უზიარებდა, დახმარებასაც მას სთხოვდა: „კიდევ ორი წიგნი გვაკლია: ქართული ლიტერატურა და ქართული ლექსიკონები. ამისთვის გთხოვთ ეს ორი წიგნი მიშოვნოთ. გამომირჩიეთ ერთი კარგი ლექსიკონი“ (ს.ქ.კ.მ.ს.მ., 2009). მისივე წერილებიდან ირკვევა, რომ საგანეში დიდი ყურადღება ექცეოდა მოზარდების ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. მათი სახით ამზადებდნენ ქართველი ხალხის ინტერესების დამცველ მღვდლებს. ერთ-ერთ წერილში იგი ივანე გვარამაძეს სწერდა: „წმინდა ალიოზის სემინარიაში ბევრი სომხები არიან. დაგვცინიან მესროფმა თქვენი ანბანი გამოიგონაო. ჩვენ მიულერისა და ჯანაშვილის ნაწერებით დავუმტკიცეთ, რომ მართალი არ არის მათი სიტყვა“ (ს.ქ.კ.მ.ს.მ., 2009).

საგანეში სასწავლებლად გაგზავნილი მოზარდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს თავის მცდელობას არ აკლებდა ივანე გვარამაძეც. უპირველესად იგი საგანეში მოღვაწეთ ერთობისაკენ მოუწოდებდა: „თქვენს წერილში ერთობაზე გვიქადაგეთ. ძალიან კარგა მოიფიქრეთ მაგაზე ლაპარაკი. მოგეხსენებათ ქართველების დამღუპველი სენი შეუერთებლობა ყოფილა და ახლაც იგი ძვალრბილში გაგვჯდომია. ჩვენმა მაესტრომ შესაფერად შეისწავლა საქართველოს ისტორია და მითხრა: დია ბრწყინვალე ისტორია

გაქონან, დიდებული მაგრამ ერთობა არ გქონიათ. ამით წაგიხდათ საქმეო. ეჰ. რაც გინდა შეერთებულნი იყვნენ ქართველები, სხვებთან შედარებით მათი ერთობა განხეთქილებას ემსგავსება და ამ მხრივ დარიგება მუდამ ესმოდეთ ცუდი არ იქნება“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2663).

ალიოზ ბათმანაშვილი დეტალურად მოახსენებდა თავის მასწავლებელს სავანეში მომხდარ ამბებს. გარკვეულ საკითხებზე სთხოვდა კომენტარსა და რჩევა-დარიგებას. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია იყო ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი ქართველი ხალხისათვის. იგი ივანე გვარამაძეს სწერდა: „ქართველთ ეკლესიის ავტოკეფალობაზე რომ ცნობები გადმოგვეცით, ყველას წავუკითხე, ყველანი სმენად გადაქცეულიყვნენ. ვისურვებთ შეგვატყობინოთ თუ როგორ მიდის ავტოკეფალობის საქმე“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ., №2663).

ალიოზ ბათმანაშვილის ივანე გვარამაძისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული იგრძნობა მის მიმართ წარმოთქმულ თითოეულ ფრაზაში. ამიტომაც იყო, რომ ივანე გვარამაძის გარდაცვალების ცნობა თავზარდამცემი აღმოჩნდა ქართველი საზოგადოებისათვის. რადგან როგორც პეტრე ტატალაშვილი იტყოდა: ივანე გვარამაძეს ეგოდენი ღვაწლი მიუძღვის მთელი ქართველი ეროვნებისა და მეტადრე კათოლიკობის წინაშე. ამიტომაც იყო, რომ 1912 წლის 11 მკათათვეს ფერიქოის ეკლესიაში მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს, სადაც ვრცელი სიტყვა მისი მოღვაწეობის შესახებ წარმოსთქვა პადრე შიო ბათმანაშვილმა (ს.ქ.კ.მ.ს.მ., 2009).

ალიოზ ბათმანაშვილმა სამძიმრის წერილი გამოუგზავნა მის შვილებს: „მამი თქვენის მღ. ივანე გვარამაძის სიკვდილმა დიდათ დაგვალონა. ფასდაუდებელ მამათქვენს მარტო თქვენ რიდი მისტირით, არამედ ბევრი სხვანიც მოიპოვებიან და მეც აქაურ ბერ-მონაზვნებითურთ მონაწილეობას ვიღებთ თქვენს სამართლიან მწუხარებაში“.

ივანე გვარამაძისადმი ალიოზ ბათმანაშვილის მიერ გაგზავნილ წერილებში ასახულ ინფორმაციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მასალები სავანის წინამძღვრის ალფონს ხითარიშვილის შესახებ. აღნიშნულ მასალებში ჩანს მისი თვალით დანახული წინამძღვარი, მისი ცხოვრება-მოღვაწეობა და სულისკვეთება. „მაისის 24-ს ფერიკვევის ჩვენს მონასტერში პროცესიონი იყო. ალფონსმა იქადაგა. ხალხის სიმრავლეზე რაღა ვთქვა: ჩვენი პატარა საყდარი გადაჭედილი იყო და გარეთაც

ორი ყანა სულ დაფარული. ვროპელებს, თათრებს, სომხებს, ყველა თესლებს თავი აქ მოეყარათ კონსტანტინეპოლში, რასაც დიდის სიამოვნებით დაესწრნენ. თითქმის ყველანი ახალციხის მაზრიდან არიან მაგრამ სახე სულ გამოსცვლიათ, ასე რომ მათი ქართველობა მარტო ენით გავიცანი" (ს.ქ.კ.მ.ს.მ., 2009), – წერდა იგი 1903 წელს.

ალიოზ ბათმანაშვილი ივანე გვარამაძეს 1907 წელს გაგზავნილ წერილში სწერდა: „ჩვენი წინანდელი უფროსი პადრე ალფონსი, ღირსად სახსენებელი, გვეუბნებოდა: ამდენი ხანია მონასტერი არსებობს და ერთი მცირედი დახმარება საქართველოს შვილისგან არ მოსვლია და განა მონასტერი ჩვენთვის არის თუ საქართველოს შვილებისთვის. მე თუ პირადად მონასტერში შევდივარ ეს მხოლოდ მამულის გარდამეტებული სიყვარულით არის, თვარემ ქვეყანაში ცხოვრებისა არ მეშინია. თუ საქმე გაჭირდა, ზურგით ბარგს ვატარებდი და ლუკმაპურს მოვიშოვნიდი" (ს.ქ.კ.მ.ს.მ., 2009).

ალიოზ ბათმანაშვილი ამ წერილით ქართველ საზოგადოებას შეახსენებდა სტამბოლში არსებული ქართული სავანის მნიშვნელობას საქართველოსათვის. ამასთანავე სავანეში მოღვაწე პირების თავგანწირვას ქვეყნისათვის. იმ ადამიანებს, რომლებმაც სრულიად ბავშვებმა უარი თქვეს საკუთარ მე-ზე და ქვეყნის სამსახურში ჩადგნენ. მათი უმრავლესობა უცხოეთის ცის ქვეშ ცხოვრობდა ისე, რომ არც კი ღირსებიათ სამშობლოს ხილვა და მშობლიური მიწის გულზე დაყრა.

ევგენიო დ'ალეჯიო დ'ალესიო წიგნში „ქართველები კონსტანტინეპოლში" მიუკერძოებლად ახასიათებს ქართველ მამათა სავანეს: „ეს საზოგადოება დასაბამიდან დღემდის თავისი არსებობით უცხოეთში, ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ. ნახევარი საუკუნის განმავლობაში, თუმცა ამ სავანის მამანი მოკლებულნი იყვნენ საქართველოს ხალხის კულტურულ ცხოვრებას, მაინც ეს სავანე აქ, უცხოეთში ეროვნულ კერად გარდაქმნეს, სადაც მუდამ არა მარტო მრავალ ქართველ ახალგაზრდობამ შეაფარა თავი, არამედ მრავალ პოლიტიკურ მოღვაწემაც კი, განურჩევლად სარწმუნეობისა და მისწრაფებისა. ამავე საზოგადოების წყალობით, ვატიკანი და საფრანგეთის მთავრობა მარადის ეცნობოდნენ საქართველოს და ქართველების ისტორიას და თანამედროვე მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას" (დ'ალესიო 1921).

ივანე გვარამაძე ერთი იმ ქართველთაგანი იყო, რომელმაც კარგად იცოდა სავანისა და იქ მყოფთა მოღვაწეობის მნიშვნელობა საქართველოსათვის. თვითონ სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ედგა მხარში მათ და რამდენადაც შეეძლო, უმსუბუქებდა უსამშობლოდ ცხოვრების მძიმე ტვირთს. ასეთი დამოკიდებულებითა და საერთოდ მრავალმხრივი მოღვაწეობით იგი გულწრფელად შეიყვარეს თანამედროვეებმა. სწორედ ამიტომ, მისი დალუპვის ცნობა (1912წ. 24 მაისი) მტკივნეული აღმოჩნდა ქართველი ერისათვის. „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილ ნეკროლოგში ვკითხულობთ: „მამა ივანე გვარამაძე თითით საჩვენებელი მაგალითი იყო იმისა, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს ნამდვილი დანიშნულება ქრისტეს უკვდავ მცნებათა მქადაგებლისა... საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე, უტყუარის საბუთებით აღჭურვილი, ის ცოცხალი სიტყვა-ქადაგებით, თუ მწერლობით მედგრად და თავგამოდებით იცავდა ერთხელვე გარკვეულ ეროვნულ იდეას“ (გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1912: №609).

გამოყენებული ლიტერატურა:

ს.ქ.კ.ს.მ. 2009 – სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მასალები, შ. ვარდიძე, „წერილი სტამბოლიდან“, 1930.

ს.ქ.კ.ს.მ. 2009 – სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მასალები, პიო ბალიძის წერილი სანდრო სააკაშვილისადმი, 1949.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2646 – პეტრე ხარისჭირაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2204 – პეტრე ხარისჭირაშვილის წერილი ივანე გვარამიძისადმი.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2645 – პეტრე ხარისჭირაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3065 – ილია მაისურაძე, მესხეთ-ჯავახეთის მოღვაწენი.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2376 – ივანე გვარამაძე, სიტყვა თქმული მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებაზე, 1911.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2695 – ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2663 – ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2664 – ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი. ს.ქ.კ.ს.მ. 2009 – სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მასალები, ალიოზ ბათმანაშვილის დღიური.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2695 – ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009 – ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009 – ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2663 – ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი. ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009 – ალიოზ ბათმანაშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილისადმი.

ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009 – ალიოზ ბათმანაშვილის წერილი რედაქტორისადმი.

დ'ალესიო 1921 – ევგენიო დ'ალეჯიო დ'ალესიო, „ქართველები კონსტანტინეპოლში", 1921.

სიორიძე, 2002 – მ. სიორიძე, კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე საქაართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, თბ., 2002.

გაზეთი „სახალხო გაზეთი", №609, 1912.

გაზეთი „იმერეთი", №101, 1914.

Nato Kruashvili

IVANE GVARAMADZE'S COLLABORATION WITH GEORGIAN CLOISTER OF ISTANBUL

(the 100th anniversary)

Summary

Ivane Gvaramadze collaborated with Petre Kharischirashvili and the Cloister established by him in Istanbul. He was Petre Kharischirashvili's one of the first students and participants in establishing the Cloister in Istanbul.

After returning from Istanbul Ivane Gvaramadze, provided with certain ideas and plans, began an active social life and gathered all the patriots around him. The strongest hotbed of Meskhetian Enlightenment was established under his leadership in Samtskhe – Javakheti in XIX c.

Ivane Gvaramadze was the very man, who systematically gave an advice and instructions to the residents of Cloister. They used to share their impressions with him, took students to Cloister by his recommendations and regulated their relations with their family members. Ivane Gvaramadze translated necessary materials from Armenian newspapers. Ivane Gvaramadze knew the importance of Cloister very well and its residents' activities for Georgia. He was a hope of inhabitants of the Cloister and if they needed to regulate some affairs in their homeland they asked him to do it. He often translated French and Armenian texts books by the request of Peter Kharischirashvili. Later the books were used at Georgian schools to study the subject well As it is seen from his letters, he was actively involved in the life of Cloister, he worked out plans for the future and made joint decisions on all important issues.

მაკა ბერიძე

უცხოურ სიტყვათა მართლწერისათვის

ენა ცოცხალი ორგანიზმია, შესაბა მისად, იგი იცვლება და ვითარდება. ცვლილებათა სიხშირე და ტენდენცია დაკავშირებულია საჭიროებებთან, რომელთა მიხედვითაც ადამიანი ცდილობს, უფრო გასაგები გახადოს თავისი აზრები. ენაში მომხდარი ცვლილებები ყოველ მოლაპარაკეზე აისახება, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ თითოეულ ენობრივ მოვლენას თავისი საზღვრები აქვს. ყოველმა მოლაპარაკემ რომ დაიწყოს ენაში ცვლილებების შეტანა, იგი შეწყვეტდა თავისი დანიშნულების მიხედვით ფუნქციონირებას. მიუხედავად იმისა, რომ ნორმისათვის ობიექტური საფუძვლის შექმნა ენის სპეციალისტს ევალება, მწერალს, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებს, საერთოდ, სამწერლო ენის მომხმარებელთა ფართო წრეს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სალიტერატურო ენის ფორმირება გარკვეულ პრინციპებს ეფუძნება.

მეცნიერები გამოყოფენ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების შემდეგ პრინციპებს:

„1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების დროს მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს დამკვიდრებული ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, არ უნდა შეიქმნეს ხელოვნური ნორმები, ცოცხალი ენისაგან დაშორებული.

2. გადასინჯვას არ მოითხოვს და უცვლელად უნდა დარჩეს ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მონაცემი, რომელიც სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება, მაშინაც კი, როცა ის საგანგებოდ უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული თვალსაზრისით (დაღმა, აქაური, იქაური, ვდგავარ, ვზივარ), რასაც უეჭველად სოციალური სანქცია აქვს, ის საკითხად ვერ იქცევა.

3. როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილე მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა იჩენს თავს, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის სასარგებლოდ, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეგუება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას;

ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას;

გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია და

დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

შენიშვნა: იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილედ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი დარჩნენ პარალელურად.

4. ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა.

ამ შემთხვევაში მოცილე მოვლენათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;

ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად;

გ) მისადებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით“ (სალინაძე, 2006:14).

სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის საკითხი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე უცხოური სიტყვების მართლწერას ეხება. უცხოური სიტყვების მართლწერასთან დაკავშირებულ პრობლემებს რამდენიმე საკითხთან მივყავართ. პირველი - ეს არის ნასესხობები ენაში, მეორე - თარგმანთან დაკავშირებული მართლწერის წესები (საკუთარი სახელები, ტერმინები). ენათმეცნიერები სესხების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ესთეტიკურ ფაქტორთა გვერდით მიმღებ ენაში საგნებისა და ცნებების განსაზღვრის არარსებობას ასახელებენ. სწორედ ამ ფაქტორს უწყობს ხელს საინფორმაციო ტექნოლოგიების გაფართოება, გლობალური საკომუნიკაციო სივრცის შექმნა, ინტერნეტის გავრცელება და მისი მოხმარების გაფართოება. დღეს ბევრს საუბრობენ ქართულ ენაში უამრავი ინგლისურენოვანი სიტყვის შემოჭრასა და მათ გამოყენებაზე.

საკამათო არ არის, რომ სესხება მაშინ არის წარმატებული, როდესაც ის მიზნობრივია, გამოიყენება კონკრეტულ საკომუნიკაციო ქმედებაში. თუ ნასესხობა ამ ფუნქციას ენაში ვერ ასრულებს, რჩება უცხო სხეულად. ასეთი ერთეულები გვხვდება ინგლისური ენიდან შემოსულ სიტყვებს შორისაც. ქართულში დღემდე არსებობს სიტყვები, ანგლოამერიკული ნასესხობა, რომლებიც გაუგებარია ენობრივი კოლექტივის უმრავლესობისათვის. იმ პიროვნებებისათვის კი, რომელთათვისაც გასაგებია, ხშირ შემთხვევაში კულტურულად მიუღებელია. „ნებისმიერი ნასესხობა, მათ შორის ანგლოამერიკანიზმებისა, ენაში თავისი როლის მიხედვით უნდა დაიყოს სამ ჯგუფად: 1) მყარი ნასესხობანი, რომლებიც ემორჩილებიან მიმღები ენის სისტემას და იძენენ ცნების აღმნიშვნელ ფუნქციას (მინისტრი, ჯინსი, ტრამვაი, და ა. შ); 2) სესხებები, რომლებიც ემორჩილებიან ენის სისტემას, მაგრამ სტილისტიკურად ჯერ ისევ შეზღუდულები, შემოსაზღვრულები არიან და ძირითადად მწიგნობრულ სტილში არიან რეალიზებულნი (პრეს-რელიზი, დილერი, ჰოლდინგი, რეიტინგი); 3) დროებითი, არამყარი ნასესხობანი, რომლებიც არ არის ასიმილირებული რეციპიენტ, მიმღებ ენაში და მათი დამკვიდრების პერსპექტივაც მინიმუმია (ჰაიტეკი – მაღალი ტექნოლოგიები, სფიჩი – საზეიმო სიტყვა) და ა. შ.“ (გოჩიტაშვილი, 2011:37). ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, თუმცა, ამჯერად ჩვენი ყურადღება სხვა საკითხმა მიიპყრო. დავუშვით, რომ ყველა სიტყვა, რომელიც უცხოური ენებიდან შემოდის ქართულისთვის, საჭიროა. იმაზეც შევთანხმდით, რომ მიმღებ ენაში (ჩვენს შემთხვევაში ქართულში) არ არსებობს ამა თუ იმ ცნების გამომხატველი სიტყვები და ამიტომ უცხო სიტყვები სალიტერატურო ქართულში უნდა დავამკვიდროთ. ბუნებრივია, დგება მათი მართლწერის, ანუ რომელიმე უცხოური ენიდან სწორად გადმოქართულების საკითხი. ამ საკითხების კვლევამ თარგმანთან, მის სპეციფიკასა და წესებთან მიგვიყვანა. სრული ეკვივალენტურობა თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში აუცილებელი მოთხოვნაა, თუმცა, სრული ეკვივალენტობის მისაღწევად მიმართული ძალისხმევა ხშირად არასასურველ უკუეფექტსაც იწვევს. „უცხო“, „შემოჭრილი" კულტურის ელემენტები და ერის კულტურის ყველა ნიუანსი მის ენაში აისახება. ნებისმიერი ენა სპეციფიკური და უნიკალურია, რადგანაც სხვადასხვაგვარად ასახავს სამყაროს და ადამიანს ამ სამყაროში.

იმისათვის, რომ სწორად ვწეროთ უცხოური სახელები, აუცილებელია შესაბამისი წესებისა და პრინციპების ცოდნა, ტრანსკრიფციის საფუძვლების გააზრება, საკუთარი სახელის ბუნების გაგება, უცხოური სახელების გადმოცემის სხვადასხვა საშუალების ცოდნა. საკუთარი სახელი, ანუ ანთროპონიმი ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

ანთროპონიმი პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალებას და კულტურის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ ონომასტიკა ლინგვისტების ყურადღებას ყოველთვის იქცევდა, ისინი ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ამ კატეგორიის ლექსიკური ნიშნების სხვადასხვა ენაზე გადატანის კანონზომიერებებით, საკუთარი სახელების თემა თარგმანში მე-20 საუკუნის ბოლოს გაჩნდა. ლინგვისტების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ საკუთარი სახელები თარგმნის ხელოვნების შესწავლაში განსაკუთრებულ ყურადღებას არ საჭიროებდა, ვინაიდან თარგმნის დროს ხდებოდა მათი ტრანსკრიფცია ან ტრანსლიტერაცია. ამგვარ მიდგომას არასწორად მიიჩნევდა ერმოლოვიჩი, ვინაიდან „ენობრივ გარემოში მათ (საკუთარ სახელებს) რთული აზრობრივი სტრუქტურა, უნიკალური ფორმა და ეტიმოლოგია აქვთ. ამ სახელების სხვა ენაზე გადატანის დროს, ამ თვისებების უდიდესი ნაწილი იკარგება. საკუთარი სახელების თავისებურებების იგნორირების შემთხვევაში, მათ სხვა ლინგვისტურ რეალობაში გადატანამ შესაძლოა არა მარტო გააიოლოს, არამედ პირიქით, გაართულოს სახელის მატარებლის იდენტიფიკაცია საზოგადო სახელებისაგან განსხვავებით, საკუთარ სახელებს უნივერსალურობის ტენდენცია აქვთ. საკუთარი სახელები ენათაშორისი კომუნიკაციისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს და თარგმნისა და უცხო ენების შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს“ (ერმოლოვიჩი, 2001:3).

სახელებისა და დასახელებების თავისებურება სხვა ნასესხები სიტყვებისაგან განსხვავებით იმაში მდგომარეობს, რომ სხვა ენაზე გადმოცემის დროს ისინი ძირითადად თავიანთ საწყის ღერძადობას ინარჩუნებენ. ამის მიზეზს საკუთარი სახელების სემანტიკური სტრუქტურის სპეციფიკა წარმოადგენს. ზოგადად, დასახელებებისა და სახელების უმრავლესობის გადატანა გრაფიკულად ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში და ნებისმიერ ენობრივ კოლექტივში საკუთარი სახელის ფუნქცია საგნის იდენტიფიცირებაა, ხშირ

შემთხვევაში სახელს ენობრივ-ნაციონალური კუთვნილება აქვს. ჟურნალისტებს ყოველდღიურად უხდებათ უცხოური სახელებისა და დასახელებების წერა. ბევრი ჟურნალისტი თვლის, რომ საკუთარი სახელები ავტომატურად ითარგმნება. ასეთი მიდგომის შედეგია უცხოენოვანი სახელების თარგმნისას დაშვებული მრავალრიცხოვანი შეცდომა თუ უზუსტობა. ანთროპონიმების თარგმანთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად ფონეტიკური და მორფო-სინტაქსური განსხვავებებითაა გამოწვეული, რადგან ის, რაც ერთ ენაში ადვილად წარმოითქმის და ბუნებრივად თავსდება მორფო-სინტაქსურ სტრუქტურაში, ვერ თავსდება სხვა ენის სტრუქტურაში. ტერმინ „ტრანსლიტერაციის“ განმარტებისათვის მივმართეთ ქართული ენის ენციკლოპედიას (ქქე, 2008:460), სადაც განმარტებას თან ახლავს ინგლისური ენის ბაზაზე ენათმეცნიერების ინსტიტუტში შემუშავებული ტრანსლიტერაციის სისტემა. თუკი ამ სისტემას, რომელიც ნამდვილად სარწმუნო წყაროს წარმოადგენს, თვალს გადაავლებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, მიხვდებით, რომ ამ მხრივ დღეს ნამდვილად არასახარბიელო მდგომარეობაა. ერთ-ერთ მაგალითად იმ საგზაო მაჩვენებლების მოტანაც შეიძლება, რომლებზეც ქართულ-ინგლისურადაა მითითებული საქართველოს სოფლები, ქალაქები, მდინარეები და სხვ. ტრანსკრიფცია – წარმოადგენს ნაკლებ ფორმალურ მეთოდს, რომელიც სხვადასხვა ენაში განსხვავებულია. ზოგადად, ტრანსკრიფცია გულისხმობს ანთროპონიმის თარგმნას ორიგინალის ფონეტიკის მაქსიმალური დაცვით. ტრანსკრიფციას თითქმის ყველა საკუთარი სახელი ექვემდებარება: ადამიანების, გეოგრაფიული დასახელებები, ციური სხეულები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, ფირმები, სასტუმროები, რესტორნები, ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებები. თუმცა, ერთი ენის ფარგლებში შეიძლება ერთი და იმავე დასახელების სხვადასხვა ვარიანტი არსებობდეს. ტრანსკრიფციაში შეუძლებელია ყველაფრის ფორმალიზება. ტრანსკრიფციას, თარგმანსა და ტრანსლიტერაციას შორის მსგავსება იმაშია, რომ ისინი რომელიმე ენიდან სათარგმნ ენაში სიტყვის გადმოცემის საშუალებად გამოიყენება, განსხვავება კი ამ გადმოცემისათვის გამოყენებული ხერხებია (თუკი ტრანსკრიფციის დროს, რომელიმე სიტყვა არაკეთილხმოვნად ისმის ან უწმაწურ სიტყვასთან ასოცირდება, მაშინ მიზანშეწონილია ფონეტიკური

პრინციპებიდან და ტრანსკრიფციის წესებიდან გადახვევა (ერმოლოვიჩი, 2001:25).

ტრანსკრიფციასა და ტრანსპოზიციასთან ერთად ანთროპონიმების გადმოცემის პრაქტიკაში არსებობს კიდევ ერთი, ნაკლებად შესწავლილი – ტრანსპოზიცია. ტრანსპოზიცია ეტიმოლოგიური შესატყვისის პრინციპია და გულისხმობს სემანტიკურად იდენტური, მაგრამ სინტაქსურად განსხვავებული ლექსემის გამოყენებას. საკუთარი სახელის ტრანსპოზიცია ითვალისწინებს ორიგინალის ენის საკუთარი სახელის ჩანაცვლებას სათარგმნ ენაში არსებული ფორმით. სხვადასხვა ენაზე არსებული საკუთარი სახელები, რომლებიც ფორმით განსხვავდებიან, მაგრამ აქვთ საერთო ლინგვისტური წარმომავლობა, შეიძლება გამოვიყენოთ ერთმანეთის გადმოსაცემად. ზოგჯერ ტრანსპოზიცია რეგულარულად გამოიყენება, ზოგჯერ კი მას ეპიზოდური ხასიათი აქვს (გეორგეს – გიორგი, ჟუან – ივანე) (ერმოლოვიჩი 2001, 15). ავიღოთ, მაგალითად, Gerhard Schröder – გერჰარდ შროდერი და George Bush – ჯორჯ ბუში. ამ სახელების თარგმნის დროს ფრანგები ფრანგულ ვარიანტს იყენებენ და „ჟორჟ ბუშს“ და „ჟერარ შროდერს“ გამოთქვამენ. ტრანსპოზიცია ძირითადად გამოიყენება ისტორიული, ბიბლიური პერსონაჟებისა და მოხარკების გადმოსაცემად. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთების დასახელებას, თარგმნისას, ძირითადად, ხდება მათი ტრანსკრიფცია:

„Le Figaro" - გაზეთი „ლეფიგარო“;

„24 საათი - 24 საათი“;

„კვირის პალიტრა“- „კვირისპალიტრა“ და ა.შ.

თუ მთარგმნელი იყენებს ისეთ ენებს, რომლებსაც განსხვავებული გრაფიკა აქვთ, მაშინ ის საკუთარი სახელების ტრანსკრიბირებას არსებული წესებით ახდენს, თუკი მათ ერთნაირი გრაფიკა აქვთ, მაშინ სახელი უცვლელად გადადის. თუმცა, გარკვეული სირთულეები ანთროპონიმების ტრანსკრიბირების დროს მაინც არსებობს, რაც გაგების დროს შეცდომებს იწვევს და ერთი უცხოური სახელის ორი ან მეტი ვარიანტის შექმნის შესაძლებლობას ქმნის.

უცხოური სიტყვების მართლწერის საკითხებთან მიმართებით მნიშვნელოვანია ტერმინების თარგმანზე დაკვირვება. როგორც დამანა მელიქიშვილი აღნიშნავს, „ძველ მოღვაწეთა ტერმინშემოქმედებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი პრინციპების მიხედვით ტერმინი უნდა შექმნილიყო ქართული

ძირებისა და აფიქსების საშუალებით: ტრანსლიტერაცია და სესხება იშვიათი გამონაკლისი იყო; ტერმინს ზუსტად უნდა აესახა შესაბამისი ცნების შინაარსი, უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე, მოტივირებული; ტერმინი გამორჩეული უნდა ყოფილიყო ყოფითი ლექსემისაგან როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური სისტემურობით; ტერმინსა და ცნებას შორის ცალსახა მიმართება უნდა ყოფილიყო: ტერმინი მონოსემიური უნდა ყოფილიყო; ტერმინი უნდა ყოფილიყო მოკლე და სხარტი. ამ პრინციპების განხორციელება ყოველთვის შეუძლებელი იყო და ახლაც შეუძლებელია, რამდენადაც მეცნიერული ენა, ისევე, როგორც საზოგადოდ, ყოველი ცოცხალი ენა, არ არის სტატიკური და განვითარების კანონებს ემორჩილება, მაგრამ ამ იდეალური სისტემურობისაკენ სწრაფვა მოითხოვდა „ენის ხელოვნებისა და დრამმატიკოსობის“ დაუფლებას, ენის „ობისა (არსის) და ქცევის (ფორმაცვალების)“ შესწავლას, სიტყვათა „შეწყობისადა დაშლის“ (სინტაქსის) ოსტატობაში გაწაფვას (მელიქიშვილი, 2012:34). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიული ცენტრის“ შემოქმედებით გუნდს ინგლისურ-ქართულ სამხედრო ლექსიკონსა და ინგლისურ-ქართულ ბიოლოგიურ ლექსიკონზე მუშაობის პროცესში გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა: „ბიოლოგიურ ლექსიკონზე მუშაობისას მოულოდნელად უცხოური წარმოშობის ტერმინების მართლწერის პრობლემაც წამოიჭრა: როგორც აღმოჩნდა, ქართველი ბიოლოგები და მედიკოსები (როგორც ჩანს, რუსული, ნაწილობრივ, შესაძლოა აგრეთვე ინგლისური ენის გავლენით) უმართებულოდ ამბობენ „აუტოიმუნურს“, „ეუკარიოტს“, „ეუქრომატულს“ და ა.შ., ნაცვლად სწორი, ქართულისთვის ბუნებრივი და ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმებისა „ავტოიმუნური“, „ევკარიოტი“, „ევქრომატული“ და ა.შ. თანაც სწორი „ავტო“, „ევ“ პრეფიქსებით დაწყებული ფორმების ხმარების აუცილებლობის აზრიც კი მათში გარკვეულ მიუღებლობას და აგრესიასაც იწვევს“ (მარგალიტაძე, 2012:123).

თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ზემოთდასახელებული პრობლემა ერთი კონკრეტული დარგის პრობლემა არ არის. ვლადიმერ პაპავა წერს: „ახალი ეკონომიკური ტერმინები ხშირად გამოიყენება მცდარად. კერძოდ, ტერმინი „მენეჯერი“ გამოიყენება არა მარტო იმ პირის აღსანიშნავად, რომელიც კომპანიას მართავს, არამედ, მაგალითად, მინისტრის

მნიშვნელობითაც. ინგლისურში გამოიყენება ორი ტერმინი – „Manager“ და „Governor“. პირველი არის ის პირი, რომელიც ფირმას მართავს, ხოლო მეორე – ვინც სახელმწიფო უწყებას. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ქართულში ტერმინი „მენეჯერი“ დამკვიდრებულად შეიძლება ჩაითვალოს, სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელად უმჯობესია ტერმინი „მმართველი“ გამოვიყენოთ, რომელიც ინგლისური „Governor“–ის ქართული შესატყვისი ტერმინი იქნება. ახალი ტერმინების ფორმირების პარალელურად გრძელდება ძველი შეცდომები, ქართული ენის მრავალფეროვნების უგულებელყოფა. მაგალითად, ტერმინი „გადასახადი“ გამოიყენება „გადასახდელის“ მნიშვნელობითაც, მაშინ როცა ინგლისურში მკაფიოდ არის გამიჯნული ტერმინები „Tax“ და „Payment“, ხოლო რუსულში „Налог“ და „Платёж“; ქართულში ტერმინი „ეფექტური“ გამოიყენება „ეფექტიანის“ ნაცვლადაც, მაშინ როცა რუსულში გამოიყენება ორი ტერმინი „Эффектный“ და „Эффективный“. ხდება მცდარი ტერმინებით სწორი ტერმინების ჩანაცვლება (მაგალითად, ტერმინ „მობილურობის“ ნაცვლად გამოიყენება აშკარად გაუგებარი „მობილობა“) (პაპავა, 2012: 76). ბუნებრივია, გასაზიარებელია ტერმინებთან მიმართებით სპეციალისტთა მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, თუმცა, მიგვაჩნია, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ტერმინთა არა მხოლოდ თარგმნა, არამედ მათი დამკვიდრება. დიდი მნიშვნელობა აქვს ენის აქტიური ლექსიკური მარაგის კუთვნილებად მის ქცევას. ვფიქრობთ, სწორი იქნება, სპეციალისტთა აზრის გათვალისწინებასთან ერთად ენის შინაგან კანონებსა და კანონზომიერებას მივენდოთ. ნებისმიერი ენა სპეციფიკური და უნიკალურია, რადგანაც სხვადასხვაგვარად ასახავს სამყაროს და ადამიანს ამ სამყაროში. ცხადია, აბსოლუტურად ზუსტი თარგმანი სამყაროს აღქმის სხვადასხვაგვარი სურათისა და განსხვავებული ენობრივი ქსოვილის გამო შეუძლებელია. უცხო, „შემოჭრილი“ კულტურის ელემენტები და ერის კულტურის ყველა ნიუანსი მის ენაში აისახება. თუმცა, სრული ეკვივალენტობის მისაღწევად მიმართული ძალისხმევა ხშირად არასასურველ უკუეფექტსაც იწვევს. უცხოური სიტყვების გადმოქართულებისას უნდა დავაკვირდეთ ენობრივ ლინგვოკულტუროლოგიურ ერთეულებს, თუ როგორ სცდებიან ისინი საკუთარ კულტურას და იძენენ კულტურის მედიატორის თვისებებს თავისი კულ-

ტურული იდენტურობის დაკარგვის გარეშე. ამიტომ უცხოური სიტყვების თარგმნისას გამართლებულად მიგვაჩნია ამოსავლად ავიღოთ მშობლიური ენის უღერადობა და ტრანსლიტერაციის წესები.

დამოწმებული ლიტერატურა:

გოჩიტაშვილი, 2011 - ქ. გოჩიტაშვილი, ანგლოამერიკანიზმების გავრცელების ასპექტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საეთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2013.

ერმოლოვიჩი, 2001 - Ермолович, Д. 2001., Имена собственные на стыкс языков и культур. Москва, 2001.

თოფურია, 1998 - ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

მარგალიტაძე, 2012 - თინათინ მარგალიტაძე, გიორგი მელაძე, გელა ხუნდაძე, ორენოვან დარგობრივ ლექსიკონებზე მუშაობის პრობლემები და სირთულეები, II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში, II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი, 2012.

მელიქიშვილი, 2012 – მელიქიშვილი დამანა, ტერმინთქმნადობისათვის, II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი, 2012.

პაპავა, 2013 - ვ. პაპავა, თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია: ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები, II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი, 2012.

სალინაძე, 2002 - რ. სალინაძე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები: სახუბილეო კრებ., შოთა ძიძიგური-90, თბ., 2002.

ქეე, 2008 - ქართული ენის ენციკლოპედია, თბ., 2008.

Maka Beridze

ABOUT WRITING OF FOREIGN WORDS

Summary

Translation is one of the main forms of language mediator. It reflects the characteristics of the epoch, processes of current and historic development of the society. The main issue in the process of translation is spelling of foreign words. Full equivalency is a necessary requirement in the process of translating in modern civilization. We consider using transliteration rules during translation of foreign words.

ინგა ლუტიძე

გრამატიკული მოვლენები იმერხეულში

დიალექტური მეტყველების შესწავლა ყოველთვის საშური საქმე იყო ენის სრული კორპუსის წარმოსაჩენად. ქართველი ენათმეცნიერები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ მხრივ და ქართული სალიტერატურო ენის ყველა დიალექტის შესახებ დაიდო მოხოგრაფია თითქმის ნახევარი საუკუნის წინ. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, პრიორიტეტის კვლევის სხვა მიმართულებებისათვის მინიჭების გამო, ამ მიმართულებით მუშაობა ცოტათი შენელდა. ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის ქართველთა, როგორც ისტორიული საქართველოს შემადგენლობაში შემავალი მხარეების მკვიდრთა, ისე მუჰაჯირობის დროს ძალით აყრილ და გადახვეწილ ქართველთა მეტყველების შესწავლა.

„იმერხევი შავშეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იმერხევში მიმავალი გზა მდინარე ფაფართის (მდ. იმერხევის) ღრმა ხეობას მიჰყვება ისე, რომ გზიდან მხოლოდ რამდენიმე სოფელი მოჩანს. დანარჩენი სოფლები ან ვიწრო ხეობების სიღრმეშია შემალული, ანდა მთების მაღალ კალთებზეა გაშლილი, გზიდან არ ჩანს. იმერხევი იწყება მდ. ყვირალას სათავეებიდან (ერთვის მდ. ფაფართს), სოფელ ყვირალადან (თურქ. დემირქაფი//დემირყაფი) და გადაშლილია მთელი ხეობის სიგრძეზე სოფელ შერთულამდე. აქ ხეობა მთავრდება, მდ. ფაფართი უერთდება შავშეთიდან მომდინარე სათლელის წყალს, რომელიც აქედან მოყოლებული ჭოროხის ხეობამდე იწოდება შავშეთის წყლად“ (ფუტკარაძე, 1993:32).

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, „ნებისმიერი დიალექტის წარმოქმნის საფუძველი ისტორიულია. წარმოქმნის მიზეზები კი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ა) საკუთრივ ენობრივი ფაქტორი - ენის შინაგანი პოტენციის ნაირგვარი გამოვლინება მისი გავრცელების ტერიტორიაზე; ბ) ეთნიკური ფაქტორი; გ) ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორი“ (ჯორბენაძე, 1989:27). „იმერხევში, მაჭახელსა და ლივანაში არსებული ქართულის ნაირსახეობათა განმსაზღვრელი ენობრივი ნიშანი ემთხვევა ეთნიკურ ნიშანს“ (ფუტკარაძე, 1993:9-10).

იმერხეული დიალექტი დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ნ. მარის მიერ ჩაწერილი უნიკალური მასალების, ტექსტების მიხედვით იყო ცნობილი (Н. Марр, 1910), ხოლო მოგვიანებით იგი მონოგრაფიულად შეისწავლა შ. ფუტკარაძემ (შ. ფუტკარაძე, 1993).

ა. შანიძე და ა. მარტიროსოვი იმერხეულს სამხრულ-დასავლურ დიალექტურ ჯგუფს მიაკუთვნებდნენ (Шанидзе, 1972: 828-832; მარტიროსოვი, 1972:16). ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის აზრით, „ტერმინი იმერხეული ვიწროა და პირობითი. ფართო გაგებით, იგი წარმოადგენს ქართული ენის კილოს, რომელიც, იმერხევის გარდა, გავრცელებული უნდა ყოფილიყო კლარჯეთის დანარჩენ ნაწილში და, ალბათ, შავშეთშიც და რომელსაც შეიძლებოდა კლარჯული ან შავშურ-კლარჯული დარქმეოდა“ (ი. გიგინეიშვილი, 1961:371). შ. ძიძიგურის აზრით, „იმერხეული უნდა მიეკუთვნოს დასავლური კილოების ჯგუფს, უმთავრესად აჭარულ-გურულს“ (ძიძიგური, 1970:152). შ. ფუტკარაძე იმერხეულის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ დაასკვნის, რომ „იმერხეულზე დაკვირვებით ნათელი გახდა, რომ იგი უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს მესხურ-ჯავახურთან და ქართლურთან, ვიდრე დასავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან. ეს ადრეც იყო შემჩნეული ჩვენი ენათმეცნიერების მიერ. ვ. თოფურიას, ივ. გიგინეშვილის, ივ. ქავთარაძის ავტორობით შექმნილ „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ვკითხულობთ: „იმერხეული კილო აჭარულთან ძალიან ახლოს დგას, მაგრამ მასში შემორჩენილი ზოგი ფონეტიკური გრამატიკული მოვლენა (ბგერა ჴ) და ლექსიკური ერთეულები (პაშტა, ნეკერი...), რომლებიც დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისა (ქართლურისა, კახურისა და სხვ.), ადასტურებს მასში ქართლურის ფენის არსებობას, როგორც ეს ისტორიული ცნობების თანახმად მოსალოდნელი იყო“ (ი. გიგინეიშვილი, 1961:371). ახლა, როცა ნ. მარის ჩანაწერებთან შედარებით იმერხეულის შესახებ ვრცელი მასალაა მოპოვებული და დასკვნების გამოსატანად მეტი შესაძლებლობაა შექმნილი, თამამად შეიძლება ზემოთქმულის გაზიარება. ჩვენც იმერხეულის მონაცემების გაანალიზების შედეგად დავრწმუნდით, რომ იმერხეული, ტაოს მეტყველებასთან ერთად, უფრო მეტ სიახლოვეს აუღავნებს აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან, ვიდრე დასავლურთან. ამიტომ ზოგიერთი ადრინდე-

ლი მოსაზრება დღეს გადასინჯვას მოითხოვს“ (ფუტკარაძე, 1993:34-35).

ჩვენი მიზანი საველე ექსპედიციის განმავლობაში ენობრივი ვითარების შესწავლა იყო, რომლის დროსაც, ბუნებრივია, შესაძლებელი იყო მათ მეტყველებაში არსებული ზოგიერთი გრამატიკული მოვლენის აღნუსხვა.

ბრუნვის ნიშანთაგან ამჯერად ყურადღებას სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტებზე შევაჩერებთ:

სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს - ø დართული ფორმები: რაø ქენი იქა?

მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

ყველა შესაძლო შემთხვევაში იკარგება: ჩემø კაცø ხენჩრეფი ქვიან; მოდით, თქვენ პურø მიგართვამთ: ათათურქø იმითვინ ალაგი მუ ცემიან; ჩაøø (resp.: ჩაის) გასვამთ.

საერთოდ, -ს იკარგება სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში და ეს თანაბრად ეხება როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანს, ისე III სუბიექტური პირის ნიშანს: მემრე ხახვø (ხახვს) მოხრაკავ, წყალø (წყალს) დაასხამ, ოთხ საათø (საათს) ადუღებ; ყურბან ბაირამ ჭედელაø დაკლენ, ზროჭაø დაკლენ, ცხვარø დაკლენ, მოზვერø, კამეჩø დაკლენ; ყველაფერø არ ჭამø (ყველაფერს არ ჭამს); დღესასწული ქნეø (resp.: ქნეს).

იკარგება ნათესაობითი ბრუნვის -ის ფორმანტის თანხმოვნითი -ს ნაწილიც: ორ დღე უკან (resp.: ორი დღის წინ).

მოქმედებითი ბრუნვის -ით ფორმანტს ენაცვლება ამავე ბრუნვის -იდან თანდებული: მე ლაპარაკიდან (resp.: ლაპარაკით) არ მეცოდალვი.

პირველი პირის ნაცვალსახელი ხშირად წინადადების ბოლოშია მოქცეული: აველი იქა **მეც**; ბორჩხას ჩამოდით, იქა ვარ **მე**; გამო ერთი, გევიარო **მე**; იქ მიველ **მე**, გზა ფინთი იყო, შეგვეშინა **ჩვენ**; ოთხი დანი, ერთი ძმანი ვართ **ჩვენ**.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის **ერთის** მნიშვნელობით ეთნიკური ქართველები იყენებენ **და**-ს, რომელიც, ჩვეულებრივ, წინადადების ბოლოში დგას: ევიდე, პური ევიღო **და** (resp.: ავიდე ერთი, პური ავიღო).

არცთუ იშვიათია **ნარ-თანიანი** მრავლობითის ფორმების გამოყენება; როცა ნარ-თანიან მრავლობითში მდგარ სახელს რიცხვითი სახელით გამოხატული მსაზღვრელი ახლავს, ის

სახლვრულთან რიცხვში შეთანხმებულია და -ნ ფორმანტითაა წარმოდგენილი: ოთხი დანი...

რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებით გამოხატული მსაზღვრელებ სახლვრულს მრავლობით რიცხვში ეთანხმება: ბევრი **რაცხეფი** გამეცვიარე, **ბევრი სიმწარეები.**

შეთანხმებული მსაზღვრელ-სახლვრულის ურთიერთობის თვალსაზრისით იმდენად ჭრელი სურათია, რომ რაიმე კანონზომიერებაზე საუბარი პირობითია: **ჩემი ნათქვამ** არ მეიწონებს; ზოგჯერ სახლვრული ამოვარდნილია: ეს **ჩემი მოწონებულიø** იმა არ უნდა.

შეთანხმებული მსაზღვრელ-სახლვრულის შერწყმის შედეგად ახალ კომპოზიტებია მიღებული: **ყოვდღლი** (resp.: ყოველ დღე) საქონელ ვაძუებდით.

მართული მსაზღვრელ-სახლვრულის შერწყმის შედეგადაც მიიღება ახალი კომპოზიტები: **ნაძვიკევი** (resp.: ნაძვის კევი)ენ წინ კბილებზე დეგეკვრი; საპონ **დათვიქონით** (resp.: დათვის ქონი) აკეთებდენ.

იცის ზმნასთან შეწყობილი III პირის ეს ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტითაა წარმოდგენილი: **ამათმა** ძალიან ბევრი იციან.

ჭრელი ვითარება გვაქვს ზმნაში მასთან შეწყობილ სახელთა რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით:

1. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მხოლობით რიცხვში წარმოდგენილი სახელი (სუბიექტი) მხოლობით რიცხვში ითანხმებს: ძველი იყო სახლი, სამსართულიანი; ჩემი ანაø ამ გალიფას ბაბას და იყო; აიშე ეზგიზე სამი თვით დიდი არი.

2. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მხოლობით რიცხვში მდგარი სახელი (სუბიექტი) მრავლობით რიცხვში ითანხმებს: ჩემ **კაც ხენჩრეფი ქვიან;** ჩემი კაცი (resp.: კაცის) ნენეø ემე რუსიადან **მოსული არიან.**

3. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მრავლობით რიცხვში მდგარი სახელი (სუბიექტი) მრავლობით რიცხვში ითანხმებს: ბორჩხას ჩუენთანაც მუ ქცეეთ (resp.: შემოიარეთ); მერქნ'ში (resp.: ცენტრი, რაიონი) დგახართ თბილისში?

4. გარდაუვალ ერთპირიან ზმნაში კრებითი სახელით წარმოდგენილი სუბიექტი ზმნას მრავლობით რიცხვში შეი-

თანხმებს: **ხალხი დაიმალოდენ**; სოფლებში **ხალხი დაცოტავდნენ; კრეფენ და ხალხი ყიდიან კაკალ**.

5. გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილი სუბიექტი წარმოდგენილია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით **ზოგი,** წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით: დღეები აღარ დარჩნენ, **ზოგი მოკვდენ**.

6. გარდაუვალ ერთპირიან ზმნაში განუსაზღვრელობითი **ყველა** ნაცვალსახელით წარმოდგენილი სუბიექტი ზმნას მრავლობით რიცხვში ითანხმებს: მაშინ **ყვალა (რესპ.:** ყველა) **სახლში იყვნენ**.

7. თუ გარდაუვალ ერთპირიან ზმნასთან შეწყობილ სუბიექტს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზმნა წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით: ბევრი, ბევრი, **ოცდაათი კვამლი რჩებიან; ორი ძმა ყოფილან**.

8. გარდაუვალი ორპირიანი ზმნა (ინვერსიული), თუ მასთან შეწყობილია განუსაზღვრელობითი **ზოგი** ნაცვალსახელით გამოხატული სუბიექტი და მხოლობით რიცხვში მდგარი ობიექტი, გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმით: **ზოგ** სახლი **აქვან** აქა, 5-6 წელში მოდიან...

9. გარდაუვალი ორპირიანი ზმნა (ინვერსიული), თუ მასთან შეწყობილია მხოლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მრავლობით რიცხვში წარმოდგენილი ობიექტი, გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმით: მე ქართულები (resp.: ქართველები) **მიყვარან**.

10. გარდაუვალი ორპირიან ზმნაში (ინვერსიული), თუ მასთან შეწყობილია მესამე პირის მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მხოლობით რიცხვში მდგარი ობიექტი, მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად **-თ** ფორმანტის ნაცვლად გვაქვს -ან ფორმანტი: ჩვენი გურჯია **მოწონან; ამათ ექნებიან** სიმინდი; ჩემ **დედებ ქონებიან**.

11. გარდაუვალი ორპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილია მხოლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მხოლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი ერთზე მეტი ობიექტი, დასტურდება მხოლობითი რიცხვის ფორმით: იქ **დედამთილი, მამამთილი მყავს**, იმას უკან წავალ.

12. გარდამავალი ორპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილია მესამე პირის მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მხოლობით რიცხვში მდგარი ობიექტი, მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად III სერიაში (ინვერსიულ ფორმებ-

ში) **-თ** ფორმანტის ნაცვლად გვაქვს **-ან**: ძმები გაყრილან, ძველი სახლი **დ¯უნგრევიან;**.

13. გარდამავალი ორპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილია მესამე პირის მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და ასევე მრავლობით რიცხვში მდგარი ობიექტი, დასტურდება მრავლობითი რიცხვის -ან ფორმანტიანი ფორმით: **მათ ჩვენი ქართველები დ¯უკანჯლავან, მ¯უკლავან.**

14. სამპირიან გარდამავალ ზმნაში წარმოდგენილია ორიბი ობიექტის მრავლობითობა: ათათურქ იმითვინ (resp.: იმათთვის) ალაგი¯შუ ცემიან; მოდით, თქვენ პურ მოგართვამთ, ჩაჲ გასვამთ.

მწკრივთა ფორმებიდან ი'შვიათი ხმარებისაა კავ'შირებითებისა და II თურმეობითის ფორმები. III კავშირებითის მწკრივის ფორმები სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებშიც დალოცვის ფორმულებსა და სადღეგრძელოებში გამოიყენება.

რაც შეეხება თემის ნიშნებს, თემის ნიშნის დართვის ტენდენციას ინენს როგორც ერთთემიანი, ისე ფუძედრეკადი ზმნები:

1) ჩვენ ვერ **უწერავთ,** წყენულობს; **წერვა** არ იციან; მე **დეგიწირავ**; რაზე **წერავხარ?** ღმერთი თელი ერთია, თელი **ჯერობენ** (resp.: ყველას სჯერა//სწამს); ალარ ეცხელება, **დაგრილავს;**

2) არ მიყვარს, **მწყენულობს** (resp.: მწყენს).

-ავ თემის ნიშანი **-ევ** სუფიქსით იცვლება: მაშინ რაცხას უკრევდენ, ახლაც იმას უკრევენ.

-ავ თემის ნიშანს **-ამ** თემის ნიშანი ენაცვლება: თოვლი რომ მაახლოვდება, ჩვეიცამ.

-ავ თემის ნიშანი იკარგება: ტყეს **მოვკაფდით** (resp.: გავკაფავდით).

-ამ თემის ნიშანი -ემ სუფიქსადაა სახეცვლილი: ურტყემდენ.

-ემ თემის ნიშანი საერთოდ იკარგება: სასმელაჲ მეიტანეს, თორემ წყალი ვინ

მოქვცოდა (resp.: მოგვცემდა).

მეორე სერიის მწკრივებში გვაქვს -ევ სუფიქსიანი წარმოება: რად **წეილევით** (resp.: წაიღეთ) აკვანები? ბისიკლეტი (**resp.:** ველოსიპედი) **აუღევი** (resp.: ავუღე).

„ევ-ი" სუფიქსი დადასტურებულია ქართლურში, კახურში, მესხურ-ჯავახურში, მთიარაჭულში, აჭარულსა და ზემოიმე-

რულში (Марр, 1910:64; იმნაიშვილი, 1988:213; ძიძიგური, 1970:142); ძოწენიძე, 1973:106; ბერიძე, 1988:121; ხუბუა, 1932:18). ამ სუფიქსის წარმოშობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთი შეხედულებით, „ევ“ აორისტის არქაული სუფიქსია, ხოლო „ე“ მისგან მომდინარე (როგავა, 1945:648-652), „ი“ კი ანალოგიითაა გაჩენილი (ჩიქობავა, 1936:137), მეორე მოსაზრებით, „ევ“ მიღებულია „დავწევი, გავქევი, დავდევი“... და მათი მსგავსი ზმნების ანალოგიით (თოფურია, 1925:143).

ბრძანებითის ფორმა თემისნიშნიანია: გაგდევ! ნუ სწერავ! (resp.: მიატოვე, ნუ წერ!).

საინტერესოა -ამ თემის ნიშნის ნაწილობრივი მოკვეცის შედეგად მიღებული ფორმა, რომელსაც აწმყოს ხოლმეობითის ფუნქცია აქვს: იქავრი წყალი ვერ მისმის (resp.: მისვამს), გერმელი არ არი.

გაგება ზმნის პირიან ფორმებში როგორც ფორმის თავში, ისე ფორმის ბოლოს თავს იჩენს -ნ სუფიქსი: ამან არ იცის გურჯოჯა, ისე გნებულობს; იმათი ლაპარაკი (ბორჩხელებისა) ვერ გემიგნია, მაჭახლურისა (მაჭახლელებისა) გეიგნება.

მათ მეტყველებაზე დაკვირვებისა და ჩაწერილი მასალის ანალიზისას ცხადია, რომ ჭრელი ვითარება გვაქვს, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიეთ ყველა არსებული ფორმის დაფიქსირება. როცა ეთნიკური ენა მხოლოდ საოჯახო და ეთნიკური ჯგუფის წევრთა შორის ურთიერთობისთვის გამოიყენება და არ იხსნება ნორმითა და სტანდარტიზაციის პროცესებით, ფორმაწარმოების შესაძლებლობები უსაზღვროა.

ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში ფართოდ გავრცელდა შეღგენილ-შემასმენლიანი ფორმები, რაც თავიდანვე, ბუნებრივია, არ იყო დამახასიათებელი მათი მეტყველებისთვის: ქალამანი მეც ჩასმული მაქვს (resp.: ჩამიცვამს).

ყურადღებას იპყრობს მათ მეტყველებაში დადასტურებული ვნებითი გვარის ფორმები. გურჯები ქართულში გავრცელებულ დინიანი ვნებითის ფორმებს ინიანი ვნებითის ფორმით ცვლიან: წყალი არ მეიდულება (resp.: ადულდება).

ინიანი ვნებითის ფორმებს კი საშუალ-მოქმედებითი გვარის ფორმებს უნაცვლებენ: ტყვილობ (resp.: იტყუები).

იმერჯეულში „ინიანი“ და „ენიანი“ ვნებითის მრავლობითი რიცხვის ფორმები მეორე სერიის მწკრივებში „ენ“ /ნ/ სუფიქ-

სითაა ნაწარმოები. ეს წესი ძველ ქართულშიც მოქმედებდა და ამჟამადაც დაცულია მესხურ-ჯავახურსა და აღმოსავლურ კილოებში (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956:95; იმნაიშვილი, 1974:212; ბერიძე, 1988:122; იმნაიშვილი, 1982:239), გვხვდება ზემოაჭარულშიც (ნიუარაძე, 1961:90).

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სუფიქსიანი ვნებითის -ნ/ენ მაწარმოებელი უნდა ჩანდეს ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში, რის შედეგადაც ზმნის ფორმაში ვნებითის ორმაგი წარმოება გვაქვს როგორც პრეფიქსული, ისე სუფიქსური: არ მეიღალენით? გევიკრიფენით, აქა ურობაში საქმე არ იყო.

გვაქვს ვნებითის ორმაგი სუფიქსური - დონიანი და -ნ/ენიანი - წარმოება: შიგან დაჭოცდენ ფუტკარი (resp.: შიგნით ფუტკარი დაიხოცა).

ვნებითი გვარისათვის დამახასიათებელი -ებ თემის ნიშანი ხშირად იკარგება: ბალვი გეყოლვის (resp.: გეყოლება), ყურ გიგდებ.

საშუალ-ვნებითი გვარის ზმნა ცხელა ნაკლული მწკრივებს მოსალოდნელი უნიშნო ვნებითის ნაცვლად ენიანი ვნებითის ფორმებით ივსებს: ალარ ეცხელება, დაგრილავს.

ქართულ ენაში მწკრივნაკლად ცნობილი ზმნები და აგრეთვე მათ მეტყველებაში სახელისაგან ნაწარმოები ზმნები (რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ გვაქვს) დონიანი ვნებითი გვარის ყალიბის წარმოებას გვიჩვენებენ: სახლი გვსურდება, კარ-მიდამო; თოვლდება; ზამთარში დავცოტავდით, ველარ გვიქნია, დავბერდით.

საინტერესოა უშუალო კონტაქტის ფორმების წარმოება. უშუალო კონტაქტის -ევ მაწარმოებელს -ამ სუფიქსი ენაცვლება, რომლის გამოყენების არეალი თემის ნიშნად დღეს სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში მხოლოდ თხუთმეტიოდე ზმნით შემოიფარგლება: მოდით, თქვენ პურ მოგართვამთ (პურს მოგართმევთ); ჩაჲ გასვამთ (ჩაის გასმევთ).

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკის დონეზე ცვლილების თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებად ზმნა იცვლება. ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში შეიძლება ყველა სიტყვა, ლექსიკური ერთეული შეიცვალოს, მაგრამ ზმნა უიშვიათესად. ამიტომ ქართული ზმნის უძველესი ძირები მთელი სისრულითაა წარმოდგენილი გურჯების მეტყველებაში.

რაც შეეხება თანდებულებთან დაკავშირებულ ცვლილებებს:

1. -ში თანდებულიან ფორმას ცვლის: 1. სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა მიმართულების ან სადაობის აღსანიშნავად: ბათუმში გასვლა მინდა, ვერ გავსულვარ; ბორჩხას ჩამოდით, მე იქა ვარ; მე ბორჩხას ვარ; ეს იქა, გებზეს, ფაბრიკაში საქმობს; 2. ან სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით: დიობან (resp.: დიობანშია) არი გათხოვილი.

2. -თვის თანდებული იცვლება -თვინ თანდებულით: იმითვინ მუ წერია.

3. - გან თანდებულს ენაცვლება მოქმედებითი ბრუნვის -ოდან თანდებული: ამპირა შენიდან (resp.: შენგან) მესმის.

საინტერესოა ზმნისწინთა გამოყენებისას მომხდარი ცვლილებები:

1. ა- ზმნისწინს მო- ზმნისწინი ცვლის: მოცივა, ავანთებ სობას.

2. გა- ზმნისწინს და- ზმნისწინი ცვლის, რასაც თითოობის ფუნქცია აქვს: რაცხეჭი ჩნდება დასაკეთებელი (resp.: გასაკეთებელი).

3. მი- ზმნისწინს მიდის ზმნაში რეგულარულად ენაცვლება წა- ზმნისწინი: ზამთარში წადიან ისინი; ანაჲ შესახედი არია (resp.: მისახედია).

4. მო- ზმნისწინსაც და- ენაცვლება: დევინახო დაქსოვილი.

5. შე- ზმნისწინს გა- და და-ზმნისწინები ენაცვლება: ბევრი ვილაპარაკე, გაგაწუხე; რაზე დაწუხდი? (resp.: რატომ შეწუხდი?)

არსებითი ცვლილებები არ გვაქვს ზმნიზედების გამოყენების მხრივ: ქვეშ, აქ, იქ//იქა, ორჯერ, ადრე, მაშინ, ძალიან, ისე...

წინათ ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება წინდაწინა: აქ მოხველი წინდაწინა?

ში- თანდებულიანი ფორმით გადმოცემული ზმნიზედა შემდეგი ფორმით გვხვდება მეტყველებაში: ზამთრი (resp.: ზამთარში) იზმითში წადი.

წინ ზმნიზედა წინაჲ ფორმით გვაქვს: მანქანების წინაჲ სახლი ჩემია.

წელან ზმნიზედა წაღან ფორმად არის სახეცვლილი: წაღან ვსვი.

ზემოთ ზმნიზედა ზედაჲ ფორმით გვხვდება: ახლა იქ არი, ზედაჲ (resp.: ზემოთ).

ძალიან ზმნიზედის პარალელურად სულ უფრო და უფრო მეტი სიხშირით გვხვდება მათ მეტყველებაში შეჭრილი ფენა: ბათუმი ღამეში ფენა ლამაზია? მეც ფენა კარგი ვარ; ფენა ბევრია, იმათი ლაპარაკი ვერ გემიგნია.

დროის აღმნიშვნელ ზმნიზედას ღამით ენაცვლება -ში თანდებულიანი ფორმა: ბათუმი ღამეში ფენა ლამაზია?

საერთოდ ზმნიზედას ენაცვლება ამავე მნიშვნელობის თურქული ჰიბ: ხექიეს ჰიბ პურ არ უჭამია, პურ ჭამ ახლა? ამან არ იცის ჰიბ გურჯიჯა.

ვითარების ზმნიზედის მაწარმოებელ სუფიქსს -ნაირად ენაცვლება -დენ სუფიქსი: ჩვენდენ (resp.: ჩვენნაირად) ლაპარაკობენ.

როგორც ცნობილია, ზომა-ოდენობის ზმნიზედათა ერთი ნაწილი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისგან არის მიღებული: იმდენად, ამდენად... მოცემულ რეგიონში მოცემული ზმნიზედები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: იმდენი ლამაზი გახდა იმ წელიწად, ვერ იცნეს ხალხმა, ღმერთმა უნა წეიყვანოსო.

საინტერესოა ადგილის სად ზმნიზედისა და უნდა ნაწილაკის შერწყმით მიღებული ფორმა სანა (სად უნდა): ხვალ სანა იარო?

ყურადღება მიიქცია დროისა თუ ჯერობის აღსანიშნავად გამოყენებულმა ზმნიზედამ - ამპირა: ამპირა (resp.: ახლა, ამჯერად) შენიდან მესმის.

დროის აღმნიშვნელი ზმნიზედის შემდეგ-ის მნიშვნელობით მხოლოდ უკან ზმნიზედას იყენებენ: იქ ბახალა მყავს, იმას უკან წავალ.

მშვიდად ზმნიზედის ნაცვლად იყენებენ გულდებრი: გულდებრი (resp.: მშვიდად) იყავი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კავშირის გამოყენება ეთიკურ ქართველთა მეტყველებაში. ეს ის ნაწილია მათი მეტყველების, რომელიც ყველაზე მეტად სხვაობს ჩვენი მეტყველებისგან. აგებულების მიხედვით განსხვავებულ არც შერწყმულ, არც რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებებში კავშირები არ გვხვდება:

1. სრულიად უკავშიროა: ბათუმში გასვლა მინდა, ვერ გავსულვარ; მზე გამუა, ძალიან ცხელა, მზე წავა, ძალიან ცივა; ყველაფერ არ ჭამ: კარტოფილ დაბრაწებული, ძველი ლობიო.

2. მაგრამ კავშირს ცვლის თურქული ამა (ama - მაგრამ): ჩვენ მანქანით ავედით, ამა არ შეგვიშვეს; თელი გურჯია, ამა წერვა-მერვა არ იციან.

3. რომ კავშირს ცვლის ამავე მნიშვნელობის თურქული კავშირი ქი (ki - რომ), რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს და წინადადების ბოლოშია მოქცეული: აქ ქილისე არ არი ქი (resp.: აქ რომ ეკლესია არ არის); ჩვენ არ ვიცოდით ქი (resp.: ჩვენ რომ არ ვიცოდით).

4. რომ კავშირის ფუნქციას მეტყველებაში ასრულებს პაუზა, ინტონაცია, ხოლო წერისას სასვენი ნიშანი - მძიმე: შენ გამოხვალ, დიგინახავ (resp.: შენ რომ მოხვალ, გნახავ); მე ჩამეცინარე, წამეცვლ, აღარ დავმჯდარვარ; ჩემთან ამოსულიყავ, ამდენ გასწავლიდი (resp.: ჩემთან რომ ამოსულიყავი, რამდენს დაგასწავლიდი).

5. რომ კავშირის ფუნქცია მათ მეტყველებაში შეთავსებული აქვს სხვათა სიტყვის ნაწილაკებს: ეზგი შენ უთხარი, მარტო დავწუხთები-თქო; მითხრა გალიბამა, იქ არიანო; ქალები ყვიროდენ, დაგვიანდაო, ესენი აქ დგანან.

კავშირები, რომლებიც მათ მეტყველებაში დავადასტურეთ, და და თუ კავშირებია, და უფრო ხშირად, თუ კი ძალზე იშვიათად: ჩაი გავაკეთოთ და ვლიოთ-მეთქი და არა ქნეს; ჩავაყრი, თუ გცივა.

საუბრისას ხშირად იყენებენ სხვათა სიტყვის ნაწილაკებს: ჩეიაროს-მეთქი, არ ჩავარდეს კიბეზე; ანაჯან დაბრუნდიო, არ დავბრუნდები-მეთქი.

ასევე ზმნას ხშირად მოსდევს თურქული -ია ნაწილაკი - ხომ ნაწილაკის მნიშვნელობით: მე ვსაქმობ-ია (resp.: მე ხომ ვსაქმობ).

თურქული -ია ნაწილაკი მეტყველებაში მოდალურ უნდა ნაწილაკთანაა შერწყმული: ოსმანმა წაგასხა უნაია (resp.: ოსმანმა უნდა წაგიყვანოთ?).

აი და მაინც შორისდებულთა ნაცვლად რეგულარულად იყენებენ თურქულ ოშტე-ს: ბაირამი გათავდა და ოშტე სახლში არ ილევა საქმე.

სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს უქონლობა-უყოლობის სახელთა წარმოება. უქონლობა-უყოლობის სახელებს თურქეთის ეთნიკური ქართველები უპრეფიქსით აწარმოებენ: უდუქორწიალებელი (resp.: დაუქორწინებელი), უდუუკვლელებსა მისცემენ; უგუუტენავი (resp.: გაუტენავი), უჩუმალაჲ (resp.: ჩუმად), უდუჭრელი (resp.: დაუჭრელი), უჴერტლოჲ (resp.: ხერტლის გარეშე).

სტატიას შ. ფუტკარაძის სიტყვებით დავამთავრებთ: „ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა „ზღვაში წვეთის“ ტოლია. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ჯერ კიდევ ბევრგანაა დარჩენილი ისეთი ხეობა და თემი, სადაც ქართველ მეცნიერს დღემდე ფეხი არ დაუდგამს. ვინ იცის, რამდენი საინტერესო ენობრივი ფორმა ელოდება მკვლევარს მთების კალთებზე არწივის ბუდესავით გაშენებულ სოფლებში. საგულისხმოა ისიც, რომ ყოველწლიურად ამ ქვეყნიდან მიდიან აქაურ მკვიდრთა უხუცესი წარმომადგენლები და თან მიაქვთ არა მარტო წინაპართა ხელიდან ხელში ნაგროგმანები ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, არამედ ამ ხალხის ისტორიის ქარცეცხლში მახვილივით ალესილი ქართული სიტყვებიც. ამიტომ მეტად საშური, გადაუდებელი საქმეა ტაო-კლარჯული ცოცხალი ქართული მეტყველების ნიმუშების დროულად შეგროვება, მისი მეცნიერული შესწავლა“ (ფუტკარაძე, 1993:12).

დამოწმებული ლიტერატურა:

ბერიძე, 1988 - ბერიძე გრ. ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

გიგინეიშვილი, 1961 - გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

თოფურია, 1925 - თოფურია ვ. ქართლური, არილი, ტფ., 1925.

იმნაიშვილი, 1974 - იმნაიშვილი გრ. ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.

იმნაიშვილი, 1988 - იმნაიშვილი გრ. ძველი ქართული ენის საერდენი დიალექტის ზოლური სხვაობების ისტორიისათვის, იკვ, ტ. 27, თბ., 1988.

იმნაიშვილი, 1982 - იმნაიშვილი ი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ.II, თბ., 1982.

Марр, 1910 – Марр Н. Дневник поездки в Шавшетию и Кладжетию, см. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. 7. С.-Петербург. 1910.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 - მარტიროსოვი ა. იმნაიშვილი გრ. ქართული ენის კახური დიალექტი. თბ., 1956.

მარტიროსოვი, 1972 - მარტიროსოვი ა. ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. თბ., 1972.

ნიჟარაძე, 1961 - ნიჟარაძე შ. ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათ., 1961.

როგავა, 1945 - როგავა გ. აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის „ევ“ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, 6, № 8, თბ., 1945.

ფუტკარაძე, 1993 - ფუტკარაძე შ. ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მჯაჯური ქართველების მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართველურ ენათა განყოფილება; შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1993.

შანიძე, 1957 – Шанидзе А. Принципы класификации грузинских диалектов. Труды обьединенной научной сессии Академии Наук Закавказских республик по обшественным наукам. Баку. 1957, стр. 828-832.

ჩიქობავა, 1936 - ჩიქობავა არნ. ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.

ძიძიგური, 1970 - ძიძიგური შ. ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი. თბ., 1970.

ძოწენიძე, 1973 - ძოწენიძე ქ. ზემოიმერული კილო-კავი., თბ., 1973.

ხუბუა, 1932 - ხუბუა მ. ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა, ბათ., 1932.

ჯორბენაძე, 1989 - ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

Inga Ghutidze

GRAMMATICAL EVENTS IN IMERKHEULI

Summary

Studying dialectical speech was always very important to show the complete corpus of a language. But the process of studying slowed down a little after giving priorities to other directions during the last two decades.

Our aim is to study the language situation of Georgians living in Turkey in this case in Imerkhevi during the field expedition. We have recorded the changes in their speech that were namely in grammar. Such as: case endings, pronouns, agreement between determinant and determiner, expressing the number in different ways, **ev** suffix forming, using forms of compound predicate spread in the speech of ethnic Georgians, characteristics of forming passive voice, some adverbs, conjunctions, and particles.

The ethnical language which is used only by family members and ethnic groups shows the vast possibility of form building.

დალი ბეთხოშვილი

„ორი კიდის" გააზრებისათვის აკაკი წერეთლის პოეზიაში[1]

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში წამოჭრილი სახისმეტყველებითი პრობლემატური საკითხები, შეიძლება ითქვას, ნაკლებად არის გამოკვეთილად გამოკვლეული და შესწავლილი და, შესაბამისად, სამეცნიერო ნაშრომებიც ჩვენი საკვლევი საკითხის ირგვლივ არც არის. ამიტომ პრობლემის საჭიროება ნამდვილად დგას მისი შესწავლის საქმეში და მოითხოვს მის სათანადოდ გამომზეურება-გაანალიზებას. ჩვენი ნაშრომიც სწორედ ამის მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს; ამ ეტაპზე ჩვენეული ანალიზით შევეცდებით გამოვყოთ ის საკითხები, რომლებიც აკაკის აწუხებდა და მისით სუნთქავდა და საზრდოობდა მისი შემოქმედების უმეტესი ნაწილის მხატვრული ქსოვილი, რომლის ყოველ სიტყვასა თუ ფრაზაში შეინიშნება ტკივილი და განცდა იმისა, რაც დამახასიათებელია სიცოცხლისათვის და ახლავს ქვეყნის და ერის, თითოეული ადამიანის ცხოვრებას.

აკაკი წერეთლის შემოქმედება, რომელი ჟანრითაც არ უნდა იქნას წარმოდგენილი, საკვლევი საკითხის თვალსაზრისით, მრავალპლანიანია, ღრმადაა გამსჭვალული, როგორც ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების პრობლემებით, აგრეთვე ზესთასოფლურითაც არის დამუხტული და ეს კავშირი მუდმივ უწყვეტობას ქმნის ორ არსებობას შორის და, შესაბამისად, ორი დროის გაგებას იძლევა, კერძოდ, არსების ერთი განზომილებიდან მეორეში გადანაცვლებას მოასწავებს, უერთმანეთოდ კი არც ერთი არ წარმოიდგინება და მოიაზრება, რადგან სამყაროს არსებობის, მთლიანობის კანონი გულისხმობს ერთმანეთზე დამოკიდებულებას, ერთმანეთისაგან გამომდინარეობას და ეს თვალსაზრისი მსჭვალავს აკაკის პოეზიის ბევრ ნიმუშს. მისი შემოქმედების, კერძოდ, მისი პოეტური თხზულე-

[1] ნაშრომში გაანალიზებულია აკაკის პოეზიის მხოლოდ რამდენიმე ნიმუში, სახისმეტყველებითი ასპექტით კვლევა შემდეგშიც გაგრძელდება.

ბის ყოველ სტრიქონში თითქოს განცდაა იმისა, რომ აკაკი თავისი პოეტური სიტყვის ძალით და ენერგიით მიწიერიდან ზეციურისკენ მიმართავს მკითხველს და ამქვეყნიურ სათქმელსაც მეტი ღვთიურობა ეძლევა და მხატვრული სიტყვაც ღრმად შთამბეჭდავი ხდება. აკაკი თავის თავსაც ხომ მიწიერისა და ზეციურის ერთიანობად მიიჩნევდა: „შუა კაცი ვარ უბრალო,/ ხან მიწისა ვარ, ხან ცისა... არც მიწისა ვარ, არც ცისა“ („პოეტი“), ე.ი. პოეტი, შემოქმედი მიწიერისა და ზეციურის შუამავალია, ხიდია,... მაგრამ ყველა მოკვდავი ადამიანიც, როგორც სულისა და ხორცის ნაზავი, არც მიწისაა და არც ცისა,...ან, უფრო სწორად, ორივე სამყაროს კუთვნილებას წარმოადგენს: „ზეცის მუშას მეძახიან,/ არ ვარ მარტო სამიწეო!“ („ხარაბუზა და ფუტკარი“) (წერეთელი, 1977:62).

ადამიანი შემოქმედი, რომელიც ქვეყნის და ერის სამსახურში დგას, რომლის მხრებზე სამშობლოს და ერის ტკივილია მძიმე ტვირთად, რასაც შთაუგონებია პოეტი, მასაც მდგომარეობაში გასარკვევად და შემამსუბუქებლად ხედვა მიუპყრია ამ ორი უკიდურესობის მიმართ, ადამიანის სიცოცხლის სხვადასხვა კიდისათვის, ცხოვრების განსხვავებული საფეხურისა და ფენომენისათვის. პოეტი ხან უიმედო მდგომარეობაშია, სევდით სავსე, ხან სინათლის სხივი, „ნათლის სვეტი“ (ლექსში „სიზმარი“ პოეტი სასოებით წერს, რომ ამქვეყნად მაინც იმედის სხივი კიაფობს, როგორც გამძლეობის ერთ-ერთი საშუალება: „...ნათლის სვეტად გადმოეშვა ცისარტყელა...“) (წერეთელი, 1980:222) დაისადგურებს მის არსებაში და ისიც სხვადასხვაგვარად ჭვრეტს სიხარულს და სასოწარკვეთილებას, ახალგაზრდობას და სიბერეს, სიცოცხლესა და გარდაცვალებას. პოეტი ზოგადად ამ ცხოვრებას ოპტიმისტის თვალით უყურებდა, მაგრამ ზოგჯერ იგი მისთვის თითქოს უცხო და მიუღებელი იყო. ლექსში „წყევლა“ ავტორი, რომელიც სოფლისაგან, ამქვეყნიური ცხოვრებისაგან დაღლილია, სოფელს წყევლას უგზავნის, რადგან სიტკბოება შეიძლება ნაღველ-შხამად ექცეს, წუთისოფელს დედინაცვლად თვლის, ხოლო საკუთარ თავს წუთისოფლის გერს უწოდებს; ამ უკანასკნელ სიტყვებში „დედინაცვალი“ და „გერი“ ცხოვრების სიმკაცრეა გაცხადებული, კერძოდ, ნათქვამია ის, რომ წუთისოფელი ადამიანს მხოლოდ მწამებლად ევლინება: „მედედინაცვლა, მიგერა!/ ობლად მატარა, მაწამა!/ გამოსხლეტილი ტოლებში,/ სისხლხორცად ალარ მიწამა“ (წერეთელი, 1980:288). ბოლო

ფრაზაში შეიგრძნობა უიმედო ადამიანის, მძიმე მდგომარეობაში მყოფის სულიერი განცდები, დაცარიელებული სიცოცხლე, რომელიც მას დაუფლებია გულგატეხილობის გამო, რადგან ჰგონია, რომ ცხოვრებამ არ მიიღო და თავის წილად, ნაწილად არ მიიჩნევს. ამქვეყნიურ სიცოცხლეს ბნელით მოცულად მიიჩნევს და ამ მდგომარეობაში მყოფისთვის გამოსავალი და ნუგეში სიკვდილია: „და ალარ მინდა სიცოცხლე/ გულგატეხილი წამებით/ ნუგეშად ველი სიკვდილსა/ დროს ვანგარიშობ წამებით!“ („წყევლა“) (წერეთელი, 1980:280).

აღნიშნული პრობლემა დასტურდება აგრეთვე ლექსში „სასოწარკვეთილება“, მაგრამ სანამ მას გავაანალიზებთ, მინდა აღვნიშნო, რომ ლექსს „წყევლა“ ბიბლიური საფუძველი აქვს, იგი მომდინარეობს ძველი აღთქმიდან, კერძოდ, მეორე სჯულის წიგნიდან. მოსე წინასწარმეტყველი ისრაელის ძეთ გადასცემდა წყევლას და მცნებებს, რომელსაც ამცნობდა და აუწყებდა უფალი. წყევლა მიმართული იყო კაცთა იმ ცუდი მიდრეკილებების საწინააღმდეგოდ, როგორიცაა დედისა და მამის შეურაცხყოფა, ობლის, მწირის, ქვრივის დამცირება, ბრმის გზაზე აცდენა და სხვ. დავიმოწმებ რამდენიმე მუხლს ბიბლიიდან: „წყეულ იყავნ იგი კაცი, რომელმან იქმნეს თავისა თჳსისა კერპნი გამოქანდაკებულნი და გამოჭედილნი ქმნილნი ჴელითა ჴელოვნისათა და დადგნეს იგინი დაფარულად, რამეთუ ბილწ არს უფლისა ღმრთისა“ (II სჯ. 27,15); „წყეულ იყავნ, რომელმან ცვალნეს საზღვარნი მოყუსისა თჳსისანი“ (II სჯ. 27,18); „წყეულ იყავნ ყოველი კაცი რომელი არა დაადგრეს ყოველთა ამათ სიტყუათა შჯულისათა ყოფად მისა“ (II სჯ. 27,26).

როგორც ზემოთ ვთქვით, ლექსში „წყევლა“ წამოჭრილი მტკივნეული საკითხი, აგრეთვე, მთელი სიმწვავით გამოხატულია ლექსში „სასოწარკვეთილება“, სადაც პოეტი სწუხს იმის შესახებ, რომ საკუთარი სამშობლო მისთვის დედინაცვალი გამხდარა: „ჰეი სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ/ ჩემთვის კი ავი დედინაცვალო/ ვიცი დაიბან პილატებრ ხელებს/ და იტყვი, რომ ხარ შენ დღეს უბრალო/ ჩემს ტანჯვაში და ჩემს განსაცდელში“. აქაც ბიბლიური, სახარებისეული ხედვაა ჩაქსოვილი და აღნიშნულია ის ცოდვა, რაც „უბრალო“, ე.ი. უდანაშაულო მაცხოვრის მიმართ გამოიჩინეს, კერძოდ პილატემ. იესოს მსგავსად, მანაც, ავტორმა და, ზოგადად, ადამიანმა ის მძიმე ტვირთი ატარა, სამშობლოს სიყვარულთან ერთად რომ

იყო დამარხული, მაგრამ სამაგიერო „სასყიდელი“ რა მიიღო? მხოლოდ უსამართლობა (წუთისოფლისაგან ადამიანისადმი დამოკიდებულებას სწორედ უსამართლობად მიიჩნევს), მტრობა, დევნა, გულის საკლავი ცილისწამება, როგორც უფალს, „და საუკუნოდ განსასვენებლად/ მოსწრაფებული შავი საფლავი!/ შავი საფლავი, სადამდის მტრობა/ ველარ ჩაქცევა ძალმიხდილს მკვდარსა/ და მცილებელთა შავი საქმენი/ ფერს ვერ უცვლიან თეთრსა სუდარსა“ (წერეთელი, 1980:129). აქ საინტერესოა ბოლო ფრაზაში გაცხადებული ნათქვამი, სადაც რამდენიმე სახისმეტყველებითი ასპექტია, კერძოდ, „ფერი“, ფერის განცდა გვაქვს მოცემული, „შავისა“ და „თეთრის“, „სუდარის“ სიმბოლოებით წარმოდგენილი (დასახელებულ სიმბოლოებს შემდეგში განვიხილავთ და შესაბამისი გააზრების ჭრილში წარმოვაჩენთ). იქვე პოეტი წერს, რომ მძიმე ხვედრს ის უმსუბუქებს, რომ მოწინააღმდეგის, „მცილებლის“, ბოროტის შავი საქმე მის „სუდარს“ ვერაფერს დააკლებს და „იქ“ მაინც იქნება განსვენებული და ხვედრშემსუბუქებული: „უკანასკნელ ჟამს მე ეს მამხნევებს,/ ეს მწამს და სიკვდილს მიტომ არ ვნაღვლობ/ და სინათლის სიწმინდისათვის/ მტერ-მოყვარესა ჩემს ბედსა ვმადლობ!“ („სასოწარკვეთილება“). დასახელებულ ლექსში ავტორი სასოწარკვეთილია იმის გამო, რომ სამშობლო გულგრილია მისადმი (დედინაცვალივითაა მისთვის), რადგან ბევრი განსაცდელი მოუვლინა და ხსნას სიკვდილში, მეორე სიცოცხლეში ეძებს... მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამშობლოსადმი უარყოფითად არ არის განწყობილი და სიკვდილის ზღვარზე, კიდეზე მყოფი სიცოცხლეშივე შეუნდობს, მიუტევებს მას: „მშვიდობით, ჩემო დედინაცვალო,/ ჩემთან პირშავო, ჩემო სამშობლო!/ შენდობილ იყო ჩემგან ამიერ/ და ღმერთმა მოგცეს კეთილი ბოლო!“ („სასოწარკვეთილება“).

ლექსში „ახალი გზა“ აკაკი თავის მუზას მიმართავს: „ნუ იფიქრებ, დაგაქვედრო,/ შე მაცდურო ჩემო მუზა,/ იმისთვის, რომ შენის რჩევით/ ეკლიანი შემხვდა მე გზა!“ (წერეთელი, 1977:38). პოეტისათვის მისაღებია ისეთი შემოქმედებითი ღვაწლით განვლილი გზა, რომელიც თუნდაც ეკლიანია, მტკივნეული და ტანჯვით აღსავსე, რადგან ჭეშმარიტების მიგნება სწორედ ასეთი გზითაა შესაძლებელი.

აკაკი წერეთელი თვლის, რომ, თუკი ადამიანი ტანჯვის გზით საკუთარ თავს მსხვერპლად არ გაიღებს და სიკვდილს მოერიდება, ეს ყოველივე დიდი ცოდვაა. თუმცა, აქვე შევნიშ-

ნავთ, რომ ყოველი ადამიანი, ამქვეყნად მოვლენილი, ყველა მსხვერპლია. პოეტი მთელი შემართებით წერს: „არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს,/ მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!/ მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი/ და სამშობლოზე ჭკვრიდე თვით ფერფლსა!“ (ლექსი „მომაკვდავის ფიქრები“) (წერეთელი, 1980:276). აქვე: „თუმცა პირადი ჩემი ცხოვრება/ ყოველთვის იყო ტანჯვა-ვაება,/ მაგრამ სიკვდილში ვპოვებ სიცოცხლეს/ და ის იქნება თვით უკვდავება“ („მომაკვდავის ფიქრები“). ადამიანისთვის უკვდავების მიმნიჭებელი მხოლოდ სიყვარულია, ღმერთის სიყვარულიდან მომდინარე და ამქვეყნად განხორციელებული...

ლექსში „უკანასკნელი“ კი პოეტი წერს: „მე კი... მშვიდობით... ჩვენს წინაპრებთან/ მივდივარ მეცა განსასვენებლად/ და ხინჯად გულში მიმყვება მხოლოდ,/ რომ ვერ გავმხდარვარ სამშობლოს მსხვერპლად...“ (წერეთელი, 1980:253). არადა აკაკი წერეთელმა თავისი მხატვრული სიტყვით საკუთარი პიროვნება, როგორც რიგითი, ასევე შემოქმედი ადამიანისა, ნამდვილად მიიტანა მსხვერპლად ერის, ქვეყნის, ღმერთისადმი სამსახურში. იგი თითქოს შუა რგოლია, რომელმაც „ეს“ ქვეყანა და „ის“ სამყარო მხატვრული სიტყვის ძალით და მადლით დააკავშირა ერთმანეთთან და არსებობის ერთი მთლიანი და განუყოფელი ჯაჭვი წარმოგვიდგინა.

ეს უკანასკნელი თვალთახედვა ნათლად შეიგრძნობა აკაკის მორიგ ლექსში „მოხუცი და ახალგაზრდა“: **„სიჭაბუკე და სიბერე/ ორი სხვადასხვა კიდეა:/** ერთი რომ ჯაჭვით აბია,/ მეორე ბეწვზე ჰკიდია!...“ (წერეთელი, 1980:213), საიდანაც იკვეთება, რომ ერთი ბეწვის ხიდი, გარდამავალი საფეხურია მეორისაკენ, საყრდენია მეორე, უფრო მყარის შექმნისა და მისი არსებობის საფუძველია. სიბერე შემოდგომის ფოთოლია, სწრაფწარმავალი, რომელიც ახალი სულიერი სიცოცხლის (ახალ სიცოცხლეში შეიძლება გააზრებულ იქნას აგრეთვე ცოდვების მოხსნის შედეგად, სინანულის შედეგად ახალ ადამიანად გარდაქმნა, რაც, შესაბამისად, ახალ განსხვავებულ სიცოცხლეს ქმნის) საწინდარია; „ის გაზაფხულის იაა,/ გარს ეხვევიან ვარდები!./ შენ—შემოდგომის ფოთოლი,/ სით გკრავს, ჩამოვარდები!./“. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ მეფე როსტევანმა თავისთან იხმო ვეზირები, გვერდით დაისვა და უბრძანა: „გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა: /რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა, /**იგი წავა და სხვა**

მოვა ტურფასა საბაღნაროსა; /მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვჭვრეტთ ღამესა უმთვნაროსა“[2] (37,2). იქვე მეფე როსტევანი ამბობს: „დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია“ (37,2).

ლექსში „პასუხი ახალგაზრდას“ აკაკი წერეთელი კიდევ უფრო მკვეთრად და მტკივნეულად გამოკვეთს იმ ხლვარს, კიდეს, რაც არსებობს ახალგაზრდასა და მოხუცს, გაზაფხულსა და ზამთარს შორის, **მომავალსა და მიმავალს შორის**. დასახელებული ლექსის ყოველი სტრიქონი ამ შინაარსით და სევდით არის დატვირთული. მოვიტანოთ მისი სულისშემძვრელი სტრიქონები დასახელებული ლექსიდან: „სად გაზაფხული შენი ფერადი/ და სად გაცრცვნილი შენი ზამთარი?!/ სად სევდიანი ბუნდი მწუხრისა/ და სად საცისკრო შუქურლამპარი?!!/ შენ ყმაწვილი ხარ და მე მოხუცი,/ შენ მომავალი, მე – მიმავალი!“. მეტად შთამბეჭდავია შემდეგი სტრიქონები: „შორი შორსა ვართ, ვით ცა და მიწა,/ შუაში გვიძევს უფსკრულ-საზღვარი:/ შენ ყვავილი ხარ სიცოცხლით სავსე/ და მე კი – ხავსი დამჭკნარ-გამხმარი“. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი: „მაგრამ ცისა და მიწის შორისაც/ არის კავშირი რამ უხილავი/ და ძველს ახალთან შეაერთხორცებს/ ელექტრონული ძალი მხიბლავი,/ დაუსაბამო და საუკუნო,/ განუყოფელი, ერთადი, რთული,/ შემოქმედების დიადი ძალი:/ სული უკვდავი და სიყვარული“. დასასრულს: „ეს იყო ჩვენიც ამიერიდან/ შუამავალი და მოციქული!./ ამ ქვეყნად თუ გულს გული არ ერგო,/ სულს შეუერთდეს იმ ქვეყნად სული!“ („პასუხი ახალგაზრდას“) (წერეთელი, 1980:283).

მოხუცი პოეტი ყურადღებას მიაპყრობს ისეთ მნიშვნელოვან კატეგორიებსაც, როგორიცაა „სესხი“ და „ვალი“. იგი ახალგაზრდას შემდეგნაირად მიმართავს: „შენ ახლა იდგამ ცხოვრების უღელს,/ მე კი გადამხდა სესხი და ვალი“. აქვე თუ გავიხსენებთ „ვეფხისტყაოსანს”, ვნახავთ როგორ წერს შოთა რუსთველი ავთანდილზე: „...იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი...“ (152,3). როგორც ვხედავთ, შოთა რუსთველთან და აკაკისთან გვხვდება მსგავსი სიტყვები, რომელთა შინაარსობრივი დატვირთვაც იგივეობრივად გვესახება. რუსთ-

---

[2] ტექსტს ვუთითებთ შემდეგი გამოცემიდან: შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონით, აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის გამოცემა, თბ., 1966.

ველოლოგიაში „ნივთისა“ და „ვალის“ განმარტების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია არსებობს. ამჯერად მხოლოდ ერთ თვალსაზრისს მოვიტანთ. ელ. ხინთიბიძის აზრით, „რუსთველის სიტყვებში „იგია ნივთი და ვალი“ არის მინიშნება არისტოტელეს ფილოსოფიიდან მომდინარე და შუასაუკუნეებში და რენესანსის ეპოქაში პოპულარულ არსებობის ოთხ მიზეზზე: „ნივთი“ ნიშნავს მატერიას და მიუთითებს მატერიალურ მიზეზს, ხოლო „ვალი“ – მოვალეობას და მიუთითებს „მისრულებით“ ანუ დანიშნულებით, მიზნობრივ მიზეზს... გადმოსცემს რენესანსის ეპოქის პრინციპულ დებულებას ადამიანის ღირსებასა და უპირატესობაზე: ავთანდილია ერთადერთი რეალობაც, ამ რეალობის ჭეშმარიტებაც და მისი სიკეთეც“ (ხინთიბიძე, 1993:108-109). აკაკი წერეთელთან მეორე განსხვავებული ტერმინი „სესხი“ დასტურდება, რაც, ჩვენი აზრით, შინაარსობრივად ამქვეყნიურობასთანაა დაკავშირებული, მატერიალური საწყისითაა გაჯერებული და უნდა გამოხატავდეს იმ სულიერ დანიშნულებას, რომელიც აკისრია ადამიანსაც ქვეყნის წინაშე, უპირველესად, სულიერი დანიშნულებით ამქვეყნადვე.

ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების სხვადასხვა დროზე, კიდეზე ავტორი საუბრობს ლექსში „სამი დრო“, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანი ცვალებადია და მისი ცხოვრებისეული ყოველი საფეხური სხვა აზრსა და ხედვას მოიცავს, კერძოდ, „ამა ქვეყნიური“ ცხოვრების ხედვა და შეფასება განსხვავებულია, რადგან არსებობის, ცხოვრების არსში წვდომა რთულია: სიცოცხლის ადრეულ საფეხურზე ყველაფერი ია-ვარდით, სიცოცხლის სავსეობით არის მოცული და დაფარული, მაგრამ შემდეგში ყოველივე იცვლება, ფერისცვალებას განიცდის, რასაც სხვა, მომდევნო საფეხურზე, კიდეზე კარგად ჭვრეტს მოკვდავი და აქ პოეტი ამბობს: „რომ დავვაკაცდი, მესტუმრა/ „თვალდიდა“ გამოცდილება/ და მოწონებულ ქვეყანას/ მევე შევნიშნე ცვლილება/ ვარდი ერთი თვით იშლება!../ თერთმეტით – მარტო ეკალი../ და კაცის ანგელოზობაც/ ალარ გამოდგა მართალი!“ (წერეთელი, 1980:203). ე.ი. აკაკის ფრაზიდან გამომდინარე, თერთმეტი თვით ეკლის გაშლა ცხოვრებაში მოასწავებს ცოდვებს და სიბოროტე მეტია, ვიდრე სიკეთე. ქვეყანა „ჭრომახად“ (ავტორის სიტყვებით), ანუ ჭრელ სამყაროდ, გაუგებარ, ამოუცნობ სამყაროდ არის დასახული, სადაც ბულბული ყორნად გარდაისახება, კარგი და სასიამოვნო სი-

ბოროტის საფარველით შეიმოსება შავ ბედად, სიკვდილად გადაიქცევა, მაგრამ ამქვეყნიური სიცოცხლის ბოლოს ადამიანი ეგუება იმ აზრს, რომ ამ გარდამავალ საფეხურზე, კიდეზე მყოფისათვის ვარდიც და ეკალიც ერთია, რადგან: „ორივე ერთ ხეს აბია, – / ძირი ორივეს ერთია../ მათი გამრჩევი მსაჯული/ თვით შემოქმედი – ღმერთია“ (წერეთელი, 1980:204).

სხვაგან კი პოეტი წერს: „გამიქრა ის დრო და მას თან გაჰყვა/ გაზაფხულიცა ჩემი ნარნარი/ სიბერემ თავში ჩამიკაკუნა/ დამიდგა ბედ-კრულს ცივი ზამთარი“ (ლექსი „ჩემი სახე“) (წერეთელი, 1980:270).

„ცივმა ზამთარმა“ მოუკაკუნა, ჭაღარამ ვერ დაიცვა, მაგრამ მაინც იმედიანადაა, რადგან უკვდავება ელოდება: „გაჰფანტა ბინდი გულისა/ მოსხივცისკაროებს დარია!../ საუკვდავებო ეს გრძნობა/ ტკბილი სამოთხის დარია!..“ („ვერ მიპატივა ჭაღარამ“) (წერეთელი, 1980:287). აქვე შევნიშნავთ, რომ აკაკის ორი ლექსი აქვს „ჭაღარა“, რომელთაგან ერთში „ვერ მიპატივა ჭაღარამ“ მოტანილი აზრია ჩაქსოვილი, ხოლო მეორეში „ჭაღარა“, პირიქით, ჭაღარა ვერაფერს დააკლებს...

ავტორი აკაკი წერეთელი უკვდავია არა მარტო როგორც მოკვდავი ადამიანი, რელიგიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, არამედ, როგორც პოეტი და ხელოვანი თავისი უკვდავი სტრიქონებით.

მეორე, იმავე დასახელების, მაგრამ შინაარსით ოდნავ განსხვავებულ, ლექსში „ჭაღარა“ („ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“) ავტორი ხედავს „ჯოჯოხეთსაც“, რომელიც მოკვდავს ემუქრება, მაგრამ „ცის ნიჭი“, იმედი რომ გაუელვებს, კვლავ უბრუნდება სიცოცხლე, რომელში გადანაცვლებაშიც სწორედ თეთრი, წმინდა, სპეტაკი „ჭაღარა“, თუნდაც სისხლით შელებილი, ეხმარება. აქ გვხვდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო „სისხლი“, რომელიც განმწმენდელი, განმასპეტაკებელი საშუალებაა, რაც აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის, რათა განიწმინდოს ცოდვების უკუგდებით „იქ“ წარსადგომად; პოეტს დაბერება არ უწერია: „...რას მოუშლის თმა ჭაღარა, რას დააკლებს ხნოვანობა?!“ (ლექსი „რაც არ იწვის, არ ანათებს“) (წერეთელი, 1980:223). ჭაღარა თმა ვერაფერს დააკლებს, თუკი გული ღმერთის სიყვარულით (I იოან. 4,8; პავლე მოციქული, I კორ. 13,4-13) და, აქედან გამომდინარე, სამშობლოს სიყვარულით არის ანთებული და მას „გეენიაც“ ასცდება, რადგან ღმერთდასადგურებულ ადამიანს ვერაფერს დააკლებს.

ლექსი „ჭადარა“ ადამიანისა და საწუთროს ურთიერთობის მარადიული წყებული საკითხებიდან ერთ-ერთზე – სიბერის ტრაგედიაზე დაგვაფიქრებს, რაც, თავისთავად, წარმავლობის, დროის დინების გამოხატულებაა, ერთი კიდიდან მეორეზე გადაგვახედებს და გაგვადევნებინებს მატერიალურ თუ სულიერ თვალს და ეს ყველაფერი ერთად სიკვდილ-სიცოცხლის თემას უკავშირდება. ეს ჯაჭვი კი მიწისა და ზეცის გამაერთიანებელია – ტკივილითა და სიყვარულით შეზავებული, მაგრამ ყველაფერს მაინც ღვთიური სიყვარული ფარავს, რადგან მის გარეშე ვერაფერი და არაფერი განიცდება. როგორც პოეტი წერს: სიყვარული „სხივების მომფენია“; სიყვარულის მოკლება კი ლპობისა და სიკვდილის, უსიხარულობისა და უგრძნობლობის საფუძველი“ (წერეთელი, 1980:223)[3].

ლექსში „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ პოეტი გულანთებულია, წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ სანამ ახალგაზრდა იყო, არ ელირსა სიყვარული და თანაგრძნობა, სიტკბოება, თან სდევდა სიღარიბე და ბედის უკუღმართობა. ყოველივე ეს უკავშირდება წუთისოფლის მდურვის თემას (რასაც არაა მოკლებული ქართული მწერლობა და განსაკუთრებით ალორძინების ეპოქის შემოქმედება), რაც აიძულებს პოეტს ხედვა თვალისა, გულისა და გონებისა მიმართოს „იქითკენ“, მაგრამ „იქ“ ყველაფერიც რომ ჰქონდეს, ალარ ულირს: „ცხრა მთას იქით, რაღად მინდა,/ გინდ მაქონ და გინდა არა!“ – წერს პოეტი. ალარ უნდა ის დანაკლისი, რაც ახალგაზრდობაში ჰქონდა, მოხუცებულობის ჟამს შეევსოს, რადგან: „სული კრული, გული წყლული,/ სახე მჭკნარი, თმა ჭაღარა,/ ამისთანა სიცოცხლეც კი/ გინდ იყოს და გინდა არა!“ (წერეთელი, 1980:193).

---

[3] აღვნიშნავთ, რომ აკაკის ტკივილზე, სიკვდილზე დაწერილი აქვს მოთხრობა „სიკვდილი“, რომლის შესახებ მეცნიერებაში არაფერია თქმული და გვერდი აქვს აქცეული, ამიტომ ჩვენ შევეცადეთ მის გააზრებას, ამდენად მისი ინტერპრეტაცია გვაქვს მოცემული ამ მოთხრობის ორგზის დაწერილ სამეცნიერო ნაშრომში–აკაკი წერეთლის მოთხრობა „სიკვდილის“ ინტერპრეტაციისათვის, ჟურნ. „ინტელექტი“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, 2(43), 2012, აგვისტო; ხოლო სიყვარულის თემას ეძღვნება მისი მოთხრობა „სამგვარი“ სიყვარული და რამდენიმე ლექსი, რომელიც დამუშავებული გვაქვს ხელნაწერის სახით და უახლოეს პერიოდში გამოვაქვეყნებთ.

განხილულ ლექსში „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ წამოჭრილია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა „ბედის უკუღმართობა“, რაც პირდაპირ კავშირშია ჩვენს საკვლევ საკითხთან, რასაც გვიდასტურებს შედევრი „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“, საიდანაც ჩანს, რომ პოეტი, ბიბლიური ცნობიერებიდან გამომდინარე, თავს ცოდვილად მიიჩნევს, როგორც ყოველი ცოდვილიანი, მოკვდავი ადამიანი და ამიტომ ელის, რომ „იქ“ ჯოჯოხეთი ელოდება: „მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!/ თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ,/ თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბელს ვადარებ...“. მიაჩნია, რომ სოფელი მისი მტერია, სატანჯველს აძლევს, ნაღველს ასმევს, ამიტომ: „მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,/ რომლისგანაც მე გზები ამერია!..“ (წერეთელი, 1980:69). იმედი არსაიდან ჩანს, ალარც დროა იმედისა, რადგან: „...ახა, ღმერთო, რა უდროოდ დავბერდი!/ საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!..“ და ღმერთს ევედრება: „...ღმერთო, მომეცი ნება,/ რომ მელირსოს საფლავში დაძინება!../ სჯობს, სულ გაჰქრეს კაცი, რადგანც მტვერია!“ (წერეთელი, 1980:70). სიკვდილს ელოდება და ეგებება თითქოს... სიკვდილი აკაკი წერეთელსაც დაძინებად, სიცოცხლის დროებით შეწყვეტად მიაჩნია; სიკვდილი რომ ამქვეყნიური სიცოცხლის დროებითი შეწყვეტა და მეორე სიცოცხლის განგრძობაა, გვიდასტურებს აკაკის ლექსი „ილიას მოკვლის გამო“: „რა შემცდარი ხარ!.. თვით ილიასთვის/ მაგბგარ სიკვდილ'ში არის სიცოცხლე/ და საქართველოს კი ძველი აღთქმა/ ისტორიული მით გაუახლე/ დროებით დაღლილს და მიძინებულს...“ (წერეთელი, 1977:121).; ადამიანის მტვრად ქცევა ბიბლიური მსოფლმხედველობიდან მომდინარეობს: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევადმდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწად ხარ და მიწადცა მიიქცე“ (დაბ. 3,19).

აღნიშნული თემატიკა წამოჭრილია აგრეთვე ლექსში „ნაღველიან გულისა ვნებამ“: „ნაღველიან გულისა ვნებამ/ დამაწყევია შავ-ბედი!/ ფრთებდაკვეცილმა ოცნებამ/ მთლად წამიწყმიდა იმედი!/ სიცოცხლე-გამწარებულსა/ მით შემეცვალა გუნება,/ ნდობა აღარ აქვს გლახ-გულსა,/ სულმაც დაჰკარგა რწმუნება!../ და ასე ამბობს გონება,/ „დააცხრე გულის ვნებაო!/ სიცოცხლე არის მონება,/ სიკვდილი – განსვენებაო!“ (წერეთელი, 1980:102).

ლექსში „უკანასკნელი“ პოეტს მოხუცის გრძნობა მოსჭარბებია, „რაღაცის“ (უკეთესის, უკვდავების, მარადიულის...) მოლოდინში სევდას შეუპყრია და მოუცავს მისი არსება: „...ენა ჩავარდა ბულბულსა,/ მოუახლოვდა სიკვდილი,/ შხამი აპკურა მის გულსა,/ მაგრამ ეს შენთვის ერთია,/ ცოცხალი ვიყო, გინდ მკვდარი!../ აღარ აენთვის აწ სხვისგან/ ჩემი დამქრალი ლამპარი!“ (წერეთელი, 1980:290).

ჩვენი საკვლევი საკითხი აკაკის შემოქმედებაში, კერძოდ, ლირიკაში, ამოუწურავია, პოეტი მასზე გაბნეული სახით საუბრობს ბევრ ლექსში, როგორც ზემოთაც ვნახეთ, მაგრამ პოეტის სულისკვეთებას პრობლემის შესახებ უფრო მეტად გვიდასტურებს და, შეიძლება ითქვას, აგვირგვინებს ლექსი „ანდერძი“, რომელშიც სიკვდილის ნატვრაც კი არის გამოთქმული ავტორის მიერ: „მინდა, რომ ბაღში დამმარხონ,/ სადაც არ იყოს სხვა მკვდარი!../ ზაფხულმა მწვანით შემმოსოს/ და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!../ მზე საფლავს სხივებს სტყორცნიდეს,/ დაჰქათქათებდეს ზედ მთვარე/ და ვარსკვლავები ჭიკჭიკა,/ მიბნედით მოსხივცისკარე“ (წერეთელი, 1980:206). მწვანით შემოსვა ახალი სიცოცხლის დასაწყისია, ძველის განახლებაა, ახლით სავსეობა და ახალი სიცოცხლით შემოსვაა... მაგრამ დამაგვირგვინებელია აღნიშნული ლექსის შემდეგი სტრიქონები, სადაც ხაზგასმაა სიკვდილისა და სიცოცხლის კავშირსა და ორივე სოფლის სიამესა და აუცილებლობაზე: „და ამდენ ნატვრის გვირგვინად/ ერთსაც დავსახავ სხვა რამეს,/ კავშირსა სიკვდილ-სიცოცხლის,/ ორივე სოფლის სიამეს!..“ (წერეთელი, 1980:207).

როგორც ზემოთაც ვთქვით, წამოჭრილი განსახილველი საკითხი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ძალიან ვრცელია, ამიტომ შემდეგში კვლავ გავაანალიზებთ, ამჯერად დასასრულისათვის გვინდა მოვიტანოთ კიდევ ერთი ლექსი „განჰქრენ უამნი“, სადაც პოეტი თითქოს იბოდიშებს, რომ ახალგაზრდობასთან ერთად ალარც გული უძგერს და თვალები ვარდში ეკალს ხედავენ და ამბობს: „...სოფელო! ვეღარ მხედხი/ ორგზის ვერ ვიხდი ვალსა!..“ (წერეთელი, 1980:82). ორგზის ვალის მოხდა, ვფიქრობთ, ამქვეყნიურ და ზესთასოფლიურ, ორივე ცხოვრების ვალზეა საუბარი, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ აკაკი წერეთელმა ეს „ორგზის ვალი“ პირნათლად შეასრულა.

დამოწმებული ლიტერატურა:

მცხეთური ხელნაწერი 1981 – მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოხანაშვილმა, თბ., 1981.

შოთა რუსთველი 1966 – შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი", ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონით, აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის გამოცემა, თბ., 1966.

წერეთელი 1980 –წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980.

წერეთელი 1977 – წერეთელი აკ., რჩეული ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1977.

ხინთიბიძე 1993 – ხინთიბიძე ელ., შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1993.

Dali Betkhoshvili

FOR UNDERSTANDING "TWO EDGES" IN AKAKI TSERETELI'S POETRY

Summary

Akaki Tsereteli's works widely reflect those problematic issues that are characteristic to life, country and nation and each person's life. The poet, either in a hopeful or hopeless situations suffers mortal existence and sees happiness and despair, youth and aging, life and death differently.

The above mentioned issues are analyzed according to some samples of Akaki's poetry: "The Curse", "A Poet", "The Last", "The Old and the Young", "Three Times", "A Respond to the Young", "My Face", "A Grey", "While I was Young", "The Will" and so on.

Akaki Tsereteli sacrificed himself to his nation, country and the Lord. He is the middle that connected "this" country with "that" world with the help of artistic words and represented one and inseparable chain of existence.

არჩილის „საქებელნი და სავედრებელნი ღვთისმშობლისანი“

მეფე-პოეტი ბიბლიასთან ერთად ეყრდნობა ჰიმნოგრაფიასაც, გადმოაქვს მრავალი ჰიმნოგრაფიული სახე-სიმბოლო, რომლებიც უშუალოდ მიემართება დედა ღვთისმშობელს. აგრეთვე, არჩილი ხაზგასმით მიუთითებს დავით წინასწარმეტყველს, რომელიც ქართველ მეფეთა წინაპრადაა მიჩნეული. ამით არჩილი მიანიშნებს მეფეთა და, მათ შორის, საკუთარ ჩამომავლობას, შემდეგ კი გადადის ღვთისმშობლის ქებაზე და გზადაგზა საკუთარ ცოდვილიანობას გვამცნობს. დავით ფსალმუნთმგალობლის შემოყვანა არჩილისთვის მეტად სიმბოლურია, რადგან მეფე-პოეტი ცდილობს გაამძაფროს საკუთარი ცოდვილიანობა მესიანისტური ფონის შექმნით, შემწეობას კი ღვთისმშობელს სთხოვს, რათა იხსნას იგი ცოდვებისაგან და დაკარგული „სამწყსოს“ დაბრუნებაში დაეხმაროს. ღვთისმშობლის შემოყვანა ქართულ მწერლობაში არა მხოლოდ ზოგადად ქრისტიანთა მფარველობის იდეითაა განპირობებული, არამედ, პირველ ყოვლისა, საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობით, რაც მტკიცე საფუძველს უქმნის ქართველი ერის რჩეულობას. ღვთისმშობლის სიმბოლური სახით წარმოჩენა ძირითადად ჰიმნოგრაფიაშია გავრცელებული.

საგულისხმოა ერთი ფაქტი, როცა არჩილი საკუთარი ცოდვების დასახელებისას, თავის თავს უწოდებს „ემბაზის შემგინებელს“ (5,4). საკუთარი თავის დაკნინების ეპიზოდებს უხვად შევხვდებით ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში, სადაც ჰაგიოგრაფები თავს ცოდვით სავსედ მიიჩნევენ, შემწედ სამება-ერთარსება ესახებათ. ეს მომენტი დამახასიათებელია არა მარტო ჰაგიოგრაფიისათვის, არამედ ჰიმნოგრაფიისათვის. სავსებით მართებულად შენიშნავს რ. ლლონტი არჩილისა და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანს“ შორის სულიერ ნათესაობას, უფრო მეტიც, არჩილის წყაროდ მიიჩნევს „გალობანი სინანულისანის“ ტექსტს, „არჩილიც და დავით აღმაშენებელიც „ცოდვილთა შორის უცოდვილესად“ მიიჩნევენ თავს, მათი პირველწყარო კი არის დავით ფსალმუნთმგალობელი“, წერს რ. ლლონტი (ლლონტი 2004:122). აქვე

აღვნიშნავ, რომ არჩილი საკუთარ ცოდვილიანობაზე იმიტომ საუბრობს, რომ მან სარწმუნოება იცვალა და „ჯერკვალნი, დრკუნი საქმენი ვარჩიე ღვთისა ნებასა“ (34,1), – წერს შეძრწუნებული მეფე-პოეტი და საკუთარ ცოდვებს ადარებს სამოთხედაკარგული ადამის ცოდვებს, მისთვის სამოთხე სამშობლოს სიმბოლოა, რომელიც მან დაკარგა, რადგანაც საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, სწორედ ამიტომ სთხოვს შემწეობას დედა-ღვთისმშობელს. გარდა ამგვარი სიმბოლური პასაჟებისა, ლექსი უხვადაა გაჯერებული ჰიმნოგრაფიული ელემენტებით, ამიტომაც ლექსს მრავალი ლიტერატურული პარალელი მოეძებნება ჰიმნოგრაფიულ ტექსტებთან, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანთან“, დემეტრე-დამიანეს „შენ ხარ ვენახთან“, იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანთან“ და სხვა. უპირველესად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არჩილი უხვად იყენებს ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოებს, რომელთა საფუძველია ბიბლია.

ლექსი ძალზედ სიმბოლურია, არჩილი უხვად იყენებს ბიბლიურ ალუზიებს, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საკუთარი ცოდვილიანობის განხილვისას მევენახეთა დასახელება: „ზრდა მაქვს ცოდვისა სამუდმოდ, ვით მევენახეს ვაზისა“ (7,1). ახალ აღთქმაში ჩართულია იგავი ბოროტ მევენახეებზე, რომელთაც ვენახის პატრონი ჩააბარებს ვენახს, ნაყოფის მიღების ჟამი რომ მოაწევს, გაუგზავნის ხალხს, მაგრამ მევენახეები ურჩობენ, მის გაგზავნილ ხალხს ხოცავენ. კაცი ადგება და თავის საყვარელ ძეს გაუგზავნის იმ იმედით, რომ მისი მოერიდებოდათ, მაგრამ მევენახეებმა მოკლეს და გადააგდეს ვენახიდან. ვენახის პატრონი განრისხდა, ამოწყვიტა მევენახეები და ვენახი სხვას გადააბარა. ეს იგავი განმარტებას თითქმის აღარც საჭიროებს. უდავოა, რომ ვენახი წუთისოფელია, მევენახეები ადამიანები, ვენახის პატრონი უფალი, საყვარელი ძე კი ქრისტე, აქედან თვალნათლივ ცხადი ხდება, თუ რამდენად განიცდის საკუთარ ცოდვილიანობას არჩილი. იგი ლექსში ასახელებს „ცოდვის უფსკრულს“ და „ცოდვის მწვერვალს“, რომელშიც მეფე-პოეტი ყელამდე ჩაფლულად გრძნობს თავს, თავის დაღწევისათვის კი შემწეობას დედა-ქალწულს სთხოვს, თან ამავდროულად მის შესამკობად და წარმოსაჩენად ღვთისმშობლის სიმბოლოებს ასახელებს, მათი რიცხვი გაცილებით დიდია, თუმცა არჩილი მათგან ნაწილს

იყენებს, რომელთა ახსნა ემყარება ბიბლიურ ასპექტებს და ქართულ ჰიმნოგრაფიაში დიდი ტრადიცია აქვს, ეს სიმბოლოები ღვთისმშობლის გავრცელებული სახელებია.

არჩილის რელიგიური მსოფლაღქმის წარმოსაჩენად საჭიროა თითოეულ სახე-სიმბოლოს ცალკ-ცალკე მივცეთ სამეცნიერო ახსნა.

„რაკი ღმრთისმშობლის მეშვეობით გახდა უხილავი ღმერთი ხილული, ამიტომ ძველი აღთქმის ყველა სიმბოლო, რომელიც ადამიანის წინაშე ღმერთის გამოცხადებას გვაუწყებს, გულისხმობს წმინდა მარიამს. მისი ალეგორიაა“ (ბაქრაძე 1990:369).

კიბეს ვხვდებით იოანე შავთელის პოეტურ შედევრში „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, სადაც ღვთისმშობლის ერთ-ერთ სიმბოლოდ სხვა სიმბოლოებთან ერთად კიბეც არის დასახელებული: „იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე მაყუალად, დანიელ მთად, გედეონ საწმისად...“ (სულავა 2003:135). სიმბოლურად ქალწული მარიამი მიწასა და ზეცას შორის გადებული ხიდია, სწორედ მისი შემწეობით გახდა შესაძლებელი ცოდვის მორევში მყოფი კაცთა მოდგმის ღმერთთან მიახლოება. კიბის სიმბოლიკა მომდინარეობს ძველი აღთქმიდან, შესაქმეთა წიგნიდან, როცა იაკობმა სიზმარში ცად აღმართული კიბე იხილა. როგორც აკ. ბაქრაძე აღნიშნავს „კიბე ღმერთის ხილვის საშუალებაა“ (ბაქრაძე 1990:371).

ამ ეპითეტმა საფუძველი მისცა ღვთისმშობლის სიმბოლოდ კიბის გააზრებას, როგორც ადამიანთა დამაკავშირებელს ღმერთთან.

ქალწული მარიამის ძველი აღთქმისეული სიმბოლოა **ღრუბელი სულმცირე,** გამოსვლათა წიგნის მიხედვით: „დადგა ყოველი ერი შორს, ხოლო მოსე შევიდა ნისლსა, სადა იყო ღმერთი“ (გამოსვ. 20,21). სახარებაში აღნიშნულია, რომ მოსეს მიერ აგებულ მოძრავ ტაძარს დღისით ღრუბლის სვეტი ადგას თავს, ხოლო ღამით – ცეცხლის მსგავსი სვეტი. განსაკუთრებით საინტერესოა ღრუბელთან დაკავშირებული ეპითეტი „სულმცირე“, იგი განსაკუთრებით სიმბოლურ-ალუზიურია და უკავშირდება ესაია წინასწარმეტყველის ხილვას „აჰა, უფალი ზის ღრუბელსა ზედა სუბუქსა და მოვალს ეგვპტედ...“ (ესაია 19,21). ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „სულმცირე“ განმარტებულია, როგორც „მსუბუქი“. მისი ახსნა ცხადყოფს სიმბოლოს სახისმეტყველებით პლასტებს, რომლის მიხედვითაც ღვთისმშობელი ადამიანთა სულის გადამრჩენია,

იგი მათთვის შეიქნა სულიერი საზრდოს მიმცემი, ქრისტეს სახით მან მოუვლინა კაცობრიობას მხსნელი.

მარიამ ღვთისმშობლის ერთ-ერთ ჰიპოდიგმად მიჩნეულია **კიდობანიც**, „კიდობანო სჯულისაო და ტაკუკო მანანაჲსა“ (11,1). ჩვენთვის ცნობილია ძველი აღთქმიდან ნოეს კიდობანი, კაცობრიობის გადარჩენის სიმბოლო, „როგორც კიდობანმა გადაარჩინა ნოე და მისი შვილები, ასევე ღვთისმშობლის მიერ სამუდამო დალუპვისაგან გადარჩება ყველა მსმენელი ღვთის ხმისა“ (ღვთისმშობლის... 2002:22). ამგვარად იქცა ღვთისმშობელიც ქრისტეს მოვლინებით გადარჩენის სიმბოლოდ. აღსანიშნავია, რომ კიდობნის სიმბოლიკა ამ მწირი მასალით არ ამოიწურება, მაგრამ არჩილის ლექსის საანალიზო ფონისთვის ესეც საკმარისია, რათა მივათითოთ მეფე-პოეტის მრწამსი.

არჩილი კიდობნის სიმბოლოსთან ერთად ახსენებს კიდევ ერთ ძალზედ ალუზიურ საღვთისმეტყველო სიმბოლოს **ტაკუკს**. იგი არის წმიდა ოქროს ჭურჭელი, რომელშიც მოთავსებული იყო მანანა, გამოსვლათა წიგნი მოგვითხრობს: „მოიღე ტაკუკი ოქროჲსა ერთი და შთაასხ მას შინა ღომორი სავსე მანანაჲთა და დასდგა იგი წინაშე უფლისა ღმრთისა დასამარხველად ნათესავთათჳს თქუენთა!“ (გამოსვ. 16,33). ღვთისმეტყველებაში მანანა იესო ქრისტეს ჰიპოდიგმადაა მიჩნეული, რადგან ქრისტემ თქვა: „მე ვარ პური ცხორებისაჲ, რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის“ (იოანე 6,35). ღვთისმშობელი სიმბოლურად იქცა ტაკუკად, ჭურჭლად, რომელმაც დაიტია მაცხოვარი. ტაკუკის სიმბოლიკა ჰიმნოგრაფიაში ფართოდ იყო გავრცელებული, იოანე შავთელის სიტყვები „აჰრონის კუერთხი, ტაკუკი და სასანთლე, ერთბამად ტაბლა, კიდობანი, მანანაჲ, ბესელიელის უწყებითი კარავი ლტოლვილისა ერისაჲ ორკერძ ჴსნითურთ მოგასწავებდეს დედასა ღმრთისასა“ (სულავა, 2003: 134), ეს სიტყვები ხსნის და აზუსტებს ყოველ ბიბლიურ მინიშნებას, რაც არჩილთანაა მოცემული ყოველგვარი საბურველის გარეშე. ტაკუკის სიმბოლიკას ვხვდებით იოანე დამასკელთანაც: „გიხაროდენ, ტაკუკო ოქროცხებულო, ყოვლისა უშუერებისაგან სრულებით განყენებულო, ვინაჲ-ეგე მანანაჲთ დართულ იქმნა ყოველი სოფელი სიტყჳთა მის ცხორებისაჲთა, რომელი შეიცხო ცეცხლითა ღმრთეებისაჲთა“ (დამასკელი 1986:109).

ღვთისმშობელს არჩილი კიდევ ერთი სიმბოლოთი ამკობს, ესაა **დაჭშული ბჭე**, ანუ კარი. სახარებისეული მოძღვრების მიხედვით „მე ვარ კარი, ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს ცხონდეს“ (იოანე 19; 7-10). ბიბლიური შეხედულება დახშულ ბჭეზე ეზეკიელ წინასწარმეტყველის ხილვას დაუკავშირდა: „და მომაქცია მე გზისა მიმართ ბჭისა წმიდათაესა გარეშისა, რომელი ჰხედავს აღმოსავალთა მიმართ, და იგი იყო დაჭშული და თქუა ჩემდამო უფალმან: ბჭე ესე დაჭშულ იყოს, არა განეღოს და არცა ერთი ვინმე განვიდეს მის მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაილისაჲ შევიდეს მის მიერ, და იყოს დაჭშულ“ (ეზეკ. 22, 1-2). მართლმადიდებლურ ტაძარში განსაკუთრებით საკრალური მნიშვნელობა ენიჭება კარს, რომელიც საკურთხევლის სიმბოლიკის თანახმად, ზეციური სასუფევლის კარიბჭეს წარმოადგენს, ბჭე, როგორც ღვთისმშობლის სიმბოლო გაიაზრება იმის ფონზე, რომ მან კაცობრიობას დახშული კარი შეუღო სასუფეველში.

ძველი აღთქმის პერსონაჟთაგან ღვთისმშობლის ერთ-ერთ წინასახედ **იონა წინასწარმეტყველი** არის მიჩნეული, ვეშაპის მუცელში სამ ღღეს დაფლული იონა ლოცულობდა და ღმერთს გადარჩენას ევედრებოდა, ვეშაპის მუცელი ჰიმნოგრაფებს ღვთისმშობლის მუცლისათვის შეუდარებიათ. როგორც ვეშაპის მუცელი არის იონას უვნებლად შემნახველი, ასევე, ქალწულის მუცელი უხრწნელი რჩება ქრისტეს შობის შემდეგაც. ვეშაპის მიერ იონას შთანთქმის ეპიზოდში ალეგორიულად ცოდვის მორევში ჩაფლობა მოიაზრება, ღმრთისმშობელმა ქრისტეს მოვლინებით კი კაცობრიობა იხსნა ცოდვებისაგან.

ბიბლიური პასაჟები და სახე-სიმბოლოების სიუხვე ლექსს ჰიმნოგრაფიულ საგალობლად აქცევს, ლექსში განსაკუთრებით საყურადღებოა **დედოფლის** სიმბოლიკა, უფლის ამქვეყნად მოსავლინებელი ქალწული საგალობლებში ხშირად დედოფლადაც არის წოდებული, რაც თავისთავად მიანიშნებს მის გამორჩეულობაზე, დედათა შორის პირველობაზე, სახელი „მარიამი“ დედოფალს ნიშნავს, ღვთისმშობლის დედოფლად მოხსენიება ტრადიციად იყო ქცეული ქართულ ჰიმნოგრაფიაში, რამაც მყარი საფუძველი მოუმზადა შემდგომი დროის მწერლობას. როგორც სხვა საგალობლებში, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ მარიამ ღვთისმშობელი დედად და ქალწულად არის წოდებული.

არჩილის ლირიკული შედევრი, გარდა დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანისა“, დიდ სულიერ და ფრაზეოლოგიურ თანხვედრას ავლენს X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიულ კანონთან: „გიხაროდენ კარავო წმიდაო აბრაჰამის გამოსახულო და კიბეო სულიერო იაკობის ხილულო; გიხაროდენ, მაყუალო შეუხებელო, მოსეს მოსწავებულო და საწმისო გედეონის ქადაგებულო. გიხაროდენ კიდობანო დავითის გამოსახულო და ყუავილო სოლომონის მოსწავებულო: გიხაროდენ სულმცირეო ღრუბელო მზისა სიმართლისა მტკრთველო: გიხაროდენ მთაო გამოუკუეთელო ლოდსა საცნაურსა უბიწოდ მშობელო: გიხაროდენ ბჭეო აღმოსავალისაო დაკშულო და წყაროო დაბეჭდულო: გიხაროდენ ღვთისმშობელო, აღდგა მკვდრეთით ძე შენი და ღმერთი ჩვენი: რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ“ (მოდრეკილი 1978:492).

არჩილმა ღვთისმშობლის სიმბოლოდ მოიხმო კიდევ ერთი თეოლოგიური სახე-სიმბოლო **ტრედი**, იგი უმანკოების, სისუფთავის, სიწმინდის და მშვიდობის სიმბოლოა, მისი სიმბოლიზმი ემსახურება ქალწულის უმანკოების გამოხატვას, ეს უმანკო ფრინველი პირველად წარღვნის ეპიზოდთან დაკავშირებით ჩნდება ბიბლიაში, როდესაც ნოე მტრედს აგზავნის შესამოწმებლად იმისა, დაშრა წყალი თუ არა მიწაზე, მტრედის სიმბოლიკას ვხვდებით ახალ აღთქმაშიც, „აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა. იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (მათე 10,16).

ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ხშირად წმინდა ნინო მტრედთანაა შედარებული, როგორც ნესტან სულავა შენიშნავს: „წმიდა ნინო, ვითარცა ტრედი წმიდა, ღმერთთან მთელ ქართველ ერს არიგებს, იგი ერის სულიერ განწმენდას უდებს დასაბამს“ (სულავა 2003: 219).

„მოსეს ხილულო, წინასწარ მოსწავებულო ამ სახედ
მაყვალსა ცეცხლი ედების და შესაწვავად ვერ შემხედ“ (13, 1-2).

არჩილი ბიბლიურ არქეტიპს ეხმიანება „**შეუწველი მაყვლის**“ სიმბოლიკით, წმიდა მამათა მიერ საგანგებოდაა ახსნილი შეუწველი მაყვლის სულიერი შინაარსი: „ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყველი მოსე: მაყუალი აგზებული და არა შემწუარი ეგზებოდა და არა შეიწუებოდა. ესე იგი არს: შვა ღმერთი და საშოდ არა განჴრწნა; მუცლად-იღო და ქალწული ქალ-

წულადვე ეგო; გამოვიდა მუცელი დაკრძალული დაუტევა“ (სინური... 1959:204). მაყვლის შეუწველობა სახისმეტყველებითი ასპექტების გააზრებით ქალწულ მარიამის უბიწოებას მოასწავებს და მისი ჰიპოდიგმაა.

ბიბლიური მაყვლის სიმბოლიკასთან დაკავშირებით აკაკი ბაქრაძე თეოლოგიურ მოდელს გვთავაზობს: „ღმერთი – მაყვალი – ცეცხლი. ეს მოდელი ახალი აღთქმის მიხედვით შემდეგ სახეს ღებულობს: ღმერთი – ღმრთისმშობელი – ქრისტე“. ამ მოვლენათა შედარებით აკაკი ბაქრაძე, მაყვლის ბუჩქს მარიამის სიმბოლოდ მოიაზრებს, ხოლო ცეცხლი – იესო ქრისტეა (ბაქრაძე 1990:58).

არჩილი პოეტურად ქარგავს კიდევ ერთ სახე-სიმბოლოს, **„ნარდო სურნელო, შროშანთა** შორის უფურჩქნელად მყოფარო, / ნერგო, ედემის ყვავილთა ქრისტესა მომნაყოფარო“ (14, 1-2). არჩილთან ღვთისმშობელი წარმოჩენილია ბიბლიურ-ჰიპოდიგმური სახეებით სურნელოვანი ყვავილი და შროშანი, მომდინარეა „ქებათა ქებიდან“ და სახარებიდან, წმიდა ბიბლიურ-ევანგელურია, მათ იესო ქრისტეს წინასახედ ვხვდებით ბიბლიაში, ესაია წინასწარმეტყველთან ვკითხულობთ: „და გამოვიდეს კუერთხი ძირისგან იესესსა და ყუავილი ძირისგან აღმოხდეს“ (ესაია 11,1). ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში არსებობს შროშანის სახით გამოკვეთილი ჯვარი, რომელიც სიმბოლურად ღვთისმშობელს მოიაზრებს. ეს გამოსახულება ნ. სულავას დაკვირვებით მიუთითებს ბიბლიური დავითისაგან ღვთისმშობლის ჩამომავლობას და საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობას (სულავა 2008:148).

სოლომონის „ქებათა ქებაში“ ქრისტე საკუთარ თავს უწოდებს ყვავილს: „მე ყვავილი ველისად და შროშანი ღელეთად“ (ქებ. 2,1). ზოგადად სასულიერო მწერლობაში ყვავილი არა მხოლოდ მაცხოვრის, არამედ ღვთისმშობლის მეტაფორაცაა: „გიხაროდენ კიდობანო, დავითის გამოსახულო და ყუავილო სოლომონის მოსწავებულო“ (მოდრეკილი 1978:492). ღვთისმშობლის შროშანთან მიმართებაზე განმარტებას გვაწვდის წმიდა იოანე დამასკელი: „ჱ, ასული შუენიერო და ტკბილო! ჱ, შროშანო შორის ეკალთა აღმოცენებულო აზნაურისა და სამეუფოსა მისგან ძირისა დავითისისა“ (დამასკელი 1986:119).

ქართულ სასულიერო მწერლობაში მარიამ ღვთისმშობლის შროშანთან შედარების უამრავი შესანიშნავი ნიმუში არსე-

ბობს, თუმცა კლასიკურ ნიმუშად ითვლება დემეტრე მეფის ცნობილი იამბიკო: „ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი დედა, ქალწული, შუბნიერი შრომანი“ (ქრესტომათია 1946:381).

აღსანიშნავია, რომ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობლებს ლაიტმოტივად გასდევს კაცობრიობის ხსნის მოტივი, სწორედ ამიტომ სთხოვს არჩილი მას შემწეობას, ლექსი სიმბოლოებით გამსჭვალული პოეტური ქმნილებაა, თითოეული სიმბოლო გარკვეული პლასტების შემცველია, მათი სიმბოლურობა ამოუწურავი თემაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ არჩილის ქრისტიანული მრწამსის გასააზრებლად მოხმობილი პარალელებიც კმარა.

დამოწმებული ლიტერატურა:

არჩილი 1999: არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1999.

ბაქრაძე 1990: ბაქრაძე აკ., რწმენა, თბ., „მერანი“, 1990.

გულაბერისძე 2008: გულაბერისძე ნ., თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ნესტან სულავამ, თბ., 2008.

დამასკელი 1986: იოანე დამასკელი, შობისათჳს ღმრთისმშობელისა. ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ. თბ., „მეცნიერება“, 1986.

კეკელიძე 1972: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტ. ისტორიიდან, XI, თბ., 1972.

მოდრეკილი 1978: მიქაელ მოდრეკილის იადგარი. II. X საუკუნე. ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ლ. გვახარიამ. თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1978.

სულავა 2003: სულავა ნ. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბ., 2003.

ღვთისმშობლის...2002:Земная жизнь Пресвятой Богородицы. Одобрено Издательским Советом Русской Православной Церкви и публикации Протоиерей Валентин. Сентябрь. 2001. Издательский дом «Юнион-Паблик», 2002. Издательский дом «Иола 21- ый век», 2002.

ღლონტი 2004: ღლონტი რ., ჰიმნოგრაფიული ელემენტი არჩილის შემოქმედებაში, ლიტერატურული ძიებანი, XXV, თბ., 2004.

ძველი აღთქმა 1989: წიგნნი ძველისა აღთქუმისანი, I, თბ., 1989.

Sophiko Gvaramadze

SAINT VIRGIN'S PRIASES AND PRAYERS

Summary

The poetry is very symbolic, Archil uses Biblical allusions asks St. Virgin to help him and names her symbols the number of which is quite big. Archil uses only one part of them. They are: queen, mother, virgin, ark of religion, tent, stairs, lily, pigeon, little cloud and so on. The explanation of each symbol is based on Biblical aspects and has a great tradition in Georgian hymnography. It is the reason why Archil uses the elements of hymnography so strongly.

A poetry is full of symbolisms and each symbol includes some layers.,

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი მხატვრული სახე და მხატვრულ სახეთა ტრანსფორმაციის საკითხი

სახე ხელოვნების ფუნდამენტური კატეგორიაა. მის გარეშე არ არსებობს მხატვრული შემოქმედება, პოეტური ღვწა. მხატვრული სახე მხატვრული ლიტერატურის ქვაკუთხედია. სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ: „სახეა ხელოვნების ნაწარმოების ისეთი ელემენტი, რომელსაც ცალკე აღებულს მხატვრული ზემოქმედების ძალა გააჩნია“ (სირაძე, 2000:81); „სახეა ხილვა და ჩვენება დაფარულისა“ (იოანე დამასკელი); „მხატვრული სახე აზროვნების ფორმაა ხელოვნებაში. ეს არის მეტაფორული, იგავური აზრი, რომელიც მოვლენას ხსნის სხვა მოვლენის მეოხებით“ (ბორევი, 1986:207).

მხატვრული სახე აზრისა და გრძნობის, რაციონალურისა და ირაციონალურის ერთიანობაა. მხატვრულ სახეში თავს იყრის როგორც შემოქმედის შემოქმედებითი ფანტაზიით გადამუშავებული ფაქტები სინამდვილისა, ასევე მისი პირადი დამოკიდებულება გამოსასახთან. შემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია იმ წარსული გამოცდილების ხარისხზე, რასაც შემოქმედი საკუთარ თავში ატარებს, შემოქმედის პიროვნება მხატვრულ სახეში აისახება.

რევაზ სირაძის აზრით, მხატვრულ სახეთა სამი ისტორიული ფორმა არსებობს: ეიდეტური, ეიკონური და წმინდა მხატვრული. ეიდეტური სახეები მითოსში გვხვდება, ეიკონური - სასულიერო მწერლობაში, წმინდა მხატვრული სახეები კი - საერო მწერლობის კუთვნილებაა (სირაძე, 1987:5-59). სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „დიდი სახე ყოველთვის მრავალპლანიანია. ის აზრების უძირო ჭურჭელია, რომელთა წაკითხვა საუკუნეთა მანძილზე გრძელდება. კლასიკურ სახეში ყოველი ეპოქა ნახულობს ახალ მხარეებსა და წახნაგებს, თავისებურ გააზრებას აძლევს მას“ (ბორევი, 1986:211). ერთი სიტყვით, მხატვრული სახისთვის დამახასიათებელია ტრანსფორმაცია, ეს უკანასკნელი მხატვრული სახის ბუნებაა. გარდა ამისა, მხატვრული სახე საკმაოდ რთული შესაცნობია. იური ბორევის სიტყვებით, „მხატვრული სახე რომ მთლიანად ითარგმნებოდეს ლოგიკის ენაზე, მაშინ

მეცნიერებას შეეძლებოდა ხელოვნების შეცვლა. მეორე მხრივ, თუ მისი თარგმნა ლოგიკის ენაზე აბსოლუტურად შეუძლებელია, მაშინ არ უნდა არსებობდეს არც ხელოვნებათმცოდნეობა, არც ლიტერატურათმცოდნეობა და არც მხატვრული კრიტიკა. საქმე სწორედ ისაა, რომ სახე ითარგმნება და არც ითარგმნება ლოგიკის ენაზე. არ ითარგმნება იმიტომ, რომ ანალიზის შემდეგ ჩნდება „ზესაზრისული ნარჩენი“. ითარგმნება იმიტომ, რომ თუკი უფრო და უფრო ღრმად შევდივართ ნაწარმოების არსში, სულ უფრო სრულად და ყოველმხრივად შეგვიძლია გამოვავლინოთ მისი შინაგანი აზრი. სახე შეესაბამება თვითონ ცხოვრების სირთულეს, ესთეტიკურ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას. კრიტიკული ანალიზის დამოკიდებულება სახესთან არის უსასრულო მიახლოებისა და ჩაღრმავების პროცესი“ (ბორევი, 1986:212).

მხატვრულ სახეთა ტრანსფორმაციის პროცესში, როგორც აღვნიშნეთ, ერთნაირად მონაწილეობს ეპოქა, უფრო ზუსტად ეპოქის თვალთახედვა, რომელიც ახალ ელფერს სძენს წარსულს და შემოქმედი, რომელიც ინდივიდუალურად აღიქვამს ეპოქას და კიდევ უფრო განსხვავებულ ელფერს აძლევს საგანსა თუ მოვლენას.

მხატვრულ სახეთა ქმნადობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შოთა რუსთველის შემოქმედება. გურამ ასათიანის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ არის არა განყენებული ფილოსოფიური აზროვნების პოეტურ ენაზე გადატანის შედეგი, არამედ სამყაროს მხატვრული დაუფლების, მისი შემოქმედებითი „დაძლევისა“ და გარდასახვის სრულიად დამოუკიდებელი, გენიალური ცდა... რუსთაველის მხატვრული კრედოც, ისევე როგორც პოემის მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, ამოიკითხება არა პირდაპირი მსჯელობის სახით ჩამოყალიბებულ ავტორისეულ დეკლარაციებში (ეს რომ ასე იყოს, ყველაფერი ძალზე მარტივი გახდებოდა), არამედ იმ იდუმალ წესში, რომლის მიხედვითაც ეს ჯადოქრული შტაგონებით ნაგები ხელოვნური შენობაა წამომართული“ (ასათიანი, 1974:12-13).

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სახეთა შესახებ მსჯელობა ნებისმიერი მიმართულებით გაუგებარი იქნებოდა, თუკი არ გავითვალისწინებდით რუსთაველის შეხედულებას შემოქმედებითი ღვწის მოტივირების საკითხის შესახებ: „აწ ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვანება, ძალი მომეც და შეწევნა

შენგნით მაქვს მივსცე გონება“ (რუსთაველი, 1966:9). ამ განაცხადში კარგად ჩანს რუსთაველის მხატვრულ სახეთა ქმნადობის პრინციპი, წარსულის მონაპოვარს ახალი გზა და მიმართულება მისცეს. საკითხი რომ უფრო გასაგები იყოს, მივმართოთ ჩვენთვის საინტერესო მხატვრულ სახეს. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანის“ ერთ თავში „ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა“ როსტევანს ათქმევინებს:

„რა მეფემან მოისმინა, დაიზახნა მეტის-მეტნი;
მოსთქვამს, იტყვის: „ვა, გაზრდილო, ვერარ გნახვენ თვალნი რეტნი!
პირსა ხოჭით, წვერსა გლეჯით გააკვირნა მისნი მჭვრეტნი,
სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგე სვეტნი?“

საკვლევი მხატვრული სახეა „სინათლისა ეგე სვეტნი“. სინათლე, ნათელი, ესთეტიკური რაობაა, მშვენიერებისა და ამაღლებულობის მომფენი, - წერს რევაზ სირაძე, - ნათლის ესთეტიკა მზის ესთეტიკას ემყარება, მაგრამ მეტი სულიერება და სიღრმე მოაქვს. ნათელი უსაზღვროებას შეგვაგრძნობინებს. ნათელი ყოველგვარ ფორმაზე ზემდგომია. იგი ფორმით განუსაზღვრელია“ (სირაძე, 2000: 150).

ნათლის ესთეტიკა ქართველი კაცისთვის ახლობელი იყო ყველა ეპოქაში და საინტერესო და ახლობელია დღესაც. ამიტომ ნათლის ესთეტიკის შემცველი მხატვრული სახეები თითქმის ყველა ეპოქის ქართულ მწერლობაში გვხვდება, ოღონდ ტრანსფორმირებული სახით. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სახეც „სინათლისა ეგე სვეტნი“ ტრანსფორმირებულია. მის გენეზისს ერთდროულად მივყავართ როგორც წარმართულ, ისე ქრისტიანულ თვალთახედვასთან, რადგან რუსთველისეული მხატვრული სახეები ანტიკურისა და ქრისტიანულის შერწყმითაა მიღებული. თუ ანტიკურ ეპოქაში ყურადღება გადატანილია პერსონაჟის გარეგნულ სილამაზესა და ფიზიკურ ძალაზე, ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში პირიქითაა, აქ ყურადღება ექცევა პერსონაჟის მხოლოდ სულიერ მხარეს: „ადამიანის სხეული, მისი გარეგნობა ვერ აცლენს მისსავე სულიერ ბუნებას. სხეულიდან მხოლოდ ხელები და თვალებია სულის გამომხატველი. ადამიანის ხელებს ეტყობა სულის მოძრაობა, ხოლო თვალები სულის სარკეა. თვალებში ჩანს კაცის სიკეთე ან ბოროტება. ადამიანის სული თვალებით გამოსახატებს სხეულიდან. სულსა და თვალს ღმერთსა და მზეს ადარებენ. თვალი მზეს ემსგავსება, ხოლო სული - ღმერთს.

თვალი სულის სარკმელია, სული კი ზეცას ესწრაფვის. ამიტომ კეთილი თვალი მიპყრობილია ზეცისკენ“ (სირაძე, 2000:149). ჰაგიოგრაფიული მწერლობის მხატვრული სახეები, რომლებიც ნათლის ესთეტიკას უკავშირდება, ამ თვალთახედვითაა აღკაზმული. მათ მკითხველი, პირველ ყოვლისა, სახარებასთან მიჰყავს. სახარების ერთ ეპიზოდში იესო ქრისტე მოწაფეებს მოძღვრავს: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჴვიმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა... ეგრეთ ბრწყინვიდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა...“ (მათე, 5.15.16). ანთებული სანთელი ეიკონური მხატვრული სახეა. მხატვრული სახის საფუძველს აქ სასულიერო მწერლობის შემოქმედებითი ღვწის მოტივირების საკითხი ქმნის. ავტორი მექანიკური შემსრულებელია და თხზულება იწერება სულიწმინდის კარნახით. ეს პრინციპი, პირველ ყოვლისა, ხაზს უსვამს როგორც თხზულებაში გადმოცემული ამბის ნამდვილობას, ისე ქრისტიანული რელიგიის, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიის, პოპულარიზაციას. ამ იდეას ემსახურება ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში სასწაულებრივი მომენტიც, როდესაც მხატვრული სახე - „ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან“ (ძეგლები, 1963:73) - გამობრწყინდება. ნათელი ქრისტეს რწმენაა. როგორც კი რწმენა ირყევა, მისი განმტკიცების მიზნით, სასწაულებრივი მომენტი დგება. იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ვკითხულობთ: „ვითარცა შემწუხრდა დღეჲ იგი და იყო ჟამი პირველი ღამისაჲ მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკვლავი მოტყინარეჲ, ვითარცა ლამპარი ცეცხლისაჲ. ხოლო კუალად მეორესა ღამესა უმეტესღა წყალთა გამოსცეს განსაკუთრებული ნათელი და განათლებულ იყო გარემოჲს კიდეთა მის მდინარისათა კლდეჲ იგი და კბოლენი და ხიდი იგი, ზეითგან ვიდრე ქუედამდე, რომელსა ეგრევე ყოველი სიმრავლეჲ ქალაქისაჲ ჰხედვიდა, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს, რამეთუ ჭეშმარიტად იესუ ქრისტეჲს, ძისა ღმრთისა, მარტვილ არს“ (ძეგლები, 1963:78). გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთ სასწაულებრივ მომენტში ჩასაფრებული მკვლელი ელოდება წმინდა მამას: „ხოლო მამაჲ გრიგოლ თვისით აგარაკით მარტოჲ შტამოვიდოდა ხანძთას და მგზავრ სლვასა ზეპირით წმიდისა მამისა ეფრემის თქმულთა საკითხავთა იტყოდა გოდებით ტირილსა

შინა. ხოლო სულითა იხარებდა, რამეთუ ხედვიდა სიმრთოთა ხილვათა მადლითა სული წმიდისაჲთა. მაშინ საწყალობელმან მან კაცმან იხილა სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდმო, რამეთუ სუეტი ნათლისაჲ ფრიად ბრწყინვალე, ცად აწევნული, ჰფარვიდა მას. და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთ-შეუდგამი გარემო მისსა ცის-სარტყელის სახედ, შუენიერად რაჲ გამოჩნდის ჟამსა წვიმისასა“ (ძეგლები, 1963:336).

გიორგი მერჩულის „სუეტი ნათლისაჲ“ და შოთა რუსთაველის „სინათლისა ეგე სვეტნი“ ორი განსხვავებული მხატვრული სახეა. ერთი შეხედვით, ისინი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ალბათ იმიტომ, რომ მეორე პირველის ტრანსფორმაციითაა მიღებული. პირველი ეიკონური მხატვრული სახეა, მეორე - წმინდა მხატვრული. ამ ორი მხატვრული სახით ორი თვალთახედვა, ორი ეპოქა, ორი პრინციპი შემოქმედებითი ღვწის მოტივირებისა, დგას ერთმანეთის პირისპირ. ამაღლებულობა ამ ორი მხატვრული სახისა ერთნაირია, მაგრამ შინაარსია განსხვავებული. გიორგი მერჩულის „სუეტი ნათლისაჲ“ უფლის სახე-სიმბოლოა. გრიგოლი მსახურია ღვთისა. მისი სულიერი სიმაღლე და ღვაწლი ფასდება იმით, რომ მას თავს ადგას სვეტი ნათლისა, ის მსახურია ნათლის სვეტის, ღმერთის, რწმენის, მაგრამ არ არის რწმენა, ნათლის სვეტი. რაც შეეხება შოთა რუსთველს, მასთან „სინათლისა ეგე სვეტნი“ ავთანდილია, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი, „საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა...“ მის სახელს უკავშირდება ნაწარმოების იდეა „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. აქ მხატვრული სახე ტრანსფორმირდება, რწმენა, იგივე სვეტი ნათლისა და რწმენის მსახური - პიროვნება მთლიანობად იქცევა, ნათელს შეიმოსავს, სინათლის სვეტად - ავთანდილად გარდაისახება. გარდა იმისა, რომ ავთანდილის მხატვრულ სახეში შერწყმულია პერსონაჟის ხატვის ანტიკური და ქრისტიანული ეპოქის პრინციპები, ეს მხატვრული სახე საინტერესოა სხვა თვალსაზრისითაც. ზუსტად გამსახურდიას აზრით: „სამი საღვთისმეტყველო სათნოების: სარწმუნოების, სასოების და სიყვარულის პერსონიკაციები მოცემულია სამ მთავარ გმირში. ესენი არიან ავთანდილი (სარწმუნოება), ფრიდონი (სასოება), ტარიელი (სიყვარული), თუმცა ქრისტიანულ მოძღვრებაში ამ სამთაგან პრიორიტეტი ენიჭება სიყვარულს: „ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოებაჲ,

სასოებად და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფროს ამათსა სიყვარულ არს“ (1 კორინთელთა,13.13).

„ვეფხისტყაოსანშიც“ ცენტრალური ადგილი უჭირავს სიყვარულის პერსონიფიკაციას, ტარიელს და პოემასაც მისი სახელი ჰქვია... ავთანდილის მხატვრული სახის ანალიზი კი გვარწმუნებს, რომ პოემაში იგი წარმოადგენს სწორედ სარწმუნოების, რწმენის პერსონიფიკაციას ანუ განსახიერებას“ (გამსახურდია, 1991:249), თუმცა მხატვრულ სახეს „სინათლისა ებე სვეტნი“ გამსახურდია არ იმოწმებს. შეიძლება ითქვას, რენესანსის ეპოქამ და რუსთაველმა სასწაული მოახდინეს. თუ გურამ ასათიანს დავესესხებით: „სამყარო, ხილული ქვეყანა, რუსთველისათვის წარმოადგენს შემოქმედი სულის დასრულებულ, შინაგანად ჰარმონიულ, სრულყოფილ განსახიერებას სინამდვილის მყარ, მატერიალურ ფორმებში და ამდენად პოეზიაშიც, როგორც სულიერი ქმნილების სფეროში, იდეის მატერიალიზაცია მიმდინარეობს ამ უმაღლესი ჰარმონიის მწყობრი და ნათელი კანონების შესაბამისად“ (ასათიანი - 1986:17). დიახ, კანონების შესაბამისად: „აწ ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვანება, ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს მივსცე გონება“.

გამოყენებული ლიტერატურა:

ასათიანი, 1986: გ. ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბ., 1974.

ბორევი, 1986: ი. ბორევი, ესთეტიკა, თბ., 1986.

გამსახურდია, 1991: ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991.

რუსთაველი, 1974: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1974.

სირაძე, 1987: რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ., 1987.

ძეგლები, 1967 – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილია აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ, გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963.

Ketevan Grdzelishvili

AN ARTISTIC CHARACTER OF " THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" AND THE ISSUE OF TRANSFORMATION OF ARTISTIC CHARACTERS

Summary

The article deals with the artistic characters of the poem. It shows that the esthetics of light was very close to the Georgian in every epoch and is interesting and close even today. That's why artistic characters having esthetics of light are met in Georgian literature of almost every epoch only in a transformed form. The artistic character – " the pillars of lights: in "The Knight in the Panther's Skin" is transformed. Its genesis takes us to both- pagan and Christian points of view as Rustaveli's artistic characters are formed by combining the antiquity and Christianity. If in the antique epoch attention is paid to outer beauty and physical strength, it is opposite in hagiography. Here attention is paid to spiritual part of the character, his inner nature. In hagiographical literature ("The Life of Grigol Khandzteli" by Giorgi Merchule" "the ray of light" is a symbol of the Lord. Grigol has "the ray of light" over his head. He is a servant of the Lord, of "the ray of light", of belief but he isn't "the ray of light" As for Shota Rustaveli, "the ray of light" for him is Avtandili, an artistic character, The artistic character in the poem is transformed. Belief, the same as "the ray of light" and a servant of belief, a person become one whole.

Avtandili, this artistic character is interesting from the other point of view. He represents the personification of belief and religion. The Renaissance epoch and Rustaveli made a miracle: "I want a language to express my ideas, I have strength given by you to do it."

გულძან შალიკაშვილი

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის დამდეგამდე, თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე, მთელ საქართველოში ლიტერატურული ცხოვრება მინავლებული იყო. თუმცა, ზოგჯერ შეინიშნებოდა გამოცოცხლებაც. უპირველესად უნდა დავასახელოთ ვანის ქვაბთა მონასტერში შემონახული კედლებზე წარწერილი ლექსები, რომელთაგან უმეტესობა ლიტერატურულია, რამდენიმე კი ფოლკლორული წარმოშობისაა. ისინი ცნობილი იყო ადრევე, მაგრამ მათი კვლევა დაიწყეს ვ. ცისკარიშვილმა, კ. კეკელიძემ და შ. ონიანმა. ვ. ცისკარიშვილმა 1954 წელს გამოაქვეყნა რამდენიმე ლექს-წარწერა (*ცისკარიშვილი 1954:168-180*); კ. კეკელიძემ სტატიაში „კედლებზე შერჩენილი სიცოცხლე“ მიმოიხილა ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე შემორჩენილი პოეტური თხზულებები (*კეკელიძე 1959*). შ. ონიანმა სამი სტატია მიუძღვნა ვანის ქვაბთა მონასტრის კედლების პოეზიის შესწავლას (*ონიანი 1959:287-293; ონიანი 19592:33-40; 1960:33-42*).

წინასწარ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში ნათქვამია, რომ პოემის დაწერის დროს საქართველოში გავრცელებული ყოფილა ლირიკული ჟანრის თხზულებები, თუმცა, ჩვენამდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მოუღწევია, ისიც უფრო გვიანი ხანისაა, ვიდრე თვით შოთა რუსთველის პოემა. ლიტერატურულად გაფორმებული სახით ისინი თითქმის არაა შემონახული, მათ ვხვდებით კედლის წარწერებში. ეს სწორედ ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე შემონახული პოეზიაა.

დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით გარკვეულია, რომ XV-XVI საუკუნეებში ვანის ქვაბებში დედათა მონასტერიც იყო, სადაც მონაზონი ქალები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. როგორც ჩანს, მონაზონ ქალებს მონასტრის კედლებზე წაუწერიათ თავიანთი ნაფიქრ-ნააზრევი ლექსების სახით, მცირე ნაწილი მათივე შეთხზულია, დამოუკიდებელი ლირიკული ნაწარმოებებია, მეტი წილი კი ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან ამონარიდები და ფოლკლორული ნიმუშებია. კედლებზე იკითხება 10 ლექსი და „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტრო-

ფი. წარწერები შეუსრულებიათ ქალებს: გულქანს, ანა რჩეულაშვილს, თუმიან გოჯიშვილს, შალაბანი სულთანს და ხვარამზეს. ამ უკანასკნელის წარწერა ინფორმაციული ხასიათისაა. შ. ონიანის დაკვირვებით, ზოგიერთი წარწერის ხელი ჰგავს ვანის ქვაბის მონასტრის „განგების“ მხედრულ მინაწერებს. წარწერებიდან ჩანს, რომ მონაზონი ქალები გულდათუთქულები არიან პირადი ცხოვრების გამო, მათ ჰყავდათ მიჯნურები, რომელთაც დააშორეს ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო. ისინი გარეგნული სილამაზით გამორჩეულები ყოფილან, მაგრამ ამას მათთვის ტანჯვის მეტი არაფერი მოუტანია. სასოწარკვეთილი ქალები მონასტრის კედლებს ანდობენ თავიანთ განცდებსა და სადარდელს, ღმერთს შესთხოვენ ცოდვათა შენდობასა და სულის ხსნას. წარწერები საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაშია შესრულებული, მტერთა შემოსევებისა და თავდასხმების დროს, მაგრამ მათში ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური ვითარება არ ირეკლება, მონაზვნები მხოლოდ თავიანთი ინტიმითა და პირადული განცდებით არიან დაკავებულნი. შ. ონიანმა საინტერესო პარალელი გააკეთა ვანის ქვაბის მონასტრის მონაზონ ქალთა სულიერი მდგომარეობასა და ბოკაჩოს „დეკამერონის“ პერსონაჟებს შორის. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოკაჩოს რომანისა და ვანის ქვაბთა მონასტერში მოხვედრილ მონაზონ ქალებს ბევრი რამ განასხვავებთ ერთმანეთისაგან. მთავარი ისაა, რომ მათი მონასტერში მოხვედრა განსხვავებულ საფუძველს ემყარება. მონაზონი ქალები წერენ საერფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსებს, მათ უმძიმთ ამქვეყნიურ სიამოვნებათა დათმობა; მათში ხორციელისადმი სწრაფვა უფრო ძლიერია, ვიდრე სულიერი ცხოვრებისადმი. ისინი უჩივიან სიფხლის წარმავლობასა და დაუნდობლობას, იგრძნობა გარეგნული სილამაზისა და სიყვარულის დაკარგვით გამოწვეული მძაფრი განცდები, გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ გაუხარელი ცხოვრება აქვთ და ხსნას ვერაფერში ხედავენ. ყოველივე ეს იმას ადასტურებს, თუ როგორ არის შეცვლილი დამოკიდებულება ღმერთისადმი, რწმენისადმი, ცხოვრებისადმი, ადამიანი მატერიალურსაა გადევნებული და სულიერ ცხოვრებას მოკლებულია. ამ ლექსებზე დაკვირვებით ნათელი ხდება, თუ როგორ შეიცვალა რუსთველის შემდეგ ადამიანის ინტერესები და სულიერი ცხოვრება.

მონაზონი გულქანი, რომლის სახელითაც ორი ლექსია ცნობილი, ვ. ცისკარიშვილისა და შ. ონიანის დაკვირვებით,

გვარად შალიკაშვილი უნდა ყოფილიყო. მას უნდა ეცხოვრა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე. შ. ოინიანის შეხედულებით, გულქანი და ანა რჩეულაშვილი თანამედროვენი იყვნენ და ერთმანეთს იცნობდნენ, რადგან გულქანი ანა რჩეულაშვილის მიერ შესრულებულ წარწერაში იხსენიება: „გულქანსა უშუელე ცოდვილსა. შენ იჴსენ მისი სული ყოვლად წმიდაო დედოფალო“. მისივე მოსაზრებით, იგი მოიხსენიება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ერთი ალაპის მინაწერის ცნობაში, რომელიც გვამცნობს ხოსიმე კუმურდოელის მიერ მონასტრის შეწირულების შესახებ, შეწირულება გაუღიათ „ქეთაონ ყოფილსა ქრისტინეს და გულქანს“. მონასტერს კი ამის სანაცვლოდ ქეთაონის გარდაცვლილი შვილების – იოთამისა და გულქანის სულის სახსენებელი დაუწესებია. თვით ქეთევნი კი ქართლის მეფის გიორგი VIII-ისა და ყვარყვარე ათაბაგის ასულის თამარის ასული ყოფილა. ქრ. შარაშიძის ცნობით, ქეთაონი უნდა გარდაცვლილიყო 1514-1515 წლებში. მალევე უნდა გარდაცვლილიყო გულქანიც, რომლის ქონება დედის ქონებასთან ერთად შეუწირავთ ჯვარის მონასტრისათვის. ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე მოხსენიებული გულქანი და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ალაპებში მოხსენიებული გულქანი ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო, რადგან მათი ქრონოლოგიური და სივრცობრივი არეალი ერთმანეთს თანხვდება. წარწერის მიხედვით, გულქანი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი, – „ქმარი ჯერ არ მედგა“, – მანუჩარს წაუყვანია „ქალად და გასათხოვარად“. ფიქრობენ, რომ ეს მანუჩარი მანუჩარ I ათაბაგი უნდა იყოს, რომელიც XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. საინტერესოა, თუ რად ერგებოდა მანუჩარს გულქანი, რადგან, როგორც ჩანს, იგი ზრუნავდა გულქანზე და მის გათხოვებას ცდილობდა. შ. ოინიანის ვარაუდით, მანუჩარი ყოფილა ბიძა გულქანის დედისა, ქეთევნისა. ასეთ შემთხვევაში საფუძველი გასაგებია მანუჩარის ზრუნვა გულქანზე. ქეთევნის შვილები მესხეთის თავადიშვილთა საგვარეულოებს შორის მოიხსენიებიან, ისინი შალიკაშვილები ყოფილან. ასე დგინდება გულქანის გვარი. წარწერა ასეთი შინაარსისაა (ტექსტი კედელზე ცუდად იკითხება): „ქ. ღმერთო და ყოვლადწმიდაო დედოფალო, ღვთისმშობელო, და რომელნიც წმიდანი და მთავარანგელოზნი სხუანები ხართ. თქუენს ძალას და მოწყალებას უშუელეთ, და ულხინეთ მას მომსახურეს მიწასა თქუენსა, თუალპატიოსანსა

უებარს გულქანს. ვიყავ გ(?!)დევალი რომ მომიყვანა მანუჩარმა ქალად და გასათხოვარად. ქმარი მე ჯერ არა მყდგა. ღმრთის მადლმა და მოწამეთა მადლმა, ჩემისა ულამაზესი სულიერი დედამიწასა ზედა არა იარებოდა და არცა სხვა გამოსულა: არცა თუალად, არცა ტანად, არცა ზნითა, არცა გონებითა; თორემ ჩემნი მნახავნი არ გამამტყუნებენ“; ქვემოთ მინაწერიცაა, რომელიც ძნელად იკითხება: „ქ. ქალო ... შენმა მზემან... ... ეხატნეს ვისაც უქნია...“ (*ცისკარიშვილი, 1954:172*).

როგორც ვანის ქვაბთა მონასტრის ეს წარწერა მოწმობს, გულქანი ულამაზესი ქალი ყოფილა. იგი სიამაყით აღნიშნავს თავის სილამაზეს თავის წარწერაში. ეს წარწერები მას ახალგაზრდობისას წაუწერია და, როგორც ჩანს, მონასტერში მოხვედრილი გულქანი ადრე გარდაცვლილა, ვერ აუტანია მონაზვნური ყოფა-ცხოვრება.

გულქანის ხელით კედელზე შესრულებული მეორე წარწერა თექვსმეტმარცვლიანი ლექსია, რომელიც მაღალი შაირის ნიმუშს წარმოადგენს. წარწერაში მას ლექსის ფორმა არ აქვს, ტექსტი პროზაულადაა წარწერილი. ავტორი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ვედრებით მიმართავს და შესთხოვს ბოროტ ძალთაგან, მტანჯველთაგან გათავისუფლებას. დავიმოწმებთ ტექსტს შ. ონიანის გამოკვლევის მიხედვით:

ქ. ღმრთის მშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ
უშურველი,
შენ აღპოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი, უთვალველი,
მე სამოელ ტანჯვად მაწვევს უშიშო და უკრძალველი,
მწყეო ჩემო, შენ მიშველე, გამოჴსნასა შენგან ველი.
მრავალ-თვალნი ანგელოზნი შენგან ძრწიან ძალნი, დასნი,
ჴოჴოხეთით მოციქულნი გამოვიდეს ბევრ-ათასნი
(ონიანი 19592:36).

ლექსი იწყება ქანწილით, იგი არასრულადაა წარწერილი, მასში 6 სტრიქონია, ჩანს, რომ აკლია ორი სტრიქონი. მისი ავტორი უცნობია, გულქანი ავტორი არ არის, რადგან, როგორც შ. ონიანმა აღნიშნა, ისეთი ლაფსუსებია დაშვებული, როგორიც მხოლოდ გადამწერს შეიძლება მოსვლოდა და არა ავტორს. მისივე აზრით, ლექსი შესაძლოა რუსთველის ეპოქაში შექმნილიყო; თუმცა, მისი დათარიღება მაინც ძნელია. ჩანს, რომ ლექსს პოპულარობა მოუპოვებია. იგი ყურადღებას იქცევს სახისმეტყველებითი თვალსაზრისით. ავტორი მიმართავს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომელიც ცოდვილთა

მეოხია და რომელმაც ცოდვებისაგან განწმინდა ადამიანი, კერძოდ აქ საუბარია თვით ავტორის ცოდვებზე. მას ღვთისმშობელი მიაჩნია ადამიანის მცველად ბოროტ ძალთაგან. ლექსში სამი უარყოფითი ძალაა დასახელებული ადამიანის, ამ შემთხვევაში, თვით ავტორის მტანჯველად: სამოელ, მრავალთვალიანი ანგელოზი, ანუ დაცემული ანგელოზი, და ჯოჯოხეთის ბევრ-ათასნი მოციქულნი. ლექსი სახომის მიხედვითაც საკურადღებოა, იგი მალალი შაირითაა შესრულებული, რითმაც ყურადღებანი და შთამბეჭდავია.

Nestan Sulava

GULKAN SHALIKASHVILI

Summary

Literature life in whole Georgia was slowed down almost four centuries, from the second half of XIIIc. till the beginning of XVIIc.Though from time to time it revived. I want to discuss poetry written on the walls of Vanis Kvabta Monastery. Most of them are literary, some are of folklore origin. They were known from early times. V. Tsiskarishvili, K.Kekelidze and Sh. Oniani began to research them.

In the introduction of the "The Knight in the Panther's Skin"is said that in the time of writing the poem lyrical janre was spread in Georgia, through only some of them reached to us. They were written later than the poem by Shota Rustaveli. They are met namely in the wall inscriptions. We can say that the samples of such lyrical poetry written by nuns are kept on the walls of Vanis Kvabta Monastery. One of them is Nun Gulkani who has inscribed two verses. To our mind her surname was Shalikashvili and she lived on the boundary of XV-XVI cc. According to the inscription of Vanis Kvabta Monastery, Gulkani was a beautiful woman. She describes her beauty in her inscriptions.

One of the inscriptions on the wall done by Gulkan is 16 syllabled. It is a sample of a joke. The rythm is impressive. The author prays for St. Virgin and asks her to free her from evils. Gulkani is not an author because the mistakes there could be made only by a copyist. The author addresses to St. Virgin who helps sinners and defends people.

თომას მანი და რუსული ლიტერატურა

რუსულ ლიტერატურასა და კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია XX საუკუნის დასავლეთევროპული ლიტერატურის ერთ–ერთი გამოჩენილი და თვითმყოფადი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის თომას მანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. მწერლის უზარმაზარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არაერთი საინტერესო გამონათქვამი შეიძლება მოიძებნოს რუსული ლიტერატურისა და რუსი მწერლების, რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურებებისა და მენტალობის შესახებ. იგი მადლიერების გრძნობით იყო განმსჭვალული რუსული ლიტერატურის მიმართ, რომელსაც ჯერ კიდევ ნოველაში „ტონიო კრეგერი“ უწოდა „წმიდა რუსული ლიტერატურა“. „XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა, – წერდა თომას მანი, – სულიერი კულტურის ერთ–ერთი საოცრებაა, და მე ყოველთვის ვწუხდი იმის გამო, რომ პუშკინის პოეზია ჩემთვის მიუწვდომელი დარჩა, ვინაიდან არ გამაჩნდა საკმარისი დრო და ენერგია, რათა რუსული ენა შემესწავლა... ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდ მოწიწებას ვგრძნობ გოგოლის, დოსტოევსკის და ტურგენევის მიმართ...“

თომას მანის დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ევროპაში რუსული ლიტერატურისადმი ინტერესის გაღრმავებას. როგორც თ. მოტილიოვა აღნიშნავდა, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე თითქმის ყველა გერმანელი მწერალი კარგად იცნობდა რუსულ ლიტერატურას. „გერჰარტ ჰაუპტმანმა თავისი პირველი ცნობილი რეალისტური პიესები დაწერა ტოლსტოის ნაწარმოების „მეუფება წყვდიადისა“ გავლენის ქვეშ. ბერჰარდ კელერმანმა რომანში «Der Tor» („სულელი“ ან „იდიოტი“) შექმნა თავად მიშკინის მსგავსი უცნაური და იდეალისტი მქადაგებლის სახე. რაინერ მარია რილკე ... ცდილობდა რუსულ ენაზე დაეწერა ლექსები. იგი ტოლსტოისაც ეწვია იასნაია პოლიანაში. ლეონჰარდ ფრანკი, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დროს შექმნა ერთ–ერთი პირველი ანტიმილიტარისტული ნაწარმოები „ადა-

მიანი კეთილია“, დოსტოევსკის თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ თომას მანი უფრო სიღრმისეულად აღიქვამდა რუსულ კლასიკურ ლიტერატურას და მასთან უფრო დიდ სულიერ კავშირს გრძნობდა, ვიდრე მისი თაობის ყველა გერმანელი მწერალი“ (მოტილიოვა, 1975:5). ამაზე მოწმობენ არა მარტო მისი მხატვრული ნაწარმოებები, არამედ ის მრავალრიცხოვანი ესეები, რომლებიც მან მიუძღვნა რუსულ ლიტერატურას და რუსი მწერლების შემოქმედებას.

თომას მანი განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდა XIX საუკუნის რუსული კლასიკური ლიტერატურის მიმართ, დიდად აფასებდა მის ზნეობრივ და ფილოსოფიურ პრობლემატიკას, იდეათა სიმდიდრეს, მხატვრულობას და რეალისტურობას, იმ „ჭეშმარიტებას, რომლის უგულებელყოფა შეუძლებელი იყო მათთვის, ვისთვისაც ეს ჭეშმარიტება ძვირფასი იყო...“ (მანი, 1961:345).

რუსული კლასიკური ლიტერატურის შესახებ თომას მანი მთელი სიცოცხლის მანძილზე წერდა. რუს მწერლებს შორის განსაკუთრებით გამოყოფდა ტოლსტოის, ტურგენევს, დოსტოევსკის და ჩეხოვს. „XIX საუკუნის ამ დიდი რუსი ეპიკოსების ნაწარმოებები ჩემი ლიტერატურული განათლების მთავარი ელემენტი იყო და დღესაც ასეთად რჩება. როდესაც ოცდა სამი წლის ასაკში მე ვწერდი დიდ ეპიკურ ტილოს „ბუდენბროკებს“, რომელიც ჩემს ახალგაზრდულ ძალებს აღემატებოდა, სწორედ ტოლსტოის ნაწარმოებების ყოველდღიური კითხვა მმატებდა ძალას, რათა ამ მეტად რთულ რომანზე გამეგრძელებინა მუშაობა “ (მანი, 1961:290).

თომას მანმა პირველი სტატია რუსული ლიტერატურის შესახებ „რუსულ ანთოლოგიაში“ (1921) დაბეჭდა. ამ სტატიაში მან წარმოგვიდგინა გამოჩენილ რუს მწერალთა გალერეა, პუშკინით დაწყებული და ფიოდორ სოლოგუბით დამთავრებული. მათ შორის განსა-კუთრებული ადგილი ლევ ტოლსტოის მიუჩინა, რომელსაც „ადმოსავლეთის მიქელანჯელო“ და „იასნოპოლიანელი ჰომეროსი“ უწოდა. „რუსულ ანთოლოგიაში“ მანი მეტ–ნაკლებად შეეხო ლიტერატურულ საკითხებს, ძირითადად ყურადღება გაამახვილა თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებზე და ცდილობდა ამ ჭრილში წარმოეჩინა რუსული კლასიკური ლიტერატურის მისეული ხედვა.

მიუხედავად იმისა, რომ მანი არ იზიარებდა ტოლსტოის შეხედულებებს მთელ რიგ საკითხებზე, მისი ინტერესი რუსი კლასიკოსისადმი არ ნელდებოდა. ტოლსტოის გარდაცვალების შემდეგ მანმა კიდევ 45 წელი იცოცხლა. ამ დროის მანძილზე, მსოფლიოში მომხდარმა მოვლენებმა თითქოს წარსულს მიაბარეს რუსი მწერლის ბუმბერაზი ფიგურა. ყველაფერი, რასაც მანი წერდა 20–30–იან წლებში, განსაკუთრებით მისი ესეისტიკა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებთან, მაგრამ სწორედ ამ წლებში დაიმკვიდრა ტოლსტოიმ მნიშვნელოვანი ადგილი მის ესეისტიკაში, სწორედ ამ წლებში მიუძღვნა მანმა რუს მწერალს ყველაზე მეტი სტატია.

ყურადღებას იქცევს მანის ვრცელი გამოკვლევა „გოეთე და ტოლსტოი“, რომელიც შემდგომ სტატიის სახით დაიბეჭდა (1922). სტატიაში მან გოეთესა და ტოლსტოის შედარება–შეპირისპირება მოგვცა. მანი არ ცდილობს ტოლსტოის ნაწარმოებების ანალიზს და მისი მხატვრული მანერის თავისებურებებში გარკვევას. მისი განხილვის ობიექტია არა ტოლსტოი–მოაზროვნე, ტოლსტოი–ხელოვანი, არამედ ტოლსტოი–ადამიანი, მისი პიროვნება. ეს მას დასჭირდა იმისათვის, რათა გამოეხატა თავისი შეხედულებები იდეალურ, ჰარმონიულ ადამიანზე, რომელშიც დაბალანსებულად იქნებოდა წარმოჩენილი ორი მთავარი საწყისი: „ბუნება“ და „სული“, „ცხოველური“ და „ღვთაებრივი“. მანის აზრით, დიდი ადამიანი ორივე საწყისით არის დაჯილდოებული. ტოლსტოიში იგი ხედავს „თანდაყოლილ გენიალურობას“, „ჯანის სიმრთელეს“, „მიწიერ საწყისს“, „ეთიკურ ძალას“, და ამავე დროს ხაზს უსვამს მის იდეათა “ანარქიულ თავშეუკავებლობას და ბუნტარულ სულისკვეთებას”.

სტატიაში ანალიტიკურ დაკვირვებებს თან ახლავს ფაქტები ტოლსტოის ბიოგრაფიიდან, მოცემულია მწერლის ფსიქოლოგიური პორტრეტი. სტატიაში საუბარი იწყება ვაიმარელი მასწავლებლის იულიუს შტეტცერის შესახებ, რომელსაც წლად ხვდა ბედნიერება გასაუბრებოდა როგორც გოეთეს, ასევე ტოლსტოის; გოეთეს 1828 წელს, როდესაც ტოლსტოი დაიბადა, ხოლო ტოლსტოის – 30 წლის შემდეგ, როდესაც იგი ევროპაში იყო ჩასული, რათა გასცნობოდა სასკოლო საქმეს და დაესწრო შტეტცერის გაკვეთილებს. მანი გვაძლევს შტეტცერის თვალით დანახულ ტოლსტოის პორტრეტს: „მასწავ-

ლებელთან შედარებით უფრო ახალგაზრდა ჩანდა; ჰქონდა მოკლე წვერი, გამოკვეთილი ღაწვები, პატარა ნაცრისფერი თვალები და ღრმა ნაოჭი შავ წარბებს შორის. ყოველგვარი ცერემონიის და მისალმების გარეშე მან იკითხა, თუ რას გააკეთებდნენ დღეს, და როდესაც შეიტყო, რომ ჯერ იქნებოდა ისტორიის, შემდეგ კი გერმანული ენის გაკვეთილი, მოიწონა და დასძინა, რომ უკვე გაეცნო სამხრეთ გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის, ახლა კი სურს გაეცნოს ჩრდილო გერმანიის სკოლებს. ის გერმანულად საუბრობდა როგორც გერმანელი. თუ გავითვალისწინებთ იმ ინტერესს და ცოდნას, რომლითაც სვამდა კითხვებს, იძლეოდა შენიშვნებს და რაღაცას იწერდა ბლოკნოტში, ალბათ, მასწავლებელი იყო“.

აღნიშნულ სტატიაში მანს აინტერესებს შემდეგი საკითხი: რისი გაგება შეუძლია უკეთესად ადამიანს საკუთარ თავში, სხვა ადამიანში, იმ საზოგადოებრივ პროცესებში, რომლებიც მიმდინარეობენ გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და რუსეთში, როდესაც ვეცნობით და დავფიქრდებით ისეთ უნიკალურ და წინააღმდეგობით აღსავსე მოვლენაზე, როგორიც ლევ ტოლსტოია? აღნიშნული საკითხი შემდგმა გარემოებამ განაპირობა. წლები, როდესაც მანი წერდა ტოლსტოის შესახებ, იყო მანის მიერ საკუთარი შეხედულებების ახლებურად გააზრების წლები, როდესაც იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ხელოვნების მთავარი ქვაკუთხედი უნდა გახდეს ადამიანი და მისი სულიერი ღირსება. ამიტომ დაუკავშირა მან თანამედროვეობის ეს მთავარი პრობლემა ტოლსტოის პიროვნებას და წამოჭრა იგი მის შესახებ დაწერილ თითქმის ყველა ნაშრომში. ამიტომაა, რომ ტოლსტოისადმი მიძღვნილი ყველა ნაშრომი უფრო ფსიქოლოგიურ ნარკვევებს გვაგონებს, ვიდრე ლიტერატურულ–კრიტიკულ სტატიას.

ზემოთხსენებული სტატიისგან განსხვავებით, ტოლსტოის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში (1928) საკითხი სხვაგვარადაა დასმული: ტოლსტოი ჩვენი დროის ჰომეროსია, უდიდესი ეპიკური ნაწარმოების შემქმნელი, ხელოვანი, რომლის შემოქმედება აღსავსეა „უკვდავი სიჯანსაღით“, „უკვდავი რეალიზმით“. რას გვასწავლის, რით გვეხმარება ტოლსტოი, რა შეიძლება ვისწავლოთ მისგან, და რა მნიშვნელობაა აქვს მის პიროვნებას და შემოქმედებას დღეს?

საუბრობდა რა დიდი რუსი მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, მანი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა ტოლსტოიზე როგორც გენიალურ მხატვარსა და საზოგადო მოღვაწეზე, რომელიც ჰომეროსისეული სიძლიერით ცდილობდა მსოფლიო ლიტერატურის აღორძინებას. „მას აღიქვამდნენ, როგორც გამოცხადებას და, ცხადია, იმიტომ, რომ ის იყო ნამდვილი ზეშთაგონება: ძალუმი გამუღავნება იმისა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „პიროვნებას", რომლის უცილობელი მართლზომიერება მტკიცდებოდა და კურთხეულიქმოდა ბუნების იდუმალი კარნახით..."

სტატიაში რუსი მწერალი წარმოგვიდგება როგორც სოციალური ტიპის ეტალონი, რომლის „შემოქმედების ეპიკურ ძლიერებას არა ჰყავს ბადალი. მასთან ყოველგვარ შეხებას ნიჭიერი ადამიანისათვის, რომელსაც გააჩნია აღქმის უნარი (სხვაგვარი ნიჭი არ არსებობს), მოაქვს ძალისა და სიახლის, შემოქმედებით გამოწვეული სტიქიური ბედნიერების, სიჯანსაღის ნაკადი... აქ არაა საუბარი მიბაძვაზე – განა რა ძალა უნდა გქნდეს, რომ მას მიჰბაძო? ... ტოლსტოის, როგორც მასწავლებლის, გაკვლენა საშუალებას იძლევა ეზიარო ხელოვნებას სულითა და ფორმით განსხვავებული საშუალებებით..."

„ანა კარენინას" ამერიკული გამოცემის წინასიტყვაობაში (1939 წ.), რომელიც მანმა დაწერა ემიგრაციაში, მან ტოლსტოის ამ რომანს „მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი სოციალური რომანი" უწოდა (მანი, 1961:293). წინასიტყვაობაში მანი საჭიროდ მიიჩნევს „რუსულ ანთოლოგიასა" და სტატიაში „გოეთე და ტოლსტოი" რუსი მწერლის შესახებ გამოთქმული შეხედულებების კიდევ ერთხელ გამეორებას „ძალისა და სიახლის", „მძაფრი ველური გამოხედვის" შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ხელოვნებაში ლ. ტოლსტოიმ ისეთი რამ შექმნა, „რის შესახებ გაფიქრება ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავები, ვერც კი გავბედავთ". აცნობს რა მკითხველს ობიექტურ ფაქტებს რუსი მწერლის ბიოგრაფიიდან, მანი არა მარტო ინფორმაციას აძლევს ტოლსტოის შესახებ, არამედ უზიარებს მკითხველს თავის შეხედულებებს იმ შემოქმედებითი კრიზისის შესახებ, რომელსაც თვითონ განიცდიდა. საერთოდ, როგორც ა. ბოტნიკოვა აღნიშნავს, თ. მანის კრიტიკული აზროვნებისათვის ჩვეული იყო საკუთარი ეჭვებისა და კრიზისული მომენტების სააშკარაოზე გამოტანა, რათა მას, როგორც ხელოვანს, თვითგამართლების საშუალება ჰქონოდა (ბოტნიკოვა, 2005:47).

დეკანოზი თეიმურაზი სტატიაში „სულის წყვდიადში მზერა – თომას მანი და თეოდორ დოსტოევსკი“ აღნიშნავს, რომ „საკუთარ ესეისტურ მემკვიდრეობაში მანის ერთ-ერთი გატაცებაა საკუთრივ დოსტოევსკისა და ტოლსტოის შეპირისპირება და ამ კუთხით მათი ნაწერების ანალიზი. იგი, მერეჟკოვსკის მსგავსად, ხშირად მსჯელობს ამ ორი ბუმბერაზი მწერლის შესახებ, ისე, რომ ერთზე საუბრისას თავისდა უნებურად ახსენებს მეორესაც. მას იტაცებს აგრეთვე თვით დოსტოევსკისეული შეფასებები ტოლსტოისა, ისევე როგორც პირიქით“.

1928 წელს მანი წერდა, რომ „ანა კარენინას“ შესანიშნავი და ღრმა ანალიზი სწორედ დოსტოევსკის ეკუთვნის. მას მხედველობაში ჰქონდა დოსტოევსკის „მწერლის დღიურები“ (1877), რომელშიც რუსმა მწერალმა საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ტოლსტოის ამ რომანს. დოსტოევსკის განსაკუთრებული ყურადღება კონსტანტინე ლევინმა მიიპყრო. ისევე როგორც დოსტოევსკი, მანი მიიჩნევს, რომ „ლევინის სახით ავტორმა გამოხატა თავისი საკუთარი შეხედულებები“, რომ ლევინი „ამ უდიდესი რომანის ჭეშმარიტი გმირია, რომანისა, რომელიც მნიშვნელოვან ეტაპად იქცა მწერლის შემოქმედების ეკლიან გზაზე, ლევინი ხომ თვითონ ლევ ტოლსტოია“. მისი აზრით, ლევინის სახე ტოლსტოის მორალურ–ეთიკურ კანონებში წვდომის საშუალებას იძლევა, რომლის მიხედვითაც უნდა იცხოვროს ადამიანმა: „სიმართლით“, „გატაცებით“, „თესოს სიკეთე“. როგორი სათქვარიც არ უნდა იყოს, ადამიანისათვის ეს სწრაფვა ისეთივე ბუნებრივი და თანდაყოლილი თვისებაა, ისეთივე აუცილებლობას წარმოადგენს, როგორც სტომაქის ამოვსება“ (მანი, 1961:334)

„ანა კარენინას“ შესახებ დაწერილი სტატია შეიძლება ჩაითვალოს ერთ–ერთ პირველ მტკიცებულებად იმისა, რომ მანმა კვლავ ირწმუნა, რომ ხელოვნებას ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი აქვს არსებობის მორალური უფლება. თუ ხელოვანს ეს რწმენა არ გააჩნია, მას გაუჭირდება ემსახუროს ხელოვნებას მხოლოდ ინსტინქტზე დაყრდნობით. მანის აზრით, ტოლსტოის ვაჟკაცური ბუნება სწორედ იმაში გამოვლინდა, რომ, მიუხედავად ამ რწმენის უქონლობისა, თავის სურვილს ეცხოვრა სიკეთისა და სამართლიანობისათვის იგი ხელოვნების წინააღმდეგ არგუმენტად იყენებდა და ამავე დროს ქმნიდა ხელოვნების შედევრებს.

ტოლსტოის ტრაქტატებმა „რა უნდა ვაკეთოთ?“ და „რა არის ხელოვნება?“ დასავლეთ ევროპის მხატვრულ ინტელიგენციაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვიეს. ტოლსტოის შეხედულებები თომას მანისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. იგი არ იზიარებდა ტოლსტოის რელიგიურ-ფილოსოფიურ იდეებს, არ ეთანხმებოდა მას, როდესაც იგი მკაცრად აკრიტიკებდა დასავლური კულტურის ზოგიერთ გამოჩენილ მოღვაწეს, მათ შორის, რიჰარდ ვაგნერს, რომლის მუსიკასაც მანი აღმერთებდა. ტოლსტოის აზრით, ვაგნერის შემოქმედება არის ტოკრატიული საზოგადოების და არა ხალხის გემოვნებაზეა გათვალისწინებული, რომ ხელოვნებამ შეგნებულად თქვა უარი თავის ჭეშმარიტ მისიაზე, და ამის ნათელ დადასტურებად მან რიჰარდ ვაგნერის შემოქმედება მიიჩნია. რუსი მწერლის შეხედულებებმა (მიუხედავად იმისა, რომ მანი მას არ ეთანხმებოდა), მისმა დამაჯერებელმა და სამართლიანმა კრიტიკამ იმ ხელოვნებისა, რომელიც ცდილობს დააკმაყოფილოს განებივრებული მკითხველის მოთხოვნები, მანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და თავისებური ასახვა ჰპოვეს მის ნაწარმოებებში „კუნდერკინდი“, „ტონიო კრეგერი“, „სიკვდილი ვენეციაში“, „ტრისტანი“ და სხვ.

წიგნში „კულტურა და პოლიტიკა“ თომას მანი საუბრობს ტოლსტოისა და მისი რომანის „ომისა და მშვიდობის“, ტოლსტოის ტურგენევისეული შეფასების შესახებ. ტურგენევი, რომელიც აღფრთოვანებული იყო ტოლსტოის რომანით, ამავე დროს თვლიდა, რომ მისი ავტორი „ჭეშმარიტი თავისუფლების“ და „ჭეშმარიტი ცოდნის“ ნაკლებობას განიცდის. ტურგენევისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ის, რომ ტოლსტოიმ, რომელსაც მან „რუსეთის უდიდესი მწერალი“ უწოდა, რელიგიურ მორალისტობას მიჰყო ხელი. მანი, რომლისთვისაც ასევე მიუღებელი იყო ტოლსტოის ცნობიერებაში მომხდარი მკვეთრი გადახრები, არ ეთანხმება ტურგენევს, რომელმაც, მისი აზრით, ვერ შეძლო ტოლსტოის იდეების სიღრმისეული გააზრება: „ბოლო დროს მე გადავიკითხე ეს გრანდიოზული ნაწარმოები და განცვიფრებული და ბედნიერი ვიყავი მისი შემოქმედებითი ძალით. ჩემთვის მიუღებელი იყო მისი იდეები... მაგრამ მე არ გამომპარვია ის, რაც ტურგენევს გამოეპარა: ის უდიდესი ძალა, რომელიც „ომსა და მშვიდობას“ გააჩნია, ისევე როგორც ტოლსტოის მთელ უზარმაზარ ეპიკურ შემოქმედებას“.

ტურგენევში მანი დიდად აფასებდა მის მხატვრულ ოსტატობას, მრავალგზის ახდენდა თავის წერილებში რუსი მწერლის ციტირებას, იხსენებდა მის ცალკეულ ნაწარმოებებს. მის სახელს ახსენებდა ყველგან, სადაც რუსული ლიტერატურის შესახებ წერდა. მანს სურვილი ჰქონდა ტურგენევისათვის ცალკე სტატია მიეძღვნა. 1914 წელს იგი წერდა: „მე ახლა კვლავ ისეთივე აღფრთოვანებით და აღტაცებით ვკითხულობ ტურგენევს, როგორც 20 წლის წინ. მე ვოცნებობ დავწერო მის შესახებ დიდი სტატია ... განსაკუთრებით იმიტომ, რომ დღეს მას სათანადოდ არ აფასებენ ... მე ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია მისი დაცვა“. მანს ეს განზრახვა განუხორციებელი დარჩა, მაგრამ 1930 წელს გერმანელი მწერლის შტორმისადმი მიძღვნილ სტატიაში, რომელსაც, როგორც ტურგენევს, „სულიერ მამად“ მიიჩნევდა, მანმა შეძლო რუსი მწერლისადმი თავისი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა.

თომას მანის დამოკიდებულება დოსტოევსკისადმი უფრო რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, ვიდრე ტოლსტოის, ტურგენევის და ჩეხოვის მიმართ. მისი აღიარებით, ტოლსტოის ეპიკური სამყარო მისთვის უფრო გასაგები და მისაღებია, ვიდრე დოსტოევსკის იდეოლოგიური და ფილოსოფიური რომანები. 1920 წელს შტეფან ცვაიგისადმი გაგზავნილ წერილებში იგი აღნიშნავდა: „ტოლსტოი ჩემს ეპიკურ იდეალთან უფრო ახლოს დგას... ტოლსტოი, სხეულის მხედველი, დგას ჰომერულ წინაპართა რიგში, რომლისკენაც ჩემი მჭლე მოდერნულობა მოწიწებით, მაგრამ გარკვეული – ბოდიში ამ სიტყვისათვის – სიახლოვის გრძნობით იყურება. დოსტოევსკიში მე ყოველთვის ვხედავდი ექსტრაორდინარულ, ველურ, მონსტრულ და თავზარდამცემ მოვლენას, რაც ყოველგვარი ეპიკური ტრადიციის მიღმა იდგა, – და რაც, ცხადია, ხელს არ მიშლიდა დამენახა მასში, ტოლსტოის საპირისპიროდ, შეუდარებლად ღრმა და უფრო გამოცდილი მორალისტი“.

ცნობილი რუსი ლიტერატურათმცოდნე გ. ფრიდლენდერი წერდა: „დოსტოევსკისადმი ინტერესი მანს ორჯერ გაუჩნდა – პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს. და ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ არის. ორივე შემთხვევაში ეს იყო კრიზისული მომენტი გერმანიის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს ისტორიაში. პირველ შემთხვევაში მანის ყურადღება მიიპყრეს დოსტოევსკის შეხედულებებმა გერმანული კულტურული ტრადიციების შესახებ „მწერლის დღიურში“, მეორედ კი – ევრო-

პული კულტურის „ფაუსტური“ [4] საწყისის მოსალოდნელი კრიზისის ჩვენებამ რომანებში «ქაჯები“ და „ძმები კარამაზოვები“ (ფრიდლენდერი, 1997:5).

პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც მანი ტოლსტოის და განსაკუთრებით დოსტოევსკის იდეათა გავლენას განიცდიდა, მან დაწერა პუბლიცისტური წიგნი „აპოლიტიკური აზრები“, „გოეთესა და ტოლსტოის“ (1932) პირველი რედაქცია, რომანი „ჯადოსნური მთა“ (1924); მეორე მსოფლიო ომის დროს რომანი „დოქტორი ფაუსტუსი“ (1942-1947) და დოსტოევსკისადმი სპეციალურად მიძღვნილი ერთადერთი სტატია „დოსტოევსკი – ოღონდ ზომიერად“ (1946). ამასთან დაკავშირებით მანი წერდა: „რომანზე ყოველ დილით ვმუშაობდი და ისევ და ისევ ვკითხულობდი დოსტოევსკის „მკვლარი სახლის ჩანაწერებს” წლის ბოლო დღეებში”. თუ XIX-XX სს. მიჯნაზე დოსტოევსკის თომას მანი მხოლოდ „მსოფლიოში პირველ ფსიქოლოგად“ მიიჩნევდა, პირველი მსოფლიო ომის წლებში გერმანელი მწერლის ყურადღების ცენტრში დოსტოევსკის პუბლიცისტიკა აღმოჩნდა.

„აპოლიტიკურ აზრებში“ თომას მანი ძირითად ეყრდნობა დოსტოევსკის „მწერლის დღიურებს“. მისი ყურადღება მიიპყრო რუსი მწერლის პოზიციამ, ეროვნული საკითხებისა და გერმანული კულტურული ტრადიციებისადმი ინტერესმა. მანის შეხედულებებს ასევე ეხმიანება დოსტოევსკის მიერ წამოჭრილი საკითხი ადამიანის პირადი ზნეობრივი მოვალეობის შესახებ საპირისპიროდ იმ შეხედულებებისა, რომლის თანახმადაც პასუხისმგებლობა ადამიანის ქმედებაზე ეკისრებოდა არა პიროვნებას, არამედ მის გარემოს. არსებითად, „მწერლის დღიურებმა“ მანის ყურადღება მიიპყრო იმდენად, რამდენადაც

---

[4] როგორც ნ. ხიმშიაშვილი აღნიშნავს თავის სადისერტაციო ნაშრომში „ადრიან ლევერკიუნი – XX საუკუნის ანტიფაუსტი“ (თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსის“ მიხედვით“), „ფაუსტურის“ ცნების განსაზღვრება დღემდე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. თუკი საკითხს ზოგადად გავიაზრებთ, ფაუსტი თავის თავში აერთიანებს როგორც ისტორიულ პერსონაჟს, ასევე თქმულებათა გმირს, როგორც პოეზიას, ასევე მითოსს. ისტორიული ან ლეგენდარული ფაუსტი ითვლება XX საუკუნეში ჩამოყალიბებული „ფაუსტური ადამიანის“ ცნების უძველეს პროტოტიპად“ (გვ.16).

დოსტოევსკიში მან ჰპოვა მწერალი, რომლის იდეები მის კონსერვატიულ და ნაციონალისტურ განწყობას ეხმიანებოდა.

დოსტოევსკი არ იყო ერთადერთი მწერალი, რომელზეც თომას მანმა გააშახვილა ყურადღება წიგნში „აპოლიტიკური აზრები". იგი ხშირად მიმართავს რუსული ლიტერატურის კლასიკოსებს, მოჰყავს მათი გამონათქვამები, ნაწყვეტები მათი ნაწარმოებებიდან, და ამას აკეთებს იმიტომ, რომ საკუთარი შეხედულებების უფრო დამაჯერებელი არგუმენტირების საშუალება ჰქონოდა. კერძოდ, მას მოჰყავს ნაწყვეტები ტოლსტოის მოთხრობიდან „ლუცერნი", სადაც რუსი მწერალი „ცივილიზაციის" შესახებ არსებულ ცრუ შეხედულებების კრიტიკულ შეფასებას იძლევა; ნ. გოგოლის მოთხრობიდან „პორტრეტი", სადაც რუსი მწერალი გამოთქვამს თავის შეხედულებებს ხელოვნების შესახებ. ყოველივე ეს მოწმობს იმ დიდ სიმპათიაზე, რომელსაც მანი გამოცდიდა რუსი ხალხისა და მისი სულიერი მემკვიდრეობისადმი.

მანის აღიარებით, „დოქტორ ფაუსტუსზე" მუშაობის დროს დოსტოევსკისადმი ინტერესი „უფრო ჭარბობდა" (მანი, 1961:287), და ამიტომ დათანხმდა იგი დაეწერა წინასიტყვაობა დოსტოევსკის მოთხრობების კრებულის ამერიკული გამოცემისათვის. 1946 წელს ეს წინასიტყვაობა სტატიის სახით დაიბეჭდა სათაურით „დოსტოევსკი – ოღონდ ზომიერად".

თ. მოტილიოვა აღნიშნავდა: „თომას მანის ამ სტატიის სათაურმა – „დოსტოევსკი – ოღონდ ზომიერად" – შეიძლება გაოცება გამოიწვიოს. შეესაბამება კი ეს სათაური იმ ხელოვანისადმი მიძღვნილ სტატიას, რომელიც ყველაფერში ... რაღაც განსაკუთრებულს და გადაჭარბებულს ეძებდა? მაგრამ სიტყვა „ზომიერად", რომელიც თ. მანმა გამოიყენა, ეხება არა დოსტოევსკის, არამედ თვით სტატიის ავტორს. მას თითქოს ეშინოდა დოსტოევსკის ძლიერი პიროვნების გავლენის ქვეშ მოქცევა" (მოტილიოვა, 1975:51). ჩვენი აზრით, ეს სათაური, ალბათ, უფრო მკითხველისადმი მიმართული გაფრთხილება და რჩევა უნდა იყოს, რათა იგი დიდი რუსი მწერლის შემოქმედებას „ზომიერად" დაეწაფოს.

სტატიაში ორი რადიკალურად განსხვავებული ადამიანის – ფრიდრიხ ნიცშესა და ფიოდორ დოსტოევსკის – ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზის შედარება–შეპირისპირებაა მოცემული. ნიცშეს ცხოვრებაში დოსტოევსკი იშვიათი გამონაკლისი იყო, რომელსაც იგი არ აკრიტიკებდა და

უწოდებდა ერთადერთ ფსიქოლოგს, რომლისგანაც მან ცოტა რამ ისწავლა. სტატიის დასაწყისში მანი წერდა: „ჩემი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე საფუძვლიანად ვსწავლობდი ტოლსტოისა და გოეთეს – თითოეულ მათგანს რამდენიმე გამოკვლევა ვუძღვენი. მაგრამ ჩემი სულიერი ჩამოყალიბების ორ სხვა ფაქტორზე – ნიცშესა და დოსტოევსკიზე, რომელთაგან არანაკლებ ვარ დავალებული, ღირსეული არაფერი დამიწერია. მათ კი ასერიგად შემძრეს ყმაწვილკაცობისას, მოწიფულობის ჟამს უფრო ღრმავდებოდა და ძლიერდებოდა ეს ზეგავლენა ... მათ მიმართ მე განვიცდი ღრმა მისტიკურ მოკრძალებას და შიშს, რომელიც მაიძულებდა გავჩუმებულიყავი მათი ... გენიალურობის როგორც ავადმყოფობის და ავადმყოფობის როგორც გენიალურობის წინაშე“.

დოსტოევსკი, მანის აზრით, დიდი ხელოვანია, რომლის გენიალურობა „წმიდა ავადმყოფობით“ არის განპირობებული. ეს ავადმყოფობა – ეპილეფსია, რომელსაც მანმა მისტიკური უწოდა, გერმანელი მწერლის მიერ დოსტოევსკის მხატვრული შემოქმედების თითქმის უმნიშვნელოვანეს წყაროდ არის მიჩნეული, რომელმაც განაპირობა მწერლის შემოქმედებითი გზა. დოსტოევსკი, მანის აზრით, „ბიზანტიელი ქრისტეა“, მძიმე სენით შეპყრობილი სულის მცოდნე, „რომლის ქვეცნობიერება და ცნობიერება მუდმივად დამძიმებული იყო დანაშაულის მძიმე გრძნობით, და ეს გრძნობა მხოლოდ იპოქონდრია რომდი იყო“ (მანი, 1961:331). მანს დოსტოევსკის შესახებ ლაპარაკი შეუძლებლად მიაჩნია ისე, რომ „ერთხელ მაინც არ ახსენო სიტყვა – „დანაშაული”. მისი შემოქმედება უფრო ფსიქოლოგიური ლირიკაა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ესაა აღსარება და სისხლის გამყინავი აღიარება, საკუთარი სინდისის დანაშაულებრივი სიღრმეების ულმობელი გახსნა”.

რუსული ლიტერატურის შესახებ დაწერილ ერთ–ერთ ბოლო ნაშრომად, რომელიც თომას მანმა გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაწერა, შეიძლება ჩაითვალოს „სიტყვა ჩეხოვზე“. ჩეხოვი მანმა პირველად ახსენა „რუსული ანთოლოგიის“ წინათქმაში და მაღალი შეფასება მისცა მის მოთხრობას „ბიჭუნები“, რომელიც, მისი აზრით, „რუსული კომიზმის ყველაზე კარგი მაგალითია და აღსავსეა ნამდვილი უტყუარობით, ხალასით და სიწრფელით“ („რუსული ანთოლოგია”, გვ. 145).

ჩეხოვის შემოქმედება, რომელიც აღიარებული იყო მცირე პროზის დიდოსტატად, მანის აზრით, „უდავოდ მიეკუთვნება იმ საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს, რაც ევროპულ ლიტერატურაში შეიქმნა“ (მანი, 1961:515). ყველაზე მეტად მანს ჩეხოვში აოცებდა რუსი მწერლის მოკრძალებულობა, რომელიც თავს არ აძლევდა უფლებას იმ პოპულარობის და აღიარების ღირსად ჩაეთვალა საკუთარი თავი, რომელიც წილად ხვდა. ჩეხოვის ამ მოკრძალებულობას მანი ხსნიდა იმით, რომ რუსი მწერალი შიშობდა მკითხველი შეცდომაში არ შეეყვანა, ვინაიდან არ გააჩნდა პასუხი მის ნაწარმოებებში წამოჭრილ საჭირბოროტო პრობლემებზე.

მანი რუსი მწერლის შემოქმედებას სწორედ ამ ჭრილში განიხილავს და თავის საკუთარ შეხედულებებს უკავშირებს. ყველა თანამედროვე მწერალი, აღნიშნავს იგი, განიცდის იმავე გრძნობას, რასაც ჩეხოვი: რაშია მათი შემოქმედების მნიშვნელობა, ხომ არ ატყუებენ ისინი მკითხველს, როდესაც ქმნიან ნაწარმოებებს, რომლებსაც არა აქვთ პასუხი დასმულ კითხვებზე. მაგრამ, თავისთავად, უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც მწერალს ეუფლება, მიუთითებს იმაზე, რომ ხელოვანს ღრმად აქვს გააზრებული თავისი საზოგადოებრივი მისია.

მანის აზრით, ჩეხოვი არ ცდილობდა ვინმესთვის ჭკუა დაერიგებინა. იგი მოქმედებდა „ლიტერატურის სინდისის“ თანახმად, რომელიც მას კარნახობდა იმ „კრიტიკულ სევდას”, „უკეთესი, კეთილშობილური ცხოვრებისაკენ სწრაფვას“, რომელიც მის ნაწარმოებებში იგრძნობა. სწორედ ამიტომ მწერალი ეძებს ხელოვნებაში სიმართლეს, „რომელსაც შეუძლია მას ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა უჩვენოს... (მანი, 1961:521,522, 530) შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის სულზე, გააძხნევოს იგი, ხოლო სამყარო უფრო ლამაზი, უფრო გონივრულად მოწყობილი ცხოვრებისათვის მოამზადოს“ (ბოტნიკოვა, 2005:49).

თომას მანმა ზედმიწევნით შეისწავლა ჩეხოვის ბიოგრაფია და მისი ცხოვრება, რომელიც მისთვის ყველაზე „ამაღელვებელი და მიმზიდველი“ აღმოჩნდა. „იმ დროის რუსული ცხოვრება, – წერს იგი, – არავის არ აძლევდა თავისუფლად სუნთქვის საშუალებას. აქ სუფევდა სულისშემხუთველი, პირფერული ატმოსფერო. მორჩილებას მიჩვეული და დაშინებული ადამიანები დაჩაგრულნი და დაბეჩავებულნი იყვნენ უხეში ძალის მიერ... მათ სახელმწიფოს სახელით მხოლოდ უბრძა-

ნებდნენ, ზღუდავდნენ და უყვიროდნენ. მთელი ქვეყანა ქანცგაწყვეტილი იყო ალექსანდრე III და მრისხანე პობედონოსცევის თვითმპყრობელურ–რეაქციული რეჟიმის – გულგატეხილობის რეჟიმის – წნეხის ქვეშ“.

ჩეხოვის ბიოგრაფიაში მანის ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ჩეხოვი – მწერალი ამავე დროს იყო ექიმი და რომ მედიცინა მას ლიტერატურაზე ნაკლებად არ უყვარდა. თუ გადავხედავთ მანის შემოქმედებას, უკვე მის ადრეულ ნოველებში, ასევე რომანებში „ჯადოსნური მთა“, „ბუდენბროკები“, „დოქტორ ფაუსტუსი“ და სხვ., დოსტოევსკისა და ნიცშესადმი მიძღვნილ სტატიებში ჩანს, რომ მწერალი დიდ ყურადღებას უთმობდა სულიერი სიმშვიდისა და ფიზიკური ჯანმრთელობის ურთიერთკავშირის თემას. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგები ხდება ის ინტერესი, რომელიც გერმანელმა მწერალმა გამოიჩინა ჩეხოვის მოთხრობებისადმი „ტიფი“, „პალატა №6“. ყველაზე საუკეთესო მოთხრობად კი მან „მოსაწყენი ამბავი“ ჩათვალა, როგორც ყველაზე მომხიბლავი და არაჩვეულებრივი ნაწარმოები, რომლის ზემოქმედების ძალა მის „წყნარ, სევდიან ინტონაციაშია“ და რომლის მსგავსი არც ერთი ქვეყნის ლიტერატურაში არ მოიძებნება.

მანის აზრით, ჩეხოვისათვის დამახასიათებელია ცხოვრებისეულ საკითხებზე „დაფიქრება“. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა პასუხი კითხვაზე „რა უნდა ვაკეთოთ?“, ერთი რამ იცოდა მტკიცედ: „არ უნდა მივეცეთ უსაქმურობას, უნდა ვიშრომოთ. უსაქმურობა ნიშნავს იმას, რომ აიძულო სხვა, იმუშაოს შენზე, ექსპლოატაცია გაუწიო მას და, მაშასადამე, დაჩაგრო იგი“ (მანი, 1961:531). „დაფიქრება“ ქმნის მომავლის იმედს, რომლითაც, მანის აზრით, შეპყრობილია ჩეხოვის თითქმის ყველა გმირი და თვით მწერალიც.

თომას მანის დამოკიდებულება რუსეთისა და რუსული ლიტერატურატურისადმი დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა, რაც განპირობებული იყო მის მსოფლმხედველობაში მომხდარ ცვლილებებსა და მსოფლიოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებთან. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში, რუსი ადამიანის ბუნებაში იგი გრძნობდა რაღაც უხილავ საფრთხეს, რევოლუციურ „ბესოვშჩინას“, მანისათვის რუსეთი მაინც იყო ქვეყანა, რომელიც ჰუმანურობითა და კაცთმოყვარეობით გამოირჩეოდა. ამაზე მეტყველებდა რუსული ლიტერა-

ტურა, რომელსაც მან თავის დროზე „წმინდა რუსული ლიტერატურა“ უწოდა. მწერალი თვლიდა, რომ რუსეთს, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლია ერთმანეთს დაუახლოვოს დასავლეთი და აღმოსავლეთი, და განსაკუთრებულ როლს ამაში იგი ანიჭებდა ქვეყნის თვითმყოფად კულტურას.

მანის სიყვარული რუსული ლიტერატურისა და კულტურისადმი, რა თქმა უნდა, გულწრფელი იყო. მაგრამ მის წარმოსახვაში შექმნილი რუსეთის ხატი, მისი წარმოდგენა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მკვეთრად განსხვავდებოდა რეალობისაგან. თავისი დამოკიდებულება რუსული რევოლუციისადმი მან ერთი ფრაზით გამოხატა რომანში „დოქტორი ფაუსტუსი“: „რუსულმა რევოლუციამ თავზარი დამცა“. თუმცა მანი კრიტიკულად იყო განწყობილი ცარიზმისადმი, იგი არც ახალი რუსეთის პოლიტიკას არ იზიარებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი თავს არ აძლევდა უფლებას, გაეკრიტიკებინა ახალი პოლიტიკური სისტემა. „მე, როგორც არა რუსი, მაგრამ დიდად დავალებული რუსული ლიტერატურისაგან, თუმცა ჩემი სულიერი არსით დასავლეთ ევროპას მივეკუთვნები, არ შემიძლია და ვერ ვბედავ განაჩენი გამოვუტანო დღევანდელ რუსეთს და იმ ძალადობრივ სოციალურ ექსპერიმენტს, რომელიც იქ ხორციელდება. ამ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოწყობის არსებობის უფლება დრომ უნდა დაამტკიცოს ან უარყოს“ (რუსაკოვა, 1969:306).

დამოწმებული ლიტერატურა:

ბოტნიკოვა, 2005 – Ботникова А.Б. Томас Манн о Чехове. Вестник ВГУ. Серия: Филология. Журналистика. 2005, №1.).

დეკანოზი თეიმურაზი, 2013 – დეკანოზი თეიმურაზი, სულის წყვდიადში მზერა – თომას მანი და თეოდორ დოსტოევსკი. http://philipbooks.wordpress.com/2013/05/20/

გენრიხ მანი – თომას მანი, 1988 – Генрих Манн — Томас Манн: Эпоха, жизнь, творчество: Переписка, статьи. М., 1988.

მანი, 1961 – Манн Т. Собрание сочинений: в 10 т. - М.: 1961, - Т. 9.

მანი, 1961 – Манн Т. Собрание сочинений: в 10 т. - М.: 1961, - Т. 10.

მანი, 1961 – Манн Т. Культура и политика// Манн Т. Собрание сочинений: в 10 т. - М.: 1961, - Т. 10.

მოტილოვა, 1975 – Мотылева Т.М. Томас Манн и русская литература. М., 1975, 64 с. http://www.libma.ru/literaturovedenie/tomas_mann_i_russkaja_literatura/index.php)

რუსაკოვა, 1969 – Русакова А. В. Т. Манн и русская литература// Русакова А. В. Славяно-германские культурные связи и отношения. М., 1969.

ფრიდლენდერი, 1997 – Фридлендер Г. М. «Доктор Фаустус» Т.Манна и «Бесы» Достоевского// Достоевский. Материалы и исследования. 1997, т.14.

Irina Jishkariani

THOMAS MANN AND RUSSIAN LITERATURE

Summary

The article "Thomas Mann and Russian literature" is dedicated to the interested problem- the attitude of a famous German writer, Nobel Prize winner, Thomas Mann to the Russian literature and writers.

The article discusses such literary-critical articles and essays from the point of literature studies as: "Goethe and Tolstoy", Apolitical Ideas", "A word about Chekhov", "Dostoevsky – only moderately" and so on.

The article shows that Thomas Mann paid great attention to the Russian classical literature of the XIXc. appreciated its ethical and philosophical problematic, the richness of ideas, autistics and realism, Among Russian writers he highlighted Tolstoy, Turgenev, Dostoevsky and Chekhov.

ბესიკ გაფრინდაშვილი

ნიკორწმინდელი მღვდელმთავრები 1534-1822 წლებში

1534 წელს იმერეთის მეფის ბაგრატ III–ის (1510 – 1565 წწ.) ინიციატივით ახლადდაარსებულ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მანოელი იქნა დადგენილი. მანოელის ნიკორწმინდელად ხელდასხმის თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ იგი 1534 წელს იქნა დადგენილი ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად (თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, მ. ბერძნიშვილი გ. გუგუშვილი და სხვ.), ნაწილი კი 1544 წელს ასახელებს (ს. კაკაბაძე, თ. ბერაძე, მ. მურუსიძე და სხვ.). აღნიშნულ აზრთა სხვადასხვაობას ბაგრატ III–ის მიერ ნიკორწმინდისათვის გაცემული სიგელის განსხვავებული დათარიღებები იწვევს, სადაც ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსებაზეა საუბარი (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

მანოელ ნიკორწმინდელი მეფე ბაგრატ III–ისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა. მეფე ბაგრატი თავის სიგელში მას „წმინდა და ღმერთ შემოსილ“ პიროვნებად იხსენიებს: “მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე ვიგულისმოდგინეთ და ხელჰყავით აღშენებადა დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლწმიდისა და შევქმენ საყდრადა და საეპისკოპოზოდა და დავადგინე და წმიდა და ღმერთშემოსილი ანგელოზთა მობაძავი მღდელთ მთავარ ეპისკოპოზი წმიდა და მეუფე მანოელ.....“ (კაკაბაძე, 1912: 6).

მეფე ბაგრატ III–ის მიერ ნიკორწმინდის ტაძრის განახლების შესახებ საუბრობს თავად მანოელ ნიკორწმინდელიც: „ქ. ღვთივ გვირგვინოსანმან მეფემან ბაგრატ განაახლა და კიდით აღაშენა ეკლესია წმიდის მღვდელთ მოძღვრის ნიკოლოზის მისდა სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლად..... იგულისმოდგინა თვით მპყრობელმან მეფემან და უძლეველმან ხელმწიფემან მონასტერი ესე ეკლესიად და დამადგინა მე განმგედ და ეპისკოპოსად ულირსი და ცოდვილი მღვდელ მთავარი მანოელ...“ (კაკაბაძე, 1912: 4).

ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებში მოხსენიებული მანოელ ნიკორწმინდელი, თ. ჟორდანიას ვარაუდით შეიძლება იგივე მანოელ ჩხეტიძე იყოს, რომელიც 1529 წელს ხონელად დასვეს (ჟორდანია, 1897:379). თ. ჟორდანიას გამოცემაში სადაც მანოელის ნიკორწმინდელად ხელდასხმაზეა საუბარი, დათარიღებულია 1534 წლით: „...დაიწერა ინდიკტიონისა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა (ქორონიკონსა) :ს კ ბ: (1534) (თვესა) აგვისტოსა ცხრასა“ (ჟორდანია, 1897:380). აღნიშნული დოკუმენტი ს. კაკაბაძის მიერაც იქნა გამოქვეყნებული სადაც “ქორონიკონსა :ს კ ბ:“ – ს (1534) დამატებული აქვს ათის აღმნიშვნელი - ი. ასეთ შემთხვევაში ვღებულობთ არა 1534 არამედ 1544 წელს. „...დაიწერა ინდიკტიონისა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა ქორონიკონსა : ს კ ი ბ: “ (1544) (კაკაბაძე, 1912: 8).

ბაგრატ III იმერეთის სამეფო ტახტზე 1510 წელს ავიდა, აქედან გამომდინარე, მისი მეფობის მეოთხე ინდიკტიონი 1514 წელი გამოდის და შეუსაბამობაში მოდის აღნიშნული საბუთის 1534 და 1544 წლებით დათარიღებასთან. თ. ჟორდანიას ვარაუდით, დოკუმენტში ნაცვლად აღნიშნული „მეფობისა ჩუენისა მეოთხესა,“ უნდა იგულისხმებოდეს „ოცდამეოთხესა“ (ჟორდანია, 1897:379). ასეთ შემთხვევაში მანოელის ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ხელდასხმის თარიღი 1534 წელი იქნება (1510 + 24 = 1534). ეს ვარაუდი უფრო მისაღები ჩანს. მანოელ ჩხეტიძეს ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის პატივი ბაგრატ III–ის გამეფებიდან ოცდამეოთხე წელს, ანუ 1534 წელს უნდა მიეღო.

მანოელ ნიკორწმინდელი ყოფილ ხონელ ეპისკოპოს მანოელ ჩხეტიძედ მიიჩნიეს გ. გუგუშვილმა და მ. მურუსიძემაც. მ. მურუსიძე მანოელის ხონიდან ნიკორწმინდაში გადაყვანის ფაქტს 1534 წლის ნაცვლად 1544 წლით ათარიღებს (ქ. ი. მ. შრომები, 2008: 51).

მანოელ ჩხეტიძე არც ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დარჩენილა დიდხანს. როგორც ირკვევა, ის ნიკორწმინდიდან აწყურში გადასულა. ამ ფაქტს მოწმობს ერთ–ერთი მინაწერი: „ჩხეტიძესა მანოელსა მაწყვერელსა დღეგრძელობით ცოდვანი მათნი შეუნდნეს ღ ნ (ღმერთმან)“ (თაყაიშვილი, 1939: 5). ე. თაყაიშვილი ვარაუდობდა რომ ეს მინაწერი იმერეთის მეფის გიორგი II–ის მეფობის დროს შესრულდა 1548 – 1585 წლებში (თაყაიშვილი, 1939: 5). დიდი მეცნიერი ეყრდნობოდა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომლის მიხედვით ბაგრატ III 1548 წელს გარდაიცვალა და იმავე წელს ტახტზე მისი ძე

გიორგი II ავიდა. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ბაგრატ III–ის გარდაცვალების თარიღად 1565 წელია მიჩნეული. ზემოთ მოყვანილი მინაწერი არა გიორგი II–ის (1565 – 1584), არამედ მისი მამის – ბაგრატ III–ის მეფობის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. საფიქრებელია, რომ მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდიდან აწყურში გადაყვანა ბაგრატ III–ის ინიციატივით მოხდა.

1535 წელს მურჯახეთთან ბრძოლაში ბაგრატ III–მ დაამარცხა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი და სამცხე იმერეთს შემოუერთა. ბაგრატმა სამცხე'ზე გავლენა ათი წელი შეინარჩუნა. ამ ხნის განმავლობაში ის ცდილობდა სამცხე'ში თავისი პოზიციების განმტკიცებას. დასახული მიზნების განსახორციელებლად ბაგრატისათვის მნიშვნელოვანი იყო ეკლესიის მხარდაჭერა. აწყურის საეპისკოპოსო უპირატესი იყო სამცხის ეპარქიათა შორის, ამიტომ მაწყვერელის კათედრაზე მეფე ბაგრატის ნდობით აღჭურვილი პირის ყოფნა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სამცხე'ში იმერეთის მეფის პოზიციების განმტკიცებისთვის. სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს მეფე ბაგრატ III-ის მიერ მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდიდან აწყურში გადაყვანა, რაც ქართლის კათალიკოსთან შეთანხმების შემდეგ უნდა მომხდარიყო, რადგან აწყურის საეპისკოპოსო მცხეთის (ქართლის) საკათალიკოსო ტახტს ემორჩილებოდა.

სავარაუდოდ, მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდიდან აწყურში უნდა გადაეყვანათ 1538 – 1545 წლებს შორის, რადგან 1538 წლამდე აწყურის საეპისკოპოსო კათედრა იოაკიმეს ეკავა (გურგენიძე, ხელნაწერის უფლებით), 1545 წელს კი სოხოისტას ბრძოლაში ბაგრატ III–მ მარცხი განიცადა ოსმალებთან, დაკარგა სამცხე და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ ბაგრატს მოეხერხებინა სამცხის ყველა'ზე გავლენიან საეპისკოპოსო კათედრა'ზე თავისი ერთგული სასულიერო პირი დაესვა.

სამწუხაროდ, მანოელ ჩხეტიძის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. მან ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა'ზე დაახლოებით 1534 წლიდან 1540–იანი წლების პირველ ნახევარში იმოღვაწა.

მანოელის შემდეგ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იოაკიმე გახდა. მან მონაწილეობა მიიღო ბაგრატ III–ის თაოსნობით გამართულ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებაში, რომელიც იმ ხანად ერსა და ეკლესიაში გავრცელებული მან-

კერებების აღსაკვეთად იქნა მოწვეული (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 824). აღნიშნული კრება XVI ს-ის 50-იან წლებში ჩატარდა. სხვა ცნობები ნიკორწმინდელი იოაკიმეს შესახებ არ მოგვეპოვება. სავარაუდოდ, მან ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე, დაახლოებით 1540–იანი წლების მეორე ნახევრიდან 1550-იანი წლების ჩათვლით იმოღვაწა.

1559 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად დავით საყვარელიძე იხსენიება. იგი ნიკორწმინდის ეკლესიას სწირავს სოფელ ხივშში მცხოვრებ გლეხს, ლაზარე დონაძეს: „...ჩვენ ფრიად ცოდვილმან მღდელთ–მთავარებისკოპოსმან ნიკორწმიდელმან დავით საყვარელიძემან, შემოგწირეთ.... ხვიშს ერთი გლეხი დონაძე ლაზარე, მისის ცოლშვილითა..... საძებრითა და უძებრითა, დღეს ამას იქით რისიც მქონებელი იყოს, მართლის სამართლიანის საქმითა შემოგვიწირავს ყოვლის კაცის უსაღვოთ.... აღიწერა თვესა ოკდომბრის კ დ, (24) ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ფ ნ თ (1559)“ (ქ.ს.ძ., 1970: 263). ს. კაკაბაძემ მიიჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხელის მიხედვით არა XVI, არამედ XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს და ის 1559 წლის ნაცვლად 1659 წლით დაათარიღა. მასში მოხსენიებული ნიკორწმინდელი დავით საყვარელიძე კი გააიგივა მეფე ბაგრატ IV–ის მიერ 1669 წელს რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში მოხსენიებულ ნიკორწმინდელ დავითთან (კაკაბაძე, 1921ა: 63).

ს. კაკაბაძის ვარაუდი გაიზიარა გ. გუგუშვილმა და მ. მურუსიძემ. ამ უკანასკნელმა მიიჩნია, რომ დავით საყვარელიძე უნდა იყოს რუსი ელჩების იევლევისა და ტოლოჩანოვის აღწერილობაში მოხსენიებული დავით მიტროპოლიტი (ქ.ი.მ. შრომები, 2008:54). იევლევი და ტოლოჩანოვი რაჭასა და იმერეთში 1650-1652 წლებში იმყოფებოდნენ (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

1559 წლით დათარიღებულ საბუთში მოხსენიებული ნიკორწმინდელი დავით საყვარელიძის XVI ს–ის 50–70–იან წლებში მოღვაწე ნიკორწმინდელ დავითთან გაიგივება კითხვებს ბადებს და დაზუსტებას მოითხოვს. წყაროთა სიმწირის გამო ძნელია ზუსტი დასკვნის გამოტანა. აქედან გამომდინარე, ამ საკითხს ჯერჯერობით ღიად დავტოვებთ.

1560–იანი წლების დასაწყისში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა ამბროსის უჭირავს. იგი მეფე ბაგრატ III–ის შეწირულების წიგნშია დაფიქსირებული. აღნიშნულ სიგელში მოხსენიებული ამბროსი, ნიკორწმინდელი ამბროსი ბაქრაძე უნდა იყოს, რომელიც, აგრეთვე, მოხსენიებულია 1591 წლით დათარიღებულ ლევან იმერთა მეფის მიერ გაცემულ სიგელშიც.

იმერეთის მეფის ბაგრატ III–ის შეწირულების წიგნში ნათქვამია: „ქ. ჩვენ ღთისაგან ამაღლებულმან პატრონმან მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოვიკითხეთ წმინდის ნიკოლაოზს შეწირული სოფელნი და ვითაცა პირველ პაპა მამათა ჩვენთაგან განჩინებული და შეწირული ყოფილიყო, ისე ჩვენ დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ შენ მღდელ მთავარ ეფისკოფოზს ამბროსეს რეხილათი ბუჯას აქეთ სრულად სამნი გვარნი მოსახლენი გაბისაძენი, ჩაფიძენი, გამეზარდაშვილნი..... აწ ვინც ეს ჩვენგან დაწერილი სცვალოს ჩვენის ცოდვის გვარად და მუქაფად განიკითხოს ამინ“ (კაკაბაძე, 1912: 10). საბუთის თარიღი არ აქვს. იგი 1560–იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს შედგენილი.

ამბროსის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა, როგორც ჩანს, ბაგრატ III–ის მეფობის ბოლო ხანს ეკავა (1565 წლის ახლო ხანები). მეფე ბაგრატ III ნიკორწმინდის საეპისკოპოსოზე ზრუნვას განაგრძობდა. მან ზემოთ მოყვანილი საბუთის მიხედვით, ამბროსი ნიკორწმინდელის თხოვნა დააკმაყოფილა და ნიკორწმინდის სამწყსოს შესწირა არგვეთის მხარის სოფელი რეხილათი სამი მოსახლე გლეხის ოჯახით.

დაახლოებით 1565 წლიდან ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე გახდა. ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში ქვაზე კუთხოვანი ასომთავრულით წერია: „წმინდაო ნიკოლოზ: მეოხ ექავ მეფეს გიორგის: მისი მოწყალებით ჭელიში ავაშენე: ნიკოლოზწმიდელმან საყვარელიძემან მელქიზედეკ: ამინ“ (ბოჭორიძე, 1994: 99).

მოყვანილ წარწერაში მოხსენიებული ნიკორწმინდელი მელქისედეკ საყვარელიძე პირველი გენათელი ეპისკოპოსი მელქისედეკი უნდა იყოს, რომელმაც გიორგი II–ის გამეფების შემდეგ ნიკორწმინდელის პატივი მიიღო. ნიკორწმინდელ მელქისედეკ საყვარელიძეს პირველ გენათელ მელქისედეკთან

აიგივებს მ. მურუსიძეც და მის ნიკორწმინდელად მოღვაწეობის პერიოდს 1565-1573 წლებს შორის ვარაუდობს (ქ.ი.მ. შრომები, 2008: 53).

1573 წლით დათარიღებულ საბუთში იმერეთის მეფე გიორგი II გენათელი საყვარელიძის კარ–მიდამოს სწირავს გელათს. დოკუმენტში ნათქვამია: „გელათს სახლი, საყვარელიძე გენათელი რომ მიიცვალა, ის ადგილი და იმას ქვე'შით გალავნისა და იმას შუა ბოსტანი.... აწ ესე გლეხები და მამული ყოვლისა კაცისაგან შეუცილებლათ შეგვიწირავს... (გელათისათვის – ბ. გ.). დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა (ქორონიკონსა) ორას სამოცდაერთსა (1573), ხელითა კარისა ჩვენის დივანმწიგნობრისა თავაქალაშვილის ალასითა“ (კაკაბაძე, 1921ა:31). სავარაუდოა, რომ საბუთის შედგენის დროს მელქისედეკ საყვარელიძე ახალი გარდაცვლილი იყო. მიუხედევად იმისა, რომ მას გარდაცვალების ჟამს გენათელის პატივი აღარ ეჭირა, მეფე გიორგი II მაინც გენათელად იხსენიებს როგორც გელათის პირველ ეპისკოპოსს და მის საცხოვრისს გელათს სწირავს.

როგორც ჩანს, მელქისედეკს გენათლობიდან პირდაპირ ნიკორწმინდელობა არ მიუღია. ზემოთ ნახსენებ დოკუმენტ'ში - „სამართალი კათალიკო'ხისა,“ რომელიც, სავარაუდოდ, XVI ს–ის 50–იან წლებშია შედგენილი, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად იოაკიმე იხსენიება, ხოლო გენათელად ყოფილი მაწყვერელი ანტონი. ცხადია, ამ დროს მელქისედეკს აღარ ეკავა გელათის საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო ნიკორწმინდელობა ჯერ არ ჰქონდა მიღებული. წყაროთა სიმცირის გამო, ჩვენთვის უცნობია რა პატივს ატარებდა მელქისედეკ საყვარელიძე გენათლობიდან ნიკორწმინდელობამდე.

მელქისედეკ საყვარელიძის შემდეგ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ამბროსი ბაქრაძე ბრუნდება. ჩვენთვის აგრეთვე უცნობია, თუ რით იყო განპირობებული ამბროსის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრიდან ჩამოცილება გიორგი II–ის მეფობის დასაწყისში.

ამბროსი ბაქრაძე, როგორც აღვნიშნეთ, იხსენიება იმერეთის მეფის ლევანის (1583 – 1590) შეწირულების წიგნში: „...ჩვენ ღმით გვირგუინოსანმა მეფეთმეფემან პატრონმან ლეონ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ნიკოლწმინდელსა ბაქრაძესა ამბროსეს, მას ჟამსა ოდეს

თქვენისა ერთგულობისათვის დაგვიჯენიათ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ხონჭორი სრულობით და ჭელიში და ნამარნევს მჭედლიძენი, ესენი ხელშეუალათ თქვენთვის გვიბოძებია..." (კაკაბაძე, 1921ა:35). სიგელში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ მეფე ლევანი ნიკორწმინდელ ამბროსის უბოძებს კისორეთის მცხოვრებ ლომთაძეებს, ჩხეტიძე ლომინს და ესტატე გარეჯანიძის შვილებს თავიანთი მამულებით (კაკაბაძე, 1921ა: 35). მეფე ლევანი სიგელში ამბროსი ბაქრაძის მიმართ აღნიშნავს: „რაც სხვა წიგნი და სიგელი ან ბატონის მამის ჩუენისაგან და ან ჩუენგან გქონდეს, არც ის მოგიშალოთ, არც დაგამცროთ და არც გაგიცვეთ" (კაკაბაძე, 1921ა:35). ეს სიტყვები დასტურია იმისა, რომ ამბროსი ბაქრაძე ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ყოფილა ლევანის მამის გორგი II–ის მეფობის დროსაც (ქ.ი.მ. შრომები, 2008: 52). აღნიშნული სიგელი 1591 წლით თარიღდება: „დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონისა მეფობისა ჩუენისასა მეორესა ქორონიკონს ს სამოცდაცხრამეტსა – 279 (1591) თვესა მაისსა :ი ე: (15)" (კაკაბაძე, 1921ა: 35). ეს თარიღი სწორი არ უნდა იყოს, რადგან ლევანი გამეფდა 1583 წელს. შესაბამისად, მისი მეფობის მეორე ინდიკტიონი არა 1591, არამედ 1585 წელია. გარდა ამისა, ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავრის მამია დადიანის მიერ დატყვევებული მეფე ლევანი, 1590 წელს შხეფის ციხეში გარდაიცვალა (ნარკვევები, 1973: 141). აქედან გამომდინარე, ის 1591 წელს სიგელს ვერარ გასცემდა. უფრო მისაღები იქნება ვიფიქროთ, რომ ზემოთ მოყვანილი სიგელი ლევანის მეფობის მეორე „ინდიკტიონს" – 1585 წელს დაიწერა. ამბროსი ბაქრაძის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა 1590 წლების დასაწყისამდე უნდა გაგრძელებულიყო.

ამბროსი ბაქრაძის შემდეგ ნიკორწმინდელის პატივი ნიკოლოზმა მიიღო. იგი მოხსენიებულია ოთარ იაშვილის მიერ მიცემულ სიგელში: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე ოთარმან იაშვილმან და მეუღლემან ჩემმან წერეთლის ქალმან.... თქვენ ნიკოლწმინდელსა მღდელთ მოძღვარსა ნიკოლოზს... ასრედა ამა პირსა ზედან რომე მოგვიხდა ცოდვისა საქმედა დიდად საკანონო ცოლი შევირთეთ ჩვენისა განაყოფისა ცოლყოფილი და დიდისა შეხვეწითა ბატონისა მეფისა გიორგისათა შევეხწენი გაღარიბებულნი სხვას გარეთ შევსწირეთ საოხად სულისა ჩვენისა და სახსრად შევსწირეთ სამისდღეოთ სხვაგას კვირი-

კესშვილი გლეხი I მის ყოვლისფერით.... (მოწამე) კაცთაგან მეფე მეფეთ ხელმწიფე გიორგი და თანამეცხედრე მათი ასული დადიანისა დედოფალთა დედოფალი თამარ“ (კაკაბაძე, 1912:11). სიგელში ნახსენები მეფე გიორგი გახლავთ იმერეთის მეფე გიორგი III (1604 – 1639), რომლის მეუღლე დადიანის ასული თამარი იყო. სამწუხაროდ, სხვა ცნობები ნიკოლოზ ნიკორწმინდელის შესახებ არ მოგვეპოვება. მას ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით XVI ს–ის ბოლოდან XVII ს–ის 20–იანი წლების ჩათვლით უნდა ემოღვაწა.

XVII საუკუნის 30–იან წლებში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ჩანს სვიმონ ჩხეტიძე. იმერეთის მეფე გიორგი III თავის შეწირულების წიგნში ნიკორწმინდელ სვიმონს უწყალობებს ესფოფოა მღრდელაძეს. სიგელი დათარიღებულია 1637 წლით (ჟორდანია, 1897:452).

სვიმონ ჩხეტიძე იმერეთის მეფის სახლთუხუცესის – სეხნია ჩხეიძის ძმა იყო. იგი ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე 1630–იან წლებში მოღვაწეობდა. 1639 წლიდან ხონელი ეპისკოპოსი გახდა, 1650–იანი წლების დასაწყისში კი ქუთათელის პატივი მიიღო. მკვლარია ბ. ლომინაძის, თ. ჭორიძისა და გ. მჭედლიძის ვარაუდი, რომ თითქოს სვიმონ ჩხეტიძე 1637 წელს გახდა ქუთათელი ეპისკოპოსი (ლომინაძე, 1954:133, ჭორიძე, 2000:153, მჭედლიძე... 2008:210). გ. მჭედლიძე ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ 1637 წლით დათარიღებულ საბუთში, სადაც იმერეთის მეფე გიორგი III გელათის მონასტერს რაჭაში, ჭელიშის საყდარსა და მის „სახასო ალაგებს“ სწირავს, არ არის მოხსენიებული ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე, ალბათ იმიტომ, რომ იგი საბუთის გაცემის დროს ნიკორწმინდელი ალარ იყო (მჭედლიძე, 2008:210). ეს ვარაუდი ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან სხვა საბუთში, რომელიც აგრეთვე 1637 წლით თარიღდება, მეფე გიორგი III ნიკორწმინდელ სვიმონ ჩხეტიძეს სწირავს ესფოფოა მღრდელაძეს (ეს საბუთი ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ).

იმერეთის მეფე ბაგრატ IV (1660-1682) 1660 წლით დათარიღებულ საბუთში ნიკორწმინდელ გედეონ ლორთქიფანიძეს მიმართავს: „ბატონს მამაჩემს ბაჯას გლეხი შე(ე)წირა წმინდის ნიკოლოზისათვის და სვიმონ ნიკორწმინდელს ჰქონდა და ახლა თქუენც შემოგვეხვეწეთ და გიბოძეთ ბაჯას ისიც გლეხი დათუა მგელაძე“ (კაკაბაძე, 1921ა:64). ამ ცნობაზე დაყრდნობით მ. მურუსიძემ მიიჩნია, რომ სვიმონ ჩხეტიძეს ბაგრატ IV–ის

მამის – ალექსანდრე III–ის (1637 – 1660) მეფობის პერიოდშიც, ანუ 1637 წლის შემდეგაც ეკავა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა (ალექსანდრე III 1637 წელს გამეფდა) (ქ.ი.მ. შრომები: 54). თუმცა, ისმის კითხვა, ამ შემთხვევაში რომელ ნიკორწმინდელ სვიმონზეა საუბარი, სვიმონ ჩხეტიძეზე თუ სვიმონ ჯაფარიძეზე? სვიმონ ჯაფარიძეს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა, სავარაუდოდ 1650–იანი წლების გარკვეულ პერიოდში ეკავა (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

მეცნიერთა ნაწილი სვიმონ ჩხეტიძის ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე გადასვლას XVII ს–ის შუა ხანებიდან, დაახლოებით 1651 წლიდან ვარაუდობს (გაბისონია, 2006:15), რაც დამაჯერებლად მიგვაჩნია. მანამდე კი, როგორც აღვნიშნეთ, 1640–იანი წლები, სვიმონ ჩხეტიძემ ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე გაატარა.

სვიმონ ჩხეტიძის შემდეგ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს დავითი. დავით მიტროპოლიტს როგორც ნიკორწმინდის საყდრის მფლობელს, იხსენიებენ რუსი ელჩები ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი, რომლებმაც ნიკორწმინდის ტაძარი 1651 წლის 16 ივნისს მოინახულეს (იევლევი, 1969:109). მეფე ალექსანდრე III–სთან შესახვედრად მიმავალი რუსი ელჩები დავით მიტროპოლიტს ქუთაისამდე გაუცილებია (იევლევი, 1969:109). დავით ნიკორწმინდელი მეფე ალექსანდრესა და რუსი ელჩების შეხვედრებსაც დასწრებია. იევლევის ცნობით, ალექსანდრე III–სთან შეხვედრის დროს მეფესთან მყოფ სასულიერო პირთა შორის მიტროპოლიტი დავითიც იყო, რომელიც მიტროპოლიტ ზაქარიას (გენათელი) გვერდით იჯდა (იევლევი, 1969:113). ტოლოჩანოვს ნიკორწმინდელი დავითი, არქიეპისკოპოსად ჰყავს მოხსენიებული. იგი მეფე ალექსანდრესა და რუსი ელჩების ერთ–ერთი შეხვედრის დროს, მეფის გვერდით მსხდომ ზაქარია მიტროპოლიტსა (გენათელი) და სიმონ არქიეპისკოპოსს (ხონელი) შორის მჯდარა (ტოლოჩანოვი, 1970:98). დავით არქიეპისკოპოსი მეფე ალექსანდრესთან ერთად იმყოფებოდა 1651 წლის 5 ივლისს ზაქარია გენათელის სახლში გამართულ სადილზეც (ტოლოჩანოვი, 1970:107), აგრეთვე, იგი დასწრებია 22 ივლისს სკანდის ცხენში მეფე ალექსანდრესა და რუსი ელჩების შეხვედრას. ამ შეხვედრაზე მეფე თეიმურაზ I-იც იმყოფებოდა შვილიშვილებთან ერთად (ტოლოჩანოვი, 1970:119).

დავით ნიკორწმინდელმა ხელი მოაწერა 1651 წლის 9 ოქტომბერს მეფე ალექსანდრე III–ის მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი დადებულ ფიცის წიგნს. ამ დოკუმენტში დავითი მოხსენიებულია როგორც „არქიეპისკოპოსი დავით ნიკორწმინდელი“ (იევლევი, 1969: 175).

თ. ბერაძე მიიჩნევს, რომ იევლევისა და ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის დროს (1650–1652 წწ.) ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იმერეთის მეფის მოლარეთუხუცესის ლომკაც ჯაფარიძის ძმა – არქიეპისკოპოსი სვიმონ ჯაფარიძე იყო (ბერაძე, 2004:93), რაც სიზუსტეს მოკლებულია და ამას ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ცნობები ცხადყოფს.

სვიმონ ჯაფარიძეს, როგორც არქიეპისკოპოსს, იხსენიებს ალექსი იევლევი, მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რომელი ეპარქიის მმართველია იგი. ფაქტია, რომ სვიმონს რუსი ელჩების იმერეთის სამეფოში ყოფნის პერიოდში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა არ ეკავა. იევლევის თქმით, არქიეპისკოპოს სიმონ ჯაფარიძის საცხოვრისი მდ. კრიხულას იქით, მთებში, მდ. რიონის ნაპირას ყოფილა, სადაც მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ხის ეკლესია მდგარა (იევლევი, 1969:107). რუსი ელჩები ამ ეკლესიაში წირვას დასწრებიან და შემდეგ არქიეპისკოპოს სიმონ ჯაფარიძესთან უსადილიათ (იევლევი, 1969:108).

ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი სიმონ ჯაფარიძეს ისევ შეხვდნენ, როდესაც იმერეთიდან რუსეთში რაჭის გავლით ბრუნდებოდნენ. მათ თან ახლდათ მეფე ალექსანდრეს მიერ რუსეთის ხელმწიფესთან მივლინებული ელჩი ლომკაც ჯაფარიძე. იევლევი და ტოლოჩანოვი 1651 წლის 17 ოქტომბერს ლომკაც ჯაფარიძის სოფელში მივიდნენ. მათ ლომკაცის ძმა – არქიეპისკოპოსი სიმონი შემოეგებათ მრავალი აზნაურის თანხლებით. სტუმრებმა ლომკაცთან ისადილეს. რუს ელჩებს თან მიჰქონდათ მეფე ალექსანდრეს მიერ დადებული ფიცის წიგნი, რომელზედაც ხელი არქიეპისკოპოსმა სიმონ ჯაფარიძემაც მოაწერა (იევლევი, 1969:171).

სვიმონ ჯაფარიძე მოხსენიებულია ამბროლაურის ეკლესიის ხატის წარწერაშიც. „ქ. (წმიდაო), ღმერთო და წმიდაო ამბროლაურისა ღვთისმშობელო, დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობი და შემომწირველი თქვენი მთავარეპისკოპოზი ჯაფარიძე სვიმონ“ (ბოჭორიძე, 1994:139-140). სავარაუდოდ, სვიმონმა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დავით

მიტროპოლიტი 1650–ანი წლების მეორე ნახევარში შეცვალა. ჩვენთვის უცნობია, თუ რით იყო განპირობებული ეს ჩანაცვლება, თუმცა, მსგავსი შემთხვევები იმ ხანის დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო კათედრებზე ხშირი იყო. 1669 წელს ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად კვლავ დავითია მოხსენიებული (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

სვიმონ ჯაფარიძეს ნიკორწმინდელად დიდი ხანი არ უმოღვაწია. მეფე ბაგრატ IV–ის მიერ 1660 წელს გაცემულ სიგელში ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად გვდეონ ლორთქიფანიძე ჩანს (კაკაბაძე, 1921ა:64). მოგვიანებით გვდეონ ლორთქიფანიძემ ნიკორწმინდელობასთან ერთად გენათლობაც შეითავსა. 1664 წლის საბუთში ის გენათელ–ნიკორწმინდელად იხსენიება (კაკაბაძე, 1921ა:64), 1668 წლის დოკუმენტში კი იგი მხოლოდ გენათელად არის დაფიქსირებული (ჟორდანია, 1897:485). როგორც ჩანს, 1668 წლისათვის გვდეონ ლორთქიფანიძეს ნიკორწმინდელის პატივი აღარ ჰქონდა და ის მხოლოდ გელათის საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა.

დაახლოებით 1666–1667 წლებში გვდეონ ლორთქიფანიძის შემდეგ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა კვლავ დავითმა დაიკავა. იგი, როგორც „ნიკოლოზ წმინდელი დავითი," მოხსენიებულია მეფე ბაგრატ IV–ის მიერ რუსეთის ხელმწიფესადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1669 წლით თარიღდება (ბროსე, 1861:82). წყაროთა სიმწირის გამო ვერ დგინდება, თუ რამდენ ხანს განაგებდა დავითის ნიკორწმინდელობამ 1669 წლის შემდეგ.

დავითის მომდევნო ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ცნობილი ფეოდალის მერაბ წულუკიძის ძმა – სვიმონ წულუკიძე ჩანს. მერაბ წულუკიძე სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის გაზრდილი ყოფილა (თაყაიშვილი, 1963:41). იგი XVII ს–ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში გავლენიან ფეოდალად იქცა. მას აუშენებია ნიკორწმინდის მახლობლად სოფელ აგარაში პატარა ეკლესია და მისთვის მრავალი ნივთი შეუწირავს. შეწირულ ნივთებს შორის არის ვერცხლის ფეშხუმი მხედრული წარწერით: „ქ: წმიდაო გიორგი მხნეო და მხედარო აგარისაო.... მე დამიჭირავს წულუკიძეს მერაბს ჯინჭროლსა და იწროთას შუა გალმა ჭრებალო და ზოგიში მათს გარდაღმა ოკრიბა და ტყილბური და ძმა ნიკორწმინდელად დამისვამს და მეორე ძმა კიდე ხოფს სოფლათ დამისვამს ნასაუნჯევს ხორგას სასახლე მისი შემავლის

კაცთანათა და ხონი კიდე სულათა“ (თაყაიშვილი, 1963:42). მერაბ წულუკიძის მიერ თავისი ძმის ნიკორწმინდელად დასმა XVII ს–ის 70–იანი წლების ბოლოს უნდა მომხდარიყო. შემორჩენილია ამ პერიოდის საბუთი, რომელიც ნიკორწმინდელი სვიმონ წულუკიძის მიერ არის გაცემული. ეს უკანასკნელი, მერაბ წულუკიძის ძმა უნდა იყოს: „...მთის მთავარმოწამეო წმინდაო (გიორგი), ... ჩვენ წულუკიძემან ნიკოლაოზწმინდელმან სვიმონ..... შემოგწირეთ კნინი და მცირე ესე შესაწირავი შავრას გლეხი დვალი ნასხიდა მისის ყოვლისფერით, ასრე და ამა პირსა ზედა რომე ლაშხიშვილის ყოფილიყო, ლაშხიშვილს ლომინ ერისთავისაგან გამორთმეოდა და ერისთავისაგან ჩვენ გვიყიდია და ჩვენ თქვენთვის შემოგვიწირავს“ (კაკაბაძე, 1921ა:81). საბუთს თარიღი არ უზის. ს. კაკაბაძემ ის დაახლოებით 1680 – 1685 წლებით დაათარიღა.

სვიმონ წულუკიძეს, როგორც ირკვევა, ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე საკმაო ხანს უმოღვაწია. იგი ნიკორწმინდელად ჩანს XVIII საუკუნის 20-იან წლებშიც. სვიმონ ნიკორწმინდელი გენათელ გედეონ ჩხეტიძესთან ერთად ამოწმებს იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის (1720 - 1752) მიერ პაპუნა წერეთლისათვის ბოძებულ წყალობის სიგელს: „არს ამისი გამრიგე და მოწამე გენათელი გედევან, ლიკორწმინდელი (ნიკორწმინდელი ბ. გ.) სვიმონ, სახლითუხუცესი ჯაფარიძე ლომკაცი....მდივანს ლევანს დამიწერია და მოწამეცა ვარ...“ (ხ.ე.ც. ფონდი HD – 2171, ბურჯანაძე, 1959:67). საბუთი უთარიღოა. გენათელი გედეონ ჩხეტიძე გელათის საეპისკოპოსო ტახტზე 1723 – 24 წლებიდან ჩანს. ზემოთ მოყვანილი საბუთიც ამ პერიოდში უნდა დაწერილიყო. ნიკორწმინდელი სვიმონ წულუკიძე ამ დროისათვის საკმაოდ ხანში შესული იქნებოდა.

სხვა ცნობები სვიმონ წულუკიძის შესახებ არ მოგვეპოვება. იგი ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით XVII ს–ის 80–იან წლებიდან XVIII ს-ის 20-იან წლებში მოღვაწეობდა.

სვიმონ წულუკიძის შემდეგ XVIII ს–ის პირველი ნახევრის არსებულ დოკუმენტებში, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები არ ჩანან. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში ნიკორწმინდის საეპისკოპოსომ, მსგავსად ქუთაისის და ხონის საეპისკოპოსოებისა, უამთა სიავის გამო მოქმედება შეწყვიტა. მისი აღდგენა იმე-

რეთის მეფის სოლომონ I–ის (1752–1784) ინიციატივით უნდა მომხდარიყო, დაახლოებით 1750–იან წლებში. ამ პერიოდში ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს გერმანე წულუკიძე.

გერმანე წულუკიძე რაჭა–ლეჩხუმის სარდლის – მერაბ II წულუკიძისა და დარეჯან აბაშიძის ვაჟი იყო (სოსელია, 1981: 68). ირკვევა, რომ გერმანეს ნიკორწმინდელობამდე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო ტახტი ეკავა, მაგრამ წყაროთა სიმწირის გამო რთულია განსაზღვრა მისი ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის წლებისა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: ქორონიკონსა უ ლ – 430 (1742) მოკუდა (კათალიკოზი) აფხაზთა გრიგოლ (ლორთქიფანიძე ბ. გ.), დაჯდა გერმანე (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973:913). ბ. ლომინაძე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას საეჭვოდ მიიჩნევს, რადგან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის ბესარიონ ჩხეიძის ბეჭედზე 1742 წელია ამოტვიფრული, რაც ჩვენულებრივ, კათალიკოსობის დასაწყისს უჩვენებს (ლომინაძე, 1954:134). აქედან გამომდინარე, 1742 წლიდან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი არა გერმანე წულუკიძე, არამედ ბესარიონ ჩხეიძე გახდა (ლომინაძე, 1954:134). ბ. ლომინაძე გერმანე წულუკიძის კათალიკოსობის პერიოდს ზოგადად XVIII ს–ის შუა წლებით საზღვრავს. რ. მეტრეველის ავტორობით გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს მეფენი და პატრიარქები“ 1742 – 1769 წლებში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად ბესარიონ ჩხეიძეა დაფიქსირებული, ხოლო გერმანე წულუკიძის აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად მოღვაწეობა, აგრეთვე, XVIII ს-ის შუა ხანებით არის განსაზღვრული (მეტრეველი, 2010:143-144). გ. გუგუშვილი წყაროების მიუთითებლად ამტკიცებს, რომ გერმანე წულუკიძე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი 1742 – 1751 წლებს შორის იყო (გუგუშვილი, 2003: 63).

გერმანე წულუკიძე ნიკორწმინდელობამდე რომ აფხაზეთის კათალიკოსი იყო, ეს იმ ხანის სიგელებით დასტურდება. სვიმონ ნუქიფშვილის შეწირულების წიგნში გერმანე წულუკიძე მოხსენიებულია, როგორც „პირველ კათალიკოსი გერმან ნიკოლაოზწმიდელი“ (კაკაბაძე, 1921ბ:39-40). აღნიშნული სიგელი 1769 წლით თარიღდება. „პირველ კათალიკოზი არქიერი გერმანე“ მოხსენიებულია ბერი და გიორგი წულუკიძეების შეწირულების წიგნშიც (კაკაბაძე, 1914:25). ნიკორწმინდის საყდრის სამხრეთის კედელზე მიშენებულ ეკკლერში არის

წარწერა: „გერასიმე კათალიკოსი შეიწყალე...“ ს. კაკაბაძის აზრით გერასიმე იგივე გერმანე უნდა იყოს (კაკაბაძე, 1914:25). გადმოცემის თანახმად, გერმანემ მეფე სოლომონ I–ის თხოვნით, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსობა რაჭის ერისთავის ძეს – ბესარიონს დაუთმო, რომლის ღრმა განათლება მაშინდელ საქართველოში ცნობილი იყო (გუგუშვილი, 2003:63), თვითონ კი ნიკორწმინდელის კათედრა დაიკავა. თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს გადმოცემა.

გერმანე წულუკიძე კათალიკოსად არის მოხსენიებული თავისი დედის – დარეჯან აბაშიძის 1756 წლის შეწირულობის წიგნშიც (ლომინაძე, 1954:136), მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ 1756 წელს გერმანე წულუკიძე არა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი, არამედ უკვე ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იყო (ლომინაძე, 1954:136).

როგორც აღვნიშნეთ, XVIII ს–ის 50–იან წლებში იმერეთის მეფის სოლომონ I–ის თაოსნობით დასავლეთ საქართველოში გაუქმებული საეპისკოპოსოების აღდგენის პროცესი დაიწყო. აღდგენილ იქნა ქუთაისისა და ხონის საეპისკოპოსო კათედრები. XVIII ს-ის 50–იანი წლების მეორე ნახევარში უნდა აღმდგარიყო ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაც, რომელსაც გერმანე წულუკიძე ჩაუდგა სათავეში. თავად ნიკორწმინდელი გერმანე აქტიურად იყო ჩართული ჟამთა სიავის გამო გაუქმებული საეპისკოპოსოების აღდგენის პროცესში. 1759 წლის კრებას, სადაც ქუთაისის საეპისკოპოსოს აღდგენის საკითხი განიხილებოდა, სხვა მღვდელმთავრებთან ერთად გერმანე ნიკორწმინდელიც ესწრებოდა (კაკაბაძე, 1913:4).

ნიკორწმინდელი გერმანე მოხსენიებულია 1759 წელს შედგენილ ბუკეთა გაუსყიდველობის გუჯარშიც (ხ.ე.ც. SD-2976, ჟორდანია, 1967:262).

გერმანე წულუკიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რაჭის ერისთავ როსტომ ჩხეიძესთან, რომელიც მეფე სოლომონ I–ის მოწინააღმდეგე გავლენიანი ფეოდალი იყო. 1769 წელს მეფე სოლომონ I–მა როსტომ ჩხეიძე და მისი ოჯახის წევრები დაატყვევა და რაჭის საერისთავო გააუქმა. ცოტა ხნის შემდეგ კი მან ნიკორწმინდის ეპისკოპოსობა ჩამოართვა გერმანე წულუკიძეს და მის ნაცვლად ნიკორწმინდელად სილიბისტრო ღოღობერიძე დასვა (ბატონიშვილი დავითი, 1905:19).

სილიბისტრო ღოღობერიძე 1750–იან წლებში იმერეთის სამეფო კარის წინამძღვარი ყოფილა, მას არქიმანდრიტის ხარისხი ჰქონდა. ამავე დროს სილიბისტრო იყო მწერალი და დამმოწმებელი იმ მრავალი დოკუმენტისა, რომელიც იმერეთის სამეფო კარზე დგებოდა. მათ შორის არის ქუთაისის საეპისკოპოსოს აღდგენის საბუთი და განჩინება ხონის საეპისკოპოსოსათვის სახუცო და სამრევლო გამოსაღების შესახებ. ამ დოკუმენტებს ახლავს სილიბისტროს ხელმოწერები: „მე არქიმანდრიტს, ჩემი ხელმწიფის კარის წინამძღვარს მღდელ მონაზონს ღოღაბერიძეს სილიბისტროს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი...“ (კაკაბაძე, 1913:5).

სილიბისტრო ღოღობერიძე 1766 წელს სამეგრელოს მთავარს კაცია დადიანს „ლეჩხუმის საირმედ სახელდებულის“ უდაბნოს მამად დაუდგენია: „ვეძიებდი მამასა უდაბნოსასა და ვპოვე სანახებისა ჩვენისა მხრისა ადგილებით იმერელი ღოღაბერიძე არხიმანდრიტი სილივისტრო და ვაწვიე რაი მანცა ჯერ იჩინა მამობა უდაბნოსა ამის ადგილობით ლეჩხუმის საირმედ სახელდებულისა და ჩვენცა კეთილად ალგიჩნდა მამად დადგინება ამისი და სიგელი ესე დავსდევით და განვაწესეთ შესაწირავი უდაბნოსა ამის“ (კაკაბაძე, 1921ბ: 31). სიგელი თარიღდება ქორონიკონით: ჩ ღ ა: რაც 1701 წელს ალნიშნავს. ეს დათარიღება სიზუსტეს მოკლებულია, რადგან სიგელში მოხსენიებული პირები XVIII ს – ის მეორე ნახევრის მოღვაწენი არიან. ს. კაკაბაძემ ალნიშნული სიგელი 1766 წლით დაათარიღა.

სილიბისტრო ღოღობერიძე ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე 1771–1773 წლებს შორის უნდა დაედგინათ, რადგან 1771 წელს ის ჯერ კიდევ საირმის უდაბნოს მამად ჩანს (კაკაბაძე, 1921ბ:44), 1773 წლის საბუთში კი უკვე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად იხსენიება (კაკაბაძე, 1921ბ:47).

ნიკორწმინდელი სილიბისტრო ერთ-ერთ უთარიღო საბუთშიც არის მოხსენიებული. ეს გახლავთ განჩინება სოლომონ I–ისა ქაიხოსრო აგიაშვილისა და ნიჟარაძეთა მამულის საქმეზე. როგორც ჩანს, აგიაშვილისა და ნიჟარაძეების სასამართლო დავის პროცესში ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი სილიბისტრო ღოღობერიძეც იყო ჩართული (ქ.ს.ძ., 1974: 274).

სილიბისტრო ღოღობერიძემ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა ტრაგიკულად დაასრულა. ის გლეხი ნადირაძის მსხვერპლი გახდა: „ესე სილიბისტრო მოკლა

მუნებურმან გლეხმან ნადირაძემ მიზეზისა ამისთვის: ვინათგან ჟამსა აღრეულებასა რაჭისასა ერთი გლეხის ცოლი შეცვარდნილ იყო ტყვედ და ლეკთაგან დაეხსნა ამა ნადირაძეს და შეერთო თვით ცოლად. ესე მიუღო (სილიბისტრო ნიკორწმინდელმა – ბ. გ.) და მისცა (ნადირაძის ცოლი – ბ. გ.) ძველსავე ქმარსა მისსა, და ამისა გამო ჰკრა თოფი (ნადირაძემ – ბ. გ.) ახალს ნაწირავს (სილიბისტროს – ბ. გ.) ეკლესიის კარზედ და მოკლა იგი. და კვალად დასცეს გერმანე" (ბატონიშვილი დავითი, 1905:19). სამწუხაროდ, წაყრილია არაა მითითებული, თუ რომელ წელს მოხდა აღნიშნული ფაქტი.

სილიბისტრო ღოღობერიძის მკვლელობის შემდეგ, ნიკორწმინდის სეპისკოპოსო კათედრაზე გერმანე წულუკიძე დაბრუნდა. გერმანე წულუკიძე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს 1784 წლით დათარიღებულ ბერი და გიორგი წულუკიძეების შეწირულობის სიგელშიც. ეს უკანასკნელნი, გერმანე წულუკიძის ძმები იყვნენ (აღნიშნული სიგელი ჩვენ ზემოთაც ვახსენეთ). ბერი და გიორგი წულუკიძეები ნიკორწმინდის საყდარს სწირავენ შავრას მცხოვრებ გვენცაძეებს, რომლებიც იმთავითვე ნიკორწმინდისათვის შეწირულნი იყვნენ. სიგელის ბოლოს აღნიშნულია: „ოდეს შინასა ეკლესიასა (ზედა) იყოფებოდა ძმა ჩვენ (პირველ) კათალიკოზი არქიერი გერმანე ქორონიკონს ქ ს (ქრისტეს) აქეთ ჩ ღ ოთხმოც დ (ოთხმოცდაოთხსა – 1784 ბ. გ.) დაიწერა გუჯარი ესე" (კაკაბაძე, 1914:25). ერთ–ერთი წყაროს ცნობით, გერმანე წულუკიძეს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა 1792 წელსაც ეჭირა. ჭელიშის მონასტრის ძმათა 1842 წლის ნამსახურეობის სიაში, მღვდელმონაზონ სვიმონის შესახებ ნათქვამია, რომ იგი უკურთხებია ყოვლად სამღვდელო ნიკორწმინდელ გერმანე არხიეპისკოპოსს ქორონიკონს: „ჩ ღ უ ბ" – 1792 წ. (ქ.ი.მ. შრომები, 2008:55).

1793 წლიდან ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს სოფრონიოს წულუკიძე (კაკაბაძე, 1921ბ:102). წულუკიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი სოფრონიოსი, ახლო ნათესავი იყო გერმანე წულუკიძისა, რომლისგანაც სასულიერო განათლება მიიღო ნიკორწმინდის ტაძარში. 1778 წელს ეფთვიმე გენათელმა სოფრონიოსი გელათში ბერად აღკვეცა (კეზევაძე, 2000:2).

სოფრონიოსი ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მოღვაწეობის პირველივე წლებიდან შეუდგა ნიკორწმინდის საყდრისათვის კუთვნილი მამულების დაბრუნებას, რომელნიც ჟამთა ვითარების გამო დაკარგული იყო. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდა იმერეთის მეფე სოლომონ II (1790 – 1810).

სოფრონიოსი ეხმარებოდა ნიკორწმინდის სამწყსოს წევრებს ფულით, მამულით და სხვა რაიმე საჭირო ნივთით. ერთერთ სიგელში იგი აღნიშნავს: „....რაოდენ შესაძლო იყო ვიღვაწე.... უწყის უფალმან წყალობისამან..... მამულით თუ გლეხის შოვნითა თუ ადგილის შემატებითა და სხვითა საეკლესიო სახმარებითა“ (ქ.ი.მ. შრომები, 2008:56).

ნიკორწმინდელი სოფრონიოს წულუკიძე აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებშიც. ის პრორუსული პოლიტიკის მხარდამჭერი იყო.

1810 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ იმერეთის მეფის სოლომონ II–ის განდევნის შემდეგ, იმერეთის სამეფოში რუსული მმრთველობა დამყარდა. იმერეთის თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ერთი ნაწილი ამ ფაქტს დადებითად შეხვდა, მათ შორის იყო სოფრონიოს ნიკორწმინდელიც. მას რუსეთის ერთგულებისათვის 1811 წელს ჯილდოც გადაეცა, თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნული ჯილდო არა ნიკორწმინდელი სოფრონიოსის, არამედ ხიონწმინდელი ეპისკოპოსის დავით წერეთლისათვის ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ სოფრონიოსს გადაცემული ჯილდო უკან აღარ ჩამოართვეს (კაკაბაძე, 1956:494).

სოფრონიოსი დიდ ყურადღებას აქცევდა სასულიერო განათლების საქმეს. მისი თაოსნობით მრავალი ხელნაწერი გადაიწერა (თაყაიშვილი, 1963:103). 1809 წელს სოფრონიოსის ინიციატივით სოფელ წესში დაარსდა სტამბა, სადაც ათამდე ქართული წიგნი დაიბეჭდა (კეზევაძე, 2000:2).

სოფრონიოს ნიკორწმინდელი იღვწოდა ოსი მოსახლეობის გაქრისტიანებისათვის. მისი თაოსნობით ნიკორწმინდის ეპარქიის მახლობლად, კუდაროს ხეობაში მცხოვრები 912 ოსი გაქრისტიანებულა (ხ.ე.ც. ფონდი SD-5237).

1817 წელს საქართველოს ეგზარქოსად მოვლინებულმა თეოფილაქტე რუსანოვმა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმირება დაიწყო, რამაც ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ქართული ეკლესიის თავისუფლების გადასარჩენად ერი და

ბერი გაერთიანდა, რასაც მოჰყვა 1819–1820 წლების აჯანყება, რომელსაც რუსეთის სახელისუფლებო წრეებმა „საეკლესიო ბუნტი“ უწოდეს. აჯანყება მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. აჯანყებულებს მხარში ედგნენ დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი და ანტონ ხონელი. მათგან განსხვავებით სოფრონიოს ნიკორწმინდელმა რუსეთის მთავრობას უერთგულა და ამაგიც დაუფასდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ის „უმაღლესის ბრძანებით დაიდგინა იმერეთის არხიეპისკოპოსათ...“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1954:390).

სოფრონიოსის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი. ერთ-ერთ წერილში თეოფილაქტე აცხადებს, რომ ის არის სოფრონიოსის „ჭეშმარიტითა მაღალ პატივისცემითა და ძმებრივითა სიყვარულითა უმორჩილესი მოსამსახურე და მლოცველი...“ (ქ.ც.ა. ფონდი-21, საქმე-15).

სოფრონიოსს ნდობას უცხადებდა საქართველოს მომდევნო ეგზარქოსი იოანე. მან სოფრონიოსს იმერეთის ეპარქიის რეფორმირება დაავალა. რეფორმის მიხედვით, საეკლესიო გლეხებს ნატურალური გადასახადების ნაცვლად ფულადი გადასახადები ეკისრებოდათ. ყოველი სასულიერო მოხელე საეკლესიო შემოსავლებიდან მიიღებდა მათთვის დაწესებულ გარკვეულ ჯამაგირს. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, რომელიც 1814 წელს შეიქმნა, სოფრონიოსს უნდა წარედგინა დაწვრილებითი ცნობები იმერეთის ეკლესია-მონასტრების ქონებისა და შემოსავლის შესახებ. ამავე დროს მას საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში უნდა გაეგზავნა ერთი წარმომადგენელი მუდმივ სამუშაოდ (ვაჭრიძე, 1999:252). უნდა შემცირებულიყო სასულიერო პირთა რიცხვი.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში დიდი დამსახურებისათვის არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი 1839 წელს წმინდა ანნას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს (ვაჭრიძე, 1999: 252).

იმერეთის ეპარქიის მმართველობის ბოლო წლები სოფრონიოს წულუკიძემ ავადმყოფობაში გაატარა. მძიმედ დასნეულებულს მარჯვენა ხელი „დაუქმებია.“

1841 წლის 18 ნოემბერს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა პირადი თხოვნის საფუძველზე, ავადმყოფობის გამო, არქიეპისკოპოსი სოფრონი გაანთავისუფლა იმერეთის ეპარქიის მმართველობისაგან (კეზევაძე, 2000:2). ამის შემდეგ სოფრონს დიდ-

ხანს ალარ უცოცხლია ის 1842 წლის 1 იანვარს გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

მანოელ ჩხეტიძე - 1534–1540-იანი წწ-ის პირველი ნახევარი.
იოაკიმე - 1540 - იანი წწ-ის მეორე ნახევარი 1550-იანი წწ.
დავით საყვარელიძე - 1559 (?).
ამბროსი ბაქრაძე - 1560-იანი წწ-ის დასაწყისი.
მელქისედეკ საყვარელიძე - 1565–1573.
ამბროსი ბაქრაძე - 1573–1590-იანი წწ.
ნიკოლოზი - XVI ს-ის ბოლო XVII ს-ის 20-იანი წწ.
სვიმონ ჩხეტიძე - XVII ს-ის 30-იანი წწ-ის დასაწყისი - 1639.
დავითი - 1639–1650-იანი წწ-ის პირველი ნახევარი.
სვიმონ ჯაფარიძე - 1650-იანი წწ-ის მეორე ნახევარი.
გედეონ ლორთქიფანიძე - 1660–1666-67 წწ.
დავითი - 1666-67 – 1670-იანი წწ-ის დასაწყისი.
სვიმონ წულუკიძე - XVII ს-ის 70-იანი წწ-ის ბოლო – XVIII სს – 20-იანი წწ.
გერმანე წულუკიძე - XVIII ს-ის 50-იანი წწ. – 1771.
სილიბისტრო ღოღობერიძე - 1771-72–1770-იანი წწ-ის ბოლო (?).
გერმანე წულუკიძე - 1780-იანი წწ. – 1792.
სოფრონის წულუკიძე - 1793–1821 (იმერეთის ეპარქია – 1821–1842).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

წყაროები

1. ხ.ე.ც. - საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფონდი HD – 2171. ფონდი SD – 2976, 5237.

2. ქ. ა. ც. - ქუთაისის ცენტრალური არქივი ფონდი - 21, საქმე - 15.

3. ბატონიშვილი დავითი, 1905: - „მასალები საქართველოს ისტორიისთვის - შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა“ (1744 – 1840), ტფ. 1905.

4. ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973.

5. ბროსე, 1861: Бросее, „Переписка грузинских царей с российскими государями от 1659 г. по 1770 г.“ СПБ. 1861.

6. ბოჭორიძე, 1994: გ. ბოჭორიძე, „რაჭა - ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები“, თბ. 1994.

7. ბურჯანაძე, 1959: შ. ბურჯანაძე, „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა“ (1466 – 1770 წწ.), წ. 1, თბ. 1959.

8. თაყაიშვილი. 1936: ე. თაყაიშვილი „მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში“, პარ., 1939.

9. თაყაიშვილი, 1963: ე. თაყაიშვილი, "არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში", თბ. 1963.

10. იევლევი, 1969: ა. იევლევის 1650 – 1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა - რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ. 1969.

11. კაკაბაძე, 1912: ს. კაკაბაძე, „სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი“, ტფ. 1912.

12. კაკაბაძე, 1913: ს. კაკაბაძე, „საეკლესიო რეფორმებისთვის სოლომონ I-ის დროს“, ტფ. 1913.

13. კაკაბაძე, 1914: ს. კაკაბაძე, „წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ“, ტფ. 1914.

14. კაკაბაძე, 1921ა: ს. კაკაბაძე, „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, წ.1, ტფ. 1921.

15. კაკაბაძე, 1921ბ: ს. კაკაბაძე, „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, წ. 2, ტფ. 1921.

16. კაკაბაძე, 1922: ს. კაკაბაძე „საქართველოს მოკლე ისტორის“ ტფ. 1922

17. კაკაბაძე, 1956: ს. კაკაბაძე, „იმერეთის სამეფოს გაუქმება“, თბ. 1956.

18. ჟორდანია, 1897: თ. ჟორდანია, „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, ტ. II, ტფ. 1897.

19. ჟორდანია, 1967: თ. ჟორდანია, „ქრონიკები დასხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ ტ. III, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორადანიამ და შ. ხანთაძემ, თბ. 1967.

20. ტოლოჩანოვი, 1970: ნ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650 – 1652 წწ. - რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ. 1970.

21. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1954: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყო-

ფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (Aკოლექცია) ტ. IV, თბ. 1954.

22. ქ.ს.ძ. 1970: „ქართული სამართლის ძეგლები“, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III, თბ. 1970.

23. ქ.ს.ძ. 1974: „ქართული სამართლის ძეგლები“, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. V, თბ. 1974.

ლიტერატურა

24. გაბისონია, 2006: პ. გაბისონია „ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია“, ავტორეფერატი. 2006.

25. გუგუშვილი, 2003: გ. გუგუშვილი, „ნიკორწმინდის ეპარქია“ - ურ. ორნატი თბ. 2003.

26. გურგენიძე: ნ. გურგენიძე, “მაწყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი”. ხელნაწერის უფლებით.

27. ვაჭრიძე, 1999: გ. ვაჭრიძე, „იმერეთის დროებითი მმართველობა“ (1810 – 1840), ქუთ. 1999

28. კეზევაძე, 2000: მ. კეზევაძე, „არქიეპისკოპოსი სოფრონი შემწე სტამბისა“ – გაზეთი „მწიგნობარი“ – საქართველოს ილ. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გაზეთი №. 1, ქუთ. 2000.

29. ლომინაძე, 1954: ბ. ლომინაძე „მასალები დასავლეთ საქართველოს XVII – XVIII ს–თა ქრონოლოგიისათვის“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954.

30. მეტრეველი, 2010: რ. მეტრეველი, „საქართველოს მეფეები და პატრიარქები“, თბ. 2010.

31. მჭედლიძე... 2008: გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე „ქუთაისის - გაენათის ეპარქია“, ქუთ. 2008.

32. ნარკვევები, 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973.

33. სოსელია, 1981: ო. სოსელია, „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ - პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები) წ. 2, თბ. 1981.

34. ქორიძე, 2000: თ. ქორიძე, „აფხაზეთის კათოლიკოს - პატრიარქები“, წიგნში „საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქები“, რედ. რ. მეტრეველი თბ. 2000.

35. ქ.ი.მ. შრომები, 2008: მ. მურუსიძე „ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი“, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები, ქუთ. 2008.

Besik Gaprindashvili

BISHOPS OF NIKORTSMINDA IN 1534-1822

Summary

In the first half of the XVI the Episcopacy Cathedral of Nikortsminda was established by the king of Imereti Bagrat III. Manuel was the first Bishop of Nikortsminda. Before that he was the head of Khoni Cathedral and later he became a Bishop of Atskuri.

According to the existing sources Ioakim appears as the second Bishop of Nikortsminda .Ioakim took part in church meeting held in West Georgia in the 50-s of XVI century.

In the second half of XVI century,Nikortsminda Episcopacy Cathedral was led by Melkisedk Sakvarelidze who was the first bishop of Gelati,as well as by Ambrosi Bakradze and David Sakvarelidze.

Nikoloz,Swimon Chkhetidze (later the Bishop of West Georgia), David Mithropolit, Swimon Japaridze,Gedeon Lortkipanidze and Swimon Tsulukidze worked at the Nikortminda Cathedral in the XVII century.

Due to the hardest period of time, Nikortsminda stopped its existence in the first half of XVIII century but it was restored in 1750-s and Germane Tsulukidze became the head of Nikortsminda Cathedral. Germane was a devoted and trustful man of Rostom Chkhaidze(the head of Racha region),who was a great enemy of the king Solomon. That's why the king Solomon ordered Silibistro Gogoberidze to be a new head of Nikortsminda Ccthedral. Silibistro died tragically, as he was killed by a peasant - Nadiradze. After this Germane Tsulukidze returned to his position.

In 1793 Sopronios Tsulukidze appears as the last Bishop of Nikortsminda. In 1820 under the Russian reforms, four episcopacy Cathedrals(Kutaisi,Gelati,Khoni, Nikortsminda)were abolished and Imereti Eparchy was established. Sopronios Nikortsmindeli was elected as the head of it for his devoutness to the Russian government. Sopronios died in 1742 and was buried into the Kutaisi Episcopacy Cathedral.

ზედგინიძეთა გვარის ისტორიიდან

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ზედგინიძეთა გვარის ისტორიას რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: პ. კარბელაშვილი, ალ. მიქელაძე, ივ. ამილახვარი, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანია, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, მ. ქიქოძე და სხვანი.

მიუხედავად ხსენებულ ავტორთა დამსახურებისა, მათ ნაშრომებში ბევრია სადავო დებულებები და მოსაზრებები.

წინამდებარე სტატია ზედგინიძეთა გვარის ისტორიის ბოლო დრომდე ბუნდოვნად მიჩნეული ან ნაკლებად იდენტიფიცირებული ფაქტებისა და მასში არსებული ხარვეზების შევსებას ითვალისწინებს.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-4 ტომის 198-ე გვერდზე მკვლევარი მანანა ქიქოძე წერს: ზედგენიძეები – ზედგინიძეები, ფეოდალური საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოში. ზედგინიძეები XIV ს-ის I ნახევარში დამკვიდრდნენ მდინარეების რეხისა და მეჯუდის სანაპირო ტერიტორიაზე. XIV ს-ის 80-90-იან წლებში სამეფო კარის ერთგულებისათვის საგვარეულო საძვალედ მიიღეს შიომღვიმე; ალექსანდრე I-მა ზედგინიძეებს დაუმტკიცა გორის მოურაობა, ამილახორობა და სოფლები – კასპი, გომი, ნადარბაზევი, ქმამამულებით. პირველი ზედგინიძე იყო თაყა ჯანიბეგის ძე ზედგინიძე და აქედან მომდინარეობს ზედგინიძეთა გვარი, შემდეგში – სათავადო-საამილახორო (ქსე, 1979:498).

ქართულ საისტორიო წყაროებში, ჩვენთვის საინტერესო პიროვნება – თაყა ზედგინიძე მოხსენიებულია 1426 წლის ალექსანდრე I „დიდი“-ს საბუთებში (ჟორდანია, 1897:229). ხოლო მისი მამა ჯანიბეგი მოხსენებული ჰყავს ფარსადან გორგიჯანიძეს თემურ-ლენგის ლაშქრობის დროს და მის სამფლობელოს „ჯანოს მამულს“ უწოდებს (გორგიჯანიძე, 1925:303). ვახუშტი ბატონიშვილი ამ პიროვნებას ჯანდიერ წარჩინებულს უწოდებს (ვახუშტი 1973:270), ივანე ჯავახიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი კი ჯანიბეგ ზედგინიძე-ამილახორად მიიჩნევენ (ჯავახიშვილი, 1982:203; ბერძენიშვილი, 1965:111).

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ზედგინიძეთა გვარის ისტორიით დაინტერესდა, იყო სხვილოელი მღვდელი პეტრე კარ-

ბელაშვილი, რომელმაც ზედგინიძეთა გვარის შესახებ ცნობები ჯერ 1891 წელს გაზეთ „ივერიაში“ №237-ე ნომერში, ხოლო 1896 წელს „ძველი საქართველოს“ მეორე ტომში გამოაქვეყნა (კარბელაშვილი, 1896:101-138). ავტორი ზედგინიძეთა ასპარეზზე გამოჩენას თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის ხანას უკავშირებს და ზედგინიძეებს სამცხე-საათაბაგოდან მოსულებად თვლის, რომლებიც ზედსიძეობით ეუფლებიან ქართლის მოურავობას, „ამოვარდნილ“ აბულეთისძეთა ნაცვლად.

აღნიშნულ საკითხს შეეხო აკად ნ. ბერძენიშვილი, რომელმაც საქართველოს სახლმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში მიაკვლია XV ს-ის მხედრულად შესრულებულ მეტად დაზიანებულ ქქვს საბუთს. ერთ-ერთი საბუთი ეხება XV ს-ის 80–იან წლებში ზედგინიძე-ამილახორთა სახლში ბიძა-ძმისწულს შორის ამტყდარ უთანხმოებას მემკვიდრეობის გაყოფის თაობაზე. მართალია, საბუთის დაზიანებულობა საშუალებას არ იძლევა ამ მოვლენის დროისა და გარემოების სრულად გასათვალისწინებლად, მაგრამ საბუთიდან ჩანს, რომ ზედგინიძეთა გვარის მამული სხვილოს მიღებით იწყება და თანდათან ფართოვდება: „(ბატონო დარბაისერნო) გაიგონეთ ჩვენი საქმე: (ოდეს გიორგი მეფე) ოვსეთით მოვიდა სხ(უილოს ამო) წყუედილნი დახუდეს, ორნი ქა(ლნი დახუ)დეს, ერთი კოჭლი . . . (გიორგი მეფე) მან ასრე უბრ(ძანა): (კოჭლსა ქალსა ვინ(ც) შეირთავთ, ამა სხუილოსურ/რსა მამულსა მო/გცემ“. ის კოჭლი შეირთო ზედგინიძემან და უბოძა სხუილოსური მამული (გამო და დიდი ხანი და გაილაშქრა გიორგი მეფემან თათარ/თა. აქ ჩემი გვარის კაცი ოცდა ცხრა/ნი და ოცნეს..“ (ნ. ბერძენი'შვილი, 1937:39).

ამჯერად ჩვენთვის საინტერესო, რაც ამ საბუთებიდან იქცევს ყურადღებას, არის სხვილოს მამულში ახალმოსახლეთა დამკვიდრების დრო და ვინაობა. ამასთანავე საბუთში დასახელებული პიროვნება და დრო ერთობ ბუნდოვანი და საეჭვოა. საბუთი, როგორც გამოკვლეული აქვს აკად ნ. ბერძენიშვილს, შედგენილია კონსტანტინე მეფის (1478-1505) დროს. საბუთში აღწერილი ფაქტები კი წინა პერიოდს ეხება. დათარიღებისათვის ამოსავალი ჩანს საბუთში გიორგი მეფის სახელი, რომელიც ორჯერ მოიხსენიება. ერთი გიორგი „ოვსეთით მოვიდა“ და სხვილო ამოწყვეტილი დახვდა. მისი ბრძანებით ზედგინიძემ იქორწინა სხვილოს მფლობელ კოჭლ ქალზე. მეორედ გიორგი მოიხსენიება თათრებთან ბრძოლისას. ამის შემდგომ

საბუთის შემდგენელი საგანგებოდ ხაზს უსვამს, რომ სხვილოს სამამულოდ მიღების შემდეგ „გამოხდა ხანი გაილაშქრა გიორგი მეფემან თათართა“ (ნ. ბერძენიშვილი, 1937:39). აქვე მოხსენიებულია ათაბაგ აღბუღა.

საინტერესოა ვინ არის ის გიორგი, რომელიც საბუთში ორჯერაა მოხსენიებული, ერთი და იგივე პიროვნებაა თუ სხვადასხვა?

საბუთში კიდევ ერთი მიმანიშნებელი გარემოება ჩანს. გიორგი, ზედგინიძის მიერაა გადარჩენილი. მაგრამ საბუთიდან არ ჩანს, რომ გადამრჩენ ზედგინიძეს ოთამი, თაყა თუ იორამი ჰქვია, მაგრამ ის კი ჩანს, რომ შეთქმულება ნამდვილად იყო და ეს შეთქმულება ზედგინიძემ გასცა.

ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ აქ მოხსენიებული გიორგი არის გიორგი ალექსანდრეს ძე, რომელიც 1446-1466 წლებში მეფობდა, მან შეთქმულება ამ გიორგის წინააღმდეგ მოწყობილად მიიჩნია. „მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა მეფე გიორგის მოსაკლავად მოწყობილი შეთქმულების შესახებ, მართალი ყოფილა“ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ზედგინიძე კი არ, მოუკლავთ, არამედ მძიმედ დაუჭრიათ“ (ივ. ჯავახიშვილი, 1948:89).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს ალ. მიქელაძემ, ივ. ამილახვარმა, მ. ჯანაშვილმა, თ. ჟორდანიამ.

საწინააღმდეგო დებულება წამოაყენა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. მისი აზრით: ავთანდილ ზედგინიძე, ზემო ხსენებულ ზედგინიძის ამბავს მეთოთხმეტე საუკუნეში გულისხმობს. „ჩვენ საბუთი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მის ცნებაში. მისი მოხსენების მიზანი და ამ მოხსენების წარდგენის ადგილი და დრო ასეთი ეჭვის უფლებას არ გვაძლევს“ (ნ. ბერძენიშვილი, 1937:6).

როგორც ჩანს, ავთანდილს თავისი მოხსენება ზედგინიძით სახლის რაღაც წერილობით წყაროზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული.

საბუთში მოხსენიებულ გიორგიზე თავისი მოსაზრება წამოაყენა ნ. ბერძენიშვილმა. მან დასაშვებად მიიჩნია, რომ მეფის „ოვსეთით“ მოსვლა „შეგვეძლო XIV საუკუნის პირველ მეოთხედში გვეგულისხმა, როცა ოსთა ქართლში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ოს-ქართველთა შორის ხანგრძლივი

ბრძოლა იყო გამართული. სხვილოსის ამოწყვეტითა და ოსეთში ლაშქრობის ერთად ნაგულისხმევია ოსთა წინააღმდეგ ქართლში ბრძოლის დამთავრების და თვით ოსეთში შეტევას გვიჩვენებს. ეს კი თითქოსდა უდგება გიორგი V „ბრწყინვალეს დროს“ (ნ. ბერძენიშვილი, 1937:6).

ჩვენი საბუთის მეორე გიორგი მეფე, – განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, – თათრებზედ, რომ ლაშქრობს, როგორც მოხსენებიდან ჩანს „დიდი ალბუღას“ თანამედროვეა. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს დიდი ალბუღა არის სჯულმდებელი ათაბაგი ალბუღა, XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე (ნ. ბერძენიშვილი, 1937:5). ეს გიორგი, როგორც ცნობილია, 1393-1407 წლებში მეფობდა.

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება სრულად გაიზიარა მკვლევარმა მანანა ქიქოძემ, რომელმაც აღნიშნა: ზედგინიძე-ამილახორთა სათავადოს ორგანიზაციის პირველი პერიოდი, როგორც გარკვეული ტერიტორიული და სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებისა, მთავრდება XIV ს. I მეოთხედში. მაშინ ჩნდება სათავადოსათვის დამახასიათებელი ელემენტები: ერთიანი - „სხვილოსური მამული“ და ცხენსიმაგრე სხვილო (ქიქოძე, 1963:39).

ისტორიკოსმა დ. გვრიტიშვილმაც გაიზიარა ნ. ბერძენიშვილის ზემოაღნიშნული ვერსია. მაგრამ მ. ქიქოძისგან განსხვავებით, დ. გვრიტიშვილის აზრით: „გვიანფეოდალური ხანის ქართლის ერთ-ერთი მსხვილი სათავადოს საამილახვროს შექმნა დაიწყო XVI ს-ის 40-იანი წლებიდან. საერთოდ ქართლის სათავადოების გამოყოფის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართლის საერისთავოს მოშლის საკითხთან“ (გვრიტიშვილი, 1955:17).

როგორც ვხედავთ, ზემოჩამოთვლილ ავტორთა უმეტესობა საამილახოროს ჩამოყალიბებას ზედგინიძეთა გვარს უკავშირებს და მის ჩამოყალიბებას XIV ს-ის პირველ ნახევარში დებს, რაც ჩვენთვის მიუღებელია.

გასაზიარებელია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომელიც საამილახოროს შექმნის XV საუკუნეში მომხდარ ფაქტად მიიჩნევს.

ვინაიდან ჩვენი კვლევა ზედგინიძეთა გვარის ვინაობასა და მათი ასპარეზზე გამოსვლის დროის შესახებ ძიებას ეხება, რასაც ზოგიერთი ავტორი საამილახოროს-სათავადოს ჩამოყალიბებას უკავშირებს, თავიდანვე გვინდა განვაცხადოთ, რომ

სათავადოს წარმოქმნა ხდება ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში. თავადი ცდილობდა განთავისუფლებულიყო მეფის მეურვეობისაგან და გადაქცეულიყო თავის სამფლობელოს სრულიად დამოუკიდებელ მფლობელად. ყოველივე ეს კი ხდებოდა სუსტი ცენტრალური ხელისუფლების პირობებში. თუ გავითვალისწინებთ გიორგი V „ბრწყინვალეს“ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, მის ღონისძიებებს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის, მაშინ ნათელი ხდება, რომ ამ პერიოდში რაიმე სათავადოს ჩამოყალიბების მცდელობაც კი საფუძველს მოკლებულია. ამდენად ზედგინიძეამოლახორთა შესახებ დროსა და ვინაობაზე საუბარი გიორგი V „ბრწყინვალეს“ მეფობაში გამორიცხულია.

არც ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1466-თან) უნდა გავაიგივოთ „ოვსეთითგან“ მოსული გიორგი და მის პერიოდს დავუკავშიროთ საამილახვროს წარმოქმნა, რადგან ამ დროისათვის აღნიშნული სათავადოს არსებობას და, ამასთანავე, ზედგინიძეთა გვარის წარმოქმნას საფუძველი ექრება.

რაც შეეხება მოხსენებულ სხვა გიორგის, ჩვენი აზრით, იგი უნდა იყოს მეფე გიორგი VII (1393-1407 წწ.) გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „ოვსეთით“ მოსული გიორგი, მაინცდამაინც არ უნდა ნიშნავდეს ოსეთში მოლაშქრეს, რასაც ადგილი ჰქონდა XIV ს-ის I მეოთხედში გიორგი V-ის დროს.

გიორგი VII-ის მოღვაწეობის პერიოდში „ოვსეთთან“ ურთიერთობის ანარეკლს „ქართლის ცხორებაში“ სამ ადგილას ვხვდებით:

1. პირველად თემურ-ლენგის მეოთხე ლაშქრობის დროს 1394 წლის შემოდგომაზე. ვახუშტის ცნობით თემურ-ლენგი „შეუხდა არაგვს, შემუსრნა მთიულნი და სიმაგრენი და მოაოხრა, არამედ ავნებდნენ დიდსა მთიულნი და სპანი მეფისანი მუნ მყოფნი სპათა თემურისათა, რომელთა ვერარაი ტყვე-ჰყვეს და უკუ მოიქცნენ“ (ვახუშტი, 1973:271).

ამ მხარეში თემურის ლაშქრობის მიზეზად ვახუშტი ჩრდილო კავკასიიდან დამხმარე ძალის გამოყვანას ვარაუდობს: „რამეთუ განჰყავს გიორგი მეფესა მუნითგან შემწენი და კვლავ ჰგონებდა მეფესაცა მუნ“ (ვახუშტი, 1973:271). მთებიდან ჩამოსვლის შემდეგ თემურ-ლენგი სადღაც გაშლილ ველზე დამდგარა ბანაკად, გარშემო ტერიტორიები მოუთარეშებია და თბილისზე გავლით შაქისაკენ წასულა. ჩვენი აზრით, ეს

გაშლილი ველი მუხრანი და მისი შემოგარენი უნდა იყოს, საიდანაც სხვილოს ტერიტორიის მორბევა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა თემურის ლაშქრისთვის.

2. მეორედ, 1396 წელს, ნახჭევანის ლაშქრობის დროს, როდესაც გიორგიმ დარიალიდან გამოიყვანა „სრულიად კავკასნი“, ე.ი. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომი და გაილაშქრა ნახჭევანისაკენ (ნარკვევები, 1979:690).

3. მესამედ 1400 წლის გაზაფხულზე, თემურ-ლენგის მეექვსე ლაშქრობის დროს, გიორგიმ გამოიყვანა ჩრდილოეთ კავკასიის ტომები და ქართველთა ჯართან ერთად გოგჩის ტბის მიდამოებში დაუხვდა მტერს (ქართლის ცხოვრება, 1959:332).

თუ ზემოაღნიშნულ ცნობებს გავაანალიზებთ, ვფიქრობთ, რომ ზედგინიძეთა საბუთის შესავალში აღწერილ გარემოებებს სწორედ თემურ-ლენგის 1394 წლის მეოთხე ლაშქრობის დროს უნდა ჰქონდეს ადგილი. არაგვის ხეობაში ლაშქრობის დროს გიორგი VII შესაძლებელია მართლაც გადასულიყო ჩრდილო-კავკასიაში - „ოვსეთში“ დამხმარე ძალის გადმოსაყვანად, რასაც ვახუშტიც ადასტურებს: „რამეთუ განჰყავს გიორგი მეფესა მუნიდან შემწენი და კვლაც ჰგონებდა მეფესაცა მუნ“ (ვახუშტი, 1973:271). ამ დროს უნდა მომხდარიყო თემურის მიერ სხვილოს მამულის აოხრება და გაუკაცრიელება, ხოლო 1400 წლის მეექვსე ლაშქრობის დროს, მართალია, თემურმა ილაშქრა „სხვილოს მამულში“, მაგრამ ამ დროისათვის მას პატრონი ჰყავს – ჯანიბეგი, რომელსაც ვახუშტი „ჯანდიერ წარჩინებულს“ უწოდებს, გორგიჯანიძე კი „ჯანოს“.

რაც შეეხება „სხვილოს მამულს“, ისტორიულად არაგვისპირიდან მოყოლებული ტერიტორიები გორის მიდამოების ჩათვლით, ადრიდანვე აბულეთისძეებს ეკუთვნოდათ, რომელნიც დავით აღმაშენებლის დროიდან იწყებენ დამკვრობას და მათ ტერიტორიებს სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები იკავებენ. ასეთებია: აყუბაშვილები და გულიაურები – გორში, სუნღულისძენი – არაგვისპირში. მაგრამ რომელ საგვარეულოს ეკუთვნიან სხვილოურ მამულში დასახლებული ზედგინიძენი?. საბუთში მოყვანილი თაყა თავისთვის ეკვდრის აგებას ასახელებს და ამას იმით ასაბუთებს, რომ შიომღვიმეში სადაც „პირველ ჩუენნი მამანი დასაფლავებულ იქმნეს, მათთანა დასაფლავებლად...“ თაყას გამონათქვამი ნიშნავს, რომ ზედგინიძეთ გვარის მამანი უკვე დიდი ხანია შიომღვიმეში იმარხე-

ბიან. ეს თაყა XV საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობს, რომლის მეულლე არის მამქაანი და არიან უშვილონი.

ახლა შევეხოთ შიომღვიმის მონასტერს 1376 წლის ეტრატის მხედრულად ნაწერ გუჯარს „ესე დაწერილი დაგიწერთ ჩ-ნ მღუიმელთ ერთობით სრულად კრებულთა შენ სუნდულს, მონასა ღუთისასა: ამას უდაბნოსა შ-ა შემოხვევით მოლოცვად; მოლოცე უდაბნო და წ-სა მამისა შიუსი სამარტვილო. მოგაგონა ღ-ნ სულისა შენისათვის უმჯობესი, რათამცა ამა უდაბნოა შ-ა სალოცველი და მშობელთა შენთა სახსენებელი იყო ვიდრემდის უდაბნო ესე ეგოს და წესი და დალოცვა აღესრულებოდეს...“ (ჟორდანია, 1897:189), გუჯრის შინაარსიდან ჩანს, რომ შიომღვიმის მონასტერი სუნდულის და მისი მშობლების სალოცავი და განსასვენებელია. ცოტა მოგვიანებით 1392 და 1398 წლების მცხეთის გუჯარში ზემოთნახსენები სუნდულიძე ამირთამირა ლომი და მისი ძმისწული ლაჩინა მცხეთას სწირავენ გორში აყუბაშვილისაგან ნაყიდ ვენახს (ჟორდანია, 1897:198-202).

ვინაიდან წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია ზედგინიძეთა გვარის ვინაობის დადგენა და რადგანაც მკვლევართა ერთმა ნაწილმა (ნ. ბერძენიშვილი, დ. გვრიტიშვილი, მ. ქიქოძე) ზედგინიძეთა გვარი უშუალოდ დაუკავშირა ამილახორთა სახელს, მაშინ აუცილებელია გავარკვიოთ მათი ვინაობა ჩვენთვის საინტერესო ხანაში.

მცხეთის 1401-1404 წლების გუჯარში მოხსენიებულია ამილახორი გრიგოლი (ჟორდანია, 1897:206). ხოლო 1405 წლის მცხეთის გუჯარში მოხსენიებულია ხიმშია ამილახორი, რომელიც ჯერ აბაზაძეების, შემდეგ კი აბულეთისძეთა მამულზედ დაუსვამს მეფეს (ჟორდანია, 1897:213-214), ეს ის ხიმშიაა, რომელიც, სპარსული წყაროების თანახმად, შეუპოვარ ბრძოლას უმართავს 1399 წლის ზამთარში კახეთ-ჰერეთში შემოჭრილ თემურ-ლენგის ლაშქარს. ამ გუჯრიდან ვგებულობთ, რომ მისი შვილი არის ამირინდო, შემდგომში ამილახორად წოდებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, XIV ს-ის მეორე ნახევარსა და XV ს-ის დასაწყისში ამილახორთა ვინაობა ასე გამოიყურება: ამირინდო-გრიგოლი-ხიმშია-ამირინდო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენთვის საინტერესოა ზედგინიძეთა გვარის სათავეში მყოფი პიროვნების ვინაობა. როგორც მცხეთის გუჯრებიდან ირკვევა, სახელი „ზედგინი“ ჩნდება XIV საუკუნის მეორე ნახევარში. ზედგინი არის ბაგრატ V-ის თანამედროვე ამირინდო ამილახვრის შვილი, ამირინდოს შვილია

ასევე თაყა. თაყას შვილია ჯანიბეგი და ავთანდილი. ჯანიბეგის შვილია თაყა (უშვილო). ავთანდილის შვილია ზედგინი. გვეგონა, რომ ამირინდოს შემდეგ ამილახვრობა მის მემკვიდრეებზე გადავიდოდა, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ზემოთჩამოთვლილ პირთაგან არცერთს ამილახორობა არა აქვს მინიჭებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამირინდოს შემდეგ მოხსენიებული გრიგოლ ამილახორი ამირინდოს ძმაა. გრიგოლის შვილი უნდა იყოს ხიმშია, ხოლო ამ უკანასკნელის შვილი ამირინდო, რომელიც ფლობს შემდგომ ამილახორის წოდებას და ნაშვილებია თაყას მიერ. თუ დოკუმენტებს დავაკვირდებით, პირველად ზედგინიძე, როგორც გვარი, ფიქსირდება 1433 წელს, სადაც მოხსენიებულია ზედგინისძე თაყა-გორის მოურავი. ეს თაყა ზედგინიძე არის ნაშვილები ამირინდო ამილახვრის შვილი. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საგვარეულო სახელი „ზედგინი“ საბოლოოდ გაგვარდა. რაც შეეხება მცხეთის გუჯრებში დასახლებულ მამულებს და მათი მეპატრონეების ვინაობას, მათი დადგენა საეჭვო აღარ უნდა იყოს.

ვინაიდან სუნდულიძეებს, მოგვიანებით კი ზედგინიძე-ამილახორებს ერთი და იგივე ტერიტორია უჭირავთ (ახალციხე არაგვის ხეობაში, მღვიმე საგვარეულო საძვალე, გორი, მცხეთა, კასპი, იგოეთი, ნადარბაზევი, გომი, ჯვარი, კარსანი, ძაგნაკორნა, ახატანი, ხატისწობენი). ვფიქრობთ, ისინი ერთი ფუძე-გვარიდან უნდა მომდინარეობდნენ, ამ შემთხვევაში კი მათი ფუძე-გვარი სუნდულისძენი ჩანს, ასევე ადასტურებს 1419 წლის სინოდის კანტორის სიგელი, რომლითაც ლახინ სუნდულისძე მცხეთის საყდარს სწირავს გორში ნასყიდ გულიაურის ვენახს, კალოს და მარანს, ორმოცი ჭურის ოდენობით. გუჯრის დამამტკიცებელნი არიან ავთანდილ და ზედგინ ამილახორის გვარისანი, ხოლო ლახინ, რომელსაც უკანასკნელად მოუწერია ხელი, არის სახლიკაცი ავთანდილის და ზედგინისა. საბუთებიდანაც ჩანს, რომ გორის მოურაობა და მამულები ეკუთვნის ამილახორებს და ამავე დროს სუნდულიძეებს (ჯორდანია, 1897:225).

ამრიგად, ზემოთმოყვანილი ისტორიული დოკუმენტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქართლის აბულეთიძეთა საერისთავო საგვარეულოს დამცრობის შედეგად მათ მამულებს იკავებენ აღზევებული სუნდულისძენი, რომელნიც თავის მხრივ საფუძველს უყრიან ზედგინიძეთა საგვარეულო დინასტიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქსე, 1979 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV, თბ., 1979.

ვახუშტი, 1973 – ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

ჟორდანია, 1897 – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ქრონოლოგიურად დალაგებული თქდო ჟორდანიას მიერ, ტფილისი, I, 1892; II, 1897.

ჯავახიშვილი, 1982 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1982.

ჯავახიშვილი, 1948 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1984.

ბერძენიშვილი, 1937 – ნ. ბერძენიშვილი, „ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნეში“, „საისტორიო მოამბე“, თბ., 1937.

ბერძენიშვილი, 1937 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1965.

კარბელაშვილი, 1896 – პ. კარბელაშვილი საამილახვროს ისტორია, „ძველი საქართველო“, II, თბ., 1896.

ნარკვევები, 1979 – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.

გვრიტიშვილი, 1955 – დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

Roman Gogolauri

FROM THE HISTORY OF A SURNAME-ZEDGINIDZE

Summary

Some Georgian authors dedicated their works to the history of a surname –Zedginidze. Among them are: P. Karbelashvili, Al. Mikeladze, Iv. Amilakhvari, M.Janashvili, T. Zhordania, Iv. Javakhishvili, N. BerdzeniShvili, M.Kikodze and so on.

The analyzes of the historic material gained and discussed by us gives us an opportunity to consider that a surname - Abuletisdze in kartli is replaced by a new surname –Sungulisdze who established a family dynasty of Zedginidze.

დარეჯან ჟუჟუნაძე

სამცხე-ჯავახეთში მოქმედი დაშნაკური პარტიის როლი ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის დაპირისპირების საქმეში 1917 – 1921 წლებში

ისტორიული ბედუკუღმართობის წყალობით 1917-1921 წლების სამცხე-ჯავახეთი დასახლებული იყო ეთნიკურად და რელიგიურად ჭრელი მოსახლეობით. ქართველების გარდა აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული ქურთები, თარაქამები, ბერძნები, რუსი სექტანტები, ებრაელები და სომხები. დემოგრაფიული წონასწორობა საგრძნობლად დაარღვია XIX საუკუნის 30-იან წლებში მთავარმართებელ პასკევიჩისა და ბებუთოვის ინიციატივით არზრუმიდან, ბაიაზეთიდან ჩამოსახლებულმა სომხობამ. საყურადღებოა, რომ ქველა ეს ეთნიკური ჯგუფი ცდილობდა ამ კუთხეში არა მარტო თვითდამკვიდრებასა და გაძლიერებას, არამედ სხვადასხვა გზებით უპირატესობის მოპოვებასაც.

1917-21 წლებში სამცხე-ჯავახეთში დაძაბული ცხოვრების გამო არაერთი მტკივნეული პრობლემა ინასკვებოდა. ეს პრობლემები მხოლოდ საომარი მოქმედების შედეგად შექმნილი ეკონომიკური სიძნელებიდან არ გამომდინარეობდნენ, არსებობდა სხვა სახის პრობლემებიც. შინაგანად დაძაბულ ურთიერთობებში იკვეთებოდა ამ კუთხის რელიგიურად და ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობის პოზიცია. ძირითადი პრობლემა იყო, ერთი მხრივ, აბორიგენთა (მესხთა) და, მეორე მხრივ, XIX საუკუნეში შემოხიზნულ „უცხოელთა“ თანაცხოვრების მოუგვარებელი სოციალურ-პოლიტიკური საკითხები. ცალკეულ ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფების მიხედვით ეს პრობლემები სხვადასხვანაირად აღიქმებოდა და განსხვავებულ მიმართულებას იძენდა. კერძოდ: როდესაც 1914-1917 წლებში ფრონტზე კავკასიის არმიის წარმატებები ხორციელდებოდა, გამარჯვების შემთხვევაში მესხეთის ქრისტიანები და შემოხიზნული სომხები ერთნაირი სიხარულით ელოდნენ დაკარგული მიწა-წყლის შემოერთებას. ფაქტობრივად, მათი შეხედულებები ომის მოსალოდნელი შედეგებისადმი დამოკიდებულების საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდა. ქართველებისათვის ეს ნიშნავდა ისტორიული სამხრეთ პროვინციების დაბრუნებას და

ქართველური მოდგმის ლაზ-ჭანთა მიწა-წყლის შემოერთებას. ასევე სასიხარულო უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხისთვის სომხური მიწა-წყლის (არხრუმ-ერზინჯანის) შემოერთებაზე ფიქრი, რადგან ისინი ვარაუდობდნენ, რომ XIX ს-ის 30-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში მის დაუკითხავად შემოსახლებული სომეხი მოსახლეობა, ძველი სომხური მიწა-წყლის განთავისუფლების შემდეგ, მამა-პაპის სამკვიდრებელს დაუბრუნდებოდა და ერზრუმში გადასახლდებოდა, ხოლო სამცხე-ჯავახეთის გამოთავისუფლებულ მიწა-წყალზე იქედან აყრილი და თურქეთში გადასახლებული მაჰმადიანი ქართველობა დაუბრუნდებოდა თავის მშობლიურ სამშობლოს. ასე რომ, მესხეთში ქართველ-ქრისტიანთა და სომეხთა ურთიერთობაში მაშინ სხვა პრობლემა არ არსებობდა, მაგრამ გამოჩნდნენ თუ არა მესხეთში დაშნაკური პარტიის წარმომადგენლები, სულ მალე ურთიერთობა ქართველებსა და სომხებს შორის დაიძაბა. დაშნაკური პარტიის დასაყრდენს სამცხე–ჯავახეთში მცხოვრები სომხები წარმოადგენდნენ. აშკარაა, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამცხე-ჯავახეთში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა კიდევ უფრო დაქსაქსა და დააპირისპირა ერთმანეთთან ადგილობრივი მოსახლეობა და ეს კუთხე სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაახვია. საქართველოს მეზობელი სომხეთი სარგებლობდა არსებული მდგომარეობით და ხან აშკარად, ხან ფარულად ცდილობდა გამოეყენებინათ არსებული ვითარება და წაერთმია საქართველოსთვის ეს ძირძველი კუთხე. ამის მიღწევას კი სხვადასხვა გზებით, არაქართველი მოსახლეობის დარაზმვითა და ანტიქართული პროპაგანდით, ცდილობდა.

მას შემდეგ, რაც რუსეთში გაიმარჯვა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, დაემხო მეფის ხელისუფლება, დაიწყო რუსეთის იმპერიის ნგრევა და ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმპერიაში მცხოვრები ერების ეროვნული თავისუფლებისათვის. რუსეთის ცარიზმის დამხობას სიხარულით შეხვდა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაც. მათ იმედი გაუჩნდათ, რომ შეძლებდნენ ახალი ცხოვრების ფუნდამენტის უმოკლეს დროში აშენებას, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. ერთი მეთვალყურის მოწმობით, ამ დროს მესხეთი და განსაკუთრებით მისი მთავარი ქალაქი, ახალციხე, სავსე იყო „არაერთგვაროვანი და არაერთხარისხოვანი“ ხალხით, აქ ტრიალებდნენ ერთიმეორის მოწინააღმდეგე ეროვნულ-რელიგიური ჯგუ-

ფები და პარტიები. სამაზრო მმართველობაში უპირატესად თურქოფილური ელემენტები იყვნენ თავმოყრილი, საქალაქო მმართველობაში კი სომეხი ნაციონალისტები (სჯმ.,ხფ111,10). 1917 წელს ახალციხის მხოლოდ ძველ ნაწილში, „რაბათში“ ცხოვრობდნენ ქართველები და ებრაელები, ხოლო ქალაქის ახალ ნაწილი თითქმის მთლიანად სომხებმა ითვისეს. ასევე ქალაქის თვითმართველობასა და პოლიციაში წამყვანი თანამდებობები მათ მოიპოვეს, სამაზრო ადმინისტრაცია კი ძირითადად არამკვიდრი მაჰმადიანების – აზერბაიჯანელების, ინგუშების და ლეკების ხელში მოექცა. ხელისუფლების ძველი სტრუქტურების დარღვევის შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა („ოზაკომმა“) სამცხე-ჯავახეთში თითქოს მოახდინა ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია: ახალციხის მაზრის კომისრად დანიშნა ამავე მაზრის ყოფილი უფროსი, ეროვნებით ინგუში, როსტომ გუდიევი; ქ. ახალციხის ქალაქისთავად კი – ეროვნებით სომეხი ზორი ზორიანი. „სამაზრო მმართველობის უფროსი, ადრე „ველური დივიზიის” ოფიცრად ნამსახური გუდიევი, წარმოშობით ინგუში, თავაწყვეტილი პანთურქისტი და ფანატიკოსი მაჰმადიანი იყო, ქალაქის თავი ზორი ზორიანი კი გამოუსწორებელი დაშნაკი. მაშინ სწორედ მუსლიმან მოსახლეობაში ეს ორი პიროვნება ქმნიდა ქალაქში დაძაბულ განწყობილებას“ (მაღლაკელიძე, 1938,342).

ახალქალაქის სამაზრო და საქალაქო მმართველობაშიც სომეხი ნაციონალისტები ლიდერობდნენ. აშკარაა, სამცხე-ჯავახეთის ძირძველი მოსახლეობა ორივე მაზრაში ხელისუფლებაში მონაწილეობისგან ფაქტობრივად იზოლირებული იყვნენ. ყოველივე ამას, როგორც აღვნიშნეთ, ზედ დაერთო ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მიერ განხორციელებული არასწორი რეორგანიზაცია სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა, რომლის სათავეშიც მოვიდნენ ოსმალეთის ყოფილი აგენტები, პანისლამიზმის იდეების მქადაგებლები: ო. გუდიევი, მ. მუსაკიევი, ა. კადიმბერკოვი, ო. ფაიკი, ა. პეპოხოვი, ზ. ავალოვი, ე.ეფენდიევი, სერვერ-ბეგ ათაბაგი და სომეხ დაშნაკთა პარტიის წარმომადგენლები: ზორიანი, თეიმურაზოვი, აივაზიანი, გევორქიანი, მანდარიაცი, ზარაფიანი და სხვები.

სამცხე-ჯავახეთში სამაზრო და საქალაქო მმართველობაში მოკალათებულ სომხებს 1917 წლიდან დიდ მხარდაჭერას უცხადებდა სამცხე-ჯავახეთში მოქმედი დაშნაკური პარტია, რო-

მელსაც საქართველოში უკვე ჰქონდა საკუთარი პრესა – „ჰარაჰი“, „ორიზონი“, „აშხატავორი“, „კავკაზსკოე სლოვო“ და „ვპერიოდი“. ქ. ახალციხეში კი ადგილობრივი დაშნაკების ინიციატივით გამოდიოდა გაზეთი „შარჟუმი“. გარდა ამისა, ისინი ხშირად ბოლშევიკურ გაზეთებსაც იყენებდნენ ქართველების წინააღმდეგ მიმართულ ცილისმწამებლური წერილების განსათავსებლად.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში საქართველოს წამყვანი პოლიტიკური პარტიები ენერგიულად ცდილობდნენ თავიანთი ზეგავლენის გავრცელებას, ამისთვის იყენებდნენ პროპაგანდა-აგიტაციის მიღებულ ფორმებს: შეკრებებს, დისკუსიებს. ამ მხარეში ავტორიტეტით სარგებლობდნენ როგორც პროქართული, ისე პროსომხური და პროთურქული ორიენტაციის პოლიტიკური პარტიები. მათ შორის ურთიერთობა ყოველთვის არ იყო კორექტული. განსაკუთრებით დაძაბული იყო ურთიერთობა სოციალ-დემოკრატებსა და სოციალ-ფედერალისტებს შორის. ამით სარგებლობდნენ სომხური ორიენტაციის პარტიები, განსაკუთრებით დაშნაკები და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ არჩევნებზე. ამ ამბების თვითმხილველი ე. სიმონიანი აღწერს: ამ პატარა ქალაქში, ახალციხეში, ხშირად ერთმანეთისაგან დაშორებით იმართებოდა რამდენიმე ტრიბუნა და ეწყობოდა მიტინგები, რომლებზეც ერთდროულად გაისმოდა სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული ერთმანეთის საწინააღმდეგო, განსხვავებული პოზიციის გამომხატველი სიტყვები. კრებებს მართავდნენ სოციალ-დემოკრატების, ესერების, სოციალ-ფედერალისტების, რუსი კადეტების, სომეხი „დაშნაკების“ და „გნჩაკის“ პარტიის წარმომადგენლები (სიმონიანი, 168).

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქალაქის თავდაცვის მიზნით, 1917 წელს ქ. ახალციხეში გენერალმა შალვა მაღლაკელიძემ შექმნა ქართული საჯარისო შენაერთი და მას „არტაანის რაზმი“ უწოდა, ადგილობრივი სომხების ერთ ნაწილს ეს არ მოეწონა და აშკარა პროვოკაციები მოაწყოს. „საქმე იქამდე მივიდა, რომ კაპიტან აივაზიანის შთაგონებით და ხელმძღვანელობით, მე მესროლეს თვით ქალაქ ახალციხის შუაგულში, ოღონდ ერთი თავდამსხმელი ჩემმა მცველმა იქვე მოკლა. ეს თავდასხმა მოხდა სომხთა მხრიდან“, – წერდა გენ. შალვა მაღლაკელიძე (მაღლაკელიძე,1938;341). ნათელია, დაშნაკურ პარტიას არ აწყობდა ქართული რეგულარული ჯარის ახალ-

ცხეში არსებობა, რადგან ეს ხელს შეუშლიდა მათი მიზნების განხორციელებას – უპირველესად ამ კუთხის მიტაცებას. ასევე ამ პარტიის მიზანს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების დაპირისპირება, რაც მათ წისქვილზე ასხამდა წყალს. ყოველივე ამას კი სომხური დაშნაკური პარტიის წარმომადგენლები გეგმავდნენ მაშინ, როცა მათთვის ცნობილი იყო ადგილობრივ მაჰმადიანთა მიერ შედგენილი სამოქმედო პროგრამა, რომელიც მესხეთის თურქეთისათვის მიერთებას გულისხმობდა. დაშნაკური პარტიის იდეოლოგიის მიუხედავად, ადგილობრივმა სომხებმა არ დაივიწყეს გენ. შ. მაღლაკელიძის ერთგულება, როდესაც მან არ დაუთმო აჯანყებულ მუსლიმებს ახალციხეში სომეხთა ამოხოცვა და იგი სიკვდილს გადაარჩინეს. ეს მაშინ მოხდა, როდესაც, 1917 წელს, აბასთუმანში გამართულ მაჰმადიანთა ყრილობას ესწრებოდა მხარის ახლადდანიშნული გენერალ-გუბერნატორი შ. მაღლაკელიძე, რომელმაც თავის გამოსვლაში ყრილობის გადაწყვეტილება, მესხეთის საქართველოდან გამოყოფის შესახებ, სრულიად დაგმო და პროტესტი განუცხადა მას. აღელვებულმა ბრბომ მაღლაკელიძე ტრიბუნიდან ჩამოაგდო. სადამოს კი, როცა ის სამ თანმხლებ პირთან ერთად ახალციხისკენ მოდიოდა, ყაჩაღები გზაში დაუხვდნენ, სროლა აუტეხეს და ერთი თანმხლები მოუკლეს, იგი სომეხი ეროვნების ჯარისკაცებმა იხსნეს, გენერალ-გუბერნატორმა თავს გაქცევით უშველა (მაღლაკელიძე, 1938:346).

დაძაბული ვითარება სუფევდა 1918 წელს ქართველთა და ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას შორის. საქმე ისაა, რომ სომეხმა ნაციონალისტებმა დაშნაკური პარტიის წარმომადგენლებმა მოახერხეს ადგილობრივ სომხურ მოსახლეობაში იდეების ქადაგება და ისინი ქართველების მიმართ მტრულად განაწყვეს. ქ. ახალციხის თვითმართველობაში 1917 წლიდან დიდ როლს ასრულებდა ე.წ. „სომხის შტაბი“, რომელიც ძირითადად სომეხი დაშნაკებისგან კომპლექტდებოდა. 1918 წელს ახალი გენერალ-გუბერნატორის ბალო მაყაშვილის ბრძანებით შეიქმნა „ქ. ახალციხის თავდაცვის შტაბი“ და იგი შესაბამისად ითვალისწინებდა „სომხის შტაბის“ გაუქმებას, რადგან მათ მეთაურობდნენ მძარცველები და ავაზაკები, რომლებიც მხოლოდ მოსახლეობის ძარცვა-გლეჯასა და მაჰმადიანთა სოფლების გადაწვა-აწიოკებას აწარმოებდნენ (სჯმ.,ხტ111,7). სინამდვილეში არანაირი „სომხის შტაბის“ გაუქმება არ მომხ-

დარა. მოხდა მხოლოდ სახელწოდების შეცვლა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, „ახალციხის თავდაცვის შტაბში“ კვლავ დაშნაკური პარტიის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ახალციხელი ქართველები უკმაყოფილო იყვნენ „თავდაცვის შტაბის“ ასეთი დაკომპლექტებით და მოითხოვდნენ სამსახურიდან დაეთხოვათ ყველა სომეხი ეროვნების ხელმძღვანელი პირი, სანამ არ გაირკვეოდა, იყვნენ თუ არა ისინი კავშირში დაშნაკურ პარტიასთან (სცსსა,ფ 1863,207).

ძველი ჩინოვნიკების ხელში მოექცა ახალქალაქიც. აქ სამაზრო აღმასკომის თავჯდომარედ გავიდა ვინმე მანდადოვი (მანდადიანცი), რომელიც 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე ამავე მაზრის სამმართველოს მდივანი იყო. მისი ხელმძღვანელობით ახალქალაქის სამაზრო აღმასკომი შოვინისტებით გაივსო (სცსსა,13). ასევე ახალქალაქში დაშნაკთა პარტიის თავმჯდომარემ შავამ დემურ-ჩოვლიანმა 1918 წლის ბოლოს დააარსა „ახალქალაქის სამხედრო საბჭო“, რომელიც თავისთავად დაკომპლექტდა სომეხი ნაციონალისტებით. უფრო მეტიც, ამ ხელმძღვანელმა ხელში ჩაიგდო ტელეგრაფი და ქართველ მოხელეებს აუკრძალა სამ ნაბიჯზე ახლოს აპარატთან მიახლოება (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919). ყოველივე ეს ჯავახეთში დაშნაკური პარტიის წარმომადგენელთა უპირატესობაზე მეტყველებდა. დაშნაკური პარტიის მუშაობის შედეგი იყო რომ ვერ მოხერხდა 1917 წლის აჯანყების შემდეგ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შერიგება. 1918 წლის 28 თებერვალს აბასთუმანში ქართველ მაჰმადიანთა საგანგებო კრება გაიმართა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა დაპირისპირების პრობლემის მოგვარება (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919). თუმცა მათმა მცდელობამ, ისევე როგორც ქრისტიან ქართველთა მიერ ჩატარებულმა კრებებმა, უშედეგოდ ჩაიარა, ვერ მოხერხდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა დაახლოება, რასაც აშკარად ხელს უშლიდა დაშნაკური პარტიის წარმომადგენელთა მიერ წაქეზებული ადგილობრივი სომხების მიერ მოწყობილი პროვოკაციები. მაგ., 1918 წლის 15 თებერვალს ქალაქში გავრცელდა ხმა სოფ. ღრელზე მუსლიმთა თავდასხმის შესახებ. ეს ამბავი დაშნაკური პარტიის წაქეზებით ახალციხის სომხებმა გაავრცელეს. ახალციხეში განლაგებული ქართული ჯარი დასახმარებლად დაიძრა ღრელისკენ, როცა გაირკვა, რომ ადგილობრივ სომხებს სპეციალურად, ქართველ მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის

შულლის ჩამოსაგდებად გაევრცელებინათ სოფელზე თავდასხმის ამბავი, რომელთა მიზანს წარმოადგენდა, ქართული ჯარის ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში, არსენალის გაძარცვა. სოფ. ღრელზე თავდასხმის ამბავი აწყურში მაჰმადიან ქართველებსაც შეეტყოთ, საიდანაც ცხენოსანთა შეიარაღებული მაჰმადიანთა რაზმი გამოეგზავნათ თავდასხმის აღსაკვეთად. თუმცა, ისინიც მოტყუებულნი დარჩნენ (გაზ„საქართველო“, 1918). ნათელია, რომ ორივე მხარე, მაჰმადიანები და ქრისტიანები, ცდილობდნენ არ აჰყოლოდნენ სომეხთა პროვოკაციებს და არ დაეშვათ ქართველების ხოცვა-ულეტა.

ასევე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ახალციხელი სომხები ქალაქში განლაგებულ ქართველ ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ მაჰმადიან ქართულ სოფლებზე თავდასხმისაკენ, სანაცვლოდ კი ქალაქის დაცვას თვითონ კისრულობდნენ. 1918 წლის იანვარში აწყურში მაჰმადიანებმა შეტაკების დროს მოკლეს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ოფიცერი ძიძიგური და მისი მხლებლები, რომლებიც ახალციხეში თბილისიდან გამოაგზავნეს. სომხები ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ: „თქვენ წადით და თავს დაესხით აწყურის მაჰმადიანებს, ახალციხეს ჩვენ დავიცავთო“, აღელვებული ჯარისკაცების დამშვიდება ძლივს მოუხერხებია მათ ხელმძღვანელობას (გაზ. „საქართველო“, 1918). 1918 წლის მარტში აწყურში, მაჰმდიანები ბორჯომიდან მომავალ იარაღით დატვირთულ ავტომანქანას თავს დაესხნენ და რვა სომეხი ჯარისკაცი მოკლეს, რომლებსაც იარაღი მოჰქონდათ. დიდად აალელვა თურმე ამ ინციდენტმა ახალციხელი სომხები და მეორე დღესვე შეიარაღებულები აწყურზე თავდასასხმელად გაემართნენ, რომლებსაც გზა გადაუღობეს კლდის, წნისის და სხვა სოფლების შეიარაღებულმა მაჰმადიანმა ქართველებმა. შეტაკების დროს ერთი სომეხი ჯარისკაცი დაიღუპა, რის გამოც სომხებმა მთელი ქალაქი ფეხზე დააყენეს. ისინი შეიარაღებული ბრძოლისთვის ემზადებოდნენ და, რაც მთავარია, ამ ბრძოლაში ქართველებსაც იწვევდნენ. ქრისტიანი ქართველები არ გაჰყვნენ სომხებს ბრძოლაში, რადგან მათ არ სურდათ ებრძოლათ ქართველ მაჰმადიანთა წინააღმდეგ. სამაგიეროდ, სომხებმა ახალციხის მაზრაში 150-ზე მეტი მაჰმადიანი დააპატიმრეს. სომეხთა გამოსვლას მაზრაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა და მთელი შეიარაღებული მაჰმადიანობა ფეხზე დააყენა, მეორე დღესვე დაიწყო ქრისტიანთა სოფლებზე მათი თავდასხმა. მაჰმადიანე-

ბი თავს ესხმოდნენ არა მარტო სომხურ, არამედ ბერძნულ და ქართულ სოფლებსაც კი – ანდრიაწმინდას, უდეს, არალს (გაზ. „საქართველო“, 1918). ამის შემდეგ ქრისტიანი ქართველები იძულებულები გახდნენ, გამოსულიყვნენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ და იარაღით ხელში დაეცვათ თავიანთი ოჯახები მათი თავდასხმებისაგან.

როგორც ვნახეთ, სამცხე-ჯავახეთში მოქმედმა დაშნაკური პარტიის წარმომადგენლებმა მიაღწიეს მიზანს, რისთვისაც დიდი ხნის მანძილზე იბრძოდნენ და შეძლეს არა მარტო ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდება, არამედ ჩაითრიეს ისინი მათ მიერ ატეხილ ბრძოლაში და ეს კუთხე სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაახვიეს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

სცსსა., – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1863, საქმე №217

სცსსა., – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №2080, საქმე №459

სჯმ.,ხფ – სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფონდი №111

სჯმ.,ხფ – სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფონდი №1135

სიმონიანი., – ე. სიმონიანის „მოვლენები და სახეები“ ,სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფონდი №4641

მაღლაკელიძე., 1938 – შ. მაღლაკელიძე, „ნაწყვეტი ახლო წარსულიდან მესხეთის გარშემო“, ჟურნალი „ქართლოსი“, 1938, პარიზი

გაზ. „საქართველო“, 1918., – გაზ. „საქართველო“, 11 თებერვალი,1918წ. №34

გაზ. „საქართველო“, 1918., – გაზ. „საქართველო“, 25 თებერვალი, 1918წ. №47

გაზ. „საქართველო“, 1918., – გაზ. „საქართველო“, 18 მარტი, 1918წ. №60

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919., – გაზ. „სახალხო საქმე“, 9 იანვარი, 1919წ. №435

Газ. «Кавказское Слово», – Газ. «Кавказское Слово», 16-го юля, 1918 г. № 146.

Darejan Zhuzhunadze

THE ROLE OF ACTING DASHNAK PARTY IN SAMTSKHE-JAVAKHETI IN THE AFFAIRS OF THE OPPOSITION BETWEEN CHRISTIAN AND MUSLIM GEORGIANS IN 1917 –1921

Summary

There were no concrete and serious problems between Georgians and Armenians in Samtskhe-Javakheti till 1917 but as soon as the representatives of Dashnak Party appeared in Meskheti, the relation between Georgians and Armenians became tensed. They were supported by the Armenians living in Samtskhe-Javakheti. Dashnaks could spread chauvinistic ideas among the local Armenians , they were able to make Christian and Muslim Georgians be opponents and draw them into battle.

ლია ქიტიაშვილი

მესხეთის მოსახლეობის მენტალობის საკითხისათვის

(ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური წერილებიდან")

იოანე გვარამაძის მიერ 1892 წელს ახალციხეში გადაწერილი **"საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი"**, 1763-1809 წლების ისტორიული მატიანე, დეტალურად გადმოგვცემს სამცხეში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. ყოველდღიური ქრონიკების ჩამონათვალი იმდენად მდიდარ ისტორიულ პალიტრას სთავაზობს მკითხველს, რომ მკვლევარი შ. ლომსაძე ამ ნარატიულ თხზულებაზე მეტად საყურადღებო შეფასებას აკეთებს: „შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გვიანი შუა საუკუნეებისთვის უფრო მნიშვნელოვანი წყარო არ მოიპოვება" (ლომსაძე, 1979:91).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში საკვლევ თემაზე მასალების მოძიებისას დიმიტრი ბაქრაძის არქივში აღმოჩნდა პირადი ხასიათის წერილი გაგზავნილი იოანე გვარამაძის (ამ ქრონიკების გადამწერის) მიერ. აღნიშნული წერილი მთელი სიცხადით წარმოაჩენს მესხეთის თანამდევ ტრაგიკულ ბედისწერას (ავტორისეული წერის სტილი დაცულია):

„31. ღვინ. **1888**. ქ. ახალციხე. პატივცემულ ბ. **დიმიტრი ბაქრაძეს**

მოგიკითხავთ საუფლო ლოცვა კურთხევით და თქვენს დღეგრძელობას მოწყალე უფალსა ღმერთსა ვსთხოვთ ჩვენს ნუგეშად.

მომილოცავს მშვიდობის მგზავრობა კონსტანტინოპოლისაკენ. კეთილი იყოს: მადლობა ღმერთს მშვიდობით წახველით და მშვიდობითვე მოხვედით. იმედი მაქვს საკმაო ისტორიულ წყაროებს მოიძიებდით ჩვენი საცოდავი სამშობლოსას, რომელიც დიდი სასიხარულო და სანუგეშო არის ჩვენთვის.

ჩვენი სამესხეთო კი დავიწყებულია ამჟამად ყველასგან, იქამდის, რომ უცხონი მოდიან გვითხრიან ძველ ნაშთ ძეგლებსა, ჯვარ ხატთა და მიაქვნან თავისუფლად თავიანთ ქვეყანასა. მოწინააღმდეგე ხმის გამცემი არავინ არის. განა სახელია კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოებისათვის, განა

კავკასიის მუზეუმში არ უნდა იკრიბებოდეს მისთანა ნაშთი თუ სადმე არს? სხვა ქვეყნებსა და სხვა მუზეუმებში რა ხელი აქვს ჩვენ ნაშთა და ჩვენ წინაპართა საკუთრებას? მაგრამ ხდება ბევრი ამისთანა დაქცევა ჩვენის ქვეყნისა ჩვენს საკითხავად და დიდად სამწუხაროდ. „სოფელ ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთ!" სწორედ ესრე-იქამდის უხრუნველი და უნაღვლნი ვართ, რომ მეორებით და მესამებით ზიკიპინტების ჯდაბნას გაჰყოლიან ჩვენი სწავლული ვაჟბატონები და უპრიანე უპირველესი საგანი ისტორიის წყაროები უბედურ ეპოქის კორიანტელისა ქარიშხალთათვის მიგვიტოვებია, რომელნიც დღევანდლამდე იმუსრება, იტაცება და უჩინარდება.

ერთი მისთანა გონებაგახსნილი გულმოწყალე გაზეთის გამომცემლებში არა გვყავს, რომ ჩვენი შრომა დაბეჭდონ ხოლმე წყაროების გასამრავლებლად. ყველანი იმაღლებიან, ცხვირპირს იგრეხენ, არაფრად სთვლიან და ამგვარად რა სიკეთე იქმნება და ან ვინ შეხალისდება ისტორიულ შრომაზედ კიდევ.

განსვენებული ბ. სერგი მესხის დროს მე დავსწერე დროებაში მგონი წუნდის ეკლესიის ზედ წარწერა სწორედ როგორც იყო, მაგრამ ვარძიის მონასტრის ბერმა მ. კალისტრატემ სხვაგვარად დასწერა მწყემსში თუ ის და თუ სხვა ჩემი არქეოლოგიური ცნობები გადაასხვაფერა. დიდის სიამოვნებით მიიღო დამბაშიძემ იმის სიცრუე სინამდვილედ. თუმც მეც ცხდად აუხსენ პასუხითა გარნა არ დაბეჭდილა. მას და ზოგიერთ გაახლებთ ამასთან და განიხილეთ.

მარად თქვენი მლოცველი დავშთები უღირსი მონა
მესხი ივ. მღ. გვარამაძე." (გვარამაძე, 1888:1)

ამ ფრაზებს მიღმა შეიცნობა სულიერი სიახლოვე ილია ჭავჭავაძესთან: დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულითა და ხორცით წარწყმედისა (უპირველესი საგანი ისტორიის წყაროები მიგვიტოვებია, უზრუნველნი და უნაღვლელნი ვართ); პარალელი ხდება ნიკო ბერძენიშვილის ნააზრევთან-ჯაყისმანი, ქართული სახეები უქართველოდ. (ჩვენი სამესხეთო დავიწყებულია ყველასგან); გამოხატულია მკაცრი, თუმც დროული კრიტიკა თანადროულობისა (ზიკიპინტების ჯდაბნა); მოჩანს ივანესეული გეგმა-სიძველეთა გადარჩენისა (კავკასიის მუზეუმის როლის ხაზგასმა) და რაც მთავარია, დიმიტრი ბაქრაძისადმი გამოვლენილი პატივი, ნდობა, იმედი-თავმდაბალი წერილის ავტორისა, სამშობლოზე ფიქრით დამძიმებულისა.

აი, როგორ ახასიათებს მესხეთს **ვახუშტი ბატონიშვილი**: „და ესრეთ განიყო სახელი **ზემო ქართლის ამად**. რამედ აწ ოძრახოსის წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ **სამცხეს**... ბაგრატიონთა მეფობსა შინა ყოველთა ამათა ალაგებთა და ქვეყანათა კრებით ეწოდა **მესხნი,** ხოლო ბრწყინვალე მეფემ გიორგიმ მისცა რა ათაბაგობა (ყვარყვარე 1334-1361წწ) და მის ქუეშე დააწესა ქვეუნის ერისთავნი, მიერით იწოდა საათაბაგოდ. ხოლო ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროიან-მთიანი, კლდიანი, **ტყიანი**, შამბ--შრომიანი, **მდინარიან-წყაროიანი-ტბიანი** და მცირედ ველოვანი; ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი. ჰავით მშვენი და კეთილ, არამედ ზღვის კიდეთა არ ეგების. **ნაყოფიერობს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა** და არა ყოველგან. ადგილად აკეთებენ **აბრეშუმსაც**... ხოლო არიან მრავალნი... პირუტყვი მრავალნი....წყარონი ტკბილნი, **ტბანი თევზიანნი,** და უმეტეს კალმახნი დიდნი და წვრილნი... ხოლო კაცნი და ქალნი ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი შემართებულნი" (ვახუშტი, 1892: 4-5-6).

ბუნებრივია, ასეთი მდიდარი ქვეყანა ერთნაირად მომხიბლავი იყო ყველა ტიპის დამპყრობელთათვის, ხოლო საქართველოს გეოპოლიტკური მნიშვნელობა, ერთდროულად გახდა ჩვენი ქვეყნისთვის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგების მომტანი. ოსმალობა და ყიზილბაშობა XVI-XVIII საუკუნეების საქართველოსთვის დაუძლეველი პრობლემა აღმოჩნდა. XIX საუკუნიდან კი მათ ცარიზმი შეემატა. მეფის რუსეთი მძიმეწონიანი მოთამაშე აღმოჩნდა და პოლიტიკურ სარბიელზე მეტოქეები უკან ჩამოიტოვა. ოსმალებისა და მეფის რუსეთის გზები, სწორედ **ახალციხის საფაშოში** გადაიკვეთა: "მებრძოლი ქართველი ხალხი ირანს **ფოცხვერს** უწოდებდა, ხოლო თურქეთს **ბაბრს** (ბაბრ-ჯიქი), ამ ორი სიტყვით გამოსთქვამდა **ერეკლე მეორე** ქართველი ხალხის მიზანს უცხო დამპყრობლის წინააღმდეგ საუკუნეობრივ ბრძოლაში. მაგრამ საქართველოს გამოხსნა და აღდგომა ცარიზმის მიზნებში არ შედიოდა. ცარიზმის მოხელეები და ოსმალური ბნელეთის აგენტები, ქართველი ერის გამთლიანების წინააღმდეგ შეთანხმებულნი იყვნენ" (ბერძენიშვილი, 1942:5-6).

ამიტომ გვიხდებოდა პერმანენტული ბრძოლა გადარჩენისა, რომელსაც **გიორგი ლეონიძე** ასე აფასებს: კავკასიაში ჩვენ უკვე მოვედით საფლავში ჩასაწოლად... არტახებში დავიწყეთ რწევა, რადგან ჩვენ კიდევ მოვიგონეთ ჩვენი დემონური ორბის

სიჭაბუკე; აქედან იწყება ჩვენი მეტაფიზიკური გენეალოგია... მაგრამ ამ ქვეყანაში სამუდამოთ დაშინდა რასის ხერხემალი და შეიქმნა ფსიქოლოგია გადარჩენის. შემდეგში საქართველოს ერთი პოლიტიკა ჰქონდა-პოლიტიკა გადარჩენისა... (ლეონიძე, 192:№-18).

„კავკასიური ცივილიზაცია თავისი ხასიათით ლოკალურია, ის შემთხვევაა, როცა ლოკალურობა უნივერსალიზმის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია. კავკასიური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილის იდეოლოგიას **ქრისტიანობა** განსაზღვრავდა, მეორე ნაწილი **ისლამის** მიმდევარი იყო. როგორც ერთმა, ისე მეორე რელიგიამ დიდი როლი შეასრულა ცივილიზაციური პროცესების წარმართვაში" (მეტრეველი, 2009:51).

საინტერესო ხედვაა კავკასიელების დასახასიათებლად. თუმცა, თავისი არსებობის განმავლობაში, კავკასიელებისა და, კონკრეტულად, ქართველი ერის ცხოვრებაში, აზიიდან და მახლობელი აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ურდოები უზარმაზარ კვალს ტოვებდნენ, ჩვენი ქვეყნის, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ, ასევე კულტურულ-მენტალურ იერსახეზე. გვიანი ფეოდალური ეპოქის სამხრეთ დასავლეთი საქართველო სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის, გენეზისის, სულიერების შეჯახების ასპარეზად გადაიქცა. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ოკეანეში გასული ხომალდივით ეხეთქებოდა იმპერიული ზრახვებით დატვირთულ უკიდეგანო ტალღებს, რომელთაც ბევრი წაართვეს, ბევრიც დააკლეს შთენილებს, ბედისაგან დაჩაგრულებს.

ხუცესი იოვანე თვითხილველი და უშუალო მონაწილეა იმ ისტორიული მოვლენებისა, რომელიც სამხრეთ დასავლეთ საქართველოში 1763-1809 წლებში მიმდინარეობდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერთმანეთს იყო გადაჯაჭვული იმერეთის მეფის, **სოლომონ პირველის,** ქართლ-კახეთის მეფის **ერეკლე მეორისა** და **ახალციხის საფაშოს** პოლიტიკური ცხოვრება. **მესხეთში** საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს ეცილებოდა ოსმალების, სომხების, ლათინ-კათოლიკების მსოფლმხედველობა. ისინი უპირობოდ, დაუკითხავად ერეოდნენ საფაშოს ქართული მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, პოლიტიკურ-რელიგიურ მისწრაფებებს. ისტორიული კატაკლიზმების **გზაჯვარედინზე მყოფი ახალციხის საფაშო** ღებულობდა მკვეთრ, მღელვარე, იძულებითი ნაბიჯებით განპირობებულ, არაერთგვაროვან გადაწყვეტილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ერთი

შეხედვით, ყოველდღიურ რუტინულ ყოფას გადმოსცემს, მის ცნობებში მრავლად მოიპოვება მასალა, იმ ეპოქის პოლიტიკური და სოციალურ-ეთნიკური საკითხების რეკონსტრუქციისათვის. ყველა ძირითადი პოლიტიკური თემა, რომლითაც ცხოვრობდა იმ დროის საქართველო წარმოდგენილია ხუცესის ნაშრომში.

ხოჯავაანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების" პირველი გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქრონიკებში მოთხრობილი ამბების დიდი ნაწილი, გვარები, სახელები, ტიტულები **არაქართული** წარმომავლობისაა. უცხო სურნელი მოსდევს ქართულ ფრაზეოლოგიას, ის სურნელი, ძალდატანებით, იარაღის ულარუნით, სისხლიანი მეთოდებით რომ შემოიჭრება ხოლმე ჩვენნაირი პატარა ერების ცხოვრებაში. საბედნიეროდ, ქრონიკებზე დეტალურმა მუშაობამ ეს განცდა დაჩრდილა და საბოლოო სურათი, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ქართველობისა თუ მენტალობისა, საპირისპიროდ წარმოაჩინა.

ნ. ბერძენიშვილი, 1933 წელს თავად მუშაობდა „ახალციხურ ქრონიკაზე", რომელიც ჩვენი საკვლევი ხელნაწერის საისტორიო „მისიონარული დღიური წერილების" განსხვავებული ვარიანტია. მისი შეხედულებები უმნიშვნელოვანეს არგუმენტებად შეიძლება მივიჩნიოთ, როდესაც "ახალციხური ქრონიკის" ანალიზისას, სამცხე საათაბაგოს მოსახლეობის წარმომავლობას, საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე ეთნოკულტურული მახასიათებლების ტრანსფორმაციის თავისებურებებსა და მათი არსებობის მიზეზებს განიხილავ. მოაზროვნე ისტორიკოსი XVIII საუკუნის ახალციხის მოსახლეობის ქართველობის ეროვნული ცნობიერების შესახებ შემდეგ თეზისებს აყალიბებს: „1. შერქმეული სახელები წმინდა ქართული წარმოშობისაა; 2. ძეგლი შესანიშნავია მესხური ფოლკლორისათვის; 3. ენობრივად ქართველნი არიან; 4. სოფლის მოსახლეობა უფრო „ქართულია"; 5. ქართული ენა ამ კათოლიკეთათვის და უფრო მათი პიროვნებისათვის მშობლიური იყო. 6. XVI-XVII საუკუნეებში ახალციხის მხარე სულ უფრო და უფრო კარგავდა ქართულ იერს, ოსმალობას იძენდა. 7. ასე რომ, ქართულის ახლად გავრცელების პირობა არა-ქართულ მოსახლეობას შორის აქ აღარ იყო" (ბერძენიშვილი, 1933: 1). ისტორიკოსის მახვილი თვალი არ ღალატობს მეცნიერს. მართლაც, იოვანე ხუცესის დღიურში თავმოყრილია დროის

სიავით იერშეცვლილი, მაგრამ გადარჩენილი, წარსულის ქვეცნობიერების წიაღიდან ამოზრდილი გვარ-სახელები, კნინობით-შერქმეული ხელმეტსახელები. მათი რაოდენობა, კათოლიკურ-ოსმალურ ჩამონათვალს ბევრად აღემატება რაოდენობრივი მაჩვენებლით.

ეს მონაცემები საინტერესოა შემდეგი ისტორიული არგუმენტების გამო. სამცხე 1266 წელს "ხასინჯის" სტატუსით პირველად ჩამოშორდა საქართველოს მონღოლების ძალისხმევით, თუმცა გიორგი V ბრწყინვალემ 1334 წელს, იგი ერთიანი საქართველოს სამართლებრივ-ტერიტორიულ იურისდიქციას კვლავ დაუქვემდებარა. პოლიტიკური პროცესები რადიკალურად შეიცვალა XV საუკუნიდან: 1) 1453 წელს დაეცა ბიზანტიის იმპერია და 1475 წლიდან ოსმალეთი შავი ზღვის ფაქტობრივი მფლობელი გახდა; 2) 1490 წელს გაფორმდა საქართველოს დაშლა სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ (კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგო); 3) დაიწყო მათ შორის სისხლიანი დაპირისპირებები; 4) XV-XVIII საუკუნეებში ჯერ კახეთის, შემდეგ ქართლისა და იმერეთის სამეფოებმა მეფის რუსეთთან გააქტიურებული დიპლომატიის გამო ირან-ოსმალეთის რისხვა დაიმსახურეს; 5) ადრიანოპოლის (1829წ.) ცნობილ დაზავებამდე, რომელიც რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო, ძალაში რჩებოდა ამასიის (1555წ.), სტამბულის (1590წ.), 1639 წლის ირან-ოსმალეთის გარიგებები, საქართველოს ტერიტორიული გადანაწილების დადასტურებით; 6) 1595 წლიდან ზემო ქართლში თურქ-ოსმალების მიერ "გურჯისტანის ვილაიეთის" შექმნამ, რომელიც მოგვიანებით "ახალციხის საფაშოდ" იწოდებოდა, სამასი წელი იარსება. მან უაღრესად მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა მესხეთის მკვიდრ მოსახლეობას; 7) ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძირძველი ისტორიული კუთხე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ოსმალეთის იმპერიული აზროვნების ქვაკუთხედად იქცა და ცარიზმის გამოჩენამდე ამ რეგიონში სრულ მებატონედ თვლიდა თავს.

გასაოცარია, რომ XIII საუკუნიდან მოყოლებული ამდენი გაუცხოების, გადაჯიშების ინტენსიურ გარემოში, სამცხე-ჯავახეთი, საბედნიეროდ XVIII-XIX საუკუნეებში ჯერაც ყოფიერი, ქართული ხასიათით, მენტალური თვისებებით სუნთქავდა. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების" ქრონიკები გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ დიფერენცირება

გვარ-სახელებისა და წოდებებისა, რომელნიც თავის მხრივ, თვალსაჩინო არგუმენტად, გამოდგება XVIII-XIX საუკუნეების ახალციხის საფაშოში უკვე მყარად დამკვიდრებული, იერშეცვლილი ეთნიკური, რელიგიური და მენტალური მახასიათებლებისა.

სომხურ კათოლიკური სახელები: 1. პოღოს ვარდაპეტი, გოჰარათ არუთენა, ყალფახჩიან გრიგოლი; 2. პატრი იაკობი, ქირიქჩიანი, ტერ ვოღორმენი; 3. არუთენა, ზაქარი ანტერბანე, ყულახსიზიან პეტროსი; 4. ტერ სარქისი; ტერ თომა, ტერ პეტროსი, ტერ პოღოსი; 5. დონ ანტონი, დონ კარლო; 6. პატრი ვნჩენცინე, პატრი ჩელერინო, პატრი ფრამჩისკო; 7. პატრი ვენდელინო, 8. პატრი დომინიკე, პატრი მაერო, პატრი ბერნარდინე; პატრი ბონავენთურა, პატრი ნიკოლა; 9. ტერ ხაჩატური, არაქელი, ტერ მინასა, ტერ საჰაკა; 10. გეორგ ვარდაპეტი; მამუანთ სარქისა, ფალოშათ პოღოსაი; 11. პაპი კლიმენტი; 12. ტერ ხაჩატური, ტერ სტეფანი, ტერ ანტონი, ბეთანი ანტერბანე.

ოსმალური სახელები: 1. სარი ფაშა; 2. ჰასან ფაშა; 3. მაჰმუდ აღა; 4. კიკინ იენიჩარ აღა. 5. აჰლეკან აღა; 6. შაჰნაზარაი; 7. მაჰმად ბეგიანთი; 8 სულტან ჰემიდი; 9. სელიმ აღა ხიმშიაშვილი; 10 იეგანაღა, სარი ქეჰა; 11. იგდიჩხანი, ჰაჯი ალი ბეგი; 12. უსუფ ვაზირი; 13. შერიფ ფაშა; 14. ზაბით ფაშა; 15. არტან ბეგი; 16. ისმაილ ეფენდი; 17. კორხაღა; 18. ქამალ ბეგი; 19. ჰამათ ფაშა; 20. ჰამით ბეგი; 21. რაჯაბ ფაშა 22. გოლა ფაშა; 23. სულთანი მუსტაფა; 24. ჰაჯი ყადირ-ოღლი; 25. შაჰყულიანი; 26. ადრიან ფაშა; 27. აღზა ბეგი; 28. ბაბა ფაშა; 29. ჰაჯი შაჰანაშვილი; 30. ბაგარაი ბეჟან ოღლი.

ქართული გვარ-სახელები: 1. გოდიაშვილი ალექსანდრე; 2. ზაქარია მოძღვარი; 3. ქაიხოსრო აბაშიძე; 4. ცხელიშვილი; 5. ბადიში დოჭიკაშვილი; 62. ბერუკაშვილი ბატონჯანა; 6. კიკიანის ბუში; 7. ჰოროველა; 8. ზუბალაანთი; 9. გიორგასშვილი; 10. ფარსადანა; 11. დავით ერისთავიშვილი; 12. გოდერძასშვილი; 13. ხეჩინაშვილი; 14. თუთულაშვილი; 15. გურიელი გიორგი; 16. მერაბ ნიჟარაძე; 17. ბრუციანი დავითა; 18. შიშიაი, ქაჩუხათ იოანე; 19. გოგიტაი, ბარბარიანთ იოანე; 20. კანდელაკი; ჭოჭუაშვილი; 21. ჩიტათ ქალი, ხიზინა პაპაი; 22. თამარა, ბეროი; 23. ნებიერათ ვაჟი; 24. მღებრიშვილი; 25. ქეთევანაი, ილა; ძუძუნა; 26. ყაფლანიშვილი; 27. მელეშიშვილი; 28. დათა, ფილო; 29. თაყინათ იოსება, ალექსანა;

ჯუხრუკათ მუთაველა; 30. კენჭიანთ ანტონა. 31. ბაბუნათ დედუნა; 32.მამიდა მარიამი და სხვ.

სხვადასხვა სახელები (რუსული, ებრაული, კავკასიური): 1. ელისაბედი; 2. ეკატერინე; 3. ჟენერალისუკატინა (სუხოტინი); 4. ურია აბრამაი; 5. ლეკი მურაი; 6. რაჯიბ ლეკი; 7. პავლე იმპერატორი.

წოდებები და პროფესიები: 1) გოგია **ბინბაში**; 2) სომხის **მხატვარი; 3) მღებარი პეტრესშვილი;** 4) ფაშის **ხაზინდარი;** 5) **ქურქჩიბაში** იოანე; 6) არაბი **სალახორი**; 7) ჩვენი **პროვიკარი;** 8) **მამასახლისი;** 9) **დელიბაშები**. 10) **მედავლენი;** 11) **დალაქი;** 12) **მეკურტნე** ზურაბასშვილი; 13) **თვანჭიბაში;** 14) **ჟამკოჩი.**

წარმოდგენილი მასალა ადასტურებს ბ-ნ. ბერძენიშვილის შეხედულებებს ხოჯავანთ იოვანეს ხელნაწერთან მიმართებაში. მართლაც, XVI-XVII საუკუნეებში იმდენი გარეშე ფაქტორი იყო ამუშავებელი, სამცხე-ჯავახეთში ქართველთა გასათურქებლად თუ „გასაფრანგებლად", ვის ეცალა, ან როგორ შეძლებდა ქართულის შესწავლას. ზემოთ ჩამოთვლილი გვარ-სახელები შესანიშნავი არგუმენტებია ახალციხის საფაშოს მოსახლეობის ქართველობისა, ეროვნული ეთიკური მეხსიერების, ჩვეული კუთხური კილო-კავის, კნინობით-ალერსობითი ფორმის აზროვნების არსებობისა. რა ლამაზად ჟღერს: ბაბუნათ დედუნაი, ლალ ფირუზაი, ილა, ხიზინა პაპაი, მირზა, ბერუკა, ძუძუნა. ან რა მშვენიერი, მოსწრებული ქართულითაა ნათქვამი: ბრუციანი დავითა. ერთგვარი მენტალური ხედვაა ჩადებული შემდეგ სახელებშიც: სიმონგულა (დიდი გულისპატრონი), კიკიანის ბუში (უკანონოდ ნაშობი), ნებიერათ ვაჟი (გაზულუქებული გვარი), ფირალათ იოსები (როგორც ჩანს, ყაჩაღობა ქართველთათვის უცხო არ იყო), ბალღამაი იოსები (გულღრძო, ბოროტი, ჯიში) კრუხიჭამიათ იოსება, ბადიში დოჭიკაშვილი. (ხოჯავანა, როგორც ბერძენიშვილი იტყოდა ქართულად აზროვნებს". შვილთაშვილის ულამაზესი სინონიმია - ბადიში, იმერულ-დასავლური კილოთია გაჯერებული).

დაკვირვებული თვალი შენიშნავს, რომ მუსლიმური სახელების სიიდან რამდენიმე ქართულია წარმომავლობით: აბგარაიბ ეჟან ოღლი, ჰაჯი შაჰანაშვილი, სელიმ აღა ხიმშიაშვილი, მაჰმად ბეგიანი, შაჰნაზარაი, კიკიენი ენიჩარაღა. ახალციხის საფაშოში XVIII-XIX საუკუნეებში არსებული მენტალური სიჭრელის ახსნისათვის, ვფიქრობთ, მნიშვნე-

ლოვანია ე. წ. სომხური სახელების წარმომავლობის გან-ხილვა. საკითხი პირდაპირ კავშირშია მესხეთის მკვიდრი მოსახლეობის უცხოტომელებთან, განსხვავებულ რელიგიურ კონფესიებთან იძულებით თანაცხოვრებასა და მენტალობის ასიმილაციასთან. ეს თემა ლაიტმოტივად გასდევს ხოჯავანას ქრონიკების ნუსხას. „უნითორების" ორსაუკუნოვანმა საქმია-ნობამ მესხეთის კათოლიკეთა სოციალურ-ეთნიკურ ყოფას თავისი საკმაოდ ღრმა კვალი დააჩნია. ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში შემოღებულმა სომხურენოვანმა რიტმა, უპირველეს ყოვლისა, გავლენა იქონია მრევლის ონომასტიკაზე. ონომას-ტიკური მონაცემები კი თავიდან ბოლომდე ეკლესიის ხელში იყო. სომხურენოვანი ტიპიკონით მონათლულ ბავშვს სახელიც შესაფერისი, ამ ტიპიკონის წესისამებრ შედგენილი სიის მიხედვით, უნდა დარქმეოდა. სომხურ ტიპიკონში, რა თქმა უნდა, ისტორიულად ჩამოყალიბებული სომხური სახელები იყო შერჩეული. ამ წესს უნდა დამორჩილებოდა აგრეთვე, სომხურ ტიპიკონზე მდგარი ქართველი კათოლიკეც. XIX საუკუნეში მოიძებნა XVII საუკუნის ნათლისღების დავთარი. როგორც ჩანს, უნითორებში ქართული გვარები უხერხულობას იწვევდა, ამიტომ გვარებს ზოგჯერ ბოლოს აკვეცდნენ და მათთვის შესაწყნარებელ ფორმას აძლევდნენ (ხუციშვილი-ხუციანოი). ხშირი იყო ამა თუ იმ ხელობათა გაგვარების შემთხვევა: მესარკოვი, ქურქჩიბაშოვი. მათ შეიძლება„ნოვო კათოლიკონი" ვუწოდოთ. XII-XVIII საუკუნეში მესხეთში ერთვნული გადაგვარების თვალსაზრისით მძიმე პროცესები მიდიოდა" (ლომსაძე, 1979:48-49).

„გაკათოლიკება შეიძლება სომხურ ენას უკაფვდა გზას"- კვლავ ნ. ბერძენიშვილის საუკეთო ხედვა ახალციხის საფაშოს პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური აღრეულობისა. **მისიონარულ თხზულებაში** პოლიტიკური თუ ეკონომიკური ამბების გადმოცემის პარალელურად წარმოჩნდება **ახალცი-ხის საფაშოში ლათინ-კათოლიკეთა და სომეხი უნითორი მღვდლების** მტრობამდე მისული დაპირისპირებების კონკრე-ტული ფაქტები. მოვლენათა ეპიცენტრში რამდენიმე ადამიანის გვარი ფიგურირებს. განსაკუთრებით საინტერესოა: **შაჰყულია-ნიას და** ხარისჭირაშვილის, **შაჰყულიანიას და** მაქანდარა-შვილის, **შაჰყულიანისა და** ნავროზაშვილის **დაპირისპი-რებების ისტორიები. 1809-1842** წლის ქრონიკებში აღნუსხულია **ქრისტიანი ცარიზმის, ოსმალების მსგავსი, თითქმის იდენტური**

მიდგომა ახალციხის საფაშოს კათოლიკე მოსახლეობის მიმართ. „მისიონარული დღიური-წერილები“, შაჰყულიანისა და ხარისჭირაშვილის დაპირისპირების შემდეგ დეტალურად გვიამბობს შაჰყულიანის უსაზღვრო გაძლიერებას. **რუსეთის** მხრიდან მის მიმართ მნიშვნელოვან მხარდამჭერსა და კათოლიკე **სტეფანე ნავროზაშვილთან** ერთად ოცითდე ხუცესის შევიწროვება-დაპატიმრება-ცემის ფაქტებს (ხელნაწერის სტილი დაცულია): „1.1820. მკათათვ. კათოლიკე სომხებს ერთობის წიგნი მოუვიდათ; 30. გიორგობა. ეპისკოპოზის წიგნი და კრების წიგნები მოუვიდა შაჰყულიანს დაყენებისა; 6. ქრისტეშობ. შაჰყულიანი დადგა-გუშინ სწირა გლისპობით შაჰყულიანმა. 4.1827წ. 18. თებერვალი-შეხვენებული წვრთნა ჰქმნა შაჰყულიანმა; 5. თიბათვ. შაჰყულიანს მოუვიდა წიგნები კრებისა. ეკენისთვ.წერილები მივეცით კრებისა შაჰყულიანსა; 6. გიორგობისთვ. შაჰყულიანმა შფოთი მოახდინა ხარისჭირაზედ, სახარება მრუდედ რად გიჭირამსო; 7. კათოლიკობაზედ ტფილისს დევნულობაი თქვა” (გვარამაძე, 1892:67-85).

როგორც ვხედავთ, 1820 წლიდან 1827 წლის ჩათვლით დაპირისპირებანი ლათინ-კათოლიკურ და სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას შორის ღრმავდება და ყველაფერი ლათინ-კათოლიკე ხარისჭირაშვილის დაკნინებით, გაძევებით სრულდება. ცარიზმისგან ფრთებშესხმული, სომხური რიტის მიმდევარი შაჰყულიანის საქციელი მომავალში კიდევ უფრო თავხედური ხდება. 1828 წლიდან მისი რისხვა სტეფანე ნავროზაშვილს დაატყდა თავს. „მისიონარული დღიური-წერილები“ შემდეგს გვიამბობენ: „სომეხმა მწვალებლებმა 1828 წლის 24 მარტს ლოგინიდან წამოაგდეს ნავროზაანთ სტეფანე. საყდარი დაუბეჭდეს. ასევე მოექცნენ უდელ მღვდელ საღოშათ ტერ-სტეფანესაც და „დიდ შაბათს“ „ტყვედ შეყარდნილან ციხეში“. მას შემდეგ დიდ პარასკევს, იგივე ბედი სწევით ახალციხის სხვა კათოლიკე მღვდლებსაც - „აღდგომას უფლისას სატყვეოში ვიყავითო”. მოგვიანებით სხვა სანჯაყებიდანაც მოურეკავთ მღვდლები” (გვარამაძე, 1892:79-80).

მეფის რუსეთმა კარგად იცოდა, რომ XVI-XVIII საუკუნეებში გათურქებულ-გაკათოლიკებულ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაეკარგა ეროვნული სახე, XIX საუკუნის გარიჟრაჟზე არ უნდა ჰქონოდა კათოლიკური დასავლეთისაკენ სწრაფვის სურვილი. ეს ცარიზმის სტრა-

ტეგიულ ინტერესებს სრულიად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ, თუ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას 1811 წელს ავტოკეფალობის გაუქმებით „თვითმწყემსობის“ უფლება დააკარგვინა და ამით ადგილობრივების „გარუსებას“ წარმატებულად შეუდგა, პირიქით, ახალციხის საფაშოში ხელი შეუწყო სომხურ-კათოლიკური (და არა ლათინი) ეკლესიის მიმდევართა გაძლიერებას და ამ დაგეგმარებით სამხრეთ-დასავლეთის ისედაც რელიგიურ გაურკვეველობაში მყოფ მკვიდრ მოსახლეობას პრაქტიკულად „ნებით ასომხებდა“.

„კათოლიკობისთვის ხოჯავანა თავდადებულია. ასე წარმოიშვა ორი ტერმინი:

1. სომხური და 2. რომაულ-კათოლიკური.

ესენი თანდათან-ეროვნული სომხურისა და ეროვნული ქართულის სახეებით ჩამოყალიბდნენ.“ (ბერძენიშვილი, 1933:351)

იოვანე ხუცესის თანამედროვე მეფის რუსეთის ექსპანსიური მეთოდებით აღჭურვილი „ველიკოდერჟავული“ პოლიტიკა კიდევ უფრო აგრესიულია მეცხრამეტე საუკუნეში: „სამწუხარო რეალობაა, რომ **სომხები და რუსები** შეხმატკბილებულნი მოქმედებდნენ: 1894 წლის ქართველების მიერ სინოდის წარდგენილ წერილში ნათქვამია, რომ რუსმა ეგზარქოსებმა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკებმა ქართული ეკლესია და მისი საეკლესიო განძეულობა გადააქცევს შემოსავლის წყაროდ. **სომხურ ეკლესიას დაუტოვეს კათალიკოსი** და მისცეს საკუთარი თვითმმართველობა. სომხურ ეკლესიას, როგორც ცნობილია, 1905 წელს დაუბრუნეს ადრე წართმეული ქონება. ქართული სამოციქულო ეკლესია სავსებით დაარბიეს და გააჩანაგეს. არ ამცირებენ სომხური ეკლესიების რიცხვს, ყოველნაირად მფარველობენ სომეხ ხალხს. სომეხ ხალხს კავკასიის ადმინისტრაცია ყოველთვის მეტ უპირატესობას აძლევდა ქართველ ხალხთან შედარებით. მისი წყალობით, მთელი საქართველო თითქმის სომხებს ჩაუვარდა ხელში. თურქეთიდან გადმოსახლებული 2000 ათასზე მეტი სომეხი დასახლებული იქნა საქართველოში და მათ დაიკავეს სამცხეს, ბორჩალოს, ახალქალაქის, ახალციხის მაზრები. მათ ხარბი ექსპლოატატორი-სომხები შეუსია. ამ საქმეში მას წინასწარ ჩაფიქრებული მიზანი ამოძრავებდა - ხელოვნურად დაემსხვრია ქართველთა და თურქულ-თათრული წარმოშობის ხალხთა კომპაქტური მასა და ამგვარად შეექმნა თითქოსდა საჭირო

უპირატესობა ადგილობრივი აბორიგენებისა. ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, რომლებიც ამჟამად ზემო ქართლის გულს წარმოადგენენ, სომხების დასახლების შემდეგ, ქართველებისათვის დაკარგული აღმოჩნდა. ასეულობით გადარჩენილი ტაძარი და მონასტერი, ქართველი ხალხის საუკუნებრივი სიმდიდრე, ათასობით ნახევრად იავარყოფილი სოფელი - წილად ხვდა ვიღაც უცხო მოსულებს" (ლურნოვო, 1917: 12).

რა გასაკვირია ახალციხის საფაშოში მეცხრამეტე საუკუნეში შექმნილი დაძაბული ურთიერთობები, რომელსაც სომხურ-ქართული სახელმწიფოების პოლიტიკურ-ტერიტორიული ისტორიული ჭიდილი, ჯერ კიდევ, ძვ. წ. აღ. 190 წელს, მაგნეზიის ომის შემდეგ დაიწყო. ძვ.წ. აღ.189 წელს სელევკიდების მხედართმთავრები ზარეჰი და არტაშესი ქმნიან დიდ და მცირე არმენიას, ეტაპობრივად იტაცებენ ქვემო ქართლის ტერიტორიებს: **გოგარენეს, ხორძენეს, პარიადარს, დერსჭანს, კარინთს**. ეს ომიანობა ახალი წელთაღრიცხვის ეპოქის უწყვეტი პროცესი აღმოჩნდა. ტერიტორიებისთვის ბრძოლის საკითხი ისე გადაიხლართა ქართველებისა და სომხების ცხოვრებაში, რომ ონომასტიკური სახელები, მათ მიერვე შექმნილი, შემდეგს გვაუწყებს: „X საუკუნის 70-იან წლებში ქვემო ქართლში წარმოიქმნა ე.წ. ტაშირ-ძორაგეთის სამეფო, რომელიც დასახლებული იყო ნარევი ქართულ-სომხური (მართლმადიდებლურ-გრიგორიანული) მოსახლეობით. ქართულ წყაროებში ტაშირ-ძორაგეთს **სომხითი** ეწოდება, სომხურში, ვრაც-დაშტი, რაც **ქართველთა ველს** ნიშნავს. სამეფოს დედაქალაქი **სამშვილდე** იყო" (ლორთქიფანიძე; მეტრეველი, 2001:85) (ერთგვარი ანალოგიაა X-XVII-XIX სს საქართველოს და სომხეთის ისტორიული შერკინებისა, არეული ონომასტიკაში, ტოპონომიკაში, მენტალურ აზროვნებაში).

არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოელის თვალით დანახული და შეფასებული XVIII საუკუნის ახალციხის საფაშოში არსებული ვითარებაც. იგი ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის კარზე მიღებული, წარმოშობით ბალტიისპირელი, ცარიზმის სამსახურში ჩამდგარი გიულდენშტედტია, რომლის მოგზაურობა საქართველოში ემთხვევა ხუცესი იოვანეს ქრონიკების აღწერის დროს. პირადად იცნობდა ჩვენი თხზულების ზოგიერთ პერსონას (თამაზა მესხს, დავით ერისთავს და სხვ.): „ზემო ქართლი 200 წლის განმავლობაში იყო თურქთა ხელში. თურქ ფაშას, რომელსაც პორტა ჩვეულებრივ ირჩევს ამ

პროვინციის ერთ-ერთი დიდებული გვარიდან, სადგომი აქვს მთავარ, ანუ საგუბერნიო ქალაქში - ახლციხეში, რომელიც მდებარეობს ზემოთ მტკვარზე. ასევე არის ნაცვალი გურიის იმ ოლქებისა, რომლებიც ახლა თურქებს აქვთ მიტაცებული და მდებარეობენ შავ ზღვაში ჩამავალ მდინარე ჭოროხზე. მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველებია და რადგან თურქებმა მათ დაუტოვეს ეკლესიები, უმეტესობა ჯერ კიდევ ქრისტიანია... მცირე რაოდენობა გამაჰმადიანდა და ყველა ესენი არიან თავადები და აზნაურები. ქართველთა შორის ბევრნი არიან თათრები, ამიტომ ქართული და თათრული, უმეტესად კი პირველი ენა იხმარება სალაპარაკოდ. თათრების გარდა, ბევრი სომეხიც არის, ამათთაგან კი ბევრია კათოლიკე. სენი თავის რელიგიას ადგანან, ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე და აქ მხოლოდ ზარების რეკვაა აკრძალული ყველა ქრისტიანისათვის. აქ არიან აგრეთვე ებრაელებიც“ (გიულდენშტედტი, 1962:215).

1763-1809 წლების ახალციხის საფაშოს მოსახლეობის მენტალობის არსებულ მრავალფეროვნებაზე ორიგინალურ გააზრებას ვხვდებით მარკ ბლოკთან: „ისტორიული ფენომენის სრული ახსნა არასოდეს ხდება იმ მომენტის შესწავლის გარეშე, რომელშიც მას ჰქონდა ადგილი. ეს მართებულია, როგორც ჩვენი, ასევე სხვების ცხოვრების ევოლუციის ყველა ეტაპისათვის. ძველი არაბული ანდაზა ამბობს: ადამიანები თავიანთ დროს უფრო ჰგვანან, ვიდრე საკუთარ მამებს”. ამ ალმოსავლური სიბრძნის დავიწყების გამო, მეცნიერებას წარსულის შესახებ არაერთხელ დაუკარგავს ხდომა. აწმყოს გაუგებრობა ფატალურად მომდინარეობს წარსულის არცოდნიდან“ (ბლოკი, 2007:31).

ნ. ბერძენიშვილი, რომელიც 1933 წელს ახალციხეში გადაწერს იოვანეს ნათესავების მიერ შესრულებულ „საისტორიო მისიონარულ დღიურ-წერილებს” (იგივე ხოჯა ჰავანას დღიურს), მრავლისმთქმელ ჩანაწერს დაუტოვებს მკითხველს. გვსურს მეცნიერის მღელვარე ფიქრები გაგიზიაროთ, რომელიც მესხეთის მოსახლეობის ეთნიკურ-მენტალური დახასიათებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი, შთამბეჭდავია: “ჯ ა ყ ი ს მ ა ნ ი-ჯაყელების სამშობლო. ქურთების სადგომი, ოსმალური კულტურა. ადიგენი-ქართული სახეები, უ ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ. ზარზმა - ჩავუარეთ, ვერ შევხერდით. ბასილი ზარზმელის მონათხრობი შეიძლება საგანგებოდ გაცოცხლდეს (ეს უნდა ვცადო ოდესმე),

ეკლესიები, ციხეების ნანგრევები შეუსწავლელი. აქეთ უნდა წამოვიდე მესხურ დავითის ქრონიკით, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებით და გობრონის წამებით. მთვარე განსაკუთრებით კაშკაშებს. „მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა" (ბერძენიშვილი, 1933:1-4).

ამ შეფასებებიდან ორი მნიშვნელოვანი რეალობა იკვეთება: 1, ილია ჭავჭავაძის სიბრძნე - წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, ხოლო აწმყო მომავალისა; 2) XVIII-XIX საუკუნეების სამცხე-ჯავახეთის მენტალური, რელიგიურ-კონფესიური იერსახე და ხოჯავანთ იოვანეს "საისტორიო მისიონარული დღიური წერილების" ქრონიკების ეთნოკულტურული სიჭრელით გამორჩეული რეალობა, იმ საბჭდისწერო პოლიტიკისა და ისტორიული კატაკლიზმების ლოგიკური შედეგია, რომელიც გამოიარა მესხეთის ადგილობრივმა მოსახლეობამ წინაალმდეგობებით აღსავსე გვიან ფეოდალურ ხანაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასათიანი, 2001 - ნ. ასათიანი; ო. ლორთქიფანიძე; მ. ლორთქიფანიძე; რ. მეტრეველი. „საქართველოს ისტორია", თბ. 2001.

ბაქრაძე, 1888 - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დ. ბაქრაძის აღწერილობანი, საქაღ. №122. ახალციხე. 1888 .

ბერძენიშვილი, 1942 - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ნ. ბერძენიშვილის აღწერილობა, №2580, „სამცხის მივლინების დღიური", ახალციხე. 1942.

ბერძენიშვილი, 1933 - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ნ. ბერძენიშვილის აღწერილობა, ტ-5, №-2527, „ახალციხური ქრონიკა", ახალციხე. 1933.

გიულდენშტედტი, 1962 – „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში", თარგმანი გ. გელაშვილისა, ტ. 1. თბ. 1962.

ბლოკი, 2007 - მარკ ბლოკი, „ისტორიის აპოლოგია" (შესავალი თანამედროვე აზროვნებაში), IV-წიგნი, თბ. 2007.

გვარამაძე, 1892 - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფონდი - 2782, იგ. გვარამაძე, „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი", ახალციხე, 1892.

ღურნოვო, 1 907 - ნ. ღურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, გამოქვეყნებული ტ. ჯაფარიძის მიერ, „ჩვენი ქვეყანა", 1917. №53.

ვახუშტი, 1892 - ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს გეოგრაფია“, I წიგნი, სამცხე, ტფილისი. გამოცემა მოსე ჯანაშვილისა. 1892.

ლეონიძე, 1922 - გ. ლეონიძე, „ქართული მესხიანიზმი“. გაზ. „ბახტრიონი“, №-2 (ერთვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას ისტორიის მუზეუმის ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდი). 1922.

ლომსაძე, 1979 - „გვიანი შუა საუკუნების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები“, თბ. 1979.

მეტრეველი, 2009 – რ. მეტრეველი, „საისტორიო ნარკვევები“, თბ. 2009 წ.

Lia Kitiashvili

FOR THE QUESTION OF MESKHETI RESIDENTS' MENTALITYY

(From the "Missionary diary-letters"of Khojavaant Iovan)

Summary

"Interesting missionary diary-letters of Khojavaant priest Iovane" rewritten in Akhaltsikhe for the historical research of Meskheti by Iv. Gvaramadze in 1892, is multilaterally interesting historical sourse.It shows the daily records about hard political situation of Georgia in XVIII_XIX centuries, that reflected and influenced the mental-ethnic-religious features of native population. We present, the facts, reasons and results of consciousness and mental changeability in later feudal era of Samtskhe-Javakheti population according to the review of the general history chronicles of the priest.

თინა იველაშვილი

დამხმარე მეურნეობის მილევადი დარგები სამცხე-ჯავახეთში (თევზჭერა ოჩხეთი)

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში თევზჭერა, როგორც დამხმარე მეურნეობის ერთ-ერთი დარგი, უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი. "მეთევზეობის დაწინაურებას ხელს უწყობდა ბუნებრივი პირობები. ჯავახეთის ტბები, სამცხის წყალუხვი მდინარეები და შავშეთ-კლარჯეთის ხევ-ღელეები შესანიშნავ გარემოს ქმნიდა მეთევზეობის განვითარებისათვის" [ბერიძე, 2005:3]. ლ. მირიანაშვილი ფიქრობს, რომ „მეთევზეობას საქართველოში არც ერთი კუთხის (გარდა ზღვისპირა ლაზეთისა) სამეურნეო ყოფაში წამყვანი ადგილი არასდროს სჭერია, მაგრამ მეთევზეობის კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რასაც ადასტურებს თევზსაჭერ ხერხთა და საშუალებათა სიძველე და მათი მრავალფეროვნება" [მირიანაშვილი, 1981:52]. მ. ბერიძის მართებული შენიშვნით კი, „ბურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მონაცემები ადასტურებს, რომ მეთევზეობა მესხეთში მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ამიტომაც არის მეთევზეობის კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე. მესხეთის დაწინაურება მეთევზეობაში მრავალმა ფაქტორმა განაპირობა" [ბერიძე, 2005:6].

თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეთევზეობას, კონკრეტულად კი ოჩხით თევზჭერას სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეკონომიკაში, ოჩხის ჩხრეკის დაწყებამდე მცირეოდენი პურობისას მონაწილე უფროსი კაცის მიერ წარმოთქმული პირველი სადღეგრძელოდანაც ნათლად ჩანს. იგი სასმისს აიღებდა ხელში, პირით აღმოსავლეთისაკენ დადგებოდა და დაილოცებოდა: „ღმერთო მიეცი ბარაქა ამ ოჯახს, არ გამოელიოს თევზი ოჩხე'ში, საქონელი - ახორ'ში, ბავ'შვები - აკვან'ში" [ქუქხი'შვილი, 1997:60-61].

სათჯახო კვების ყოველდღიურ რაციონში საკმაოდ დიდი ადგილი რომ ეკავა თევზს და თევზისაგან დამზადებულ კერძებს, ამაზე ნათლად მეტყველებს ხალხური ლექსი:

„მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე იდგა მზესავითა,
კალმახი და ქარის პური,
წინ მეყარა ბზესავითა.“

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა თევზჭერის მრავალ ხერხსაც იცნობდა. ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენდა ოჩხე, რომელიც მეოცე საუკუნის 70-იან წლებამდე ძირითადად სამხრეთ საქართველოსა და შუა ქართლის ნაწილში, კერძოდ მტკვრის ხეობაში (სოფელ მირაშხანიდან მცხეთამდე), იყო გავრცელებული. მ. ბერიძის მითითებით, „ოჩხე ბევრგან გვხვდება მტკვრის მონაკვეთის სახელთა შემადგენლობაში: ხიზაბავრის ოჩხეები, ხერთვისის ოჩხეები, მინაძის ოჩხეები და სხვ.... იყო საგვარეულო ოჩხეებიც“ [ბერიძე. 2005:21].

ოჩხე მდინარეში ქვით მრგვლად ამოშენებული ორმოს ფორმის ნაგებობას წარმოადგენდა, რომლის სიღრმე დაახლოებით 1,5-1,7 მ., ხოლო სიგანე (წრიული გარშემოწერილობა) 1,4-1.5 მეტრი იყო. მას მდინარეში, ნაპირიდან 2-3 მეტრის დაშორებით, თავთხელ (თავთხელი-„ხელი, არალრმა ადგილი მდინარეში, ფონი“ [ორბელიანი, 1949:235]) და ჩხერალ (მოსახლეობის გადმოცემით, ჩხერალი მდინარის ისეთი ადგილია, სადაც წყალი სწრაფად და თავთხელად მოედინება. ასეთ ადგილას თევზს უჭირს ქვის ქვეშ თავის შეფარება და ეძებს მყუდრო ადგილს [იველაშვილი, 1979]) ადგილას აგებდნენ.

ოჩხეს შემდეგნაირად აგებდნენ: ივნისის ბოლოს - აგვისტოს დასაწყისში წყალი რომ „დაჯდებოდა“- მდინარის ადიდება რომ აღარ იყო მოსალოდნელი, მდინარის ფსკერზე წყალში, ნაპირიდან 2-3 მეტრის დაშორებით, ამოთხრიდნენ დაახლოებით 2 მეტრის სიღრმისა და 1,5 მეტრი სიგანის მრგვალ ორმოს. მისი კედლის ნაპირს - წყლის სიმაღლეზე ქვების ორპირი წყობით დაახ. 40-49 სანტრიმეტრის სიგანის კედელს ამოაშენებდნენ. ქვებს შორის ღრიჭოდ დარჩენილ ცარიელ ადგილებს კი ქვიშითა და სილით ამოქოლავდნენ. კედლის მშენებლობა იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე წყლის ზედაპირამდე არ მიაღწევდა და კარგად არ გამოჩნდებოდა. ქვის კედელს წყლის შედინების მიმართულებითა და გადინების მიმართულებით დაახ. 0,5 მეტრის სიგანეზე წყლის დინებისათვის ღიად ტოვებდნენ, რომლებსაც შესაბამისად ზედა კარს ანუ სატვინესა და ქვედა კარს უწოდებდნენ.

ოქტომბრის თვეში ორმოს სილისაგან გაწმენდნენ-გამოასუფთავებდნენ და მდინარის პირამდე ქვებით ამოავსებდნენ, ოჩხეში ნასაყრელად მსუბუქ და ხშირ ნასვრეტებიან ქვებს არჩევდნენ, როგორც კარგ „ჰაერგამტარს“. ქვებს ისე ჩააწყობდნენ, რომ მათ შორის რაც შეიძლებოდა მეტი სიცარიელე დარჩენილიყო თევზის დასაბუდებლად, მთხრობელთა გადმოცემით: „რადგან თევზი სიცივეში ეძებს მყუდრო, თბილ და მოფარებულ ადგილს, ასეთს კი ოჩხე წარმოადგენდა, ამიტომ მასში დიდი რაოდენობის თევზი შედიოდა და იბუდებდა. გარდა ამისა, ოჩხეში თევზის შესვლის ერთ-ერთი მიზეზი ყინულიც იყო. როცა მტკვარი გაიყინება, მოაქვს ყინულის ნატეხები, რომელიც თევზის კანს ჭრის - სერავს. ამიტომ ის თბილ მყუდრო მოფარებულ ადგილს ეძებს. ასეთი კი მდინარის ფსკერზე ნახევრად მიწაში ჩადგმული ოჩხე იყო, რომელიც უფრო თბილი და მყუდრო იყო, ვიდრე ბუნებრივად მოფარებული ადგილი“ [იველაშვილი, 1979].

განსაზღვრულ დროს ხდებოდა ოჩხედან თევზის ამოღება. ამ პროცესს მოსახლეობა „ოჩხის ჩხრეკას“- „ოჩხის გახსნას“ უწოდებდა და დღესაც უწოდებს. ოჩხეს ჩხრეკდნენ ძირითადად დეკემბრის ბოლოსა და იანვრის დასაწყისში, რადგან ამ პერიოდში ძლიერი ყინვებია, ალაგ-ალაგ მდინარე მტკვრის ზედაპირი ყინულითაა დაფარული და თევზი მყუდრო - მოფარებულ ადგილს აფარებს თავს.

ჩხრეკის დღეები ხშირად ძველი სტილით ახალი წლის (სამცხე-ჯავახეთში გასული საუკუნის 60-იან წლებამდე მოსახლეობა ახალ წელს ძველი სტილით აღნიშნავდა) წინა დღეებს ემთხვეოდა, რადგან ყველა ოჯახი ცდილობდა საახალწლო სუფრაზე ახალი თევზი ჰქონოდა, ვისაც ოჩხე არ ჰქონდა, ის სხვისაგან ყიდულობდა ოჩხის თევზს. ოჩხის პატრონი თუ თევზს ბლომად ამოიღებდა, ადგილზევე ყიდდა საკმაოდ ხელსაყრელ ფასად.

ოჩხეს ჩხრეკისათვის საჭირო იყო 5-6 კაცი. მათ საქმე გაწაწილებული ჰქონდათ და შესაბამისი სახელითაც მიმართავდნენ: „ბოდრის კაცი,“ „კედლის კაცი“ და ა.შ., ვისაც რა ეხერხებოდა. ბოდრის კაცის მოვალეობას შეადგენდა წყლის შესასვლელი კარის ამოშენება - ამოქოლვა ისე, რომ თევზი არ გამძვრალიყო; აგრეთვე ქვედა კარებში გამზადებული ოჩხის სპეციალური ბოდრის ჩადგმა და დარჩენილი ცარიელი ადგილების თიხით ამოვსება. კედლის კაცების საქმე იყო

წყალში ოჩხის ქვის კედლების გარსშემოვლა და ქვებს შორის დარჩენილი ცარიელი ადგილების თივით ამოქოლვა. როდესაც კედლებსა და ორივე კარებს "ამოქოლავდნენ," ოჩხის პირზე ორ გრძელ ფიცარს ან მსხვილ კეტს გასდებდნენ, მასზე დასდებდნენ წნელით მოქსოვილ ჩელტს, ერთი კაცი მასზე დაწვებოდა და ქვის ამოყრას დაიწყებდა. დიდი სიცივეების გამო, მას ამ საქმეში რიგ-რიგობით სხვები ენაცვლებოდნენ. როდესაც ჩელტიდან ხელით ვეღარ ჩასწვდებოდნენ, ქვებს სპეციალური ამოსაღები ბარ-თოხით იღებდნენ. თუ ეს იარაღი არ ჰქონდათ, მაშინ ერთი რომელიმე იქ მყოფი მამაკაცი წელს ზემოთ ტანსაცმელს გაიხდიდა-გაშიშვლდებოდა, ჩადგებოდა ოჩხეში და ის განაგრძობდა ქვების ამოღებას. ცოტა ხნის შემდეგ მას სხვა ენაცვლებოდა, წყლიდან ამოსული კი იქვე დანთებულ ცეცხლს ეფიცხებოდა და შრებოდა. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ოჩხის ორმოდან ყველა ქვას არ ამოიღებდნენ.

ქვების ამოღებას იმ კარების მხრიდან იწყებდნენ, სადაც გოდორი იყო ჩადგმული, რათა თევზისთვის ადგილი გათავისუფლებულიყო და დამფრთხალი თევზი გოდრისაკენ წასულიყო.

როდესაც ორმოდან ქვების ამოღებას იწყებდნენ, დამფრთხალი თევზი გასასვლელს ეძებდა, ქვედა კარებში ჩადგმულ გოდრის პირს აწყდებოდა და მასში გადადიოდა. გოდორს ვიწრო ბოლოში წამოცმულ-მიმაგრებული ჰქონდა ტომარა. იმ შემთხვევაში, თუ ტომარა გაივსებოდა, გოდრის კაცი ყურადღებით იყო, მას მოხსნიდა და ახალს გაუკეთებდა.

ინფორმატორთა გადმოცემით, „გოდრის კაცი, კედლის კაცი თუ ქვის ამომყრელები თითოეული მათგანი მუშაობის პროცესში ხელით რა რაოდენობის თევზსაც დაიჭერდა, ეს მისი საკუთრება იყო და მასში ოჩხის პატრონი ვერ შეეკითხებოდა. ოჩხის მეპატრონისა მხოლოდ გოდორში გადასული თევზი იყო. ოჩხის ჩხრეკის დამთავრების შემდეგ პატრონი ამ დამხმარე ხალხს გასამრჯელოს სახით გარკვეული რაოდენობის თევზს აძლევდა" [იველაშვილი, 1979].

ოჩხის ჩხრეკა შეუძლებელი იყო სპეციალურად ამ საქმისადმი დაწნული გოდრის გარეშე. გოდორი წვრილი წკნელებისაგან მოქსოვილი დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძისა და ერთ მხარეს - თავში სიგანით 0,5-0,6 მეტრის კონუსის ფორმის სპეციალური კალათა იყო, რომელიც ბოლოში (ძირში) დაახლოებით 10-12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე ღიობით ბოლოვდებოდა. გოდრის თავი გადაქსოვილი იყო და შუაში დატა-

ნებული ჰქონდა 10-15 სანტიმეტრის დიამეტრის ხვრელი, საიდანაც თევზი გოდორში გადადიოდა. გოდრის თავი ისე იყო გადაქსოვილი, რომ პირიდან შესული თევზი უკან ვეღარ ამოვიდოდა. იგი მხოლოდ ბოლო გასასვლელიდან თუ გავიდოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჩხის ჩხრეკვის დაწყებამდე სატვინეს მთლიანად ამოქოლავდნენ, ხოლო ქვედა კარებში (საიდანაც წყალი გადიოდა) გოდორს ჩადგამდნენ ისე, რომ გადაქსოვილი განიერი თავი ოჩხის შიდა სივრცეში იყო მოქცეული. მის შუაში დატანებული ღიობის მეშვეობით ჩხრეკის დროს დამფრთხალი თევზი გოდორში გადადიოდა. გოდრიდან თევზი რომ არ გაქცეულიყო, ვიწრო ბოლოში ხის საცობს უკეთებდნენ. ოჩხეში თევზი თუ დიდი რაოდენობით იყო და გოდორი გაივსებოდა, გოდრის კაცი ძირზე ტომარას წამოაცვამდა, საცობს მოხსნიდა და თევზი გოდრიდან ტომარაში გადავიდოდა. დაცარიელებულ გოდორს ძირზე კვლავ საცობს გაუკეთებდნენ და თევზჭერა გრძელდებოდა.

ოჩხეში შეიძლებოდა თევზი დიდი რაოდენობით ყოფილიყო. ერთი მხრივ, ეს დამოკიდებული იყო მის სიდიდეზე და ადგილმდებარეობაზე; მეორე მხრივ, ამინდზე: „რაც უფრო მაგარი ყინვები იყო, მით უფრო იმედი გვქონდა, რომ ოჩხეში დიდი რაოდენობის თევზი დაიბუდებდა“- აღნიშნავდნენ ინფორმატორები [იველაშვილი, 1979]. ოჩხეში თუ კალმახი დაიბუდებდა, იქ სხვა თევზი აღარ შეიდოდა, რადგან კალმახი მათ ჭამდა.

ოჩხეში ძირითადად ერთი ზომის, დაახლოებით 15-20 სანტიმეტრის სიგრძის, ერთი სახეობის თევზი -„ოჩხური“ იბუდებდა. შეიძლება იქ მოხვედრილიყო „ლურჯაც“, “ციმორაც“ და „ნაფოტაც“, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა.

ოჩხის პირველი ჩხრეკის შემდეგ შეიძლებოდა კვლავ ჩაეყარათ მასში ქვები და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ასე იანვრის ბოლოს, ხელახლა მეორედ ეჩხრიკათ. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს იშვიათად ხდებოდა, რადგან ხალხის გადმოცემით, წყალკურთხევის შემდეგ ყინული უკვე „ბუდებოდა“ - ისეთი ყინვები აღარ იყო და თევზს აღარ სჭირდებოდა მყუდრო ადგილის მოძებნა.

როგორც მასალებიდან ირკვევა, წარსულში ოჩხეში დაჭერილი თევზი ოჯახის ეკონომიკური შემოსავლის ერთ-ერთ დამატებით წყაროს წარმოადგენდა. მთხრობელთა გადმოცემით, „ოჯახში ძმების გაყრა-გაყოფის დროს ოჯახს მდინარე მტკვარზე თუ ოჩხე ჰქონდა, ისიც გასანაწილებელ უძრავ ქო-

ნებათა ნუსხაში შედიოდა. ასე მაგალითად: სოფელ გელსუნდაში ერთ-ერთ ოჯახში სამი ძმა რომ გაიყარა, ქონება სამ ნაწილად (გასაყრელი ძმების რაოდენობის მიხედვით) გაყვეს; მიწა და ბაღი ორ წილად, ხოლო ოჩხე მესამე წილად ჩათვალეს. წილისყრით ერთ-ერთ ძმას სათჯახო ქონებიდან უძრავი ქონების სახით მხოლოდ ეს ოჩხე ერგო, რომელიც არც ერთ წელიწადს არ ცდებოდა და მისი პატრონი ჩხრეკის სეზონზე 20-30 ფუთ (ერთი ფუთი არის 16 კილოგრამი) თევზს იღებდა“ [იველაშვილი, 1977]. რა თქმა უნდა, ოჯახი მას ყიდდა ფულად, ან ცვლიდა სხვა საჭირო პროდუქტებზე.

მდინარე მტკვარზე საკუთრებაში მრავლად ჰქონდათ ოჩხეები სოფელ ზედა თმოგვის, გოგაშენის, ხიზაბავრის, საროს, ტობის მოსახლეობას. ოჩხე ოჯახის უძრავ ქონებას მიეკუთვნებოდა და, როგორც აღვნიშნეთ, ძმების გაყრის დროს მასაც ისევე ინაწილებდნენ, როგორც, მაგალითად, მიწასა თუ პირუტყვს. მთხრობელთა გადმოცემით, ერთი ოჩხე თავისი ღირებულებით უღელი ხარის ტოლფასი იყო [იველაშვილი, 2000:192].

სოფელ საროში თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა მდინარე მტკვარზე ოჩხე გამართული და სპეციალურად ყარაული ჰყავდათ გამოყოფილი, რომელიც ოჩხეებს დარაჯობდა, რომ ვინმეს განზრახ რომელიმე ოჩხე არ დაზიანებინა ან ოჩხის სიახლოვეს ბადით თევზაობით თევზი არ დაეჭრათხო. 100 წლის სიმონ ლორდარიძის დიდ გაუკრელ ორმოც სულიან ოჯახში ხუთ დაქორწინებულ ძმას მდინარე მტკვარზე ხუთი ოჩხე ჰქონდა. ინფორმატორის ინფორმაციით: „ჩხრეკის სეზონზე თითოეულიდან სულ ცოტა ექვსი ფუთი თევზი მაინც ამოდიოდა და იქვე, ოჩხეზე ვყიდდით, ხერთვისელები ყიდულობდნენ ცოცხალ - ცოცხალ ოჩხურს. როდესაც გავიყარენით - ვალკე გავყვით საცხოვრებლად, ყოველ განაყარს ერთი ოჩხე ერგო“ [იველაშვილი, 1977].

მტკვარზე ოჩხით თევზჭერა ეკონომიურად მომგებიანი რომ არ ყოფილიყო, თურქეთის ხელისუფლება საგანგებო გადასახადს არ შეაწერდა იმ სოფლებს, რომლის მოსახლეობასაც ოჩხეები ჰქონდა მტკვრის ხეობაში. „ბურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, თევზჭერისათვის გადასახადი შეწერილი ჰქონდა შემდეგ სოფლებს: ხიზაბავრას, ნიჯგორს, საროს, ზედა თმოგვს, გოგაშენს, ხერთვისს და ა. შ. [ბურჯისტანის, 1941].

თუ უფრო ადრე არა, მეცხრამეტე საუკუნიდან მაინც, მტკვრის ხეობის ოსხურ თევზს საკმაოდ ფართო საბაზრო ღირებულება ჰქონია. იმ პერიოდის წერილობითი მონაცემებით მტკვრის ხეობიდან, კერძოდ ახალციხის მხრიდან საპალნეებით გაჰქონდათ „ცივად მოხარშული ოსხური თევზი ბორჯომისაკენ, ხაშურსა, ქუთაისსა და თბილისში, ასევე სხვა გუბერნიებშიცა და ევროპისკენაც, სადაც კარგ ფასში იყიდებოდა“ [კოპტონიშვილი, 1894]. თევზის შემსყიდველები ჩამოდიოდნენ და ოსხის ჩხრეკის დროს ადგილზე ყიდულობდნენ [იველაშვილი, 1979].

ოსხით თევზჭერაში განსაკუთრებით დახელოვნებულა სოფელ ტობის მოსახლეობა (ტობელები 1944 წელს გადაასახლეს სოფელ წყორძაში და ტობა დღეს ნასოფლარია). ამაზე მეტყველებს ხალხური ლექსი:


„პური - კლდეს, ღვინო - ბოგასა,
თევზი მე მთხოვე ტობასა.“

ზემონათქვამის დასტურია დღემდე შემორჩენილი გამონათქვამიც, კერძოდ, ამა თუ იმ ოჯახში როცა ახლად დაჭერილ „ცოცხალ“ თევზს მოსახარშად ადუღებულ წყალში ჩაქრიან, ამბობენ „ცოდო ტობელებსაო“ (იველაშვილი, 1977).

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშეჯერება ნათლად გვიჩვენებს, თუ წარსულში სამცხე-ჯავახეთის იმ სოფლების (გოგაშენი, ზედა თმოგვი, სარო, ხიზაბავრა, მინაძე და ა. შ.) მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელსაც მტკვრის ხეობასთან ტერიტორიული შეხება ჰქონდა, ოსხით თევზჭერის მეტად მაღალი დონე არსებობდა. ეს კი შეპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ დამხმარე მეურნეობის ეს ერთ-ერთი საინტერესო დარგი, მოსახლეობის ეკონომიური შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, XX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან, როდესაც უყურადღებობის გამო მდინარე მტკვარში ბრაკონიერებმა ქიმიური შხამქიმიკატებით, დინამიტის აფეთქებითა თუ ელექტროდენის გამოყენების მეშვეობით დაიწყეს ბარბაროსულად თევზის მოპოვება, მდინარეში თევზის რაოდენობამ თანდათანობით იკლო (მთელი რიგი ჯიშები საერთოდ გაქრა). ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, ოსხის გაკეთებამ აზრი დაკარგა, რადგან მასში თევზი ნაკლებად შევიდოდა და თუ შევიდოდა, პატრონი დაზღვეული არ იყო ბრაკონიერებისაგან დამით ოს-

ხე'ში დინამიტის აფეთქებითა თ'უ ღენის გამოყენებით თევზის მოპარვისაგან. ყოველივე ამან კი გამოიწ'ვია ის, რომ მეურნეობის ეს დამხმარე, მაგრამ მეტად ორიგინალური თევზჭერის საშ'ალება მილევადი გახდა და დღეს გაქრობის პირ'ხეა მისული (შეიძლება ითქვას ფაქტი'ურად უკვე გამქრალია).



ოჩხეს გოდორი

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერიძე, 2005 - მ. ბერიძე, მებალ'რეობა, თევზები, სახელები, ახალ(ეხე, 2005.

გ'ურჯ'ისტანის ვილაიეთის დიდი დათარი, 2, თბ., 1941.

იველაშვილი, 2000 - თ. იველაშვილი, ოჯახის ეკონომიკური საფ'ძველი სამხრეთ საქართველო'ში//ასპინძა სამ(ხისა და ჯავახეთის სახ'ღვარ'ზე, ახალ(ეხე, 2000.

იველაშვილი, 1977 - თ. იველაშვილი, 1977 წ'ლის სამ(ხე-ჯავახეთ'ში მივლინების მასალები, რვ. 1.

იველაშვილი, 1979 - თ. იველაშვილი, 1979 წ'ლის სამ(ხე-ჯავახეთ'ში მივლინების მასალები, რვ. 4.

კოპ'ონი'შვილი, 1894 - ვ. კოპ'ონი'შვილი, შენი'შვნები ახალ(ეხის მა'რის ქართველების შესახებ, გა'ზ,"ივერია," 1894, 23.

მირიანაშვილი, 1981 - ქ. მირიანაშვილი, მეთევზეობის შეს'ავლისათვის საქართველო'ში (თევზჭერა ოჩხეს

საშუალებით)// "მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", 21, თბ., 1981.

ორბელიანი, 1949 - სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.

ქუქხიშვილი, 1997 - ზ. ქუქხიშვილი, ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხები//"მესხეთი I," ახალციხე, 1997.

МИЭБГЗК ტ. 3, ნაწ. 2, 1886.

Tina Ivelashvili

DECREASING FIELDS OF SUBSIDIARY FARMS IN SAMTSKHE –JAVAKHETI REGION

(Ochkhe)

Summary

Fishering as the subsidiary industry has been well known among the inhabitants of Samtskhe-Javakheti since ancient times.The natural environment, waterfull rivers and lakes of Samtskhe-Javakhetii and mountainious regions of Shavshet-Klarjeti, formed excellent conditions for developing the fishing farming.

Both written sources and ethnological materials clearly show that high level of fishing was developed in the villages of Samtskhe-Javakheti (Gogasheni, Zeda Tmogvi, Saro, Khizabavra, Minadze) Ochkhe fishing was highly developed in the part of the region where the inhabitants lived near the Mtkvari river as this interesting field of subsidiary farming was the most important economical income for the inhabitants of those territories.

Unfortunately from the70-80s of the XX century, the poachers started to use pesticides, electric shock and dynamite explosions for Barbaric fishing, as a result of this the number of fish in the rivers greatly decreased (moreover, some kinds of species wholly disappeared) So, it was no use of making Ochkhi, as people thought that no fish would enter it. And if fish entered, inhabitants had no guarantee, safe insurance against the poachers' activities like fish stealing, using dynamite explosion or electric shock. These are the reasons why this original fishering method is threatened to disappear.

რუსუდან ზაზაძე

ხუთწლიანთა სწავლება სკოლაში და მათი პრობლემები

სწავლება მუდმივად განახლებადი პროცესია და შესაბამისად ამ სფეროში დაგეგმილი რეფორმის უპირველეს მიზანს სწავლების ხარისხის ზრდა წარმოადგენს. თუმცა, ჩემი აზრით, ყოვლად დაუშვებელია განათლების სფეროში მკვეთრი, რადიკალური ცვლილებები, რომელიც ზოგჯერ სტიქიურ ხასიათს ატარებს. საჭიროა დიდი სიფრთხილე, საკითხისადმი სერიოზული მიდგომა, ღრმა შესწავლა და თანამიმდევრულობა.

როგორც ვიცით, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მიზანია: „მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა“ (ზოგ.გან.შეს.საქ.კან. მ.3,პ.1.ბ. 2010:55)

2010 წლის 17 ივლისს „კანონში ზოგადი განათლების შესახებ“ შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ზოგადი განათლების სისტემაში სწავლის დაწყების ასაკი ხუთი წელი გახდა. ცვლილება 2011 სასწავლო წლიდან ამოქმედდა (საქ. პარლ. ერთვ. ბიბლ. 2010: №5(38)

ცნობილია, რომ ადამიანი ბიოსოციალური არსებაა. მის ფსიქიკურ განვითარებაზე მოქმედებს როგორც ბიოლოგიური, ბუნებრივი და სოციალური ცხოვრების პირობები, ისე სწავლა-აღზრდა. ბავშვის განვითარების ბიოლოგიურ ფაქტორს მიეკუთვნება ის, რომ მას მემკვიდრეობით დაჰყვება ადამიანური ნერვული სისტემის, სამეტყველო აპარატის, თავის ტვინის, გრძნობის ორგანოების და სპეციფიკური ფიზიკური მონაცემების თავისებურებანი. ე.ი. ბავშვის განვითარების ბიოლოგიურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს ადამია-

ნის ბუნებრივ საფუძველს. მაგრამ ადამიანი, როგორც პიროვნება, ვითარდება სოციალური გარემოს გავლენით.

ბავშვის ფსიქიკის განვითარების ძირითადი პირობა და ფაქტორი მისი ადამიანთა საზოგადოებაში ცხოვრებაა. ადამიანური ურთიერთობების გარეშე ბავშვის ფსიქიკის განვითარება არ მოხდება.

ბავშვის ფსიქიკის განვითარების მამოძრავებელი ძალები რთული და მრავალფეროვანია. ძირითადად ფსიქოლოგები გამოყოფენ ბავშვის ფსიქიკური განვითარების სამ ზოგად კანონზომიერებას: 1) ფსიქიკის არათანაბარი განვითარება, აღზრდისა და სწავლების თანაბარი პირობების დროს სხვადასხვა ფსიქიკური პროცესები განვითარების ერთსა და იმავე დონეზე არ იმყოფებიან. 2) ინტეგრაცია. ფსიქიკის განვითარების კვალობაზე ადამიანის ფსიქიკა უფრო მთლიანი, მუდმივი და ერთიანი ხდება და 3) პლასტიკურობა და კომპენსაცია. სწორედ პლასტიკურობის თავისებურებაზეა დამყარებული ბავშვის ფსიქიკის შეცვლა სწავლებისა და აღზრდის მეშვეობით.

ამრიგად, სწავლა-აღზრდა ერთ-ერთი ფუნდამენტური მხარეა პიროვნების ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ სწავლება სწორედ მოსწავლეზე უნდა იყოს ორიენტირებული. მოსწავლე სასწავლო პროცესის მხოლოდ ობიექტი კი არა, სუბიექტიცაა და აღმზრდელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს მისი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები, სურვილები, ინტერესები, მისწრაფებები...

ამ ეტაპზე კონკრეტულად შევეხები ხუთწლიანთა სკოლაში სწავლების საკითხს, რადგან ეს ფაქტი მოსწავლის ცოდნის დონის გაუმჯობესების კი არა, ჩემი აზრით, გაუარესების წინაპირობაა. უფრო სწორად კი ისეთი პრობლემაა, რომელიც მომავალ თაობას სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრავმა მიაყენებს. სავალალო შედეგი კი წლების შემდგომ უფრო თვალსაჩინო გახდება.

თავს ვალდებულად ვთვლი ყოველივე ამის უკეთ გათვალსაჩინოებისთვის მოკლედ წარმოვადგინო ხუთი წლის ბავშვის ფსიქოლოგიური დახასიათება.

ხუთი წლის ბავშვში მიზანმიმართული მეხსიერება ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და ძირითადად თამაშში ვლინდება. მისი ქცევის წამყვანი ფორმა ხომ თამაშია. ამიტომ, ყოველგვარი მასალა თამაშ-თამაშით უნდა მიეწოდოს. სკოლაში კი ბავშვის ამ მოთხოვნილების სრულყოფილად დაკმაყოფილება

შეუძლებელია, რაც ბავშვის აგრესიულობისა და უყურადღებობის წინაპირობად იქცევა ხოლმე. ამ ასაკში ბავშვი სწავლის ხერხებსა და საშუალებებს ჯერ კიდევ ვერ ფლობს. მისი აზროვნება თვალსაჩინო – ხატოვანია, ანუ წარმოსახვით რაიმეს შესრულება უჭირს, ან არ შეუძლია. ხუთი წლის ბავშვის ყურადღება უნებლიეა, მას არ შეუძლია ყურადღების გადამხრელი ფაქტორებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. იგი ყურადღებას აქცევს მხოლოდ იმ მოვლენებს, რაც მისთვის შთამბეჭდავია. კონცენტრაციის ნაკლებობის გამო ბავშვი ხშირად საგაკვეთილო პროცესიდან ითიშება.

ხუთი წლის ბავშვის აღქმა საკმაოდ დანაწევრებული არაა, ამიტომ ხშირად ერევა მსგავსი მოხაზულობის ასოები ერთმანეთში. ამასთან, ბავშვს სუსტად აქვს განვითარებული ნატიფი მოტორული უნარები და არაა გასაკვირი, რომ ამ ასაკის ბავშვთა უმრავლესობას უჭირს წერა, სხვადასხვა ფიგურის სწორად გამოჭრა და ნახატების გაფერადებისას საზღვრების დაცვა.

ხუთი წლის ასაკში ბავშვს არ შეუძლია ერთდროულად საგნის რამდენიმე ნიშან-თვისების გათვალისწინება (ფორმა, ფერი, ზომა...). პირველი კლასის სახელმძღვანელოებში კი ნაკლებადაა გათვალისწინებული ხუთწლიანთა ასაკობრივი თავისებურებები. საპროგრამო მასალა და სახელმძღვანელოები ექვსი წლის ბავშვზეა გათვლილი, ეს სერიოზული პრობლემაა, როგორც ხუთწლიანთათვის, ისე პედაგოგისთვის. რადგან, მასწავლებელმა ბავშვის სოციალურ-ემოციურ განვითარებას სწორი მიმართულება რომ მისცეს, საჭიროა მოსწავლის შესაძლებლობების ადეკვატური დავალებების მიცემა. პროგრამული მასალა და სახელმძღვანელოები კი ამის საშუალებას ნაკლებად იძლევა. ე. ი. მოსწავლის ბედი მთლიანად მასწავლებლის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული.

ცნობილია, რომ ხუთი წლის ასაკში ბავშვის პიროვნება ჩამოყალიბებას იწყებს. იგი მძაფრად აღიქვამს ყოველგვარ შეფასებას და როდესაც უჭირს სასკოლო რეჟიმთან შეგუება, პროგრამული მასალის დაძლევა და მეტნაკლებად ჩამორჩება თანაკლასელებს ათვისების უნარით, განიცდის და ეს მის ფსიქიკაზე დამანგრეველად მოქმედებს, ცდილობს მასწავლებლის ყურადღება უკვე სხვა მხრივ მიიპყროს. ბავშვი აგრესიას გამოხატავს თანაკლასელებისა და გარშემომყოფების მიმართ.

მისი თვითშეფასება ირღვევა. აქვს იმის განცდა, რომ მაინც არაფერი გამოუვა და სწავლისადმი ინტერესი უქვეითდება.

ბავშვის სასკოლო ცხოვრებისთვის მზაობას შ. ჩხარტიშვილი სამი თვალსაზრისით იხილავს. მისი აზრით, მომწიფებას აქვს სამი მხარე: ა) ფიზიკური, ბ) ინტელექტუალური და გ) სოციალურ-პიროვნული ანუ ვოლიტური. ბავშვი სასკოლო სწავლის დაწყებისთვის მაშინაა მზად, როცა მისი ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალურ-პიროვნული მომწიფების დონე ისეთია, რომ მას უმტკივნეულოდ შეუძლია მიიღოს და აიტანოს ის ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალურ-პიროვნული დატვირთვა, რომელსაც ბავშვს სასკოლო ცხოვრება უყენებს (გოგიჩაიშვილი, 2001:46).

ხუთი წლის ბავშვის ქცევა და ფსიქიკური პროცესები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უმეტესწილად უნებლიე ხასიათისაა. უჭირს წესებისადმი სრულად დამორჩილება. ბავშვს ღლის ფიზიკური უმოქმედობა (არ შეუძლია ხანგრძლივად მერხთან ჯდომა), მტკივნეულად აღიქვამს ყოველგვარ წარუმატებლობას და სტრესულ სიტუაციაში ვარდება.

ე. ი. ბავშვის სკოლისათვის მზაობა მნიშვნელოვანი მექანიზმია მისი შემდგომი განვითარებისთვის და თუ ხუთი წლის ბავშვს მყარ ნიადაგს არ შევუქმნით სწავლისათვის, სწორად არ შევურჩევთ სასწავლო მასალას, ვაიძულებთ მისთვის შეუსაბამო პროგრამული მასალით, თან თავისზე უფროსებთან (6-7 წლის ბავშვები) ერთად ისწავლოს, მივიღებთ არა მოსწავლეთა განვითარებას და წინსვლას, არამედ, გაღიზიანებას, აგრესიულობას და შემდგომ მის პიროვნებას სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს შევუქმნით. მაგრამ, „თუ ბავშვს სკოლამ გაუხსნა გემო სწავლისა, საქმე მოგებულად უნდა ჩაითვალოს. ყმაწვილი, რომელმაც ცოდნა იგემა, სკოლის შემდეგაც ეძებს ამ ცოდნასა, გახსნილს მადას თავისი გონებისას აკმაყოფილებს ყოველი ღონისძიებით, სულ ახალ-ახალი აზრები სწყურიან, ცდილობს აავსოს აუზი თავისი გონებისა ახლის შინაარსით“ (გოგებაშვილი, 1990:14).

საზოგადოებაში მოცემული პრობლემისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მისი დიდი ნაწილი, მათ შორის ფსიქოლოგები, პედაგოგები, მშობლები უარყოფითად აფასებენ ხუთწლიანთა სკოლაში სწავლებას.

ჩვენ კვლევა ვაწარმოეთ ასპინძის რაიონის რამდენიმე სკოლაში ხუთწლიანთა პრობლემებთან დაკავშირებით. მათ

შორის ასპინძის საჯარო სკოლის ორ პარალელურ კლასთან, ტოლოშისა და აწყვიტის საჯარო სკოლებში. შევადგინე კითხვარი მასწავლებლისთვის, ხუთწლიანი მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის (დანართი იხ. სტატიის ბოლოს), რის საფუძველზეც შევეცადეთ შეგვესწავლა ის პრობლემები, რაც უკავშირდება ხუთწლიან ბავშვთა სკოლაში სწავლებას. დასკვნების გაკეთებაში დამეხმარა, აგრეთვე, ჩემი პირადი გამოცდილება. ოფიციალური კითხვარების გარდა ვცდილობდი არაოფიციალური საუბრებით და პირადი დაკვირვებით უფრო მეტად ვყოფილიყავი ინფორმირებული ამ პრობლემებზე. ჩემ მიერ მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვთქვა, რომ ხუთწლიან მოსწავლეებს გაუჭირდათ (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე):

სასწავლო გარემოსთან შეგუება;

თანაკლასელებთან ურთიერთობა;

პროგრამული მასალის ათვისება;

ანგარიში (20-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლება);

წერა, ფონემის გრაფემაში გადაყვანა;

წაკითხულიდან აზრის ნათლად ჩამოყალიბება და თხრობა.

პედაგოგები სირთულეთა ჩამონათვალში იმასაც ასახელებენ, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან ერთად უწევთ მუშაობა (შეიძლება კლასში ინკლუზიური მოსწავლეც ჰყავდეთ), რაც მათგან მეტ ძალისხმევასა და დროს მოითხოვს. შედეგი კი მაინც არაა სახარბიელო. ასევე, მათ სურთ, რომ სკოლებში კვლავ დაბრუნდეს გოგებაშვილის „დედა ენა", რადგან „დედა ენაში" ყველაზე კარგადაა გათვალისწინებული ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების ყველა ნიუანსი, რაც მოსწავლეს უადვილებს ანბანის შესწავლას და აღუძრავს სწავლის ინტერესს.

საყურადღებოა, აგრეთვე, რომ მოსწავლეთა ნაწილს სკოლისადმი სიძულვილის გრძნობა გაუჩნდა, რაც გამოიხატება შემდეგში:

ბავშვებს უჭირთ დილით ადრე ადგომა;

სკოლის რეჟიმთან შეგუება;

მათი ასაკისთვის საკმაოდ შეუფერებელი, მძიმე ჩანთების და ბუკების ტარება.

როგორც აღმოჩნდა, სწავლება მათთვის მძიმე ტვირთია, რომელსაც უფროსების ძალდატანებით ასრულებენ.

მშობელთა ნაწილი ნანობს თავის გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ შვილი ადრე მიიყვანა სკოლაში,

რადგან მათი შვილების ხასიათში აგრესიულობამ და გაღიზიანებამ იჩინა თავი, სასწავლო დისციპლინებისადმი კი ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებენ.

ამას ემატება სოფლის პრობლემაც. მოგეხსენებათ, საქართველოში სოფლად საბავშვო ბაღი იშვიათობას წარმოადგენს და თუ რომელიმე სოფელში საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, ისიც სათანადოდ არაა მოწყობილი (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო რესურსი).

ასე რომ, ბავშვი სრულიად მოუმზადებელი და მოუმწიფებელი აღმოჩნდება სკოლის მერხთან. იმ მერხთან, რომელიც საკმაოდ არაკომფორტულია და რომელსაც ხუთი წლის ბავშვი 35 წუთის განმავლობაში უნდა იჯდეს მასთან (ბავშვის ხერხემალი არაა ამისთვის მზად), ეს სერიოზული ფიზიკური პრობლემის წარმოქმნის საფუძველია. შედეგი ბავშვებში გახშირებული სქოლიოზია.

ხუთი წლის ბავშვის სკოლაში მიყვანის მომხრეები კი აქსელერაციის პროცესს იშველიებენ და აღნიშნავენ, რომ ბავშვთა განვითარება ისე დაჩქარებულია და იმდენად გათვითცნობიერებული თაობაა, რომ მათი სკოლაში მიყვანა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა მათ ავიწყდებათ, რომ „სკოლისათვის მზაობა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში რამდენიმე კომპონენტს გულისხმობს. ეს არის შემეცნებითი, ანუ კოგნიტური მზაობა, ნებელობითი, ფიზიკური და ემოციურ-პიროვნული მზაობა. თუ ბავშვი აქედან ერთი კომპონენტით მაინც ჩამორჩება თავისი ასაკისთვის შესაბამის მაჩვენებელს, მისი სკოლაში შეყვანა დანაშაულია“ (საქ. პარლ. ეროვ. ბიბლ. 2010: №5(38).

გარდა ამისა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების შესახებ. ჩემი მსჯელობა მინდა მათი დასკვნითაც კიდევ უფრო გავამყარო. ამიტომ, წარმოგიდგენთ დასკვნას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ხუთი წლის ბავშვების სწავლების პროცესში არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. პრობლემებია უშუალოდ აკადემიურ უნარ-ჩვევების ათვისებაში, თუმცა, უფრო საგულისხმოა ამ ბავშვების ფსიქიკური მდგომარეობა, ფიზიკური და ემოციური სტრესი.

ხუთი წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვას მოჰყვა ბევრი პრობლემა, რომელთაგან ნაწილმა უკვე იჩინა თავი და ნაწილი დროთა განმავლობაში გამოვლინდება. ხუთი წლის

ბავშვის სწავლების პრობლემა უკავშირდება არა იმას, რომ ამ ასაკის ბავშვს არ შეიძლება ვასწავლოთ, არამედ მათ უნდა ვასწავლოთ განსხვავებული მიდგომებით, რომელიც არაერთ დასავლურ ქვეყანაშია დანერგილი, თუმცა ამ ეტაპზე უცხოა ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის და საჭიროებს ძალიან დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზებას. ამიტომ, ამ ეტაპზე არარეკომენდირებულია 5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა იქამდე, სანამ არ ჩატარდება მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები (სოც. კვლევ. დ. ანალ. ინსტ., 2012:6).

ჩვენი საზოგადოების კომფორმულობიდან გამომდინარე, დღესაც მიმდინარეობს ხუთწლიანთა სკოლაში მიღება და ამის შესახებ სერიოზული პროტესტის გამოთქმას რატომღაც ყველა ვერიდებით. იმის იმედად ვართ, იქნებ ადრე თუ გვიან ვინმე ღვთისნიერმა (ვისაც ხელეწიფება ამის შეცვლა) შეიტანოს ცვლილება კანონში და ვიხსნათ ჩვენი მომავალი თაობა ზემოდასახელებული პრობლემებისგან.

დასასრულს აღვნიშნავ, რომ ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა-არჩართვის საზომი მხოლოდ მისი მახსოვრობის უნარი არ უნდა იყოს, აქ ერთ-ერთი ამოსავალი ბავშვის ქცევის წამყვან ფორმაშია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხუთი წლის ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმა თამაშია, სწორედ თამაშის საფუძველზე შეიმეცნებს ბავშვი გარესამყაროს, თამაშის საშუალებით ამყარებს ადამიანებთან ემოციურ კონტაქტებს და როცა ამ პერიოდში ჩვენ ვზღუდავთ თამაშში და სწავლას ვაიძულებთ, ამით ფაქტობრივად ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად ვზემოქმედებთ და ხელს ვუშლით სამყაროს შეცნობაში. „თამაშისთვის მოპარული წელიწადით“ ამაოდ ვცდილობთ სწავლის დონის გაზრდას. არადა, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება ნუ ვაიძულებთ ხუთი წლის პატარას სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას. მის განვითარებაზე ვიზრუნოთ ოჯახში, ვატაროთ საბავშვო ბაღში და მყარი საფუძველი შევუქმნათ შემდგომი სწავლისა. ან სკოლის ბაზაზე შევქმნათ ერთგვარი მოსამზადებელი კლასი, სადაც ხუთი წლის ასაკისთვის შესაბამისი პროგრამით და მეთოდებით მოვახდენთ ბავშვის მომზადებას სასკოლო ცხოვრებისთვის. ვფიქრობ, ამგვარი მიდგომა გაცილებით უკეთეს შედეგს მოგვიტანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგებაშვილი, 1990 - ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი. III, თბ., 1990.

გოგიჩაიშვილი, 2001 - თ. გოგიჩაიშვილი. მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია, თბ., 2001.

ჟურნალი „მასწავლებელი" №4. 2011.

ჟურნალი „მასწავლებელი" №5. 2012.

ეროვნული და საერთაშორისო სამართლებლივი აქტები მასწავლებლებისთვის. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი. 2010.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. „5 წლის ბავშვი-ბაღში თუ სკოლაში?" 2010. №5(38) ელ. რესურსი. www.nplg.gov.ge

სოც. კვლევ. დ. ანალ. ინსტ., 2012 - სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, „ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების კვლევა," თბ., 2012.

დანართი

კითხვარი მშობელთან

1. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი იმასთან დაკავშირებით, რომ შვილი ხუთი წლის ასაკში შეგეყვანათ სკოლაში?

2. ხართ თუ არა კმაყოფილი შვილის სკოლაში შესვლით? რატომ?

3. რა ცვლილებები შეამჩნიეთ თქვენი შვილის ხასიათში სკოლაში მისვლის შემდეგ?

4. რა გადაწყვეტილებას მიიღებთ, ახლა რომ სექტემბერი იყოს. ხუთი წლის ასაკში მიიყვანთ თუ არა შვილს სკოლაში? რატომ?

კითხვარი მასწავლებელთან

1. გამართლებულად მიგაჩნიათ თუ არა ხუთწლიანთა სკოლაში სწავლება? რატომ?

2. რამდენი მოსწავლე გყავთ კლასში და რამდენია მათ შორის ხუთწლიანი?

3. რა დამატებითი ძალისხმევა გესაჭიროებათ კლასის მართვის თვალსაზრისით (ხუთწლიანთა და ექვსწლიანთა ერთობლივად სწავლების გამო)?

4. თქვენი აზრით, ხუთწლიანთა სასწავლო პროგრამა შეესაბამება თუ არა ბავშვის ასაკობრივ მოთხოვნებს? გთხოვთ პასუხი დაასაბუთოთ.

5. რა სირთულეებს ხედავთ ხუთწლიანთა სწავლების პროცესში?

6. ხუთწლიანთაგან რამდენმა მოსწავლემ აითვისა პროგრამული მასალა (დამაკმაყოფილებლად მაინც)?

7. მოიყვანეთ ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი არგუმენტი, ხუთწლიანთა სკოლაში სწავლების თაობაზე.

კითხვარი მოსწავლესთან

1. გიყვარს თუ არა სკოლა? რატომ?
2. რატომ დადიხარ სკოლაში, რას აკეთებ იქ?
3. გყავს თუ არა სკოლაში მეგობრები?
4. რომელი საგანი გიყვარს ყველაზე მეტად?
5. დასვენების დღეები (შაბათ-კვირა) უფრო გიყვარს თუ სასწავლო დღეები? რატომ?

Rusudan Zazadze

THE PROBLEMS OF FIVE YEAR OLD CHILDREN AT SCHOOL

Summary

On July 17, 2010 an amendment was made in "The Law about General Education" according to which a five year old child could go to school. (It was voluntary). The law entered into force in 2011 academic year.

The above mentioned issue caused different attitudes in the society. A great number of them appreciate it negatively, They say that a

leading form of the behavior of five year old child is a game, his memory is episodic, behavior and mental processes are unintentional, They can't envisage characteristics of some subjects don't have developed motor skills, their thinking is visualized, attention is unintentional, concentration is low. They can't stand any form of evaluation and school routine. They also can't beat a program material and become less motivated.

Different researches prove that starting school for five year old child worsens their knowledge. To be more exact, it injures the psychology of future generation.

Those who support the above mentioned problem explain it with the process of acceleration and prove that it is not a problem at all. Though they forget the three necessary components-psychological, intellectual and socio-personal. And if a child is one component behind, it is a crime.

So, to my mind we must say no to taking five year old child to school, Families and kindergartens should take care of them and prepare them for school.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის საკითხისათვის

განათლება ყველა მოზარდის ფუნდამენტური უფლებაა. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა მოზარდისათვის, მიუხედავად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი წარმომავლობისა, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებისა, შემეცნებითი უნარების, ემოციური და ნებელობითი სფეროს განვითარებისა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან/და სხვა მიზეზების გამო, რის შედეგადაც მოზარდი სასწავლო პროცესს საგრძნობლად ჩამორჩება.

აქედან გამომდინარე, აქტუალურია ინკლუზიური განათლების გზები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რაც სასწავლო პროცეს'ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სხვა მოსწავლეებთან ერთად ჩართვას გულისხმობს. განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება მულტიდისციპლინარული გუნდი, რომლის მოვალეობა ამ მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით იდენტიფიცირება და შესაბამისი სახის დახმარების გაწევაა ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა მოსწავლის დასახულ მიზანსა და სასწავლო შედეგთან მიახლოება.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პედაგოგის ამოცანაა სასწავლო პროცესის იმ სახით წარმართვა, რომ მორგებული იყოს ყველა მოსწავლის შესაძლებლობებზე *(ესგ, 2011-2016, თავი I)*. ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც მასწავლებელს კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ჰყავს. ამ შემთხვევაში, მისი ამოცანაა მოსწავლისათვის ხარისხიანი და ეფექტური განათლების მიცემა და საგაკვეთილო პროცესის წარმართვა მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. ამ ვითარებაში მასწავლებელს აქვს უფლება კონკრეტული მოსწავლისათვის დასახოს ინდივიდუალური მიზანი, ამოცანა და სასწავლო შედეგი, რომელიც განსხვავებული იქნება სასწავლო პროგრამით

გათვალისწინებული გეგმისაგან. ამ გეგმით უნდა მოხდეს მოსწავლისათვის ყველაზე შესაფერისი მოთხოვნების სწორად განსაზღვრა.

ასეთ შემთხვევებში აუცილებელი ხდება მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება, იგივე მოდიფიკაცია. მოდიფიკაცია ცვლის ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების შემეცნებითი შესაძლებლობების შესაბამისად. მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური, მოდიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სასწავლო შედეგები *(ლალიძე ა., ბაგრატიონი მ., პაჭკორია თ., 2009; ინკლ. გან., ცნ. და ტერმ. 2011, 19).* გარდა ამისა, შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია და აკომოდაცია.

ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია არ ცვლის გეგმის შინაარსს და ძირითადად, გულისხმობს მასწავლებლის დროისა და დატვირთვის გაზრდას, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის დავალებების გამარტივებას და რაოდენობის შემცირებას. ეროვნული სასწავლო გეგმის აკომოდაცია არ ცვლის გეგმის შინაარსს, მაგრამ დამხმარე და გამაძლიერებელი ტექნიკების და ტექნოლოგიების გამოყენებით ეხმარება მოსწავლეს იმ ბარიერების დაძლევაში, რომელიც ექმნება სწავლის დროს. შესაბამისად, განიხილება ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის სხვადასხვა დონე: ადაპტაცია და აკომოდაცია. ინკლუზიურ განათლებაში დამატებით გამოიყენება აგრეთვე მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის ცნებაც.

როგორც ვხედავთ, სწავლების პროცესში შესაძლებელია სასწავლო პროგრამის გამარტივება, პროგრამის ფორმის ცვლილება, პროგრამისათვის განკუთვნილი დროის ცვლილება, დამატებითი დამხმარე საშუალებების გამოყენება.

სასწავლო პროგრამის გამარტივება გულისხმობს მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის სასწავლო გეგმის და შესაბამისი დავალებების გამარტივებას, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს უჭირს ჩვეულებრივი სირთულის ტექსტის წაკითხვა, მასწავლებელი ამარტივებს ტექსტში მოცემულ რთულ წინადადებებს, რთულ და უცხო სიტყვებს ცვლის მოსწავლისათვის ნაცნობი სიტყვებით; წერითი დავა-

ლების მიცემის დროს მასწავლებელი მიმართავს შეკითხვების გამარტივებას.

სასწავლო პროგრამის ფორმის ცვლილება გულისხმობს მოსწავლის მიერ სასწავლო პროგრამის დაძლევის მიზნით სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ დამატებითი სასწავლო-მეთოდური / დიდაქტიკური მასალის გამოყენებას. მაგალითად, მასწავლებელმა მოსწავლეს გაკვეთილის თემა მიაწოდოს არა ნაწერის (ტექსტის) სახით, რაც მოსწავლემ უნდა წაიკითხოს, არამედ, მიაწოდოს თვალსაჩინო გამოსახულებების სახით, რაც უნდა დაათვალიეროს და აღწეროს.

სასწავლო პროგრამისათვის განკუთვნილი დროის ცვლილება გულისხმობს სასწავლო პროგრამის დასაძლევად მოსწავლისათვის განსხვავებული დროის განსაზღვრას. მაგალითად, ტესტირებისათვის, საკონტროლო წერისათვის თანაკლასელებისაგან განსხვავებით მოსწავლისათვის მეტი დროის მიცემას.

დამატებითი დამხმარე საშუალებების გამოყენება გულისხმობს საგაკვეთილო აქტივობების შესრულებისას მოსწავლისათვის სხვა საშუალების გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, მათემატიკური გამოსახულებების ამოხსნისას კალკულატორის გამოყენების შესაძლებლობას.

ცხადია, მასწავლებელმა უნდა შეძლოს განსხვავებული სტრატეგიებითა და გეგმით მუშაობა. წარმოგიდგენთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებული გაკვეთილის გეგმის ნიმუშს ზოგადი სახით. ვფიქრობთ, აღნიშნული მასალა დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს ეროვნული გეგმის წარმატებით განხორციელებაში.

მოსწავლის ტიპი	სასწავლო პროგრამის ნაწილი	სასწავლო აქტივობების / სტრატეგიების და დროის განაწილება					
		I ეტაპი (გაცნობითი)	*II ეტაპი - (შინაარსის ათვისება)*	*III ეტაპი (რეფლექსია)*			
		-- წთ.	-- წთ.	-- წთ.	-- წთ.	-- წთ.	-- წთ.
	ს	• საორგანიზაციო საკითხების მოგვარება • ნასწავლი მასალის გამეორება/ გამოკითხვა (კითხვა-პასუხის ფორმატი) **ს** - **აკ** - *(მცირედითი ფრონტალური კითხვის მეთოდის გამოყენება)* **ად** -	ახალი მასალის ახსნა (მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად, მასწავლებელი მუშაობს ფრონტალურად) • მოსწავლეთა დაჯგუფება მცირე ჯგუფებად *(ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის უფლება მოსწავლეს)*	ახალი მასალის განმტკიცება - მუშაობა წყვილებში: • **ს – ს** • **ს – აკ** • **აკ – ს**	კოდების განმტკიცება - მუშაობა ჯგუფებში	ინდივიდუალური მუშაობა **ს** - *(მცირედითი საბეჭდმანეთან მუშაობა)* **აკ** – **ად** -	• გაკვეთილის შედეგების შეჯამება: • მოსწავლეთა შეფასება • საშინაო დავალების მიცემა *(ინდივიდუალური)* **ს** - *(მცირედითი, მოითხოვს ინფორმაციის გაკვეთილის თემის ირგვლივ)*. **აკ** - *(მცირედითი, დახმარების . . .)* **ად** - *(მცირედითი, გაფორმების . . .)*
	აკ			ახალი მასალის ჯგუფური სწავლება **ად** -	ახალი მასალის განმტკიცება ჯგუფებში		
	ად						

ცხრილში პირობითი ნიშნებით – **ს, აკ** და **ად** შესაბამისად აღნიშნულია: სტანდარტული – ტიპური განვითარების მქონე მოსწავლე, აკომოდირებული და ადაპტირებული – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ცხრილის პირველ სვეტში მასწავლებელმა შეიძლება მიუთითოს მოსწავლეთა რაოდენობა ან სახელები. გაკვეთილის მსვლელობის დროს პედაგოგმა აუცილებლად უნდა მიმართოს დიფერენცირებულ სწავლებას; საჭიროა დასვას დიფერენცირე-

ბული კითხვები. ყურადღება ექცევა მასალის / გაკვეთილის თემის ძირითად ასპექტებს. გათვალისწინებული უნდა იყოს მასალის აღქმის სტილი, სირთულის დონის მიხედვით მოსწავლეთა ცალკეულ ჯგუფში მასალის განსხვავებული შინაარსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ესგ, 2011-2016 - ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016.

ინკლ. გან., ცნ. და ტერმ. 2011 – ინკლუზიური განათლება, ცნებები და ტერმინები, 2011.

ლალიძე ა., ბაგრატიონი მ., პაჭკორია თ., 2009 – ლალიძე ა., ბაგრატიონი მ., პაჭკორია თ., ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2009.

Marekh Natenadze

ABOUT MODIFICATION OF NATIONAL CURRICULUM

Summary

Education is a fundamental right of all adults. Accordingly, the state obliges itself to provide accessibility to education and equal opportunities for all teenagers.

According to the national curriculum, the goal of educator is to adapt the learning process to the abilities of each student. This approach is particularly important when the teacher has a student with special educational needs in class. In such cases it becomes necessary to modify national curriculum taking students' needs into consideration. The teacher should be able to work using different strategies and plans. The article deals with the sample of a lesson plan of a modified National curriculum.

The teacher should use differentiated teaching during the lesson, Great attention should be paid to main aspects of the lesson/ topic. The teacher should also take into consideration the style of comprehension and the content of the material according to the level of each student.

ირმა ქურდაძე, გულნარა ჯანოვა

განათლების საყოველთაობა, როგორც ადამიანთა უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება

ბოლო პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროცესები დღის წესრიგში აყენებს მრავალი პრობლემის სრულიად ახალი თვალთახედვით გადაწყვეტას, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია განათლება, მისი გარდაქმნა და კრიზისიდან გამოყვანა. განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა ობიექტური მოვლენა და ისტორიულად დასაბუთებული თანმხლები პროცესია ყოველივე იმისა, რასაც „ახალი წყობის“ სინამდვილე ანუ თანამედროვე რეალობა მოითხოვს.

ტრადიციულად, ნებისმიერი საზოგადოების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ თავად საზოგადოების წევრები დაიცავენ და განავითარებენ მასში არსებულ ფასეულობებს, ქცევის ნორმებსა და ჩვევებს, გაითავისებენ ისეთი ფენომენის როლსა და მნიშვნელობას, როგორიც არის განათლება.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევების ანალიზის საფუძველზე საზოგადოებაში გამუდმებით მიმდინარეობს საუბარი სკოლაში მოსწავლეთა მომზადებისა და წიგნიერების დაბალ დონეზე და შესაბამისად, მოქმედ მასწავლებელთა დაბალ კომპეტენციებზე (ძირითადად იკვეთება მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის სტერეოტიპული შეხედულებები და კონსერვატულობა, განსაკუთრებით მეთოდოლოგიასთან მიმართებაში). ამაზე გარკვეულწილად მეტყველებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2008-2012 წლებში ჩატარებული კვლევები და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები (თუნდაც ბოლო 2013 წლის მონაცემები). მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კი საერთოდ არიდებს თავს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის აუცილებლობა კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ზოგადად განათლების დარგის განვითარებისა და კონკრეტულად პედაგოგიური ციკლის სასწავლო კურსების სწავლების სრულყოფის საკითხს. სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის გზების დასახვის პრო-

ცესში აქტუალური ხდება საერთაშორისო მიდგომების, საერთაშორისო პროექტების განხორციელების აუცილებლობა.

ამ მხრივ, ძალზედ მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჩართვა ტემპუსის საერთაშორისო პროექტებში, შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის კვლევებისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე ახალი მიდგომების დანერგვა, საერთაშორისო სტანდარტების გაზიარება და დაფუძნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციაა, რაც ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციის საგრანტო პროექტის მიზანს წარმოადგენს, მისი განხორციელება ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანების განათლებას, მათ სოციალურ ინტეგრაციასა და დისკრიმინაციის შემსუბუქებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანთა უფლებების დაცვა, განათლების საყოველთაობა არის ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ამ მხრივ კი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს და ცალსახად იკვეთება საზოგადოებასთან ყოველდღიური ურთიერთობა/მონაწილეობის უფლებით სარგებლობა; საზოგადოების მხრიდან ამ ადამიანების მიღებითა და საზოგადოებრივი ცნობიერების თანდათანობითი გაზრდით დისკრიმინაციასთან ბრძოლა.

პარტნიორი უნივერსიტეტების – უცხოეთის ოთხი (გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და სლოვაკეთის), საქართველოდან ილიას, სამცხე-ჯავახეთის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA), არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“ და სომხეთის ხუთი უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად ჩატარებული კვლევებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა სომხური და ქართული საზოგადოებისათვის ყველაზე აქტუალური სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ოთხი ასპექტი: კომუნიკაცია და ინტერაქცია (რომელშიც შედის აუტიზმი), შემეცნება და სწავლა (სწავლასთან დაკავშირებული ზომიერად და მწვავედ გამოვლენილი სირთულეებისა და დისლექსიის ანუ კითხვის უუნარობის ჩათვლით), სოციალურ უნარებთან, ემო-

ციურ გამოხატვასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები, ფიზიკურ მოძრაობებთან და მგრძნობელობებთან დაკავშირებული პრობლემები, რაც დღის წესრიგში აყენებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა დასახმარებლად და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობად სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების/ტრენინგ-კურსების შემუშავებას და დანერგვას უნივერსიტეტებში, საჯარო ადმინისტრაციულ დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირების კამპანიის სტრატეგიების შემუშავება. ამ პროცესში სამიზნე ჯგუფს ყველა პარტნიორი უნივერსიტეტის/ორგანიზაციის, განსაკუთრებით კი მათი ბიბლიოთეკარების მომზადება-გადამზადების პროცესი წარმოადგენს, უნდა განისაზღვროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანების მოთხოვნები და მათი გათვალისწინებით განხორციელდეს შშმ პირების მომსახურება.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში ეფექტური ინტეგრირების ყველაზე დიდ პოტენციალს სწორედ ბიბლიოთეკა წარმოადგენს. ეს პროცესები ხელს შეუწყობს შშმ პირების მონაწილეობის გაზრდას, მათ ჩართვას პრაქტიკულ აქტივობებში და შესაბამისად, თემიდან, საზოგადოებიდან გარიყვის შემცირებას; კულტურის, პოლიტიკის და პრაქტიკის რესტრუქტურირების უზრუნველყოფას ისე, რომ პასუხობდეს ყველა განსხვავებულობას, ყველა მოზარდის, ახალგაზრდის, მშობლის და პრაქტიკოსის თანასწორობის დაფასებას, ადამიანებს შორის განსხვავებულობის აღქმას, როგორც ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში მონაწილეობის მხარდამჭერ რესურსს - ყველასათვის ხარისხიანი განათლების და ზრუნვის უფლების აღიარებას, სრულყოფისა და განვითარების შესაძლებლობის მიცემას საზოგადოების ყველა ფენისათვის.

ასევე, აქცენტები უნდა გაკეთდეს პროფესიონალი, სოციალური ინტეგრაციისა და ანტიდისკრიმინაციულ საკითხებში დახელოვნებული კადრის მომზადებაზე, რომელიც მისცემს სასარგებლო რჩევა-დარიგებებს და დაეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს (ან პოტენციურ სტუდენტებს) განათლების მიღებაში. ამასთან, იგეგმება ასევე, სხვადასხვა ტიპის დარღვევების, რაც დაკავშირებულია შემეცნებასა და სწავლასთან (სწავლასთან

დაკავშირებული ზომიერად და მწვავედ გამოვლენილი სირთულეები და დისლექსია), – კომუნიკაციასა და ინტერაქციასთან (ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ აუტიზმზე ფოკუსირება), ფიზიკურ მოძრაობებთან და მგრძნობელობებთან, სოციალურ უნარებთან, ემოციურ გამოხატვასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის ხელშემწყობი მოდულების მომზადება.

ვფიქრობთ, ასეთი ტიპის სიახლეების დანერგვა უნივერსიტეტში ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესთან, განათლების მიმართულების სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამებთან, საერთაშორისო პროექტებთან ერთად, განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფას, რაც გულისხმობს, სწავლების მთლიანად ინოვაციურ რეჟიმზე გადასვლას და უფრო აქტიურ ორიენტაციას სწავლებისა და შეფასების პროცესში მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გამოყენების თვალსაზრისით. მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტში ბოლო წლებში მიმდინარე პროცესები იძლევა ამ მოთხოვნის შესრულების საშუალებას. ახალი, ინოვაციური, საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული დაკვეთა, დასაქმების ბაზრის გაზრდილი მოთხოვნების გათვალისწინება კი ჯეროვნად აამაღლებს უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას და ამ მიმართებით მუშაობის გაძლიერებას, რაც ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სტუდენტების მომზადების ხარისხის ამაღლების კუთხით, მათი დასაქმების გაზრდის პერსპექტივის ჩათვლით.

განმარტება – **შშმ** → შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ტემპუსის საგრანტო პროექტი: „Access to Inclusive Education and Social Integration (ASPIRE)“, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

სამოქალქო განათლება, მეთოდური გზამკვლევი, თბ. 2010.

http://www.w3.org/WAI/RC/tools/complete

http://www.abilitynet.org.uk/mcmw/

Irma Kurdadze, Gulnara Janova

UNIVERSAL EDUCATION, AS ONE OF THE MOST IMPORTANT AREAS OF HUMAN RIGHTS PROTECTION

Summary

Social-economical or political processes in our country put in agenda solving a lot of problems from the new point of view. Education is one of the most important among them. Reforms in the sphere of education is an objective event and historically confirmed accompanying process of demands of modern reality.

One of the important directions is the integration of people of individual needs in the society. It is also the main aim of the grant project. Its implementation will support the education and social integration of people of special educational needs, to reduce their discrimination.

მარინე შონია

ჟურნალი „ჩვენებური“ და მისი როლი თურქეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციაში

თანამედროვე მსოფლიო წარმოუდგენელია საინფორმაციო-პროპაგანდისტული საქმიანობის გარეშე. ყოველი თავმოყვარე ქვეყანა და ერი ცდილობს დანარჩენ სამყაროს გააცნოს განვითარების მის მიერ განვლილი გზა, როგორც კულტურის მონაპოვარიცა და მაჩვენებელიც. ამისათვის იქმნება თანამშრომლობის პროგრამები განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის სფეროში, რადიო და სატელევიზიო გადაცემები, გამოიცემა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი შინ და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეროვნული კულტურის გავრცელებაში თავიანთი საპატიო წვლილი შეაქვთ სამშობლოდან სხვადასხვა მიზეზით წასულ ემიგრანტებს. ამ კუთხით გამონაკლისი არც საქართველოა. სამეცნიერო სამყაროს კარგად ახსოვს ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომელიც პარიზში გამოდიოდა ჯერ კიდევ XX ს. 20-იან წლებში ემიგრირებული ნინო ქურციკაშვილი-სალიასა და კალისტრატე სალიას ძალისხმევითა და თაოსნობით. მან უდიდესი სამსახური გაუწია ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიას, როგორც მეცნიერების დარგებს. „ბედი ქართლისა“ ევროპისა და ამერიკის აკადემიურ წრეებს სიღრმისეულად აცნობდა თვითმყოფად რეგიონს, ხალხს, რომელიც იმხანად „რკინის ფარდით“ გამოყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა.

ასევე განუზომლად დიდი დამსახურება აქვს საზღვარგარეთ, კერძოდ, თურქეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციაში ჟურნალს „ჩვენებური“ – „Çveneburi“, რომელსაც ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები გამოსცემდნენ XX ს. დასასრულსა და XXI ს. დამდეგს. „ჩვენებურის“ პირველი თაობის გამომცემლები (ა. ოზკანი, შ. აქინი და სხვები), რომელთათვის ცნობილი იყო, რომ საფრანგეთში ინტელექტუალური ქართული ემიგრაცია არსებობდა, პირადი თუ საზოგადო ინტერესებიდან გამომდინარე, გაეცნენ მის საქმიანობას. ამგვარ მაგალითთან ერთად ისტორიული ფესვების

განცდა, ოჯახსა და სანათესაოში გაგონილი „ნენეს ენა“, სხვადასხვა შელოცვა თუ ლექსი, გადმოცემა, ზღაპარი, ცეკვა-სიმღერა თუ ქართული კულინარია იყო ის ბუნებრივი მიზეზი, რომელმაც „დედო მემლექეთის“ შეცნობის, მისი ენის შესწავლის, სხვებისათვის საუკეთესო კუთხით გაცნობის, ამ ცოდნის საყოველთაოდ გავრცელების სურვილი და საქმე წარმოშვა.

მართალია, თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის სამოცდამეექვსე მუხლის თანახმად, „თურქია ის, ვინც თურქეთის სახელმწიფოსთან მოქალაქეობის პრინციპით არის დაკავშირებული“ და ამის დავიწყება სასიკეთოს მომტანი არავისთვისაა, მაგრამ წინაპრის გახსენების, მისი მოღვაწეობისადმი პატივის მიგების უფლების ჩამორთმევა და აკრძალვა ცივილიზებული, დემოკრატიული უფლებების მაღიარებელ საზოგადოებას ღირსებას არ მატებს.

წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ შეგვესწავლა ჟურნალ „ჩვენებურის“ მიერ განვლილი არცთუ იოლი გზა, მისი როლი ქართული მეცნიერებისა და კულტურის პოპულარიზაციაში თურქეთში.

ჟურნალ „ჩვენებურის“ აწ უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული პირველი ნომერი შვეციაში, ქ. სტოკჰოლმში, 1977 წ. გამოვიდა. ის ქართული კულტურის ცენტრის ბეჭდვითი ორგანო იყო და კავკასიოლოგიურ ჟურნალად იწოდებოდა, რასაც მოწმობს ჟურნალის სატიტულო გვერდიც. მას გამოსცემდა პროფესიონალი ჟურნალისტი შანვერ აქინი, იგივე შალვა თევზაძე, შვეციაში მოღვაწე ქართული წარმოშობის მოქალაქე, პასუხისმგებელი რედაქტორი კი თურქეთის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი აჰმედ ოზკანი (მელაშვილი) იყო. სტოკჰოლმში გამოვიდა პირველი, გაერთიანებული მეორე და მესამე ნომრები, მეოთხე და მეხუთე დაიბეჭდა 1978 წელს, ხოლო ასევე გაერთიანებული მეექვსე და მეშვიდე ნომრები უკვე სტამბოლში გამოსცა 1979 წელს აჰმედ მელაშვილმა, რომელიც იმდროისათვის უკვე ჟურნალის მფლობელიც გახდა. შვეციაში გამოსული ნომრები თურქულენოვანია, ისევე როგორც თურქეთში დაბეჭდილი. მხოლოდ სტოკჰოლმის გამოცემებს აქვთ სამენოვანი – თურქულ-ქართულ-შვედური – წარწერა გარეკანზე, მათი სარჩევიც სამენოვანია: თურქულ-შვედურ-ინგლისური. მოცულობა 70 გვერდია.

საგულისხმოა, რომ პირველ შვიდ ნომერს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან“ ის მუხლი ერთვის, რომელშიც საუბარია აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე. რედკოლეგიის წევრების პოზიცია გასაგებია: ისინი სახელმწიფოსაგან თავს იზღვევენ.

ამ შავ-თეთრ ფოტოსურათებიანი, მოკრძალებული გამოცემის შექმნა-გავრცელება XX ს. 70–80-იან წლებში, თურქეთში არცთუ უხიფათო იყო (შვეიცარიაში – შედარებით ნაკლებად). გასული საუკუნის 60–80-იანი წლები თურქეთში უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ხანაა: 1960 წ. 27 მაისის, 1971 წ. 12 მარტის, 1980 წ. 12 სექტემბრის (ე. ი. სამ) სამხედრო გადატრიალებას მოჰყვა სამოქალაქო მთავრობის დამხობა, რეპრესიები და დიდი სოციალური დაძაბულობა (სვანიძე, 2005:178;197;209). აღნიშნულ პერიოდში, რომელიც ისტორიაში დარჩა „ცივი ომის ეპოქის“ სახელწოდებით, საბჭოთა კავშირთან თურქეთის რესპუბლიკას, როგორც „ნატოს“ წევრ ქვეყანას, არაკეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა. ამდენად, აჰმედ ოზკანისა და მისი თანამოაზრეების საზოგადოებრივი საქმიანობა – კავკასიურ და ქართულ დიასპორებთან აქტიური თანამშრომლობა (და ეს მაშინ, როცა მთელი კავკასია და საქართველო საბჭოთა რუსეთის ნაწილია), ფაიკ ერთანთან (ხინკილაძესთან) ერთად საქართველოზე წიგნის გამოცემა, ჟურნალ „ჩვენებურის“ მთავარი რედაქტორობა, ინეგოლის სოფ. ჰაირიეში ქართული ცეკვის ანსამბლის შექმნა, ინეგოლის კავკასიური კულტურის ცენტრის შექმნა, ჩერქეზებსა და აფხაზებს შორის არსებული განხეთქილების მკაცრი კრიტიკა – სახელმწიფოს ძალოვანი და იდეოლოგიური სტრუქტურების მიერ გაგებულ იქნა საბჭოთა კავშირის სასარგებლო მუშაობად და სამშობლოს – თურქეთის – ღალატად. 1980 წ. 5 ივლისს აჰმედ ოზკანმელაშვილი მოკლეს. ამით ფაქტობრივად, სხვებიც დააშინეს. „აჰმედ ოზკანის მკვლელობამ არა მხოლოდ თურქეთის ქართველობა შეძრა. სტამბოლში გამომავალი აფხაზების გაზეთი „ნართების ხმა“ იმ დღეებში წერდა: „გლოვის დრო არა გვაქვს, ასეთი ადამიანების შემდეგ არ ტირიან, მათგან მხოლოდ მაგალითს იღებენ“ (ჩლაიძე, 2005:444).

ჟურნალი „ჩვენებური“, როგორც აღვნიშნეთ, თურქულ ენაზე გამოდიოდა და გამიზნული იყო როგორც ქართული წარმოშობის, ისე სხვა ეროვნების თურქულენოვანი მკითხვე-

ლისათვის. იგი იმთავითვე გაემიჯნა პოლიტიკას და, ძირითადად, ფოკუსირებული იყო ეთნოგრაფიაზე, ისტორიაზე, ლიტერატურაზე, ფოლკლორზე, ხელოვნების სხვადასხვა დარგსა და სპორტზე.

ჟურნალის პირველივე ნომრები ცხადყოფს, როგორ ცდილობენ რედკოლეგიის მესვეურები საქართველოსა და კავკასიის ისტორიის ძირითადი მომენტების, ქართული ყოფის, ზეპირსიტყვიერების ნიმუშების, ქართული კინემატოგრაფიის, მუსიკის, ხალხური ცეკვის თავისთავადობისა და სილამაზის წარმოჩენას, ამისათვის მიმართავენ დასავლეთევროპელ, ამერიკელ მეცნიერთა, მწერალთა, ჟურნალისტთა გამოკვლევებსა და ჩანაწერებს. ამის დასტურია მაგალითად, დევიდ ლანგის, ჯონ სტეინბეკის, ჟურნალისტ მარვინ კალბის, ცნობილი პოეტისა და მწერლის ნეჯათი ჯუმალის – საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ჩანაწერების და მისთ. გამოქვეყნება.

ასევე იყენებენ ქართველ ლიტერატორთა, ხელოვნებათმცოდნეთა, ფოლკლორისტთა, ისტორიკოსთა ნაშრომებს. „ჩვენებურის“ პირველ შვიდ ნომერში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავის თურქული თარგმანი. აჰმედ ოზკან-მელაშვილისეული ამ თარგმანის ავ-კარგზე მსჯელობა ჩვენი მიზანი არ არის, ამიტომ მხოლოდ იმის აღნიშვნას დავჯერდებით, რომ ა. ოზკანმა გაბედა ამ ურთულეს ტექსტს მარტო შეჭიდებოდა და, რაც მთავარია, თურქულენოვანი მკითხველისათვის ტექსტი ხელმისაწვდომი გაეხადა.

მრავალმხრივი ინტერესების მქონე ა. ოზკან-მელაშვილის ტრაგიკულმა დაღუპვამ „ჩვენებურზე“ გამანადგურებლად იმოქმედა. ჟურნალის გამოცემა შეწყდა, ბეჭდვა მხოლოდ 13 წლის შემდეგ, 1993 წ. გახდა შესაძლებელი. ამიერიდან ჟურნალს ორი ნომერი აქვს: პირველი, როგორც განახლებული გამოცემის ნომერი, მეორე კი, ფრჩხილებში, ძველი, შანვერ აქინისა და აჰმედ ოზკანისეული გამოცემისა. ახალმა რედკოლეგიამ ამგვარად გამოხატა თავისი პატივისცემა და ერთგულება წინამორბედთა დამსახურების მიმართ. განახლებული ჟურნალი 90-იან წლებში ხან ორ თვეში ერთხელ, ხან – კვარტალურად გამოდიოდა. სამწუხაროდ, 2007 წლისათვის მისი გამოცემა ისევ შეწყდა. მიზეზად უსახსრობა დასახელდა. 2007–2009 წლებში „ჩვენებურის“ ნიშის დაკავებას შეეცადა თურქულ-ქართული ორენოვანი, ილუსტრირებული, ფერადი,

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ჟურნალი „ფიროსმანი“ (მფლობელი: ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქე შენოლ თაბანი, მთავარი რედაქტორი: ფაჰრედინ ჩილოღლუ; რედკოლეგია: ქართველი და თურქი ჟურნალისტები, აღმოსავლეთმცოდნეები, ლიტერატორები, ხელოვნებათმცოდნეები, ეთნოგრაფები, ისტორიკოსები). სამწუხაროდ, ეს გამოცემაც არადღეგრძელი აღმოჩნდა. მიზეზი ისევ მწირი ფინანსები, ცუდი რეალიზაცია და ეკონომიკური კრიზისი გახდა.

90-იანი და 2000-იანი წლების „ჩვენებური“, უწინდელთან შედარებით, უფრო თავისუფლად მუშაობდა, რადგან თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები სსრკ დაშლის შემდეგ თვისებრივად შეიცვალა. ჟურნალის მფლობელი და აღმასრულებელი დირექტორი გახდა შევქეთ შირინი, შემდეგ „ენერგიული ლირიკოსი“ ოსმან მერჯანი (ოთარ იმედაშვილი). რედკოლეგიის მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ იმჟამად სრულიად ახალგაზრდა ჟურნალისტი ფაჰრედინ ჩილოღლუ (ბექა ჭილაშვილი), ექიმი და მთარგმნელი ჰასან ჩელიქი, სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი იბერია ოზკან-მელაშვილი, აჰმედ ოზკან-მელაშვილის ვაჟი, ჰაირი ჰაირიოღლუ (ვ. მალაქმაძე), მუსტაფა იაკუთი, ისმაილ იაზიჯი და სხვანი. ჟურნალის რედაქციასთან სრულიად უანგაროდ თანამშრომლობდნენ ქართველი მეცნიერები, მწერლები, პოეტები. შეიძლება ითქვას, 70-იან წლებში ორპოლუსიანი ეპოქის იდეოლოგიური თავისებურებების მიუხედავად – ისინი ხომ რუსული და თურქული ცენზურის გამამდიდებელი შუშის ქვეშ მუშაობდნენ – მათ მეტად ღირებული, მეცნიერულად დასაბუთებული ინტელექტუალური პროდუქტი შექმნეს.

ჟურნალში ფუნქციონირებდა შემდეგი რუბრიკები: რედაქტორის სვეტი, თვალსაზრისი (საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მიმოხილვა), ინტერვიუ (რომელიმე ქართველ მეცნიერთან, საზოგადო მოღვაწესთან ან მაღალ სახელმწიფო მოხელესთან), ისტორია (საქართველოს, საქართველო-ოსმალეთის, საქართველო-თურქეთის ურთიერთობები, ქართული ხელოვნების ისტორია), კულტურული ცხოვრების ქრონიკა („თურქეთელი“ ქართველები საქართველოში ან პირიქით, ქართველები თურქეთში), ლიტერატურა და ხელოვნება (ქართველ და არაქართველ მკვლევართა შეხედულებები ქართულ ლიტერატურაზე, ქართული

ლიტერატურის ნიმუშები და მათი თურქული თარგმანები სხვადასხვა ავტორის მიერ შესრულებული), ეთნოგრაფია და ფოლკლორი, ქართული ენის გაკვეთილები, თურქული პრესის დაიჯესტი (საქართველოს, საქართველო-თურქეთის ურთიერთობაზე ინფორმაცია), ზოგჯერ საბავშვო გვერდი (ქართული საბავშვო ლიტერატურის ნიმუშები თურქული თარგმანებით).

რედკოლეგიის წევრთა თავდადებული შრომის ნაყოფს სტატიის მოცულობის შეზღუდულობის გამო გამოწვლილვით ვერ განვიხილავთ. ერთი კი თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, 90-იანი და 2000-იანი წლების განახლებული „ჩვენებურის“ მეშვეობით შეგვიძლია აღვადგინოთ ჩვენი უახლოესი წარსულის ბობოქარი ეპიზოდები და საქართველო-თურქეთის ოცწლიანი ურთიერთობების განვითარების დინამიკა (როგორც ცნობილია, თურქეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა – 16.12.1991 და შემდეგ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა – 15.02.1992 (სვანიძე, 2005: 273–274).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ყველაზე მტკივნეული მოვლენა ქართული საზოგადოებისათვის აფხაზეთის საკითხია. ამ პრობლემამ სათანადო ასახვა ჰპოვა ჟურნალის ფურცლებზე. ერთ-ერთი სტატიის ავტორი ფაჩრედინ ჩილოღლუა (1997 წელს იგი, სამწუხაროდ, „ჩვენებურის“ რედაქციიდან წავიდა. დააარსა დამოუკიდებელი, მეტად საინტერესო ჟურნალი „მამული“, მაგრამ მხოლოდ ოთხი ნომრის გამოცემაღა შეძლო. „მამულში“ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხებს საყურადღებო სტატიები მიუძღვნა).

1993 წ. №1 (8) ნომერში ფ. ჩილოღლუ თავის სტატიაში „აფხაზეთის პრობლემა“ აღნიშნავს: „ძნელია, მაგრამ უნდა შევეცადოთ გავუგოთ თურქულ პრესას ამ საკითხის გაშუქებისას. ჟურნალისტები სოჭის გავლით გუდაუთაში ჩავიდნენ და მეტლის მხოლოდ ერთი მხარე დაინახეს.

არც თბილისის ხელისუფლების, არც რეგიონში მცხოვრები ხალხების (აფხაზების, ქართველების, სომხების, რუსების) შეხედულებები გაითვალისწინეს. ამაში თურქეთის აფხაზების გავლენა, როგორც ჩანს, განმსაზღვრელი იყო“ [Çveneburi, 1993, №1 (8): 28]. ავტორს არ ავიწყდება იმის დაფიქსირებაც, რომ „XIX ს. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსებმა ჩრდილო კავკასიის ხალხები თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან აყარეს და შავ ზღვასთან მათი გასვლა

აღკვეთეს". ჩილოღლუს აზრით, საქართველოს საზღვრის მრავალგზის ხელყოფა კონფედერატების მიერ „გახდა ის წვეთი, რომელმაც მოთმინების ფიალა აუვსო თბილისს და იძულებული გახდა სოხუმში ჯარი შეეყვანა" [ibid]. ავტორი იმედოვნებს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგის ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი სიტყვა „მშვიდობა", „მეგობრობა" და „თანამშრომლობა" გახდება და ყველაფრის მიუხედავად ქართველი და აფხაზი ხალხები არსებულ პრობლემებს დაძლევენ" (Çveneburi, 1993, №1 (8): 28–29).

ქართველთა და აფხაზთა ძმობაზე საუბრობს თავის ინტერვიუში აჰმედ ჯეილანთან გიორგი ჯანჯღავა, იმხანად ტრაპიზონში საქართველოს გენკონსული (Çveneburi, 2000, №35: 9–10).

ჟურნალმა „ჩვენებურმა" სამართლიანი კრიტიკული პოზიცია გამოხატა რამდენიმე თურქულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით, სადაც მათი ავტორები უმეცრებით, თუ შეგნებულად ან კიდევ რაღაც მიზეზების გამო საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მონაკვეთის გაყალბებას შეეცადნენ. ასე მაგ.: სტატიაში „დემაგოგიის სპეციალისტები" რედკოლეგიის წევრი ჰაირი ჰაირიოღლუ (ვ. მალაყმაძე) პუნქტებად განიხილავს ჟურნალ „ქართეფეში" დაბეჭდილ „გამოკვლევას", სადაც მისი ავტორი, ვინმე მ. ბაჩეკი ქართველებს (გურჯებს) და მეგრელებს განიხილავს, როგორც შუა აზიიდან ემიგრირებულ და ართვინის შემოგარენში დასახლებულ თურქულ ტომს; ბაგრატიონთა დინასტია, მისი აზრით, ძველი ოღუზური წარმომავლობისა ყოფილა, 575 წლიდან ჩორუხის გვარიდან წარმოშობილა და ზემო არასის მხარეში გაბატონებულა; ქართული ენა სომხურის უხეში ვარიანტია და მისთ. ბ-ნი ჰაირიოღლუ (მალაყმაძე) ამ „მარგალიტების" ავტორს მოუწოდებს კეთილსინდისიერებისაკენ და ქართულ-თურქული კეთილმეზობლური ურთიერთობების დაცვისაკენ (Çveneburi, 1993, №1 (8): 29–33).

„რკინის ფარდის" ჩამოვარდნის შემდეგ ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა პრობლემური აღარ იყო, 1992 წ. ივლისში საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის მთავრობის ოფიციალური დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ს. დემირელის მეთაურობით. ამ ვიზიტის შედეგი იყო ჩარხი ხელშეკრულება „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის მეგობრობის, თანამშრომ-

ლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ“. მას მოჰყვა ხელშეკრულებების წყება: „განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“; „სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“; „ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ“; „საჰაერო მიმოსვლის“; „საერთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლის შესახებ“; „საზღვაო შეთანხმებები და სხვა. პრიორიტეტული მიმართულებები გახდა სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის, ტრანსპორტირების, სამშენებლო მასალების, ტურიზმის სფეროები. ხსენებული ხელშეკრულებების ამოქმედების შედეგად ქართული, თურქული და არათურქული წარმოშობის თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ეცნობიან ჩვენს ქვეყანას. ზოგიერთი მათგანის მოგზაურობის შთაბეჭდილებები ხვდება ჟურნალ „ჩვენებურის“ ფურცლებზე. ასეთია მაგალითად, პროფ. თურქჟაია ათაოვის პუბლიკაცია "Tbilisi'ye kısa uzanma" – „მოკლე ხელის გაწვდენა თბილისს“ (Çveneburi, 1993, №26: 3–8). იგი იხსენებს თავის პირველ სტუმრობას თბილისში, სადაც მოსკოვიდან ჩამოვიდა და ადარებს უკვე 1997 წ. ნანახსა და განცდილს. პროფ. ათაოვი პრემიერ-მინისტრ ს. დემირელის დელეგაციის შემადგენლობაში იყო და უმაღლესი დონის შეხვედრაში მონაწილეობდა. მისი ლაკონიური, საქმიანი და თბილი წერილი თურქულენოვან მკითხველს აცნობს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის მოგზაურობის შთაბეჭდილებასა და ნანახის მოკლე და ზუსტ ანალიზს, არამედ ქვეყნის ისტორიის შემეცნებითი ხასიათის მიმოხილვას. ამავე სულისკვეთებითაა დაწერილი რუია ოზქალქანის "Tiflis'ten Sarp'a garip bir yolculuk" – „არაჩვეულებრივი მგზავრობა თბილისიდან სარფში“ [Çveneburi, 1994, №11–12: 17–22], დემირთაშ ჯეჰუნის "Bence dünyanın damı Kafkasya" – „ვგონებ, კავკასია სამყაროს სახურავია“ (Çveneburi, 1998, №28: 3–5) და სხვა.

„ჩვენებური“ მეტად საინტერესო მასალას აწვდის მკითხველს ეთნოგრაფია-ფოლკლორის რუბრიკაში. ასე მაგ.: ქენან იაშარი (ურბენიძე) თავის სტატიაში „შავშეთ-იმერხევში მცხოვრები ქართველების ერთი წელი“ (Çveneburi, 2006, №58–59: 17–18) აღწერს შავშელ-იმერხეველთა შრომასა და გართობას. ავტორის თქმით, „ართვინის ილიდან გამოსული განათლებული ხალხი საყოველთაოდ ცნობილია, იქნება ეს ხელ-

მძღვანელი, ექიმი, ექთანი, ინჟინერი თუ სახელმწიფო მოხელე. ამ ადამიანებს ყველგან შეხვდებით, ხოფაში, ჩაის პლანტაციაში, ბორჩხაში, სკასთან მდგომს ნიღბით, იუსუფველიში ზეთისხილის ხის ძირში მოფუსფუსეს. იმერხეველთა საქმიანი მღელვარება არასოდეს მთავრდება. ივნისში ელოდებიან ნათესავ-ახლობლებს. ბალახი წელამდე წვდებათ. აპრილში დათესილ ყანებში სიმინდი უკვე გასათოხნია, ანუ „ჩალობის“ – („მკისა“) და „ფხეკის“ (ყანის გათოხნის) დროა. ბარის ტარი უნდა შეაკეთონ, ცელი გალესონ. ცელის „კოდვის“ შემდეგ მდელოზე იწყება „ხელის გამოღება“. მზის ამოწვერამდე საქმის მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება. ბალახს კაცები მკიან, იშვიათად – ქალები. ბალახს იქვე ტოვებენ, რათა გამოშრეს. რამდენიმე დღის შემდეგ გადმოატრიალებენ. ამას ძირითადად ქალები აკეთებენ. შემდეგ გამხმარ ბალახს მოაგროვებენ და „ჰორომი“ რომ ეწოდება იმერხევში, შეკვრად აქცევენ. იმ სოფლებში, რომლებსაც სწორი და გაშლილი მდებარეობა აქვთ, „ჰორომი“ არ კეთდება, რადგან ამ ადგილებში ბალახი გროვებად გადააქვთ. გადააქვს საქონელს. ვიწრო ფართობებზე კი ზურგზე მოკიდებული მიაქვთ. როგორ? სქელი თოკი გაიფინება "U"-ს ფორმით, მასზე მწკრივდება „ჰორომები“, მერე შეიკვრება და ტვირთიც გადასატანად მზადაა. თუ ამ საქმეს ხალხმრავალი ჯგუფები აკეთებენ, მხიარულებით დასრულდება, თუ მარტო აკეთებ – აუტანელია. მკა/თიბვა საერთო მხიარულებაა. გარმონის თანხლებით იალაღიდან თამაშით მიდიან მოსაკვლად. შუადღემდე მუშაობენ, შუადღეს ახალ მაწონს, ჭადს, გამდნარ ფშვინილას შეექცევიან. ამ დროს ბავშვები ტყეში აგროვებენ „ჯოლი“-ს („მთის მარწყვი“), „თიყურძენა“-ს და ფიჭვის კეკს. სალამოს ბრუნდებიან იალაღში. ვახშმობის შემდეგ მოედანზე ანთებენ კოცონს, მხიარულობენ და „ბერობანას“ თამაშობენ. მოქმედი პირებია ქალებად გადაცმული ვაჟები, ნახშირით შეღებილი სახით, ხელში ჯოხებით – ესენი „ტურები“ არიან. ბერი დედოფლის ქმარია. დედოფალი შესმული ჰყავთ ცირზე. მას იცავენ ტურები და „ოჭირავა“-სთან მიდიან. დედოფალს იტოვებენ, რასაც მოჰყვება დიდი ორომტრიალი. ვინც დედოფალს დააბრუნებს, ასაჩუქრებენ“ (Çveneburi, 2006, №58–59: 18). ქენან იაშარის (ურბენიძის) მოხმობილ მასალაში სამეურნეო ტერმინოლოგია და ხალხური დღესასწაული „ბერობანა“ იქცევს ყურადღებას. „ბერობანა“ აშკარად აღმოსავლეთ საქართვე-

ლოში გავრცელებული „ბერიკაობის“ ანალოგია. სამწუხაროდ, ავტორის აღწერიდან არ ჩანს „ბერიკაობის“ ცნობილი ინდ-ბები, კონკილა, გარმონის გარდა, სხვა რაიმე მუსიკალური ინსტრუმენტები მონაწილეებს ჰქონდათ თუ არა.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში (მაგ.: ნ. ბრეგაძე, საქართველო – მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბილისი, 2004; ჯ. რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, თბილისი, 1966 და სხვ.) „ბერიკაობის“, როგორც საგაზაფხულო აგრარული დღესასწაულის დეტალები აღწერილია. უდავოდ საინტერესო იქნებოდა შავშეთ-იმერხევის ვარიანტთან აღმოსავლეთ ქართულის შედარება. მაგრამ ეს უკვე სხვა სტატიის თემაა.

ეთნოგრაფიული მასალის ჩინებული ნიმუშებია ასევე, მაგალითად, ჯელიდ შაჰინის (გუნდარიძის) „მაჭახელაში დაქორწინება“; ოზლემ აკალთუნის (კურდიკიძის) „იმერხევის ქართველებში ქორწილი“ (Çveneburi, 2000, №36, 31–32) და სხვა მრავალი.

არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ისეთ საინტერესო საკითხს, როგორიცაა ისტორიული საქართველოს – ტაო-კლარჯეთის – ხუროთმოძღვრება. 90-იანი წლების მიწურულს „ჩვენებურის“ ფურცლებზე ჩნდება 3 პროფესიული, გამართული ანგარიში თურქეთში ჩვენი ძეგლების დიდი მოჭირნახულის, ხელოვნებათმცოდნისა და არქიტექტორის ქალბატონ მინე კადიროღლუსა და მისი მოსწავლეებისა. მოგვიანებით, ქ-ნი მინე თავის ერთგულ შეგირდს, ქ-ნ ფაჰრიე ბაირამს დამოუკიდებლად შემდგომი კვლევის წარმართვას ავალებს. ბატონი ერგუნ ათაბაის – გურამ ქოქოლაძის შემწეობით ქ-ნი ფაჰრიე ბეჭდავს პოლიგრაფიულად შესანიშნავად შესრულებულ საინტერესო გამოკვლევას თურქულ ენაზე „შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა“, რომელშიც საკუთარ მასალასთან ერთად მისი მასწავლებლის მონაცემებიც გამოიყენა (Çveneburi, 1999, №31: 25).

ჟურნალი „ჩვენებური“ თურქულენოვან მკითხველს თანმიმდევრულად აცნობს ქართულ მწერლობასა და პოეზიას. ამის დასტურია ფ. ჩილოღლუს სტატია „ქართული ლიტერატურის მიმოხილვა“ (Çveneburi, 1993, №1 (8)), წერილები ვაჟა-ფშაველას (Çveneburi, 1998, №30), ილიას, აკაკი წერეთლის, ნოდარ დუმბაძის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა შესახებ მთელ

რიგ ნომრებში. გალაკტიონის, თამაზ ჭილაძის ჰასან ჩელიქისეული თარგმანები (Çveneburi, 1998, №30), ალი ალთუნის გალაკტიონის ლექსების თარგმანები (Çveneburi, 1998, №28) ქართულ-თურქული პარალელური ტექსტებით. ფ. ჩილოღლუს სტატია ნიკო ნიკოლაძეზე (Çveneburi, 1994, №11–12, 11), მ. ლებანიძისა – ქართულ პოეზიაზე (Çveneburi, 2000, №36). ტ. ტაბიძესა და პ. იაშვილზე (Çveneburi, 2004, №51) ქემან ოზუდოღრუს სტატია.

ქართული ენის შესწავლის მსურველები ამ ჟურნალში საჭირო მასალას იპოვიან. „ჩვენებური“ საგანგებოდ უთმობს თავის ფურცლებს ქართული ენის გაკვეთილებს. ფ. ჩილოღლუ რამდენიმე ნომერში მასალას, ენის სწავლების მეთოდიკის თვალსაზრისით, მართებულად ალაგებს. მანვე გამოსცა თურქულ ენაზე ი. გოგებაშვილის მიხედვით „დედა ენა“, რომლითაც ჩვენ თურქეთიდან ჩამოსულ სტუდენტებს ქართულს ვასწავლით.

ქართული ცეკვის შესწავლის მსურველები ცეკვების სქემებს იპოვნიან, სიმღერის შესწავლის მოსურნენი ნოტებს – მაგ.: სულიკო (Çveneburi, 1993, №1 (8): 25). ქართული სამზარეულოთი დაინტერესებულები – ჩვენებური კერძების რეცეპტებს.

„ჩვენებური“ ქართველი მკითხველისათვის უაღრესად საჭირო და საინტერესო მასალას ბეჭდავს თურქეთში მცხოვრები ქართველების ზეპირსიტყვიერების ნიმუშების სახით. ასე, მაგალითად, შაირებს (Çveneburi, 1998, №27) – „ოდელია ლალებით, / ჩამწკრივულან ქალებით / ერთი შეხედვით მიხვდები / რუმელს შევებრალებით“. „წიფლი ფოთლი ნუსხას დავწერ / დამწიფული მოცვითა / გოგოვ, ერთი მაკოცნინე / გევდარ, წავალ ლოცვითა“. „თურქეთელი ჩვენებურების“ ლეგენდებს, თქმულებებს, ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს, ქართულ სოფლებში გავრცელებულ შელოცვებს წარმატებით სწავლობდა ჩვენგან უდროოდ წასული ჩინებული თურქოლოგი და პიროვნება, ქ-ნი ლელა დადიანი, რომლის საინტერესო სტატიის თურქული თარგმანი „ჩვენებურის“ ფურცლებზე დაიბეჭდა 1999 წ. №34-ში. სამწუხაროდ, მას ამ დიდი სამუშაოს დასრულება არ დასცალდა.

ჟურნალ „ჩვენებურზე“ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. ამ ჯერზე აღნიშნულით შემოვიფარგლებით. გამოცემამ 14 წელი

გაძლო. ჟურნალმა ობიექტურად გააშუქა საქართველოში ამ 14-წლიან რთულ მონაკვეთში მიმდინარე მოვლენები და სათანადო ფორმით მიაწოდა თურქულენოვან მკითხველს. ამით იგი ცდილობდა (სხვა თურქულ გამოცემებთან ერთად, როგორიცაა მაგალითად, სამთავრობო გამოცემები „ხიდი", „მეგობრობა) სათანადო დადებითი განწყობილება შეექმნა თურქულ საზოგადოებაში საქართველოს მიმართ. ვფიქრობთ, რომ რედკოლეგიის აწონილმა, ზომიერმა პოლიტიკამ თურქეთში სათანადო შედეგი გამოიღო. ქართველი მკითხველისათვის კი ჟურნალი ღირებულია არა მხოლოდ როგორც გულშემატკივარი და პროპაგანდისტი ქართული კულტურისა, არამედ როგორც ისტორიული საქართველოს ცოცხალი მემატიანე, რომელიც ცდილობს გაგვაცნოს საზღვარს იქით დარჩენილ თვისტომთა ქარტეხილებგამოვლილი სულიერი მემკვიდრეობა.

წყაროები

ჩვენებური, 1977 – Çveneburi, №2–3, Stockholm, 1977.
ჩვენებური, 1979 – Çveneburi, №6–7, Istanbul, 1979.
ჩვენებური, 1993 – Çveneburi, №1 (8), Istanbul, 1993.
ჩვენებური, 1993 – Çveneburi, №26, Istanbul, 1993.
ჩვენებური, 1994 – Çveneburi, №11–12, Istanbul, 1994.
ჩვენებური, 1998 – Çveneburi, №28, Istanbul, 1998.
ჩვენებური, 2000 – Çveneburi, №36, Istanbul, 2000.
ჩვენებური, 2006 – Çveneburi, №58–59, Istanbul, 2006.

ლიტერატურა

სვანიძე, 2005 – სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1923–2000 წწ.), III, თბ., 2005.

ჩლაიძე, 2005 – ჩლაიძე ლ., „თურქეთელი" ქართველები, კრებულში „საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე", თბ., 2005.

Marine Shonia

JOURNAL " CVENEBUREBI" AND ITS ROLE IN THE POPULARIZATION OF GEORGIAN CULTURE IN TURKEY

Summary

The author of the article tried to study the role of the journal "Chveneburebi" in popularization of Georgian culture and science in Turkey.

The journal was published in Turkish for Turks of Georgian origin and other nationalities. It was separated from politics and mainly was focused on ethnography, history, literature, folklore different kinds of art and sport.

The journal has been published for 14 years. It objectively reported current events in Georgia during 14 years. Doing it the journal (with the other Turkish publications such as the governmental publication "Khidi" - The Bridge, "Megobroba" - The Friendship) tried to make a positive attitude towards Georgia in the Turkish society. We think that the measred politics of the editorial board in Turkey had a corresponding results. For Georgian readers the journal is valuable not only as a fan of Georgian culture but as a live chroniclerof historic Georgia that tries to introduce the spiritual heritage of Georgian ethnos abroad.

უჩა ბლუაშვილი

ქართულ-სომხური ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის პერსპექტივები ევროკავშირის ქვეყნების (პოლონეთი, გერმანია, ბელგია, ჰოლანდია) გამოცდილების ფონზე

ევროპული სამეზობლო პოლიტიკისადმი ევროკავშირის მიერ შემუშავებული ახალი მიდგომის თანახმად 2014 წლიდან ეს ორგანიზაცია აპირებს გაძლიერებული დახმარება აღმოუჩინოს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ევროკავშირის მოსაზღვრე პარტნიორ 16 ქვეყანას. ამ ქვეყნების რიცხვში არიან საქართველო და სომხეთიც. სწორედ სომხეთ-საქართველოს შორის ტრანს-სასაზღვრო ურთიერთობების შემდგომი განვითარების მიზნით პოლონურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „პრო-აკადემიამ“ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით შეარჩია 15 კაცისგან შემდგარი ქართულ-სომხური ჯგუფი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღნიშნული პროექტი სამ ეტაპად წარიმართა. პირველი ეტაპი - საინფორმაციო სესია 2013 წლის 2-6 სექტემბერს შედგა თბილისში. მეორე ეტაპი - გასაცნობი მოგზაურობა ევროპაში შედგა 5-16 ოქტომბერს. ჯგუფი სტუმრობდა პოლონეთის, გერმანიის, ბელგიისა და ჰოლანდიის სასაზღვრო რეგიონებს. ჩვენ შევისწავლეთ პოლონეთ-გერმანიის, ჰოლანდია-ბელგიის ტრანს-სასაზღვრო ურთიერთობები, მოვისმინეთ ევრორეგიონის რჩეული პროექტების პრეზენტაციები გორძოვო ველიკოპოლსკაში (პოლონეთი), ეუნატენში (ბელგია), ახენში (გერმანია), ანტვერპენში (ბელგია), ლოძში (პოლონეთი), ვარშავაში (პოლონეთი), ბრიუსელში შევხვდით ევროპარლამენტის წარმომადგენლებსაც. პოლონელმა და გერმანელმა წამყვანმა სპეციალისტებმა წაგვიკითხეს ლექციები ევროკავშირის ქვეყნების დამაკავშირებელი ავტოსატრანსპორტო გზების, საბაჟო კავშირის, ტრანს-სასაზღვრო ურთიერთობების შესახებ და ა. შ.

საინტერესო პროექტი ხორციელდება პოლონეთის სასაზღვრო პატარა ქალაქ ვიზნიცაში. აქ ევროკავშირის დაფინან-

სებით შექმნილია სამაშველო ცენტრი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სახანძრო რაზმით, რომელსაც მოხალისე ვიტნიცელები ემსახურებიან, პოლიციის 22 კაციანი ჯგუფით, მაშველთა რაზმით და ა. შ. სამაშველო ცენტრი მოქმედებს გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ზონის ორივე მხარეს. გერმანული მხარე სასაზღვრო ცენტრს ეხმარება სემინარებისა და სწავლებების მოწყობაში. ნაწილობრივ სამაშველო ცენტრს ვიტნიცას ადგილობრივი ბიუჯეტიც აფინანსებს. „პოლიტიკა ვარშავაშია, აქ კი გადამწყვეტი ეკონომიკაა. ამიტომაც არის, რომ მე და ჩემი ბურგომისტრი (მერი) ამ თანამდებობებზე უკვე 22 წელია ვიმყოფებით“, - განაცხადა ჩვენთან საუბარში ვიტნიცას ბურგომისტრის მოადგილემ.

ცხადია, ეს ფაქტი, ერთი მხრივ, ვიტნიცას სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებაზე მეტყველებს, არც ადამიანური ფაქტორის - ბურგომისტრის და მისი მოადგილის მაღალი მორალური თვისებები და ორგანიზატორული უნარი იქნება ნაკლებმნიშვნელოვანი, მეორე მხრივ კი, მასში ალბათ, ადგილობრივი ოპოზიციის სისუსტეც აისახება.

ბელგიის სასაზღვრო ქალაქ ეუპენში ევრორეგიონის პროგრამის გაერთიანებულ ტექნიკურ სამდივნოში გავეცანით ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის ორ პროექტს. პირველი სამედიცინო სფეროში თანამშრომლობას შეეხებოდა, მეორე ველოსპორტს. ჰოლანდია-ბელგიის სასაზღვრო ზონაში მოწყობილია კარგად გამართული საველოსიპედო გზები. ამ გზებით სარგებლობა ტურისტებისთვის უფასოა. მასპინძლებმა აგვიხსნეს, რომ საველოსიპედო ტრასების არსებობა აქ ტურისტებს იზიდავს. ეს კი დამატებითი შემოსავალია.

სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო ზონაში უსწორმასწორო რელიეფის გამო ველოსპორტის განვითარების შესაძლებლობა არ არსებობს. სამაგიეროდ, აქ შესაძლებელი იქნება საცხენოსნო ტურიზმის განვითარება, რაც შეიძლება ადგილობრივი ბიუჯეტების შევსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცეს ორივე ქვეყნის სასაზღვრო რეგიონებისთვის.

ბელგიელ მასპინძლებს კითხვა ქვეყნის ფედერალურ სტრუქტურებსა და ფლანდრიის ურთიერთდამოკიდებულებაზეც დავუსვით: ექვემდებარება თუ არა ფლანდრია ფედერალურ ხელისუფლებას? პასუხი საკმაოდ ბუნდოვანი იყო. ფორმალურად ფლანდრია რჩება ბელგიის შემადგენლობაში. მისი ბიუჯეტის რაღაც ნაწილი ფედერალურ ბიუჯეტში ირიცხება,

თავის მხრივ, ცენტრალური ბიუჯეტიც ურიცხავს გარკვეულ თანხებს ფლანდრიას. ყველა სხვა მხრივ ბელგიის ეს მნიშვნელოვანი რეგიონი სრული შეუვალობით სარგებლობს. როგორც ჩანს, არ არსებობს ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის მკაფიოდ ჩამოყალიბებული დოკუმენტი. ამით კი სარგებლობს სეპარატიზმისკენ მიდრეკილი რეგიონი.

ამის მიუხედავად, ფლანდრიის შემთხვევა შეიძლება საინტერესო იყოს საქართველოსთვის და სომხეთ-აზერბაიჯანისთვისაც.

ბრიუსელში შეხვედრა გვქონდა პოლონეთის ქალაქ ლოძის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან. ეს საკმაოდ საინტერესო სტრუქტურა მოწოდებულია ხელი შეუწყოს პოლონელ ბიზნესმენებს ბელგიელ კოლეგებთან თუ სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაში. ჩვენში ამ ფუნქციას არაოფიციალურად საელჩოები ასრულებენ. აქ კი შექმნილია ოფიციალური სტრუქტურა ფართო ბიზნესკავშირებით, რომელიც ასევე ოფიციალურად ასრულებს შუამავლის ფუნქციას და რომლის საქმიანობიდან არა მხოლოდ ამ ორგანიზაციის, ქვეყნის ბიუჯეტიც ივსება. აქვე თავისი საქმიანობის შესახებ გვიამბო სიმპათიურმა ხორვატმა გოგონამ - კატერინამ. მის საინფორმაციო ბანკში უკვე ინახება ინფორმაცია 400-ზე მეტი ფირმის შესახებ, რომლებთანაც, ჩვენი სურვილის შემთხვევაში, კატერინას ჩვენი დაკავშირებაც შეუძლია.

საინტერესო პროექტებს გავეცანით ლოძის ტექნოპარკში. ამ დაწესებულების მიზანს ბიზნესისა და მეცნიერების კოორდინაცია წარმოადგენს. ტექნოპარკს ჰყავს აქციონერები როგორც ბიზნესის, ისე სამეცნიერო სფეროებიდან. ლოძის ტექნოპარკში ამჟამად 75 საწარმოსთვის არის ადგილი, რომელთაგან მხოლოდ 40 პროცენტია დატვირთული. მისი უმთავრესი ფუნქცია ფირმების ინკუბაციაა.

საქმიანობის დაწყებისას ტექნოპარკს 75 პროცენტით აფინანსებს ევროკავშირი, 25 პროცენტს იხდის საწარმო. ყოველ მომდევნო წელს კი საწარმოთა წილი დაფინანსებაში 15 პროცენტით იზრდება.

ლოძის ტექნოპარკში საშუალება გვქონდა კონკრეტულ მაგალითებზე დავრწმუნებულიყავით ამ წამოწყების სიკეთეში.

ამასთან, იყო ისეთი პროექტებიც, რომლებიც ჩვენში მწარე ირონიას იწვევდნენ. მაგალითად, ლოძში ჩვენმა მასპინძლებმა მოგვითხრეს პროექტზე, რომლის მიზანია ბაყაყების სტერი-

ლიზაცია. თურმე, ამის საჭიროებას ის იწვევს, რომ დიდმა ბაყაყებმა პატარები არ შეჭამონ. ჩვენ ვეცადეთ, მაგრამ ვერ გავარკვიეთ - რა შუაში იყო სტერილიზაცია დიდი ბაყაყების მადასთან, თუმცა, თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ „პრობლემის“ გადაწყვეტაზე ევროკავშირი მილიონებს ხარჯავს, მაშინ, როდესაც მსოფლიოში უამრავი ბავშვი იღუპება შიმშილის, უწამლობის თუ სხვა მსგავსი მიზეზის გამო, მარაზმი და იმის მკაფიო მაგალითია, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის უაზრობა (ეს იმ შემთხვევაში, თუ აქ ფრანგების ან სხვა ბაყაყისმჭამელთა პრაგმატული ინტერესი არ ფიგურირებს).

ბრიუსელში და ლოძის ევროპულ ინსტიტუტში შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით ევროკავშირის საქმიანობას. ევროპარლამენტის ადმოსავლეთთან პარტნიორობის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ, პოლონელმა იაჩეკ სარიუს ვოლსკიმ განაცხადა, რომ საქართველოს შესახებ მის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი უკვე მოიწონა კომიტეტმა. მასში კი ნათქვამია, რომ საქართველომ გადადგა ნაბიჯი უკან დემოკრატიის გზაზე, ვანო მერაბიშვილი კი აღიარებულია პოლიტიკურ პატიმრად. ვოლსკის ეს თეზისი მაშინვე გააპროტესტეს ჩვენი ჯგუფის ოცნებელებმა. „რატომ აკეთებთ ნაჩქარევ დასკვნებს მერაბიშვილის პოლიტიკურ პატიმრად აღიარების თაობაზე? გაიმართოს სასამართლო და დასკვნებიც ამის შემდეგ გააკეთეთ,“ - უთხრეს მათ ევროპარლამენტის წარმომადგენელს. საინტერესო იყო ვოლსკის პასუხი: „ჩვენ მოვუსმინეთ სამ პროკურორს, სამივეს მიერ წამოყენებული ბრალდებები და ამ ბრალდებების სასარგებლოდ მოპოვებული მტკიცებულებები სასაცილო იყო.“

ვოლსკის განმარტებით, ვილნიუსის სამიტზე ასოცირებულ წევრად მიიღებენ უკრაინას, საქართველო კი მხოლოდ საწყის ხელშეკრულებას მოაწერს ხელს. ჩვენი ჯგუფის წევრის, ერევნის უნივერსიტეტის პროფესორის, აშოთ კარაპეტიანის შეკითხვაზე - რახან პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან სომხეთი უკვე უერთდება საბაჟო კავშირს, აზერბაიჯანიც მერყეობს, ბელორუსია კი თავიდანვე რუსეთთან იყო და არის, ხომ არ დადგა დრო, რომ ევროკავშირმა გადასინჯოს თავისი აღმოსავლური პოლიტიკაო, ვოლსკიმ უპასუხა, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით თუ რა ძლიერ ზეწოლას განიცდიან პოსტსაბჭოთა ქვეყნები რუსეთის მხრიდან. სომხეთმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სწორედ რუსული ზეწოლის შედეგად, ამიტომ ჩვენ არ

ვაპირებთ შევეგუოთ რუსულ დიქტატს და თუ აქამდე ევროკავშირს ორჭოფული პოზიცია ეკავა - ვთქვათ, მაშინ, როდესაც რუსეთი ძალადობდა საქართველოზე, ამიერიდან ჩვენ ვიქნებით გაცილებით კატეგორიულები. იქნება ეკონომიკური ზეწოლა რუსეთის მხრიდან პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, ევროკავშირი დააწესებს ემბარგოს რუსულ პროდუქციაზე, რუსეთი შეეცდება პოლიტიკური ზეწოლა განახორციელოს ამ ქვეყნებზე, ევროკავშირი გააძლიერებს პოლიტიკურ ზეწოლას რუსეთზე და ა. შ.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჯგუფში გამართული შინაურული დისკუსიის დროს მე აღვნიშნე, რომ ვოლსკი და, საერთოდ, ევროკავშირის პოლონელი დელეგატები, ბალტიის ქვეყნების დელეგატებთან ერთად წარმოადგენენ ევროპარლამენტის ანტირუსულად განწყობილ რადიკალურ ფრთას, რის გამოც მათი სიმპათიები ასეთივე პოზიციის მქონე სააკაშვილის მხარესაა. ამიტომაც არა მგონია ევროპარლამენტმა კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის მწვავე დებულებები გაიზიაროს-მეთქი. 25 ოქტომბერს გამართულმა ევროპარლამენტის სხდომამ დაადასტურა ჩემი ვარაუდი - რეზოლუციიდან ამოღებულია აბზაცი, რომელის თანახმადაც მერაბიშვილი პოლიტიკურ პატიმრად ცხადდებოდა.

ჩვენი მოგზაურობის კულტურული პროგრამიდან აღსანიშნავია სამხრეთ ევროპაში უძველესი ტაძრის მონახულება ქ. ახენში (გერმანია). ტაძარი საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს როგორც თავისი მასშტაბებით, ისე არქიტექტურითაც. იგი აგებულია კარლოს დიდის ეპოქაში - მე-8 ს-ის მეორე ნახევარსა და მე-9 ს-ის დასაწყისში და მასში თვით კარლოს დიდი განისვენებს.

დავათვალიერეთ, აგრეთვე, ბელგია-ჰოლანდიის საზღვარზე მდებარე ციხე-სიმაგრე. თავის დროზე იგი იტალიელებს აუგიათ ჰოლანდიელთა თავდასხმების მოსაგერიებლად. სწორედ მათ შემოუსაზღვრავთ ის ოთხივ მხრივ ფართე და ღრმა არხით. ორღობე გვიანდელი ციხე-სიმაგრის ქვიტკირის მკვიდრად ნაგები კედლები კი ნაპოლეონს ეკუთვნის. ციხე-სიმაგრეში ყველაფერია გაკეთებული ტურისტების მისაზიდად - კაიუტა ხღვის ხმაურის იმიტაციით, საომარი ბატალიების ამსახველი სქემები და კომპიუტერული სურათები და სხვ. ეს ციხე-სიმაგრე იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მიიზიდო ტურისტები.

ჩვენმა პოლონელმა კურატორებმა გაოცებით შენიშნეს, რომ ჩვენ ვართ პირველი ჯგუფი (მანამდე იყო პოლონურ-ლიტვური და მოლდოვურ-ბელორუსული ჯგუფები), რომლის ორ ფრთას - ქართულს და სომხურს - ერთმანეთში არ უკამათიათ. პოლონელებს, ცხადია, ეს არ ესმით, მაგრამ ჩემი აზრით, ამას ძირითადად, ორი მიზეზი განაპირობებდა: ჯერ ერთი, ქართველებსა და სომხებს იმდენი გვიკამათია, რომ ეს „საქმე“ უკვე მობეზრებულიც გვაქვს, მეორეც, თვით ქართული ჯგუფი იყო ორად გაყოფილი - ნაციონალების და „ოცნების“ მომხრეებად და ერთმანეთს შორის ისე გაცხარებით ვკამათობდით, რომ სომხებისთვის ნამდვილად არ გვეცალა. უნდა ითქვას, რომ ამ კამათს არ ჰქონია გესლიანი ხასიათი და ურთიერთბრალდებები საბოლოოდ მოსწრებული ხუმრობებით და საერთო სიცილით მთავრდებოდა.

საერთოდ, ჩვენი სომეხი კოლეგები ხაზგასმით კეთილგანწყობილი იყვნენ ჩვენს მიმართ. ერთგვარი შურითაც კი ლაპარაკობდნენ ჩვენში თავისუფლების სიყვარულზე, ღირსების უალრესად წამახვილებულ გრძნობაზე და ა. შ. მათ ახსოვთ, თუ როგორ თავგანწირვით დავიცავით ქართველებმა ჩვენი ენის სახელმწიფო სტატუსი, მოისწონთ ისიც, რომ ჩვენ, თუმცა ტერიტორიებს ვკარგავთ, მაგრამ რუსებს ქედს მაინც არ ვუხრით და სხვ. „რა გიშლით ხელს თქვენც რომ ასე მოიქცეთ?“ - ვკითხეთ ჩვენ. „ჩვენ ეს არ შეგვიძლია. არა გვაქვს ზღვა, ძალზე ბევრი რამით ვართ დამოკიდებული რუსეთზე, საუკუნეების განმავლობაში არა გვქონია სახელმწიფოებრიობა...“ - სევდიანად გვითვლიან ისინი მიზეზებს.

გასაგებია, რომ პრაგმატული ინტერესი სომხებს კარნახობს რუსებს მიემხრონ. და თუმცა, ძალიან არ მოსწონთ, როდესაც რუსეთის დიქტატით იძულებულნი არიან უარი თქვან დამოუკიდებელ საგარეო კურსზე, ამას იმ რუსული რაკეტების ხათრით იტანენ, რომლებიც სომხებს ბაქოს ნავთობსარეწებზე აქვთ დამიზნებული.

დღეს რუსეთი დომინანტი ქვეყანაა ჩვენს რეგიონში. ამიტომ დღევანდელ რაუნდს აზერბაიჯანთან დაპირისპირებაში სომხები იგებენ. მაგრამ რა იქნება ხვალ? აქვს თუ არა პერსპექტივა ამგვარ პოლიტიკას?

რუსეთი ვერ ასცდება კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ გზას. ეს გზა კი დემოკრატიაზე გადის. ადრე თუ გვიან რუსეთის ხელისუფლებაშიც მოვა მეტნაკლებად დემო-

კრატიული ძალა, რომელიც იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, საერთაშორისო სამართალს. და მაშინ რუსეთს აუცილებლად მოუწევს კავკასიიდან წასვლა. ეს კი ნიშნავს, რომ სომხეთი თავისი ანტიკავკასიური პოლიტიკით მარტოდმარტო დარჩება მტრულ გარემოცვაში. მაგრამ ... ეს იქნება ხვალ. პრაგმატული სომხები კი დღევანდელი დღით ცხოვრობენ.

დავუბრუნდეთ ტრანს-სასაზღვრო ურთიერთობებს. ევროკავშირის ქვეყნებში ასეთი ურთიერთობების განვითარება ძალზე გამარტივებულია. არ არსებობს საპასპორტო რეჟიმი. უცხო ადამიანი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლას მხოლოდ მობილურზე მოსული მესიჯით თუ გაიგებს; არ არსებობს ენობრივი ბარიერი, მოსაზღვრე რეგიონებში ერთმანეთის ენა თითქმის ყველამ იცის; არ არსებობს ურთიერთუნდობლობის ფაქტორი და სხვ. ყველაფერი ეს ძალზედ აადვილებს თანამშრომლობას, რასაც ევროკავშირის მხრივ უხვი ფინანსური დახმარება-წახალისებაც უწყობს ხელს. ეს კი ნიშნავს, რომ ევროკავშირის ქვეყნების ტრან-სასაზღვრო თანამშრომლობის კუთხით დაგროვებული გამოცდილების მექანიკური გადმოღება შეუძლებელი იქნება. საქართველო სომხეთს ორი მხრიდან - სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან ესაზღვრება. ქვემო ქართლის რაიონებში ძირითად მოსახლეობას აზერბაიჯანელები შეადგენენ. სომხებისა და მათი თანამშრომლობა, ამ ეტაპზე მაინც, ძნელად წარმოსადგენია. სამცხე-ჯავახეთის მხრიდან მოსაზღვრე ნინოწმინდა-ახალქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კი ეთნიკური სომხებია. ცხადია, მათ შორის თანამშრომლობა არა ქართულ-სომხური, არამედ სომხურ-სომხური იქნება. თავისთავად არც ეს არის ურიგო, მაგრამ ჯავახეთის სომხური მოსახლეობის სეპარატისტული მიდრეკილებების გათვალისწინებით, ქართული სახელმწიფოსთვის ეს გარკვეული საშიშროების შემცველია. მას შეუძლია წაახალისოს სეპარატიზმი ამ რეგიონში, ხელი შეუწყოს ჯავახეთის კიდევ უფრო გაუცხოებას ქართული სოციალურ-ეკონომიკური სივრციდან და ა. შ. ამიტომაც, თუ ეს თანამშრომლობა შედგება, იგი უნდა მოიცავდეს სომხური მხრიდან მთლიანად შირაქის რეგიონს, ქართული მხრიდან კი სამცხე-ჯავახეთის ბორჯომის ჩათვლით.

მესამე ეტაპი - სემინარი შედგა ერევანში 14-15 ნოემბერს. მასში ჩემთან ერთად მონაწილეობდა ჩვენი უნივერსიტეტის

კიდევ ერთი წარმომადგენელი, პროფესორი გიორგი მესხი. სემინარის მონაწილეებმა შეაჯამეს პირველი ორი ეტაპის შედეგები, მოისმინეს ქართულ-სომხური ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ტრანს-სასაზღვრო ურთიერთობების განვითარების პროექტები. დადებითი შეფასება დაიმსახურეს პროექტებმა ბიოენერგიის გამომუშავებისა და ტრანს-სასაზღვრო ტურიზმის განვითარების ხაზით. აღნიშნული პროექტების ავტორებს წინადადება მიეცათ ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით შემდგომ სრულყონ და დახვეწონ აღნიშნული პროექტები. ასეთი პროექტების რეალიზაცია ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ორი მეზობელი სახელმწიფოს მოსაზღვრე რეგიონების დაახლოებას, არამედ მნიშვნელოვნად წაადგება ადგილობრივი ბიუჯეტების შევსებასაც.

დასასრულს, მინდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება წმინდა მენტალურ, ფსიქოლოგიურ თემაზე. ევროპელებთან უშუალო კონტაქტისთანავე თვალში გვხვდება სერიოზული განსხვავება ჩვენსა და მათ შორის. აღმოსავლეთთან შედარებით ჩვენ, რა თქმა უნდა, ევროპელები ვართ, თუმცა, ევროპელებისგანაც მნიშვნელოვნად განვსხვავდებით არა მხოლოდ წმინდა ქართული, არამედ გაცილებით ზოგადი წარმომავლობის ნიშან-თვისებებითაც.

განსხვავება იგრძნობა თითქმის ყველაფერში: პიროვნულ ინტერესებზე სახელმწიფო, საზოგადო ინტერესების პრიმატში, კანონისადმი პატივისცემაში, ელემანტარული წესისა და რიგის დაცვაში, ყოფით კულტურაში, პრაგმატულობაში, ყაირათიანობაში და ა. შ. მთავარი კი მაინც სულიერების სფეროში, ტრადიციული ღირებულებებისადმი დამოკიდებულებაში არსებული უზარმაზარი კონტრასტია. ის, რაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპაში ხდება, არის ოჯახური ინსტიტუტის, სულიერებისა და ზნეობრივი ტრადიციების მასობრივი კოლაფსი. ადამიანის უფლებების დაცვისთვის ბრძოლაში დასავლეთმა ხლვარი ვერ დაიცვა და უკიდურესობაში გადავარდა. სხვაგვარად ვერ შევაფასებ დასავლეთის ქვეყნებში ერთსქესიანთა ქორწინებების და ბავშვების ამგვარ ოჯახებში გაშვილების დაკანონებისთვის გაჩაღებულ კამპანიას. ჩვენი ქვეყანა სიამოვნებით ითანამშრომლებს დასავლეთთან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და დემოკრატიის მშენებლობის საქმეში, აუცილებლად ვისწავლით მათგან

კანონისადმი პატივისცემას, პრაგმატულობას, ყაირათიანობას, ელემენტარულ წესსა და რიგს, მაგრამ, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ერთი ჯგუფის მიერ საქართველოში ევროკავშირის კომისრის, თომას ჰამერბერგისადმი გაგზავნილ ღია წერილში, „ჩვენივე კულტურა, რომელმაც ჯერ კიდევ ქრისტემდე აჩუქა კაცობრიობას ღვინო და ხორბალი, ამირან-პრომეთე და მედეას მედიცინა და რომლისგანაც ევროპის მშობელ ბერძნებს ცოდნის ოქროს საწმისის მოპარვა უდიდეს გმირობად მიაჩნდათ, ვერ მიიღებს ზნეობრივ კრიზისში მყოფი დასავლეთ ევროპისგან ზნეობრივ დარიგებებს“.

ეს თანაბრად ეხება როგორც ზოგადქრისტიანულ მორალს, ოჯახურ ტრადიციებს, ასევე, ჩვეულებრივ, სრულიად ელემენტარულ ადამიანურ ურთიერთობებსაც. საქართველოში მოხვედრილი უცხო ქვეყნების, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქენი აღტაცებას ვერ მალავენ ჩვენი სტუმართმოყვარეობის, გულითადობის, გულღიაობის, სრულიად უცხო ადამიანებისადმი თანალმობის გამო. სულაც არ არის ძნელი არჩევანის გაკეთება, თუ რა უფრო ზნეობრივია - როდესაც მწყურვალი ადამიანი, მით უმეტეს - უცხოტომელი ჭიქა წყალს მოგთხოვს და შენ კი ეუბნები - საკუთარი ჭიქა მოიტანე და წყალს მაშინ მოგაწვდიო, თუ ჭიშკართან წყურვილის მოსაკლავად მოსულ ადამიანებს ცივ ღვინოს რომ მიაწვდი.

ეს ჩვენი მორალია, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცხოვრების წესია. ასე უცხოვრიათ ჩვენს წინაპრებს, ასე ვცხოვრობთ ჩვენც და ეს არა იმიტომ, რომ ბრმად მივდევთ და ვემორჩილებით ადათ-წესებს, არამედ იმიტომ, რომ ღრმად გვაქვს გაცნობიერებული ამგვარი ცხოვრების წესის უპირატესობა სწორედ ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ფასეულობების და არა პრაგმატულობის თვალსაზრისით.

ევროკავშირის წევრობა სულაც არ ნიშნავს ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეობით ნალოლიავები ტრადიციების უარყოფას. ცხადია, ჩვენც უნდა დავძლიოთ ჩვენი უარყოფითი თვისებები. ევროპისგან უნდა ვისწავლოთ კანონისადმი პატივისცემა, პრაგმატულობა, სიბეჯითე, ყაირათიანობა და ბევრი სხვა რამ. მაგრამ ეს ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ის არ დავკარგოთ, რაც სხვებისგან პოზიტიურად გამოგვარჩევს, რაც ჩვენი ღირსებაა.

ოფიციალური დოკუმენტები

• საქართველოს მთავრობის 2012 წლის 3 ოქტომბერის №416 დადგენილებით ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – კოლეჯის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. აღნიშნული დადგენილებით ა(ა)იპ - სამცხე-ჯავახეთის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაითვალა ა(ა)იპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – კოლეჯის უფლებამონაცვლედ.

• საქართველოს მთავრობის 2012 წლის 11 დეკემბრის №1997 განკარგულებით "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორი მერაბ ბერიძე, ხოლო 2013 წლის 3 ივლისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №39 დადგენილებით, უნივერსიტეტის რექტორად არჩეულ იქნა მერაბ ბერიძე.

• საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №194 დადგენილებით, ა(ი)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი რეორგანიზებულ იქნა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტად.

მემორანდუმები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა:

- 2013 წლის 29 იანვარს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
- 2013 წლის 3 თებერვალს, შ.პ.ს. „კახურ ტრადიციულ მელვინეობასთან“ (ასკანელები);
- 2013 წლის 5 თებერვალს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან;
- 2013 წლის 15 თებერვალს, საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან;
- 2013 წლის 5 მარტს, ათენის ქართულ ინსტიტუტთან;
- 2013 წლის 5 მარტს, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრთან „კავკასია“;
- 2013 წლის 12 მარტს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან;
- 2013 წლის 28 მარტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან;
- 2013 წლის 17 მაისს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან;
- 2013 წლის 30 მაისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან;
- 2013 წლის 10 ივნისს, სსიპ გამოცდების ეროვნულ ცენტრთან.

შეხვედრები

- 2013 წლის 23 იანვარს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა რექტორატის შეხვედრა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო სკოლების დირექტორებთან. შეხვედრაზე მოხდა აკრედიტებული აკადემიური პროგრამების პრეზენტაცია და იმ ფაკულტეტებისა და მიმართულებების წარდგენა, რომელზეც გამოცხადებულია მიღება 2013-2014 სასწავლო წლისათვის.

- საარეკლამო კამპანიის ფარგლებში, 2013 წლის 25 იანვარს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები შეხვდნენ ახალციხის მეხუთე საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს,

დეტალურად გააცნეს უნივერსიტეტში არსებული აკადემიური პროგრამები, რომლებზეც გამოცხადებულია აბიტურიენტთა მიღება, მიმოიხილეს მისაღებ გამოცდებში შეტანილი ცვლილებები და აუხსნეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის არჩევანის უპირატესობა.

• 2013 წლის 28 იანვარს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მორიგი სარეკლამო შეხვედრა გაამართეს ახალციხის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვანი საჯარო სკოლების მეთორმეტე კლასელებთან. საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე გამახვილდა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს გააცნეს ზემოთხსენებულ პროგრამაზე დარეგისტრირების წესები, ჩარიცხვის შემთხვევაში საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები, სწავლების ხარისხი და ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია. უპასუხეს მათთვის საინტერესო კითხვებს.

• 2013 წლის 18 თებერვალს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, პიარ-კამპანიის ფარგლებში, ასპინძის საჯარო სკოლაში, ასპინძის მუნიციპალიტეტის – დამალის, ივერიის, ოშორისა და რუსთავის საჯარო სკოლების აბიტურიენტებთან გამართეს შეხვედრა. შეხვედრაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს და მოსწავლეებს გააცნეს უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროგრამები, სტუდენტური ცხოვრება და სწავლის პირობები. საუბრის ბოლოს აბიტურიენტებმა ამომწურავი პასუხი მიიღეს მათ მიერ დასმულ კითხვებზე.

• 2013 წლის 10 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ასპინძის მუნიციპალიტეტის დამალის საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ერთობლივი კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას ითვალისწინებს. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ, დააკმაყოფილა პედკო-

ლექტივისა და მოსწავლეთა თხოვნა და ასპინძის ისტორიული წარსულის შესახებ საჯარო ლექცია წაიკითხა.

• 2013 წლის 12 აპრილს, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ძეგლის მეგობარმა“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. აღნიშნული ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა პროფესიის სტუდენტებს აერთიანებს, შექმნილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით.

• 2013 წლის 18 აპრილს, უნივერსიტეტში ეკო კლუბის წევრებმა პროექტ „ნარჩენების რეციკლირების“ ფარგლებში „ეკო-ლექსიკონის“ პრეზენტაცია გამართეს და ამით ორწლიანი მუშაობა შეაჯამეს. პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვით საკითხებში. რისთვისაც კლუბის პრეზიდენტის მარიამ ზახაძისა და კლუბის წევრების ინიციატივით, დაიბეჭდა ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული „ეკო- ლექსიკონი“, რომელიც გამოადგებათ არა მარტო სკოლების ეკო კლუბების წევრებს მუშაობაში, არამედ ყველას, ვინც ეკოლოგიური პრობლემებითაა დაინტერესებული.

• 2013 წლის 25-26 აპრილს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში TEMPUS პროექტის – „სტუდენტთა კარიერული სერვისების განვითარება საქართველოში“ ფარგლებში გამართულ (CASEDE) ეროვნულ დისკუსიაში. დისკუსიის თემას წარმოადგენდა - სტუდენტთა კარიერის კომპეტენციების განვითარების პროგრამა.

• 2013 წლის 14 მაისს, ევროპის კვირეულის ფარგლებში, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, პოლიტოლოგმა უჩა ბლუაშვილმა, გამართა ლექცია თემაზე - „დასავლური ორიენტაცია და საქართველოს ისტორიული არჩევანი“. ლექციას უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები ესწრე-

ბოდნენ. პროფესორის მიერ წარმოდგენილმა თემამ დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტთა მხრიდან.

- 2013 წლის 28 მაისს პროექტ „სტუდენტური დებატები პოლიტიკური რეფორმის მხარდაჭერისთვის“ „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ ორგანიზებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო დებატები, თემაზე: „აღმოსავლეთში ქართული ჯარების მსახურება გამართლებულია“. მასში მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დებატკლუბის წევრი სტუდენტები.

- 2013 წლის 2 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უმასპინძლა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს. შეხვედრის მიზანი ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განახლება იყო. ამავე დროს, უნივერსიტეტების აკადემიურმა საბჭოებმა შეხვედრაზე განიხილეს უნივერსიტეტის მართვის თანამედროვე ფორმები და მეთოდები.

- 2013 წლის 3 ნოემბერს, რეპატრირებული მესხების ინტეგრაციის თემასთან დაკავშირებით, „მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის“ პროგრამის კოორდინატორი ბელა ცქიტიშვილი, ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, საჯარო სკოლების პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად, რომელთა ნაწილს რეპატრირებულ მესხთა ბავშვები წარმოადგენდნენ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს მერაბ ბერიძეს შეხვდნენ. სტუმრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტი და რექტორისაგან მოისმინეს საინტერესო ინფორმაცია რეპატრირებული მესხების შესახებ. მერაბ ბერიძემ მათ საკუთარი წიგნები - „მაჰმადიანი მესხების ფესვები და ღვთვანდელობა“ და „ზველი და მისი შემოგარენი“ უსახსოვრა.

• 2013 წლის 18 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს საერთაშორისო ფინურ-ქართული პროექტის წარმომადგენლები ესტუმრნენ. პროექტი ხორციელდება სკოლა-აკადემია „ევრიკას“ ფარგლებში. მისი სახელწოდებაა - „მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის, უკეთესი მომავლისთვის, გავეცნოთ, ვენდოთ ერთმანეთს“. მასში ჩართული არიან სტუდენტები საქართველოს ხუთი უნივერსიტეტიდან და სკოლის მოსწავლეები. პროექტის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა. ამ მიზნებით ჩვენი უნივერსიტეტისა და პროექტის მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა ერთმანეთს მოსაზრებები გაუზიარეს.

• 2013 წლის 10 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა, იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სამოქალაქო სამართალში - სარჩელი ბინიდან გამოსახლებაზე.

• 2013 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის დღესთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ეწვია საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში ბატონი პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა „ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვაზე“. შეხვედრამ, რომელსაც უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საინტერესოდ და ცხარე დებატების ვითარებაში ჩაიარა.

საერთაშორისო ურთიერთობები

• 2013 წლის 30 იანვარს, აშშ-ის საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების განათლების, კულტურისა და პრესის უფროსი მაიკლ ტერნერი და პროფესიული პროგრამების კოორდინა-

ტორი თეა კუჭუხიძე შეხვდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ მერაბ ბერიძეს, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს ქალბატონ გულნარა ჯანოვას და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ქალბატონ გურანდა მოდებაძეს. შეხვედრაზე სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გეგმები განიხილეს.

• ათათურქის უნივერსიტეტსა და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, თურქული ენის მიმართულების (მაისორი) ოთხმა სტუდენტმა - ნინო მახარაძემ, ხატია ნოზაძემ, მაგდა ბერიძემ და ირინე ოქრომელიძემ მონაწილეობა მიიღო ქ. ერზრუმში 2013 წლის 4 მარტიდან 22 მარტამდე გამართულ ზამთრის სკოლაში – „თურქული ენის პრაქტიკული კურსი“. სტუდენტები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ წარმატებით წარმოაჩინეს ჩვენი უნივერსიტეტის სახე და სერთიფიკატებით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ.

• 2013 წლის 16 აპრილს სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ბრიტანეთის ელჩი საქართველოში დევიდ მორანი ესტუმრა. შეხვედრა პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა, ელჩმა ქართულ-ბრიტანული ურთიერთობებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ ისაუბრა. შეხვედრის თემას ნიუკასლისა და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობის საკითხიც წარმოადგენდა. სტუდენტთა მხრიდან დაისვა კითხვები, რომლებიც ძირითადად გაცვლით პროგრამებს, საქართველოსა და ბრიტანეთის შორის კულტურულ ურთიერთობებს ეხებოდა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, დევიდ მორანმა უნივერსიტეტი დაათვალიერა და აღნიშნა, რომ ნანახით და მასპინძლობით კმაყოფილი დარჩა.

• 2013 წლის 20-21 მაისს, ბაქოში გაიმართა კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის მესამე კონგრესი თემით: „კავკასიის რეგიონებში ლიტერატურისა და ენის, ისტორიისა და პოლიტიკის, კულტურისა და ფოლკლორის, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხები". კონგრესზე 50-მდე უნივერსიტეტის

რექტორებთან ერთად მონაწილეობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე. ამავე კონგრესის მსვლელობისას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა კიდევ ერთი საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა თურქეთის რესპუბლიკის არტაანის უნივერსიტეტთან.

• 2013 წლის 3-7 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ტემპუსის პროექტის „ბილინგვური განათლების მასწავლებლის პროგრამის განვითარება საქართველოსა და უკრაინაში“ ფარგლებში დაგეგმილ მორიგ სამუშაო შეხვედრას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტთან ერთად სამცხე-ჯავახეთს ეწვივნენ პროექტში ჩართული სტუმრები უკრაინიდან: დნეპროპეტროვსკის, ლვოვისა და ყირიმის უნივერსიტეტების წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრა დაეთმო ბილინგვური განათლების მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის შემუშავებას. შეხვედრა დატვირთული იყო საინტერესო კულტურული ღონისძიებებითაც.

• 2013 წლის 25-26 აგვისტოს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გერმანიის უნივერსიტეტის – მიუნსტერის სრული პროფესორი, ფილოსოფოსი ლუდვიგ ზიპი ეწვია მეუღლესთან ერთად. მისი კვლევების სფეროა – მორალი და ღმერთის ხატი, რელიგია და პოლიტიკა, ბიოეთიკა, ბიოპოლიტიკა და სხვა. თანამშრომლებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, სადაც ლუდვიგ ზიპმა ისაუბრა რელიგიისა და სამართლის მიმართებაზე ჰეგელის ფილოსოფიის მიხედვით.

• 2013 წლის 1 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქული ფილოლოგიის მეორე და ინგლისური ფილოლოგის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტებმა ბერდია როხვაძემ და ხატია ნოზაძემ წარმატებით გაიარეს ორთვიანი საზაფხულო სკოლა თურქეთის რესპუბლიკაში და

მშობლიურ უნივერსიტეტს სერთიფიკატებით ხელდამშვენებულები დაუბრუნდნენ.

• 2013 წლის 12 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საქმიანი ვიზიტით ეწვია „იუნუს ემრეს“ თურქული კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი ბარიშ დემირი.

• 2013 წლის 13 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს თურქეთის უმაღლესი განათლების საბჭოს გენერალური ინსპექციის თავჯდომარე ილიას დოღანი ესტუმრა. სტუმარს მასპინძლობა უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა მერაბ ბერიძემ გაუწია. შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობასა და ერთობლივი სიმპოზიუმის მოწყობის თაობაზე.

• 2013 წლის 19-22 სექტემბერს, ტემპუსის ერთ-ერთი, უნივერსიტეტში მიმდინარე, საერთაშორისო პროექტის - „სტუდენტთა კარიერული მომსახურეობის განვითარება საქართველოში“ (CASEDE) - ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უცხოელ პარტნიორებთან ერთად მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროექტის საუნივერსიტეტო კოორდინატორი, პროფესორი თინა გელაშვილი და პროექტის მონაწილე თეონა ჭუჭუნაძე.

• 2013 წლის 21 სექტემბერს, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გიორგი ყულიჯანიშვილი გაცვლით პროგრამის ფარგლებში - „პირდაპირი მობილობა“ ლოძის უნივერსიტეტში გაემგზავრა.

• 2013 წლის 10 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ეწვია ჩრდილოეთ კაროლინის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის,

აგრარულ და ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ჯონ კლასენი. სტუმრობის მიზანი აგროტექნოლოგიების მიმართულებით „მილენიუმის“ პროგრამის ფარგლებში ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის განხორციელება იყო. მოლაპარაკების შემდეგ სტუმარმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით დაინტერესდა შესაბამის მიმართულებაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურით.

• 2013 წლის 14 ნოემბერს, TEMPUS -ის პროექტის – CASEDE-ს (სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისები საქართველოში) ფარგლებში, ვილნიუსის უნივერსიტეტის, ევროკავშირის და საქართველოს ექვსი პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარდა ვორკ-შოპი, რომელიც ეხებოდა ახალი სასწავლო კურსისათვის – სტუდენტთა კარიერული კომპეტენციების განვითარება-სახელმძღვანელოს მომზადებას. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას ღებულობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ორი თანამშრომელი – პროფესორი თინა გელაშვილი (პროექტის მენეჯერი) და თეონა ჭუჭუნაძე.

• 2013 წლის 15 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში წარმატებით გაიარა პილოტირება ტემპუსის საერთაშორისო პროექტის – ASPARE-ის ფარგლებში მომზადებულმა მოდულმა – „ინგლისური სპეციალური საჭიროების ბავშვებისათვის“ - ESP, რომელსაც უძღვებოდა პროფესორი გულნარა ჯანოვა. პილოტირებას აკვირდებოდნენ ლიმერიკის უნივერსიტეტის (ირლანდია) ექსპერტები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (პროექტის წამყვანი), მკვლევარ-ექსპერტები პროფესორი ხათუნა დოლიძე და ნინო გოგიჩაძე, ასევე სჯსსუ-ს ASPARE-ის პროექტში მონაწილე მკვლევარი, პროფესორი ირმა ქურდაძე და პროფესორი თინა გელაშვილი (პროექტის მენეჯერი).

• 2013 წლის 16-19 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ბერიძემ და საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების მთავარმა

სპეციალისტმა გურანდა მოდებაძემ მონაწილეობა მიიღეს „ოქსფორდის ლიდერთა სამეცნიერო და საგანმანათლებლო სამიტში“. სამიტი ყოველწლიურად იმართება და უკვე მეექვსედ ჩატარდა, სადაც ორმოცდაათზე მეტი ქვეყნიდან ორასზე მეტი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემების, წიგნების, სარეკლამო მასალების პრეზენტაცია. ამასთან ერთად, უნივერსიტეტის რექტორმა წარადგინა მოხსენება თემაზე: „საუნივერსიტეტო კავშირები და სამეცნიერო ურთიერთობათა პერსპექტივა“.

გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“

ა) გამოცემული ლიტერატურა

2010 წელი

❖ ნიკო ახალკაცი – „სასაზღვრო დაცვა და სასაზღვრო ოლქების მმართველობა ხეთების სამეფოში“;

❖ მედეა ბურდული – „ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში“;

❖ მედეა ბურდული – „ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა“;

❖ ვახტანგ ხაქრობიშვილი – „მანველი შვილები“;

❖ ვერა სუდაძე – „ხალხური მედიცინა და ფიტოფარმაკოლოგია“;

❖ ვერა სუდაძე – „პირველადი სამედიცინო დახმარება“.

2011 წელი

❖ ქეთევან გრძელიშვილი – „დავითიანი“ – „ქართლის ჭირის“ მხატვრული სპეციფიკის საკითხები“;

❖ „გულანი“ №9 – სამეცნიერო შრომების კრებული;

❖ შოთა ლომსაძე – „სამცხე-ჯავახეთი“;

❖ ვალერი სილოგავა – „სამეცნიერო შრომების და პუბლიკაციების ბიბილიოგრაფია“;

❖ გულნარა ჯანოვა – „ქოველდღიური ამერიკული დიალოგები“.

2012 წელი

❖ გიორგი ბარბაქაძე, დავით ბიძინაშვილი – „ბუჰჰალტრული აღრიცხვა და აუდიტი“;

❖ მერაბ ბერიძე – „ზველი და მისი შემოგარენი“;

❖ გიორგი ბუცხრიკიძე – „მიწათსარგებლობისა და ადმინისტრირების საფუძვლები“;

❖ „გულანი“ №10 – სამეცნიერო შრომების კრებული;

❖ „გულანი“ №11 – სამეცნიერო შრომების კრებული;

❖ ელენე დიდიმამიშვილი – „გზა ვრცელი“;

❖ როინ თათეშვილი – „საგადასახადო საქმე“;

❖ როინ თათეშვილი – „საქართველოს საბიუჯეტო სისტემა“;

❖ გოგი ივანიძე, მანანა ივანიძე – „ზაქარია დიდიმამიშვილის დღიურები“;

❖ ელგუჯა კოპაძე – „გაუხსნელი საქმე“;

❖ ამირან კოჩალიძე – „სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადებები, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა“;

❖ ჯემალ მამაიაშვილი, ხათუნა კვინცხაძე – „სოფისე პროგრამები“;

❖ როინ რეხვიაშვილი – „კრიტიკული, ლოგიკური აზროვნება“;

❖ ელიოზ ხაჭაპურიძე, კობა კობალაძე – „სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა აღწარმოებისა და პროდუქტიულობის გაზრდის ზოოტექნიკური საფუძვლები“.

❖ ზურაბ ლიპარტია, ცისკარა ზარანდია, მაია გელაშვილი – „მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი“;

❖ მერაბ ბერიძე – „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა“;

❖ მერაბ ბერიძე – „ნასოფლარი ერკოტა“;

❖ „ბიზნესის მართვის პრობლემები“, №1 – სამეცნიერო შრომების კრებული;

❖ გიორგი ბუცხრიკიძე, ჯუმბერ ფანჩულიძე – „ადმინისტრირება და მენეჯმენტი“;

❖ „გულანი“ №12 – სამეცნიერო შრომების კრებული;

❖ „გულანი“ №13 – სამეცნიერო შრომების კრებული;

❖ ასმათ ევსაია – „დიალოგური მეტყველება ქართულ და რუსულ ენებში და მათი თარგმნის სტილისტური ასპექტები“;

❖ როინ თათეშვილი – „სამცხე-ჯავახეთის რეგიონული საფინანსო საბიუჯეტო განვითარების დიაგნოსტიკა“;

❖ მალხაზ ლომსაძე – „საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“;

❖ ვერა სუდაძე – „კვლევები მედიცინაში, ფიტოფარმაკოლოგია“;

❖ ზაირა ტყებუჩავა – „პრაქტიკუმის სახელმძღვანელო მიწათმოქმედებაში“;

❖ ნანა ჩხაიძე, თინა გელაშვილი, გიორგი მესხი – „ბიზნეს მათემატიკა“;

❖ ლელა წითაშვილი – „მონაცემთა ბაზებში მოთხოვნათა ოპტიმიზაცია ევოლუციური ალგორითმების გამოყენებით“;

❖ ლელა წითაშვილი – „მონაცემთა ბაზების დაპროექტება“;

❖ შოთა წურწუმია – „რითაც მე ვსუნთქავ“;

❖ გულნარა ჯანოვა – „ბევრი ყოველდღიური ამერიკული დიალოგები“.

ბ) სამეცნიერო კონფერენციების პროგრამა და მასალები

❖ „პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციის პროგრამა და მასალები“ (2010, 11 ივნისი);

❖ „სტუდენტთა IV კონფერენციის პროგრამა და მასალები“ (2010, 15 დეკემბერი);

❖ „პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და მასალები“ (2010, 24 დეკემბერი);

❖ „სტუდენტთა V კონფერენციის პროგრამა და მასალები“ (2011, 10 ივნისი);

❖ „პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და მასალები“ (2011, 24 ივნისი);

❖ „სტუდენტთა VI კონფერენციის პროგრამა და მასალები“ (2011, 14 დეკემბერი);

❖ „სტუდენტთა VII კონფერენციის პროგრამა და მასალები“ (2012, 8 ივნისი);

❖ „სტუდენტთა VIII კონფერენციის პროგრამა და მასალები“ (2012, 21 დეკემბერი);

❖ „სტუდენტთა IX კონფერენციის პროგრამა და მასალები“ (2013, 29 მაისი).

გულანზე წაკითხული მოხსენებები

• 2013 წლის 28 თებერვალს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გულანის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – ნიკოლოზ გულაბერისძის ცხოვრებიდან და სახელმწიფოებრივ-სასულიერო მოღვაწეობიდან – წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, სრულმა პროფესორმა ნესტან სულავამ.

• 2013 წლის 7 მარტს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გულანის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „გურულ–აჭარული მატატა, მესხურ–ჯავახური მათათა და ქართველური ანთროპონიმია“, წაიკითხა ფილოლოგიის

მეცნიერებათა დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა იზა ჩანტლაძემ.

• 2013 წლის 14 მარტს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „ადამისა და ევას სახე-სიმბოლოები აჰმედ ჰამდი თანფინარის პროზაში“ – წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა შონიამ.

• 2013 წლის 18 მარტს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „წინაენისმიერი დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ ხშულების ურთიერთმიმართება სამწევრა ჩ V ჩ კომპლექსებში“ – წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა სერგო მელიქიძემ.

• 2013 წლის 21 მარტს, 15:00 საათზე, შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „აწყურის ღვთისმშობლის ეკლესია,“ წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თინა ოველაშვილმა.

• 2013 წლის 28 მარტს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონი – უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევის, დროებით დაჭერისა და მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ – წაიკითხა ახალციხის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „მესხეთის“ მასწავლებელმა დოდო გელაშვილმა–ბერიძემ.

• 2013 წლის 4 აპრილს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „სოციალური ურთიერთობის საკითხისათვის XVIII საუკუნის კახეთის სამეფოში“ – წაიკითხა ისტორიის დოქტორმა, სრულმა პროფესორმა რომან გოგოლაურმა.

• 2013 წლის 11 აპრილს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „ნათლის სახისმეტყველება აკაკი წერეთლის პოეზიაში („ხატის წინ“, „რაც არ იწვის, არ ანათებს“)“ – წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა დალი ბეთხოშვილმა.

• 2013 წლის 25 აპრილს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „ხალხური ბიოეთიკის შესახებ“ – წაიკითხა ისტორიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორი მედეა ბურდულმა.

• 2013 წლის 16 მაისს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე –„ვეფხისტყაოსნის“ ერთი მხატვრული სახე და მხატვრულ სახეთა ტრანსფორმაციის საკითხი“ – წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ქეთევან გრძელიძვილმა.

• 2013 წლის 23 მაისს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „ბესიკის ირანში ელჩობის საკითხისათვის“ – წაიკითხა ისტორიის დოქტორმა, სრულმა პროფესორმა რომან გოგოლაურმა.

• 2013 წლის 19 სექტემბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „პოლემიკა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ ქართულ ჰიმნოგრაფიაში“ – წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, სრულმა პროფესორმა ნესტან სულავამ.

• 2013 წლის 3 ოქტომბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „თომას მანი რუსული ლიტერატურისა და რუსი მწერლების შესახებ“ – წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა, ირინა ჯიშკარიანმა.

• 2013 წლის 10 ოქტომბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „არასრულწლოვან დამნაშავეთა განათლების ზოგიერთი ასპექტი“ – წაიკითხა პედაგოგიკის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარეხ ნათენაძემ.

• 2013 წლის 17 ოქტომბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „ჟურნალი „ჩვენებური“ და მისი მნიშვნელობა ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის თურქეთში“ – წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა შონიამ.

• 2013 წლის 24 ოქტომბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „განათლების საყოველთაობა, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება“ – წაიკითხეს პედაგოგიკის დოქტორმა, სრულმა პროფესორმა ირმა ქურდაძემ და ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა გულიკო ჯანოვამ.

• 2013 წლის 31 ოქტომბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „ქართულ-სომხური ტრანსსასაზღვრო ბიზნესურთიერთობების პერსპექტივები ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების ფონზე“ – წაიკითხა ისტორიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა უჩა ბლუაშვილმა.

• 2013 წლის 7 ნოემბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „ხუთწლიანთა სწავლება სკოლაში და მათი პრობლემები“ – წაიკითხა ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელმა რუსუდან ზაზაძემ.

• 2013 წლის 14 ნოემბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „ერეკლე მეორისა და სულეიმან

ჯაყელის ურთიერთობის ისტორიიდან XVIIIს-ის 80-იან წლებში“ – წაიკითხა ისტორიის დოქტორმა, სრულმა პროფესორმა რომან გოგოლაურმა.

• 2013 წლის 21 ნოემბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „ორი კიდის“ გააზრებისათვის აკაკი წერეთლის პოეზიაში“ – წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა დალი ბეთხოშვილმა.

• 2013 წლის 28 ნოემბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „კონრად ფერდინანდ მაიერის ბალადა „ფეხები ცვეხლში“ (თარგმანის წარდგენა და ინტერპრეტაცია) – წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლალი ბერიძემ.

• 2013 წლის 5 დეკემბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „უცხოური სიტყვების მართლწერისათვის“ – წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძე-კაჭკაჭიშვილმა.

• 2013 წლის 19 დეკემბერს, 15:00 საათზე შედგა სამეცნიერო გუნდის სხდომა ქართული ენის კაბინეტში. მოხსენება თემაზე – „სამცხე-ჯავახეთში მოქმედი დაშნაკური პარტიის როლი ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის დაპირისპირების საქმეში 1917-21 წლებში“ – წაიკითხა სოციალური მეცნიერებების აკადემიურმა დოქტორმა დარეჯან შუშუნაძემ.

კონფერენციები

• 2013 წლის 3 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფე-

რენცია. კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ. სექციური მუშაობის შემდეგ, შემაჯამებელ სხდომაზე, სექციების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ანგარიში და კონფერენციის მუშაობა დადებითად შეაფასეს.

• 2013 წლის 17 მაისს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონულმა ასოციაცია „ტოლერანტმა“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად ქ. თბილისში ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო-თემატური კონფერენცია - „დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა“. კონფერენცია ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება „თვითრეპატრიაციის“ პრევენცია“ ფარგლებში. კონფერენციის შემაჯამებელი მოხსენების შემდეგ, გაიმართა ასოციაცია „ტოლერანტის“ მიერ პროექტის ფარგლებში გადაღებული ფილმის „სამშობლო, რომელიც შორია“ ჩვენება.

• 2013 წლის 30-31 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე - „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება“. მოხსენებები წაიკითხეს სხვადასხვა უნივერსიტეტების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებმა. კონფერენციის მონაწილეებს, საჩუქრად გადაეცათ თეზისების კრებული და სერთიფიკატები

• 2013 წლის 1-2 ივნისს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ევროკავშირის აღმოსავლეთში გაფართოების პროცესები“, 3 ივნისს კონფერენციის შემაჯამებელ სხდომას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. კონფერენციის შემდეგ, სტუმრებმა დაათვალიერეს ახალციხის ღირსშესანიშნაობები.

• 2013 წლის 21 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის II კორპუსის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიხსნა რესპუბლიკუ-

რი სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში - „ახალციხე – 2013“.

• 2013 წლის 18 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სტუდენტთა X სამეცნიერო კონფერენცია.

• 2013 წლის 25 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია.

კულტურული ღონისძიებები

• 2012 წლის 5 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პირველი კორპუსში, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტებმა გამართეს ფაკულტეტის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

• 2012 წლის 20 დეკემბერს, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის, ქალბატონ ნესტან სულავას ხელმძღვანელობით, ქართული და თურქული ფილოლოგიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო. მის ლექსებზე შექმნილი სიმღერების ფონზე კიდევ ერთხელ გაჟღერდა გალაკტიონის უკვდავი პოეზია.

• „... ამ ქალაქს ისე შემოვეჩვიე კენჭიც კი მიყვარს ახალციხური" - ამ სიტყვებით დაამთავრა შოთა წურწუმიამ მისი პოეზიისადმი მიძღვნილი საღამო. 2013 წლის 7 მარტს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებმა გამართეს ორიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის შემოქმედებითი საღამო, რომელიც კიდევ ერთი ნათელი ფურცელი იყო მის და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაში.

• 2013 წლის 25 მარტს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა შვედ სტუმრებს უმასპინძლა. პასკალ ჯერომეს, ინა ლუნდშტორის და ჯოანა ადოლფონის ვიზიტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გაცნობა იყო. უნივერსიტეტის სტუდენტებს მათ წარუდგინეს თავისი კულტურა და ტრადიციები, გაეცნენ ქართულ კულტურულ და ისტორიულ ძეგლებს. უნივერსიტეტთან არსებულმა ანსამბლებმა და საესტრადო სიმღერების შემსრულებელმა სტუდენტებმა სტუმრებს დაუვიწყარი საღამო აჩუქეს.

• 2013 წლის 17 აპრილს, სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ინიციატივით, ჩატარდა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - „ენა დედაა ერისა“. სტუდენტებმა წაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსები და გამონათქვამები დედა ენაზე. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი არაქართულენოვანი სტუდენტები; ლიტერატურულ – მუსიკალურ კომპოზიციაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა „ახალციხემ“ და „თამარიონმა“. საღამოს ორგანიზატორი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ნინო დობორჯგინიძე.

• 2013 წლის 26 აპრილს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტურმა თვითმმართველობამ ნინოწმინდის წმინდა ბარბარეს სახელობის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის მოაწყო საქველმოქმედო ღონისძიება. კულტურისა და სპორტის განყოფილების თანადგომით გამართულ კონცერტში სტუდენტებთან ერთად სტუმრებმაც მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიების დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად შეგროვილი შემოწირულობა და უნივერსიტეტის გამოცემები გადასცა ბავშვებს. სტუმრებმა სტუდენტებთან ერთად რაბათის ციხეც მოინახულეს.

• 2013 წლის 11 მაისს ახალციხეში გაიმართა ტრადიციული საგაზაფხულო ფესტივალი „ქართული სული - 2013“,

რომელიც მიეძღვნა კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილიას II-ის დაბადებიდან 80-ის და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს. ღონისძიების ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა თამარ მეფის გარდაცვალებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „თამარ მეფე და ქართველი ერი“. კონფერენციის დასასრულს, ფესტივალის ორგანიზატორმა, კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ პრეზიდენტმა ზურაბ ჩხაიძემ ქართული სულის გაძლიერებისათვის, „ქართული სულის“ სიგელითა და ოქროს მედლით დააჯილდოვა მესხეთში მოღვაწე გამოჩენილი პიროვნებები: კომპანიის ხელმძღვანელმა ჯილდო გადასცა ვალეში ღვთისმშობლის შობის სახელობის მღვდელმსახურს მამა სტეფანეს, რომელსაც „დიდი ეპოქის შემქმნელი ადამიანი” უწოდა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს მერაბ ბერიძეს, მესხეთში დედა უნივერსიტეტის ფილიალის დამაარსებელს, კომპანიის უხუცესთა საბჭოს გამორჩეულ წევრს, როგორც მას უწოდეს, „დიდ მესხს”, ასევე ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სერგო მელიქიძეს, ამაღლების სახელობის ეკლესიის ალმშენებელს ომარ ჯაყელს და მეცენატს, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის ალმშენებელს თემურ თათეშვილს. ფესტივალი ახალციხის ციხეზე გაგრძელდა, სადაც სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ანსამბლები: „ქართული ხმები“, „სიმი“, „მესხეთი“, სტუდენტური ანსამბლი „მზეკარი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ახალციხე“, სკოლა „სადუნის“ მოსწავლეები, პოეტი შოთა წურწუმია. ფესტივალმა ბრწყინვალე როლი შეასრულა „ქართული სულის“ და ეროვნული თვითშეგნების კვლავ გაღვივებაში.

• 2013 წლის 28 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფმა პროექტის „რა სამშობლო გვქონია“ ფარგლებში გაამართა ღონისძიება. მოეწყო ტაო-კლარჯეთის თემისადმი მიძღვნილი ფოტოებისა და ნახატების გამოფენა, ძეგლების პრეზენტაცია. სტუდენტებმა გამოხატეს საკუთარი შთაბეჭდილებები, წაიკითხეს ლექსები და უჩვენეს პარხლის ხეობაში გადაღებული ვიდეო, რომელიც ასახავდა ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას. ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. სტუ-

დენტების საქმიანობა დადებითად შეაფასეს პროექტის მონაწილე ლექტორებმა: ვასილ მოსიაშვილმა და ნათელა ბერიძემ, ასევე უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ბერიძემ.

• 2013 წლის 30 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტურმა დასმა გამართა ლაშა თაბუკაშვილის პიესის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ პრემიერა. დამდგმელი რეჟისორი - თემურ მალრაძე, მუსიკის ავტორი - არტურ დავლაშერიძე.

• ამავე დღეს, 2013 წლის 30 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მეორე ღონისძიებაც ჩატარდა. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა გამართეს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საღამო თემაზე: ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა და პირადი წერილები. საღამო დამსწრე საზოგადოებამ დადებითად შეაფასა და ღონისძიების ორგანიზატორს, პროფესორ ნესტან სულავასა და სტუდენტებს იმ იმედით დაემშვიდობა, რომ მსგავსი ღონისძიებები ხშირად მოეწყობა.

• 2013 წლის 2 სექტემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სწავლა საზეიმო ვითარებაში დაიწყო. შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი, აიწია სახელმწიფო დროშა, რჩეულმა სტუდენტებმა რექტორატის წარმომადგენლებთან ერთად უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში გრიგოლ ხანძთელისა და ივანე ჯავახიშვილის ძეგლები ყვავილებით შეამკეს, სტუდენტებს უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი მერაბ ბერიძე გულითადად მიესალმა და ოთხივე ფაკულტეტიდან წარჩინებული სტუდენტები, მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის, საზეიმოდ დააჯილდოვა სიგელებით. მისალმებას, უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით, საზეიმო კონცერტი მოჰყვა. დასასრულს, ყველა პირველკურსელს, ფაკულტეტების მიხედვით, დეკანატის წარმომადგენლები შეხვდნენ და ესაუბრნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

• 2013 წლის 10 ოქტომბერს, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის თეონა ივლაშვილის ინიციატივითა და სტუდენტური თვითმმართველობის თანადგომით, უნივერსიტეტის სტუდენტებმა პოეზიის საღამო გამართეს და დამსწრე საზოგადოებას საკუთარი შემოქმედება წარუდგინეს. საღამოს ორგანიზატორებს სურვილი აქვთ, ამგვარი პოეზიის საღამოებით ლიტერატურული ხუთშაბათობების ტრადიციის აღდგენას შეუწყონ ხელი.

• 2013 წლის 18 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, გრიგოლ ხანძთელის ხსენების დღესთან დაკავშირებით გაიმართა მხატვარ ზვიად ბერიძის ფოტოგამოფენა „ტაო-კლარჯეთის მარგალიტები“. ღონისძიების ორგანიზატორები ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტები იყვნენ. გამოფენის გახსნას, სტუდენტებთან და უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ფოტოგამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

• ფოტოგამოფენას გაგრძელება მოჰყვა სტუდენტთა კონფერენციის სახით, რომელიც 2013 წლის 25 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა და მიეძღვნა გრიგოლ ხანძთელის ხსენების დღეს. სტუდენტებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს და წარმოადგინეს შესაბამისი თემები. კონფერენციის ბოლოს, თავად კონფერენციის, გრიგოლ ხანძთელისა და მისი ცხოვრების აღმწერელის, გიორგი მერჩულეს შესახებ, პროფესორებმა ნესტან სულავამ და მერაბ ბერიძემ ისაუბრეს. რექტორმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, ნათია ყურმაშვილსა და მედეა კოპაძეს და აღნიშნა, რომ „ის, რაც ვერ მოახერხა პროფესურამ, მოახერხეს სტუდენტებმა“. ითქვა ისიც, რომ ამ თემასთან დაკავშირებული ღონისძიებები ტრადიციად დამკვიდრდება.

• 2013 წლის 22 ნოემბერს, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზნით, სამცხე-ჯავახეთის სახემწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სტუმრობდა ასოციაცია „საქართველო

– კულტურათა დიალოგი – XXI“ და ტრიო „სიმი“, რომელმაც სააქტო დარბაზში გამართა კონცერტი.

• 2013 წლის 12 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხმის ჩამწერი სტუდიის ინიციატივით, რომლის ხელმძღვანელია არტურ დავლაშელიძე, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ღონისძიება გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც გატაცებულნი არიან მუსიკით. ისინი სიმღერების ტექსტებს თავად წერენ და ასრულებენ კიდეც. ლექსო ოქრომელიძემ, ია ჯანეზაშვილმა, თეონა იველაშვილმა, თამუნა ხედგინიძემ, ზურა სულაბერიძემ და ვოვა კირაკოსიანმა კონცერტზე შეასრულეს როგორც ქართული, ისე ინგლისური სიმღერები და მაყურებლის ოვაციებიც დაიმსახურეს. სიმღერებს არანუირებას უკეთებდა არტურ დავლაშელიძე. კონცერტს ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი მერაბ ბერიძე. რექტორმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების მონაწილეებს და ყველას მიულოცა დამდეგი ახალი წელი.

• 2013 წლის 20 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 208-ე აუდიტორიაში (II კორპუსი) ჩატარდა ილია ჭავჭავაძის პოეზიის საღამო. მონაწილეობდნენ ქართული და თურქული ფილოლოგიის მიმართულების მეორე და მესამე კურსის სტუდენტები. ღონისძიება ჩატარდა პროფესორ ნესტან სულავას ორგანიზებით.

• 2013 წლის 20 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სტუდენტური თვითმართველობის ორგანიზებით გაიმართა 24 წლის ასაკში გარდაცვლილი, ახალგაზრდა შემოქმედისა და მომღერლის, ჯგუფ „მეხუთე სეზონის“ სოლისტის ალუდა ქეთელაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. სტუდენტებმა საღამოზე წაიკითხეს ქეთელაურისა და მისადმი მიძღვნილი ლექსები. ასევე, ამონარიდები პოეტის ცხოვრებიდან, ნაჩვენები იყო აგრეთვე, ალუდა ქეთელაურის ცხოვრების ამსახველი ვიდეორგოლები.

იმიტირებული სასამართლო პროცესები

• 2013 წლის 5 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე: „ადკვეთის ღონისძიების შეფარდება," წარმოდგენილი იქნა პროკურატურის მიერ შუამდგომლობა დაპატიმრების შესახებ.

• 2013 წლის 19 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე: „საპროცესო შეთანხმება" (სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად).

• 2013 წლის 10 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სამოქალაქო საქმეზე: „განქორწინება და ალიმენტი".

• 2013 წლის 23 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე: „ძარცვა და ქურდობა" (სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლების შესაბამისად).

• 2013 წლის 13 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე: „განზრახ მკვლელობა" (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი). პროცესს ესწრებოდნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები.

• 2013 წლის 29 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე: „წვრილმანი ხულიგნობა“ (სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლი).

• 2013 წლის 29 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე: „თაღლითობა“ (სისხლის სამარლის კოდექსის 180-ე მუხლის II ნაწილის ბ პუნქტის მიხედვით.)

• 2013 წლის 15 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე: „ავტოსატრანსპორტო დანაშაული“ (სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის V ნაწილის შესაბამისად).

• 2013 წლის 29 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სამოქალაქო საქმეზე: „ვინდიკაციური სარჩელი, ბინიდან გამოსახლება“.

• 2013 წლის 20 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე: „განზრახ მკვლელობა“ (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შესაბამისად).

• 2013 წლის 24 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გამართეს პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე:

„ქურდობა“ (სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად).

სპორტული ღონისძიებები

• 2013 წლის 21-22 თებერვალს თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო და ტურნირის საუკეთესო ხუთეულში შევიდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი მინდია შაინიძე. მინდიამ წარმატებით იასპარეზა კახეთის ზონალურ პირველობაზეც და მოიპოვა პირველი ადგილი.

• 2013 წლის 3-11 აპრილს ჩატარდა შიდა საუნივერსიტეტო შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც პირველი ადგილი დაიკავა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა ლექსო ოქრომელიძემ, მეორე ადგილი წილად ერგო გასული სამი სეზონის ფავორიტს, იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს შოთა წურწუმიას.

• 2013 წლის 14 მარტს ადიგენში, „საზოგადოებრივი დარბაზი ადიგენის განვითარებისთვის“ წევრების ინიციატივით მოეწყო აქცია „გავერთიანდეთ დამსახურებული სპორტსმენები ადიგენში სპორტის ასაღორძინებლად“. დარბაზში მოწვეული იყვნენ ცნობილი სპორტსმენები რესპუბლიკის მასშტაბით, რომლებსაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა საჩუქრად გადასცეს წიგნები. დაჯილდოებულებს შორის იყვნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი, მოჭიდავე მინდია შაინიძე და საქართველოს ნაკრების ვეტერანი ფრენბურთელი გრიგოლ კენჭოშვილი.

• 2013 წლის 23 აპრილს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის საჯარო სკოლას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტს სპორტულ ღონის-

ძიებებში მონაწილეობის მისაღებად, დამალის სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა 17 კაციანი ჯგუფი ეწვია. მასპინძლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს ახალციხის ციხე და გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები - უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნები.

• 2013 წლის 26 მაისს ქ.ახალციხეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი შუბის ტყორცნაში. 1992 წლიანთა კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონი გახდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი შუშანა ვოსკანიანი.

• საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ „უნივერსიადა -2013“-ში საქართველოს 14 უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად წარმატებით მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც მძლეოსნობაში გუნდური მეხუთე ადგილი აიღეს, ხოლო ანდრანიკ მატინიანმა პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა.

• საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ჩატარებულ „უნივერსიადა – 2013“-ში, თავისუფალ ჭიდაობაში (96 კგ. წონით კატეგორიაში) უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა მინდია შაინიძემ მოიპოვა მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი.

• „მუნიციპალიტეტის პირველობაზე“ ქალთა ფრენბურთში პირველი ადგილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა. ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობდა. უნივერსიტეტის გუნდმა სამი თამაში მოიგო და ფინალის საგზურიც მოიპოვა. ფინალში მეტოქეობა მას ახალციხის მუნიციპალიტეტის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგთა გუნდმა გაუწია. თამაში დასრულდა ანგარიშით 25:18 და 25:13 უნივერსიტეტის გუნდის სასარგებლოდ. გამარჯვებულ გუნდს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ინფორმაცია მოამზადა ნინო დობორჯგინიძემ

შინაარსი

ივანე გვარამაძე 150

მერაბ ბერიძე
ბრძოლა ბვარამაძეობისათვის 5

რომან გოგოლაური
ექვთიმე თაყაიშვილისა და მესხი კონსტანტინე ბვარამაძის შრომიერთობის ისტორიიდან 17

მაია ივანიძე
ივანე ბვარამაძე – ხალხური სიტყვიერების მეცნიერი 24

გიორგი მაისურაძე
ივანე ბვარამაძე და ფიბნის ბავრცელება სამცხე-ჯავახეთში 29

მარეხ ნათენაძე
ივანე ბვარამაძის კედაბობიური იდეებისა და მიდბომების შესახებ 47

ზურაბ ქუქჩიშვილი
ივანე ბვარამაძე და სოფელ საროს მაცხოვრის ხატი 51

ნატო ყრუაშვილი
ივანე ბვარამაძის თანამშრომლობა სტამბოლის ქართულ საკანისთან 55

ენათმეცნიერება

მაკა ბერიძე
შეხედრა სიტყვათა მართლწერისათვის 69

ინგა ლუტიძე
ბრამატიკული მოვლენები იმერხეულში 79

ლიტერატურული პარადიგმები

დალი ბეთხოშვილი
„ორი კიდის" ბაასრებისათვის აკაკი წერეთლის კოეზიაში 93

სოფიკო გვარამაძე
არჩილის „საძებელნი და საკედრებელნი ღვთისმშობლისანი" 105

ქეთევან გრძელიშვილი
„კეფხისტყაოსნის" ერთი მხატვრული სახე და მხატვრულ სახეთა ტრანსფორმაციის საკითხი 114

ნესტან სულავა
ბულჭან შალიკაშვილი 121

ირინა ჯიშკარიანი
თემას მანი და რუსული ლიტერატურა 126

ისტორია: ფაქტი, მოვლენა, კომენტარი

ბესიკ გაფრინდაშვილი
ნიკორწმინდელი მღვდელმთავრები 1534-1822 წლებში 141

რომან გოგოლაური
ხელბინიძეთა ბვარის ისტორიიდან 163

დარეჯან ჟუჟუნაძე
სამცხე-ჯავახეთში მოქმედი დაშნაკური პარტიის როლი ქრისტიან და მაკმადიან ქართველთა შორის დაპირისპირების საქმეში 1917 – 1921 წლებში 172

ლია ქიტიაშვილი
მესხეთის მოსახლეობის მენტალობის საკითხისათვის 181

ეთნოლოგია

თინა იველაშვილი
დამხმარე მეურნეობის მილევადი დარგები სამცხე-ჯავახეთში 196

განათლება, პედაგოგიკა

რუსუდან ზაზაძე
ხუთწლიანთა სწავლება სკოლაში და მათი პრობლემები 205

მარეხ ნათენაძე
ერთწლიანი სასწავლო ბებმის მოდიფიკაციის საკითხისათვის 215

ირმა ქურდაძე, გულნარა ჯანოვა
განათლების საქართველოსა, როგორც ადამიანთა უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება 220

ძიებანი ჟურნალისტიკაში

მარინე შონია
შერნალი „ცისკნებერი“ და მისი როლი თერძეთში ქართული კულტურის კონსოლიდაციაში 225

სხვადასხვა
უჩა ბლუაშვილი
ქართულ-სომხური ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის პერსპექტივები ევროკავშირის ქვეყნების (პოლონეთი, გერმანია, ბელგია, კოლანდია) გამოცდილების ფონზე 238

ქრონიკა *247*

CONTENT

Ivane Gvaramadze 150
Merab Beridze
FIGHTING FOR BEING GVARAMADZE 16
Roman Gogolauri
FROM THE HISTORY OF EKVTIME TAKAISHVILI AND KOSTANTINE GVARAMADZE'S RELATIONS 23
Maia Ivanidze
IVANE GVARAMADZE –A COLLECTOR OF FOLK LEGEND 28
Giorgi Maisuradze 46
IVANE GVARAMADZE AND BOOK POPULARIZATION IN SAMTSKHE-JAVAKHETI 46
Marekh Natenadze
ABOUT IVANE GVARAMADZE'S PEDAGOGICAL IDEAS AND APPROACHES 50
Zurab Kukchishvili
IVANE GVARAMADZE AND SARO ICON OF CHRIST THE SAVIOR 54
Nato Kruashvili
IVANE GVARAMADZE'S COLLABORATION WITH GEORGIAN CLOISTER OF ISTANBUL 68

Linguistics
Maka Beridze
ABOUT WRITING OF FOREIGN WORDS 78
Inga Ghutidze
GRAMMATICAL EVENTS IN IMERKHEULI 92

Literary paradigms

Dali Betkhoshvili

FOR UNDERSTANDING "TWO EDGES" IN AKAKI TSERETELI'S POETRY 104

Sophiko Gvaramadze

SAINT VIRGIN'S PRIASES AND PRAYERS 113

Ketevan Grdzelishvili

AN ARTISTIC CHARACTER OF "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" AND THE ISSUE OF TRANSFORMATION OF ARTISTIC CHARACTERS 120

Nestan Sulava

GULKAN SHALIKASHVILI 125

Irina Jishkariani

THOMAS MANN AND RUSSIAN LITERATURE 140

History: facts, events, commentaries

Besik Gaprindashvili

BISHOPS OF NIKORTSMINDA IN 1534-1822 162

Roman Gogolauri

FROM THE HISTORY OF A SURNAME-ZEDGINIDZE 171

Darejan Zhuzhunadze

THE ROLE OF ACTING DASHNAK PARTY IN SAMTSKHE-JAVAKHETI IN THE AFFAIRS OF THE OPPOSITION BETWEEN CHRISTIAN AND MUSLIM GEORGIANS IN 1917 _1921 180

Lia Kitiashvili 195

FOR THE QUESTION OF MESKHETI RESIDENTS' MENTALITYY ***195***

Ethnology

Tina Ivelashvili

DECREASING FIELDS OF SUBSIDIARY FARMS IN SAMTSKHE – JAVAKHETI REGION 204

Education, pedagogics

Rusudan Zazadze

The Problems of Five Year old Children At School 213

Marekh Natenadze

ABOUT MODIFICATION OF NATIONAL CURRICULUM 219

Irma Kurdadze, Gulnara Janova
UNIVERSAL EDUCATION, AS ONE OF THE MOST IMPORTANT AREAS OF HUMAN RIGHTS PROTECTION 224

Searches in jurnalism
Marine Shonia
JOURNAL "CVENEBUREBI" AND ITS ROLE IN THE POPULARIZATION OF GEORGIAN CULTURE IN TURKEY 237

Miscellaneous
Ucha Bluashvili
GEORGIAN-ARMENIAN TRANS-BORDER COOPERATION PERSPECTIVES ON THE BACKGROUND OF EXPERIENCE OF E U COUNTRIES (POLAND, GERMANY, BELGIUM, HOLLAND) 238

Chronicle 247

საგამომცემლო ჯგუფი: **ლარისა გურგენიძე**
ლია ზედგინიძე

გამომცემლობა

„ახალციხის უნივერსიტეტი"

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 591-41-12-78
ელ. ფოსტა: **contact@sjuni.edu.ge**